

675-ე /  
1980/3

ISSN—0132—6066



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4. 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი

ТБИЛИСИ

4. 1980

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

**ს ა რ ე ჯ ა შ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :** ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვაზარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტა

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია,  
1980, № 4.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19 ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 30.VII.80; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.II.81; უე 17348;  
ქალაქის ზომა 70×1087/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 20,3; სააღრიცხვო-  
სავამომცემლო თაბახი 18,0; ტირაჟი 2000; შეკვ. 2599; ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

სსრკ კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის . . . . .	5
<b>დავით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავი</b>	
ს. ცაიშვილი, მარადისობის გზაზე . . . . .	7
მ. ტყეშელაშვილი, ეპოქის სახე „კაცია ადამიანში?“ . . . . .	14
დ. იოვაშვილი, პორტრეტი და მისი ადგილი ქართულ მწერლობაში . . . . .	27 ✓
ბ. დარჩია, ხატულთა ამბის ხელნაწერის ფრაგმენტი . . . . .	47
ო. გვეტაძე, დიალოგი ქართულ პავიოგრაფიაში (V—XI სს.) . . . . .	54 ✓
გ. ახვლედიანი, ფოლკლორული მასალები დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულ ნაშრომებში	65
ც. ახალაძე, მიხრი ხათუნის სასიყვარულო ლირიკის გავებისათვის . . . . .	79
ნ. მიქელაძე, მორფოლოგიური თავისებურებანი აჭარაში მოღვაწე მწერალთა თხზულებებში . . . . .	90
მ. ჩიქობავა, „ლალი“ და „ბადაზში“ ტერმინების მნიშვნელობისათვის . . . . .	109
ზ. სარჯველაძე, ზოგი საერთო-ქართველური ლექსემის ეტიმოლოგიისათვის . . . . .	115
ლ. რუხაძე, თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში . . . . .	123
ს. გუმაშვილი, კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბებისათვის ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში . . . . .	131
ე. ჩიკაიძე, თურქული ენის CVC ტიპის სიტყვების ფონეტიკური სტრუქტურა . . . . .	147
მ. ასათიანი, ენობრივი სიტუაციის შესახებ ინდოეთის რესპუბლიკაში . . . . .	158
მ. ჰუსაინოვი, ზმნით მოტივირებული თურქული ნეოლოგიზმების — არსებით სა- ხელთა — სიტყვაწარმოებითი სტრუქტურის დახასიათებისათვის . . . . .	167
ლ. ცოცხაძე, იარაღისა და ადგილის აღმნიშვნელი დერივაციული ველების ურ- თიერთქმედება თანამედროვე სემიტურ ენებში (სალიტერატურო არაბულისა და ებრაულის მასალებზე) . . . . .	175

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დ. მეღვიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო	184
ა. მარტიროსოვი, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები . . . . .	195
ა. ჭინჭარაული, ზოგი შენიშვნა ბარანის ციხის წარწერასთან დაკავშირებით . . . . .	200
ლ. გერცენბერგი — ნ. გაბარაევი, სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა და სიტყვაწარმოება თანამედროვე ოსურ ენაში, 1977 . . . . .	202

პრონობა და ინფორმაცია

სადოქტორო დისერტაციათა თემების დამტკიცება . . . . .	204
ვეფხისტყაოსნის აქადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში . . . . .	205
ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის 1980 წლის ნომრების შინაარსი ახალი წიგნები . . . . .	229
	231

## ОГЛАВЛЕНИЕ

### Статьи

Навстречу XXVI съезду КПСС . . . . .	5
<b>К 275-летию со дня рождения Давида Гурамишвили</b>	
С. С. Цайшвили, На пути вечности . . . . .	7
М. Ш. Ткешелашвили, Историческая действительность в рассказе И. Чавчавадзе «Человек ли он?» . . . . .	14
Д. Д. Иовашвили, Портрет и его место в грузинской литературе . . . . .	27
Б. Ш. Дарчия, Фрагмент рукописи сказа о хатайцах . . . . .	47
О. Е. Гветадзе, Диалог в грузинских агнографических памятниках (V—XI вв.) . . . . .	54
Г. Н. Ахвледиани, Фольклорные материалы по истории Грузии в трудах Д. Бакрадзе . . . . .	65
Ц. П. Ахаладзе, К пониманию любовной лирики Михри Хатун . . . . .	79
Н. Х. Микеладзе, Морфологические особенности в сочинениях писателей, работающих в Аджарии . . . . .	90
М. Г. Чикобава, К значению терминов «lali» и «badaxsi» . . . . .	109
Э. А. Сарджвеладзе, К этимологии некоторых общекартвельских лексем . . . . .	115
Л. И. Рухадзе, Турецкие заимствования в грузинском литературном языке . . . . .	123
С. Э. Гумашвили, К процессам классно-личного спряжения в кистинском диалекте чеченского языка . . . . .	131
В. Г. Чикаидзе, Фонетическая структура односложных слов типа CVC в турецком языке . . . . .	147
М. С. Асатиани, О языковой ситуации в Республике Индии . . . . .	158
М. М. Хусайнов, К характеристике словообразовательной структуры турецких неологизмов — имен существительных, мотивированных глаголом . . . . .	167
Л. В. Цоцхадзе, Об элементах внутренней валентности в современных семитских языках (на материале арабского и еврейского) . . . . .	175

### Критика и библиография

Д. Меликишвили, О некоторых спорных вопросах грамматики грузинского языка . . . . .	184
А. Г. Мартиросов, Древнегрузинские переводы книги «Псалмов» . . . . .	195
А. Чинчараули, Некоторые замечания к расшифровке надписи Баранской крепости . . . . .	200
Л. Г. Герценберг — Н. Я. Габараев, Морфологическая структура слова и словообразование в современном осетинском языке, 1977 . . . . .	202

### Хроника и информация

Утверждение тем докторских диссертаций . . . . .	204
В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре» . . . . .	205
Содержание номеров журнала «Мацне» («Известия») серии языка и литературы за 1980 г. . . . .	229
Новые книги . . . . .	231



სსრკ კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მშრომელები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში ძალ-ღონისა და ენერჯის სრული დაძაბვით მუშაობენ სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ისინი ამ დიდ პარტიულ ფორუმს ეგებებიან მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მონაბოგრებით, რომლებიც საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში შესანიშნავად დაახასიათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ე. ა. შევარდნაძემ: „ოქტომბრის შემდეგ განვლილი 60 წლის მანძილზე დიალექტიკურად, განუხრევლად ვითარდებოდა ჩვენი საზოგადოება, იგი შევიდა განვითარებულ სოციალიზმის ფაზაში.

ლენინის პარტია მუშათა კლასის პარტიიდან გადაიქცა მთელი ხალხის პარტიად, საბჭოთა სახელმწიფო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოდან გადაიქცა საერთო-სახალხო საბჭოთა სახელმწიფოდ, ჩვენი ხალხი — ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობად — საბჭოთა ხალხად, მშრომელთა დეპუტატების საბჭოები — სახალხო დეპუტატთა საბჭოებად. ყველაფერი ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებია, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში მომხდარ ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს ასახავს“.

ამ მსოფლიო ისტორიული მოვლენების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტიის ყრილობებზე ხდებოდა და ხდება გრანდიოზულ ამოცანათა, მომავალ დიად მიღწევათა ახალი ჰორიზონტების დასახვა.

ლენინიზმის იდეები, რომლებიც საფუძვლად უდევს პარტიის მთელ შემოქმედებითს მოღვაწეობას, საშუალებას იძლევა სწორ პერსპექტივაში იქნეს დანახული მოვლენების მომავალი განვითარება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნავდა: „წინა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეათე ხუთწლიანი გეგმა მზადდებოდა 1990 წლამდე პერსპექტივით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამოსავალ დებულებათა დამუშავებასთან ერთად. თხუთმეტი წლის ორიენტირები, რა თქმა უნდა, ვერ იქნება და არც უნდა იყოს ისეთივე დირექტიული ხასიათისა და ისეთივე დეტალური, როგორც ხუთწლიანი გეგმებია. მათი დანიშნულება სხვაა — ისაა, რომ წინასწარ განესაზღვროთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების ხასიათი და მასშტაბი და თავი მოუყაროთ ძალებს მათს გადასაწყვეტად, უფრო მკაფიოდ დავინახოთ შესაძლო პრობლემები და სიძნელენი, გვაადვილოთ იმ პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც ხუთწლეულის ფარგლებს სცილდება“.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ პარტიის XXVI ყრილობაზე მიღებული იქნება ახალი ხუთწლეულის — XI ხუთწლეულის გეგმა, დასახული იქნება კიდევ უფრო მაღალი, სიკეთის მომტანი მიჯნები როგორც მატერია-

62891

ქ. მარტოაძის სსრ. ს. კ. სსრ

ლური, ისე სულეირი ცხოვრების სფეროში, რომ ეს იქნება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებული ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურების ახალი განუხრელი აღმავლობისა და გაფურჩქენის დიდი პროგრამა, — საბჭოთა ხალხების კულტურათა შემდგომი დაახლოების საფუძველი. ლ. ი. ბრეჟნევი შესანიშნავად მიუთითა „ყამირს“, რომ საბჭოთა ხალხების კულტურათა დაახლოება სულეირი ცხოვრების სფეროში ქმნის აუცილებელ წინაპირობებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. „ყოველი საკუთარ თავში გამოკეტილი ეროვნული კულტურა გარდაუვალად აგებს, ზოგადკაცობრიულ თვისებებს კარგავს. საშუნაროდ, ეს ყველას და ყოველთვის არ ესმის.

სოციალიზმმა დიდი ხანია დამტკიცა: რაც უფრო ინტენსიურად იზრდება თითოეული ეროვნული რესპუბლიკა, მით უფრო ნათლად ვლინდება ინტერნაციონალიზაციის პროცესი“.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავიანთ საპატიო მოვალეობად მიიჩნევენ დიდ პარტიულ ფორუმს შეხვდნენ ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ხდებოდა და ხდება ხელშეშახები დადებითი ძვრები, რაც განპირობებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკომპრომისო ბრძოლით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და მოწინავე პოზიციებზე გასვლისათვის. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საბჭოთა საქართველო შეიძინა წელიწადია ზედინდელ ჯილდოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

205/1

ყველასათვის თვალნათლივია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების, კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროფილის ინსტიტუტების — შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის, ენათმეცნიერებისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტების მიერ მიმდინარე ხუთწლეულში მოპოვებული მიღწევები.

პარტიის XXVI ყრილობაზე შეჯამდება საბჭოთა ხალხის მიერ X ხუთწლეულში მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგები, ერთხელ კიდევ იქნება დადასტურებული, თუ რა გიგანტურად იზრდება ჩვენი ქვეყანა, როგორ ხორციელდება ლენინის გენიალური იდეები. მოხსენებაში 1980 წლის 23 ივნისის პლენუმზე, რომელმაც მიიღო დადგენილება სკკპ XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა: „ჩვენ დავისახეთ ისეთი კაპიტალური ამოცანა, როგორც წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება. და ეს ამოცანა ნიადაგ უნდა გვქონდეს ყუოადღების კენტრში, კვლავაც უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვამტკიცოთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა“.

რესპუბლიკის მშრომელთა საერთო მონაპოვარში, რითაც ისინი ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კპ XXVI ყრილობას, ქართველ მეცნიერთა წვლილიც სათანადო ადგილს დაიჭერს.

## დავით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავი

სარგის ცაიშვილი

### მარადისობის გზაზე\*

გურამიშვილის პოეტურმა სიტყვამ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც პირვანდელი მშვენიერებით ბრწყინავს. ასეთია ძალა ჭეშმარიტი პოეზიისა, რომელიც თავისი ბუნებით ახლოსაა ხალხთან, ისევ და ისევ მათივე საჭიროებისათვის არის შექმნილი.

„მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს — ჩალის ძირსა“, — წერდა ჩვეული თავმდაბლობით დავით გურამიშვილი.

დრომ, ყველაზე მკაცრმა მსაჯულმა, სხვა განაჩენი გამოიტანა.

ძველ საქართველოს არ ჰყოლია რუსთაველის შემდეგ დავით გურამიშვილზე უფრო დიდი პოეტი. იგი ღირსეულად უმშვენებს მხარს თავის დიდ წინაპარს.

მაგრამ თუ შოთა რუსთაველის ცხოვრება-მოღვაწეობა ქართველი ხალხის აღზევების ეპოქას ემთხვევა, დავით გურამიშვილი გვიანი შუა საუკუნეების პოეტია, როცა ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი ბევრჯე ეკიდა.

უკვე ის ფაქტი, რომ ჩვენ XVII—XVIII საუკუნეებში გვიხდება საუბარი გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, თავისთავად მეტყველებს ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების მაგისტრალური ხაზის დროებით გამარუდებაზე.

დავით აღმაშენებლის, თამარისა და რუსთაველის ეპოქა უკვე ხსნიდა იმ დიდ კარიბჭეს, რომლის შემდეგ, ისევე როგორც შემდეგ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, შუა საუკუნეები, შესაბამისი იდეოლოგიური ნიშნებით, დაძლეული მიჯნა იქნებოდა, რომ არა ის ისტორიული კატაკლიზმები, რომლებიც ასეთი მრისხანებით დაატყდა თავს ქართველ ხალხს.

აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწიფოთა მრავალსაუკუნოვანი ექსპანსიის შედეგად, თვით ქვეყნის შიგნით გაღვივებულ ფეოდალურ მანკიერებათა გამო იგი როგორც პოლიტიკურად, ისე სოციალურად აშკარად დაკნინების გზაზე იყო დამდგარი. XVII—XVIII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა მოწინავე დასი ვადარჩენის გზას ეძიებდა, ხოლო საბოლოოდ ამ ძიებამ ისინი ერთმორწმუნე რუსეთთან მიიყვანა.

ეს პროცესი მტკივნეული აღმოჩნდა, რადგან, რაც უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებდა ქართველი ხალხი, რათა დაეკავშირებოდა ჩრდილოეთის მეზობელს, მით უფრო მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა მაჰმადიანური რწმენის ქვეყნებისაგან, რომელთა შორის სამხედრო ძალითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ შაჰის ირანი და თურქ-ოსმალეთის იმპერია.

ამ ხანებში ქვეყანა ისტორიულ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. ოდნავი მოდუნებაც კი ეროვნულ გადაგვარებასა და კატასტროფას უდრიდა. ქართველმა ხალხმა თავისთავში აღმოაჩინა ძალა, რათა საბოლოო განადგურებისაგან გადა-

\* მოხსენება წაითხული 1980 წლის 13 ოქტომბერს. ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გამართულ დავით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

ერჩინა საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ძველი და თვითმყოფი კულტურა.

დავით გურამიშვილი სწორედ ამ მღელვარე ეპოქის ღვიძლი შვილია, ხოლო მის პოეზიაში, როგორც პრიზმაში, წარმოსახულია განსაცდელის წინაშე მდგომი ქვეყნის გაუტეხელი სული.

ტრავიკულ ნაკადთან ერთად, რომელიც ასეთ სიმძაფრეს ანიჭებს მის პოეზიას, იგი იმედინად უმზერდა მომავალს, ეძიებდა მშობლიური ქვეყნის გადარჩენის „სინათლის სხივს“.

დავით გურამიშვილი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, ერთ-ერთი ურთულესი მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიაში. მისი მრავალფეროვანი პოეზია სულიერი ძიებებით არის აღსავსე და ღრმა ეპოქალურ ტივილებს გამოხატავს. მსოფლმედველობრივი წინააღმდეგობები ისევე დამახასიათებელია მისთვის, როგორც მშობლიური ქვეყნის იმხანად ჭერ კიდევ გაურკვეველი ისტორიული პერსპექტივა.

275 წელი შესრულდა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის დავით გურამიშვილის დაბადებიდან. მთელი საქართველო საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად უღრმესი პატივისცემით ინახავს თავისი დიდი წინაპრის ხსოვნას.

კიდევ ერთხელ იხსენებს, გიორგი ლეონიძის ხატოვანი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, ქართველი პოეტის, რუსი მხედრისა და უკრაინელი მხენელ-მთესველის უაღრესად საინტერესო ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თავგადასავლების მოტრფიალე შუა საუკუნეთა ნებისმიერ რაინდს შემურდებოდა დავით გურამიშვილის ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება.

საგურამო, მცხეთა, ზედაზენი, შიომღვიმე თუ ლამისყანა, რომელსაც ასეთი სასოებით იგონებდა შემდეგ პოეტი, ის ადგილებია, სადაც გაატარა მან თავისი ყმაწვილკაცობის უძვირფასესი წლები, როცა მისი პოეტური შთაგონება სამუდამოდ აღზეჭდავდა „ცისფერი გაზაფხულის“ პირველ ხილვებს.

დავითის მამა-პაპანი ქართლ-კახეთის მეფეთა კარზე ერთ-ერთი დაწინაურებული დიდგვაროვანი იყვნენ და ყველა პირობა არსებობდა, რომ დავითს აქ ნებიერი ბავშვობა გაეტარებინა, შესაფერი სწავლა-აღზრდა მიეღო და ყოველმხრივ განსწავლული, გაწვრთნილი ჩამდგარიყო ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

მაგრამ ბედი მას მწარე ხვედრს უმზადებდა...

მის თვალწინ გათამაშდა დიდი ეროვნული ტრაგედია, რის გამოც მისივე სულიერი მოძღვარი და ქართული საქმეების მეთაური ვახტანგ მეექვსე რუსეთს გადაიხვეწა, ხოლო საქართველო განუკითხავ სათარეშო სარბიელად გადაიქცა:

„მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლად!  
 სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამში მოურჩა წამლად;  
 დადღელებული შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლად,  
 აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლად“.

ბედმა არც სამშობლოდან სამუდამოდ მოწყვეტა, არც დაღესტნის მიუვალ აულში ტყუეობა, არც კავკასიის ჭაუხებში უგზო-უკვლოდ ხეტიალი აკმარა პოეტს, როცა მან აღამიანური ძალების საარაკო დაძაბვით გააღწია „სარუსეთოს“, რაც მისთვის სამშვიდობოს გასვლას ნიშნავდა.

ვახტანგ მეექვსის გარდაცვალების შემდეგ, როცა პოეტმა საბოლოოდ და-  
ჰკარგა იმედი სამშობლოში დაბრუნებისა, დავით გურამიშვილი რუსეთში მყოფ  
თანამემამულეებთან ერთად იწყებს სამსახურს რუსეთის სამხედრო ნაწილებ-  
ში.

მე-18 საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთმა სამი დიდი ომი გადაიხადა  
და ამ ხანებში ჩამოყალიბებულ ქართველ ჰუსართა პოლკთან ერთად სამივე  
ომის აქტიური მონაწილეა დავით გურამიშვილიც. მას ხან დასავლეთ უკრაინ-  
ის თვალუწვდენელ ველ-მინდვრებზე ვხედავთ, როცა რუსეთის ძლევამოსი-  
ლი ლაშქარი ხოტინის ციხე-სიმაგრეებთან სასტიკად ამარცხებს თურქეთის  
მრავალრიცხოვან არმიას, ხან შორეული შვედეთის სანაპიროზე, ხოლო ბოლოს  
კი პრუსიასთან შეიღწიან ომში.

აი, რას აღნიშნავდა ქართველ მეომართა სამავალითო მეომარულ თვისება-  
თა გამო ამ ხანებში რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობა: „ქართველ ჰუსარ-  
თა ასეული მთელი კამპანიის პერიოდში იმყოფებოდა ბრძოლაში. ამ ასეულის  
ოფიცრები და რიგითი ჰუსარები მტრის წინააღმდეგ ისე მოქმედებდნენ, რო-  
გორც შეშენის ძლიერ, მამაც და სანდო ხალხს და რომელთა საჭიროება არ-  
მიაში დიდაა“.

თითქმის ოცი წელი იმყოფებოდა პოეტი მხედრულ სამსახურში. ამ ხანებ-  
ში მას ახალი უბედურება დაატყდა თავს, როცა იგი დაჭრილი და ცხენითურთ  
ჭაობში ჩაფლული დაატყვევეს პრუსიელებმა.

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, სჯობდა თუ არა თავისი „კომფორტით“ მაგდე-  
ბურგის ციხე-სიმაგრე, სადაც კარგა ხანს იტანდა ტყვეობის სიმძიმის დავით  
გურამიშვილი, დაღესტანში მის მიერვე აღწერილ უპატიურად ყოფნას, მაგ-  
რამ ერთი რამ ჩვენთვის ცნობილია: მორიგი ტყვეობიდან იგი ფიზიკურად და  
სულიერად დაძაბუნებული დაბრუნებულია.

„ფეტვი ბევრი მოვიყვანე, მაგრამ ვერა ვშაპე მწაღი,  
მე მომიტარეს: „მანდელამე ახლა ადექ, სხვაგან წადი!“  
ძალ-უხნებრივ წამიყვანეს, სადაც არა ვიყავ მწაღი,  
ვამე, ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარიდი“.

ეს სტრიქონები მიუწერია პოეტს მოგვიანებით „ქართლის ჭირის“ ეპილო-  
გად და იგი კარგად ამხელს, რომ მას უკრაინაში, სადაც სხვა ქართველებთან  
ერთად არგუნეს მცირე მამული, კიდევ ბევრი გასაჭირი გადაუტანია. ადგილობ-  
რივი შლიახტა მტრულად შეხვედრია იმთავითვე ქართველ მოახალშენებს,  
მათ შორის გადაუწევთ და გაუპარტახებიათ გურამიშვილის სახლ-კარიც,  
როცა იგი რუსეთის მხედრობასთან ერთად ერთი ომიდან მეორეში მონაწი-  
ლეობდა.

მაგრამ დავითს კვლავ მოუტრებია ძალა და თავის ახალგაზრდა მეუღლე  
ტატიანა ვასილის ასულ ავალიშვილთან ერთად მოუწესრიგებია გაპარტახებუ-  
ლი მეურნეობა.

უკრაინა მას მეორე სამშობლოდ მოველინა. ამის შემდეგ პოეტმა თითქმის  
ოცდაათი წელი იცხოვრა. იგი გარდაიცვალა 1792 წლის 21 ივლისს (ძვ. სტ.)  
და დაკრძალულია ქ. მირგოროდში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

ძალზე მომზიბლავია პოეტის დამოკიდებულება იმ ხალხისადმი, რომელთა  
შორის მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. იგი დაუახლოვდა უკ-  
რაინელ ხალხს, შეისწავლა მათი ყოფა და სულიერი კულტურა. მის ლირიკულ

ლექსებში მოხსმის რუსულ-უკრაინული ფოლკლორული მოტივები, ხოლო პოემაში „მხიარული ზაფხული“ საოცრად არის შერწყმული უკრაინულ-ქართული ზნე-ჩვეულებანი, ფოლკლორული თუ ყოფითი ელემენტები.

„ზუბოვიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,  
 მეთად ტურფა, შენიერი, მაზე დამრჩა თვალი,  
 შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,  
 მისმან ეშხან დაცამლენა, შემომუსრა ძვალი“.

სამართლიანად არის აღნიშნული ადრეც, რომ დავით გურამიშვილმა ამ ლექსში ერთმა პირველთაგანმა უმღერა უკრაინელი ქალის სილამაზეს (რასაკვირველია, ეს არ გამოირიცხავს ლექსში ჩადებულ მისტიკურ ასპექტებსაც).

ასევე სწორედ დავით გურამიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ პოეზიაში რუსი მეგობრის შემოყვანა, რაც საერთოდ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. დაღესტანში ტყვეობიდან გამოქცეულ პოეტს შემეწედ და მფარველად რუსი უბრალო ადამიანები მოეკლინენ, რომელთაგან ერთის სახე მან სამუდამოდ აღბეჭდა თავის „დავითიანში“:

„როგორც რომ ერთმან ყაზახან მე მაშინ მომიარაო,  
 როცა რომ მყვანდა, მივიღა მეტს მამაჩემი არაო;  
 შევბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო“...

ქართველ და განსაკუთრებით უკრაინელ მკვლევართა წყალობით ჩვენ ზოგი რამ უკვე დანამდვილებით ვიცით პოეტის ცხოვრების უკანასკნელი წლებიდან, ვიცით, როგორ მონაწილეობდა იგი სხვა ქართველ მოახალშენეებთან ერთად მიტოვების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ან როგორ ზრუნავდა პოლტავაში მისი სამეურნეო საქმეთა გაუმჯობესებაზე. მის ავტოგრაფულ კრებულში დაცულია კიდევ პოეტის ორიგინალური ჩანაფიქრის პროექტი საირიგაციო სისტემისა და ახალი ტიპის წისქვილების გამართვაზე.

მაგრამ პოეტის საქმიანობაზე ყველაზე ნათლად მეტყველებს ლექსების კრებული „დავითიანი“ — ყველაზე ძვირფასი რამ, რაც შეეძლო მიეძღვნა დავითის მშობლიური ხალხისათვის. პოეტი ამ წლებში საბოლოოდ ყალიბში ასხამდა ყოველივე იმას, რაც მისმა მრავალტანჯულმა სულმა განიცადა. „გულითა მართლითა, პირითა ნათლითა“ — „დავითიანის“ ყოველი სტრიქონი გამოთბარი დიდი პოეტის გულწირფელი აღსარებით, განათებულია ცხოვრების დიდი გამოცდილებით.

და აი, ხელსაყრელი ვითარებაც დაუდგა პოეტს. 1787 წელს, როცა უკრაინაში, კრემენჩუგში, პოტიომკინის კარზე იმყოფებოდა საქართველოს ელჩიონი ერეკლე მეორის ვაჟის მირიან ბატონიშვილის მეთაურობით, გურამიშვილი მას სასაუბროდ უგზავნის ერთადერთ პირმშოს — „დავითიანს“, როგორც იგი უწოდებდა თავის ლექსთა კრებულს.

სწორედ ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გურამიშვილის „დავითიანმა“ გაიკვლია გზა მშობლიური ქვეყნისაკენ.

როგორც შედგენილობით, ისე შინაარსით „დავითიანი“ უნიკალური წიგნია ქართული პოეტური კულტურის საგანძურში, ხოლო მის ავტორს — პოეტსა და მოაზროვნეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული მწერლობის ისტორიაში.

გურამიშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი, მისივე ალტერ ეგო, ხან მარტოლმთენილი, ღრმა რელიგიური განწყობილებებით დატვირთული ადა-

მიანი, ხოლო ზოგადადამიანური თემების დამუშავებით პოეტი მსოფლიო ტიტანებს უსწორებს თვალს, ხან კი „ქართლის ჭირზე“ მწარედ დაფიქრებული პიროვნებაა, რომელიც მთელი არსებით შეძრულია თავისი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედიის გამო. წიგნის მანძილზე გამოკვეთილია პოეტი-მოქალაქის პოეზია, ხოლო მთელი მისი შემოქმედება ღალატდება: „მე უბედური ვიყავი იმიტომ, რომ ჩემი სამშობლო იყო უბედური“ (გ. ქიქოძე). მართლაც, „დავითიანში“ პიროვნული და საზოგადო ისე გაუთიშველად ერწყმის ერთმანეთს, რომ იგი აღიქმება როგორც ერთიანი, მონუმენტური მხატვრული ტილო.

ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის აღნიშნულ ეპოქას განმანათლებლური უწოდა, რასაც ამხელს პირველ ქართველ განმანათლებელთა (სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი) გასაოცრად მრავალმხრივი მუშაობა.

სწორედ ასეთი ტიპის მოღვაწეთა თაოსნობით ქართული კულტურა, ისევე როგორც ადრეულ ეპოქებში, კვლავ ემზადება ჩადგეს იმდროინდელი მსოფლიოს ახალი ცივილიზაციებისაკენ მოსწრაფე ქვეყნების რიგში. დასავლეთ ევროპაში ეს არის ვოლტერის, მონტესკიეს, დიდროსა და ლესინგის, ხოლო რუსეთში ლომონოსოვის, კანტემირისა და რადიშჩევის ეპოქა.

მართლაც, ნიშანდობლივია, რომ როდესაც საქართველოში სულხან-საბა ორბელიანი ამთავრებს განსაკვივრებელ ენციკლოპედიურ ნაშრომს „სიტყვის კონას“, მეორე დიდი განმანათლებელი დავით გურამიშვილი შორეულ უკრაინაში ქმნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრულ ენციკლოპედიას, რომელსაც უნდა აესახა და ასახა კიდევ ქართველი ხალხის სულიერ რხევათა უმთავრესი ასპექტები.

გურამიშვილის „დავითიანში“ დომინანტობს განმანათლებლური სულისკვეთება. ამას უწინარეს მოწმობს გურამიშვილის შემოქმედებაში ჭარბად გამოვლენილი დიდაქტიკური ნაკადი, ფოლკლორისადმი განსაკუთრებული ინტერესი და საერთოდ მიდრეკილება ქართული მხატვრული სიტყვის დემოკრატიზაციისაკენ. ამასთან მან თავისი დიდებული წიგნის გმირებად აქცია უბრალო, მშრომელი ადამიანები. სწორედ ამით „დავითიანის“ ავტორი საბოლოოდ განემიჯნა შუა საუკუნეების მწერლების ესთეტიკურ პრინციპს, რომელიც აღმაცერად უყურებდა უბრალო ადამიანთა დამკვიდრებას მხატვრულ მწერლობაში. უნიკალურია ამის გამო მისი ბრწყინვალე იუმორითა და უბრალო გლეხკაცის სიყვარულით გამთბარი პოემა „მხიარული ზაფხული“.

ქართული შუა საუკუნეების უდიდესი პოეტი ამ თვალსაზრისით ახალი ქართული პოეზიის ერთი პირველი წინამორბედთაგანია. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ სწორედ ასეთი თვალთახედვით აფასებდნენ თავიანთი „უძვირფასესი პაპის“, გურამიშვილის შემოქმედებას ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა.

„დავითიანი“ ამასთან თავისი ეპოქის მხატვრულ მატრიანედ წარმოგვიდგება, ხოლო მისმა ავტორმა თხრობას „მართლის თქმის“ მაღალი პრინციპი დაუდო საფუძვლად. ამით იგი გადაჭრით გაემიჯნა პროვინციული მეხოტბეების მორალს და მკაცრი, შეუპოვარი სამართლის გზით ირჩია სვლა.

„დავითიანის“ ყოველ სტრიქონში, ყოველ ფრაზაში მოჩანს პოეტი-მოქალაქის პირუთვნელი პოზიციცა ყველა იმ მანკიერებათა მიმართ, რასაც ზნეობრივ გადაგვარებამდე მიჰყავდა ფეოდალური წყლულებით დაავადებული ქვეყანა. „ქართლის ჭირის“ ავტორი არა მხოლოდ მხატვრულად აღწერს თავის ეპოქას, არამედ იგი გვევლინება როგორც მკაცრი მსაჯული:

„მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად? ვერას ვუქმებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად. მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინ არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

ამიტომაც, „ქართლის ჭირის“ ღრმაფილოსოფიური დასკვნები, ეს მე ხაზგასმით მიინდა აღნიშნო, არ იფარგლება მარტო მე-18 საუკუნის გარკვეული მონაკვეთით და „საქართველოს ცხოვრების“ ბევრად უფრო ფართო სივრცეებს სწვდება. ჩვენი ხალხის სულიერი ავ-კარგის წარმოჩენის გზაზე დავით გურამიშვილმა ქართულ მწერლობაში მანამდე უცნობ მწვერვალზე მიაღწია და შეუპოვარ ძიებათა შედეგი სამუდამოდ აღბეჭდა კიდევ „დავითიანის“ ფურცლებზე.

დავით გურამიშვილის დიდი შემოქმედება ბუნებრივად ეფუძნება მის წინამორბედ მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეტური კულტურის მდიდარ ტრადიციებს. ამასთან „დავითიანში“ აშკარად გამოსჭვივის სხვა მეზობელი ხალხების კულტურათა გამანაყოფიერებელი ზემოქმედება, რაც პოეტის შემოქმედების მასშტაბურობას უსვამს ხაზს.

მაღალი ჰუმანიზმი თავისთავად გამოირიცხავს ვიწრო პარტიკულარიზმსა და პროვინციულ კარჩაკეტილობას. მხოლოდ ასეთი ფართო თვალსაწიერი ახასიათებდა იმთავითვე ქართულ კულტურას, რომლისთვისაც უცხო და მიუღებელი იყო ე. წ. ჰერმეტიზმის მავნე თეორიები. რუსთაველური ჰუმანიზმი სწორედ ასეთ ურყევ საძირკველზე იყო აღმართული.

დავით გურამიშვილი მტკიცედ აგრძელებს ქართული კულტურის განვითარების აღნიშნულ მაგისტრალურ ხაზს. მართლაც, „დავითიანი“, რომელიც ყველა შემადგენელი ნაწილით ეროვნულ ნიადაგზეა ამოზრდილი, გამოირჩევა სამაგალითო ინტერნაციონალური სულისკვეთებით, ხოლო მის ფურცლებზე შთამბეჭდავი მხატვრული ძალით უანგარო მეგობრობის არაერთი დიდებული სურათია წარმოსახული.

„დავითიანი“ სიბრძნისა და გონიერების დიდებული წიგნია, ხოლო მისი ავტორი თვითშემეცნების ისეთ ურთულეს საკითხებს წამოჭრის, რომელიც დღესაც სამაგალითოა. ინტელექტუალური ზრდის შესაბამისად ადამიანმა უწინარეს ყოვლისა უნდა იცოდეს: „ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“ — ფაქტიურად ასეთი იდეის ხორცშესხმას წარმოადგენს „დავითიანში“ წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის მხატვრული სურათები, რომელიც ავტორს გააზრებული და შეფასებული აქვს როგორც ვაკვეთილი მომავალი თაობებისთვის.

„სწავლა მოსწავლეთას“ ავტორმა ამასთან კარგად იცის, რომ „შიშველი სახით მოწოდებული მორალისტიკა კედელზე შეყრილი ცერცვივით დაეფანტება მკითხველს.

ღრმა, ცხოვრებისეული დაკვირვებები თუ წინამორბედ ფილოსოფოსთა გამონათქვამები აქ წარმოდგენილია მოულოდნელი მეტაფორებით, სხარტი, ფრთიანი ფრაზებით:

„ყრმა სწავლაში მოშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების, უსწაველი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწილდების...  
 სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

ამიტომაც, პოეტის სამშობლოში ძნელად იპოვნით კაცს, რომელმაც არ იცოდეს გურამიშვილის ბრძნული შეგონებანი, ზეპირად არ ახსოვდეს დიდი

ოსტატის თითქოსდა «საჭრეთლით გამოკვეთილი აზრები. კანონიერი სიამაყით წერდა ამის გამო ილია ჭავჭავაძე და გურამიშვილს ადარებდა მსოფლიო დიდაქტიკური პოეზიის ისეთ გიგანტებს, როგორებიცაა ლუკრეციუსი, ვერგილიუსი და პოპოლიუსი.

გურამიშვილის შემოქმედება კიდევ მრავალ ასპექტს შეიცავს. ამასთან დარწმუნებული ვართ, რომ პოეტის გახსენების ეს მშვენიერი დღეები ახალი ბიძგის მიმცემი შეიქნება დიდი წინაპრის მრავალფეროვანი შემოქმედების ყველა კუთხით შესწავლის საქმეში.

ერთი რამ ამჟამად ცხადზე უცხადესია. შოთა რუსთაველის ყველაზე ღირსეულმა მემკვიდრემ ძველ საქართველოში შეაჯამა ქართული მწერლობის განვითარების ერთი დიდი მონაკვეთი. მანვე, და ეს არის უმთავრესი, ღრმა, ნოვატორული ძიებებით, ეს ეხება როგორც მხატვრულ ფორმას, ისე შინაარსს, ერთმა პირველთაგანმა წარმოაჩინა ქართული პოეზიის ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც მომავალში სრულიად ახალი ჰორიზონტების დაუფლებისაკენ მიმართავდნენ ქართულ მწერლობას.

„ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი  
 მგელთ წარსატაცად ფარხთა გარე,  
 ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,  
 ასეთი საქმე მე მოგიგვარე!  
 გაეხდი გლახაკი და დაფრდომილი,  
 თუმცა საწუთროს მოვიანვარე;  
 ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი,  
 საუნჯისაგან კარს გარე მდგარე.  
 დაეპყარვე იგი ოქროს ბეჭედი,  
 რომლით ნიშნულ არს ჩემი შეებადი,  
 აწ მექცევინ ვანი გებადი  
 მე საუკუნო განსვენებადი...“

შორეულ უკრაინაში ღამეებს ათენებდა მრავალტანჯული, მძიმე ცხოვრებით დამაშვრალი პოეტი: „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა“. ფიქრებში ეალერსებოდა თავის მშობლიურ მიწა-წყალს, თავის ხალხს, ეძიებდა საკუთარი სულისა და ქვეყნის გადარჩენის გზებს.

და მაინც აღამიანური შიში ხვალინდელი დღის გამო არ სტოვებდა მას: „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინა მომიგონებსა?“.

ეს იყო მწარე დაეჭვება, რომელსაც საბედნიეროდ გამართლება არ ეწერა.

მის ნათელ ხსოვნას ახალი ფურცლები ემატება. გურამიშვილის პოეტური სიტყვა ვაცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს და მარადისობისაკენ მიიკვლევს გზას.

## გ ა ნ ა ნ ა ტ ა ე უ ლ ა ზ ი მ ი ლ ი

## მ ა კ ო შ ი ს ს ა ხ მ „ კ ა ც ი ა ა დ ა მ ი ა ნ შ ი ? ! “

ქართული კრიტიკული რეალიზმის კლასიკურ ნაწარმოებში „კაცია ადამიანში?!“ მთელი სისავსითაა შერწყმული, ერთი მხრივ, ჩვენი მწერლობის საუკეთესო ტრადიციები, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული სიახლეები. მასში ასახული სინამდვილე, ყოფა, ხასიათები მკაფიო მავალითაა მწერლის ცხოვრებასთან განუყოფელი კავშირის, ხალხთან სიახლოვის, მისი ჭირ-ვარამისა და თვისებების ღრმა ცოდნისა, მნიშვნელობისა, ჭეშმარიტი დადასტურებაა კრიტიკული რეალიზმის გამარჯვებისა ქართულ ლიტერატურაში.

ამ ნაწარმოების წერა ი. ჭავჭავაძეს დაუწყია უნივერსიტეტში სწავლის დროს და დაუსრულებია ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსებისას, სადაც გამოქვეყნდა 1863 წელს.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძემ მაღალი ოსტატობითა და გემოვნებით განახორციელა „კაკოში“ მოცემული ბარალელური სიუჟეტური ხაზების გადაჯვადება და მათი დამუშავება სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებად — „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“.

ღროს ღრმა კვალი დაუმჩნევია მოთხრობისათვის. ნაწარმოებს უშუალოდ შემოუნახავს ეპოქის კონკრეტული სინამდვილის ანახეჭდები. ილიას გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, მასში როგორც სარკეში, უკუფენილია ჩვენი ხალხის მაშინდელი ცხოვრება. საზოგადოების სურათი წარმოდგენილია იმ სახით, რომელიც ნათელს ფენდა ახალი თაობის ეროვნულ-სოციალური იდელების ხასიათს.

მოთხრობაში გაშუქებულია თანამედროვე ცხოვრების არა ერთი რომელიმე უბანი, არა რაიმე განკერძოებული საკითხი, არამედ, როგორც გრანდიოზულ მხატვრულ ტილოზე, გადაშლილია ეპოქა სრული მრავალფეროვნებით. ნაწარმოების ეპილოგში მწერალი გარკვევით მიუთითებს: „ჩვენ კერძო პირზე კი არა ვწერთ, არამედ საზოგადო ჭირზე“.

ნ. ნიკოლაძე „კაცია ადამიანში?!“ მიიჩნევს ქართული „შეუფერავი რეალიზმის“ ნიმუშად, რომელიც ისევე, როგორც „გლეხთა განთავისუფლების სცენები“, „დავჯაკაებელი გონებისა და ნიქის“ გამოხატულებაა.

ძველის რღვევა და ახლის აღმოცენება „კაცია ადამიანში?!“ დანახულია ახალი იდეების თვალსაზრისით, დამყარებულია ცხოვრების ღრმა ანალიზზე, კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების მახვილგონიერულ დავიროვნებაზე, რაც შეესაბამებოდა კრიტიკულ რეალიზმში ხელოვნებისა და ლიტერატურის შემეცნებითი მნიშვნელობის ამალგებას და პრაქტიკული დანიშნულების გაძლიერებას. მასში ცხოვრება ასახულია თავისი ნამდვილი სახით. კონკრეტული ფაქტები და მოვლენები იმდენად მართალი და სანდოა, რომ ზოგიერთ მათგანზე ჩვენ მხოლოდ ამ ნაწარმოების მიხედვით შეგვიძლია წარმოდგენა ექიანიოთ. სინამდვილე ლიტერატურაში შემოდის თავისი ჭეშმარიტი შინაარსით, ხოლო მხატვრული განზოგადება მოცემულია უშუალოდ ცხოვრებისეული ფაქტებისა და მოვლენების ფორმაში. სიუჟეტი ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენებისა და ამბების შინაარსია.

1869 წელს პეტერბურგში ქართველი სტუდენტების მიერ „კაცია აღამიანის?“ ცალკე წიგნად გამოშვებასთან დაკავშირებით, ი. ელიოზიშვილი „მნათობის“ № 11—12-ში წერდა: „ისე არა მოქმედებს რა ხალხზედ, როგორც მისი ნამდვილი ცხოვრების აღწერა და იმის ცუდი მხარის ცხადად დანახვება. აი, ეს ღირსება აქვს „კაცია აღამიანს?“ და სასურველია, რომ ეს მოთხრობა მისაწვდომი იყვეს მრავალი მკითხველისათვის“<sup>1</sup>.

1864 წელს „ლიტერატურნი ლისტოკში“ ანტ. ფურცელაძემ პირველმა განავითარა „კაცია აღამიანის?“ შესახებ ეს თვალსაზრისი. 1870 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის, ა. ცაგარლის და სხვათა წერილები, რომელთა ავტორები ერთხმად აღაზრებდნენ, რომ ეს მოთხრობა ნამდვილად გადაღებული სურათია, „ქართული ცხოვრების ყვავილია“, „მოვალე რომ ჩაუდგება გაკოტრებულს და თარო-კედელს, ძონძს და კონკებს აუწერს — ეს მოთხრობა სწორედ ის არის, ისე ნამდვილად არის აღწერილი, რომ არაფერი არ არის გამოტოვებული“<sup>2</sup>.

იმის წყალობით, რომ ამ მოთხრობაში მწერალმა დააყენა ეპოქის ყველაზე დიდი სოციალური და ზნეობრივი პრობლემა, შესაძლებლობა მიეცა კონცენტრირებულად ეჩვენებინა მთელი სოციალური სისტემის შინაარსი, დაეხსენებინა დიდი პრეტენზიების მქონე წოდების სრული უსუსურობა. თვით მწერალი აღნიშნავს: „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის კვლა, არც ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთი სიტყვით, რაც ამშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა, ...მაგრამ ეს უნდა იცოდეთ, შენ, მკითხველო, რომ მე... მკითხველის გასართველად არა ვსწერ... მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს ამის გამო, მოიწყინოს იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა განუყრელი და-ძმანნი არიან“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე თავად გვაძლევს „კაცია-აღამიანის?“ შეფასების კრიტერიუმს, გვაცნობს ესთეტიკურ-ლიტერატურულ კრედოს, რომლითაც ხელმძღვანელობს.

ფრ. ენგელსი მიუთითებდა, რომ „რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალების სიმართლით გადმოცემისა, ტიპიურ ვითარებებში ტიპიური ხასიათების სწორ რეპროდუქციას“<sup>3</sup>.

ამ საკითხზე ფრიად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული კიტა აბაშიძის. „კაცია-აღამიანის?“ მთავარ პერსონაჟებზე მსჯელობისას, ყურადღებას მიაპყრობს რა ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელთა გადაგვარებას, მიუთითებს: „მწერალს არ შეუძლია თავისი ნაწარმოები აღაშენოს, თუ არა იმ მასალის შემწეობით, რომელსაც იძლევა ცხოვრება... ი. ჭავჭავაძისათვის ფიზიკურად შესაძლებელი არ იყო იმ დროში სხვა ტიპი დაესურათებინა, თუ გინდ მისივე „ოთარაანთ ქვრივის“ არჩილი, რადგან მაშინ ცხოვრება სულ სხვა სახისა იყო, რადგან ცხოვრებაში მარტო დათიკოები დათარეშობდნენ, თათქარიძეები კი ტანტზე გორავდნენ და ზვრინავდნენ, ... მაგრამ ნიჭის ძლიერება მისი გამოიხატება მასში, რომ ამ მასალით (ხაზი ჩვენია. — მ. ტ.) ისარგებლა და ქართული ლიტერატურის საუკუნო ძეგლი აღავა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „მნათობი“, 1869 № 11—12.

<sup>2</sup> „მნათობი“, 1869, 9—10.

<sup>3</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 446.

<sup>4</sup> კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბილისი, 1970, გვ. 271.

„კაცია-ადამიანში?!“ განსაკუთრებული ძალით გამოძვლავნდა ი. ჭავჭავაძის ტრანსანტიანის დამახასიათებელი თვისება — ფართო საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე, უხვი ფაქტობრივი მასალის გამოყენებით მრავალფეროვანი ანტიურაქით და აქსესუარებით დაახასიათოს და განაზოგადოს მოვლენა. ეს მომენტია, ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას დიდ შემეცნებითს ღირებულებას აღლევს და ჭეშმარიტ მხატვრულ-ისტორიულ დოკუმენტად ხდის.

60-იანი წლების რეალისტებმა, გამოაცხადეს რა ლიტერატურის საგნად პრაქტიკული ცხოვრების შესწავლა, ანალიზი და გარდაქმნა, უარყვეს ესტეტიზმი, წმინდა ხელოვნება და წინ წამოსწიეს უტილიტარიზმის პრინციპი.

„კაცია-ადამიანში?!“ ი. ჭავჭავაძე არაერთგან სრულიად აშკარად მიუთითებს ამ გარემოებაზე. უფრო ადრეც, „კაკოს“ ერთ-ერთ ვარიანტში, რომელიც „კაცია-ადამიანის?!“ წინაპარია, დიდი რეალისტური სიზუსტითაა აღწერილი ქალაქის ყოფა-ცხოვრება. მაშინდელი სკოლის დახასიათებითა და აღწერით, დეტალების სიუხვით ამ ნაწარმოებს ჩვენს მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი უშუალო დაკვირვებისა და გამოცდილების ნაყოფია. ცოცხალი ყოფითი სურათები მასში რელიეფურად წარმოგვისახავს როგორც ეპოქის მატერიალურ სინამდვილეს, ისე ადამიანთა რეალურ ხასიათებს, ურთიერთობებს, სულიერ და ეთიკურ თავისებურებებს.

„პოეტის“ დასაწყისშივე არისტოტელე მიუთითებდა, რომ მწერლებს გამოჰყავთ „მოქმედი ადამიანები“. ამასთან დაკავშირებით ჩერნიშევსკი შენიშნავს: „პლატონს, არისტოტელეს ხელოვნების შინაარსის წყაროდ, განსაკუთრებით პოეზიისა, მიაჩნდათ არა ბუნება, არამედ ადამიანის ცხოვრება“.

ილიას არა მარტო კრიტიკულ-ესთეტიკურ ნაშრომებში, არამედ მხატვრულ ნაწარმოებებშიც, მათ შორის „კაცია-ადამიანში?!“, მითითებული აქვს ის პრინციპები, რომლითაც კონკრეტული სინამდვილის ასახვისას და განზოგადებისას ხელმძღვანელობდა. „ვიცი ეს, — კვითხულობთ „კაცია-ადამიანში?!“ და მაინც კიდევ პირში, როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ, — ეგ კაი ნიშანია: სჩანს სწუხარ, რომ ამისთანანი ვართ“.

კრიტიკული რეალიზმი ტიპიზაციის მაღალ ფორმას გულისხმობს, რომელიც სატირული ან არასატირული ხასიათისაა. „კაცია-ადამიანის?!“ მესამე ვარიანტში — „ზღაპარი წინასიტყვაობის მაგიერ“ — ავტორი პირდაპირ მიუთითებს: „პირველმა მგზავრმა, შიგ შესვლა მოიწადინა. იმას იქ საქმე ჰქონდა, უნდოდა შეეტყო: ის გუბე, თუ სამასხაროდ რომ ვთქვათ, ის ცხოვრება, რა თვისებისაა? უნდოდა, ეცნო, როგორ, რაფრად ალბობს იგი ცხოველს, მცენარესა“. თანამედროვე სინამდვილის, შეიძლება ითქვას, სოციალურმა ანალიზმა და მასზე დაფუძნებულმა დაკვირვებამ და მხატვრულმა ფაქტაზიამ ილიას ნიადაგი შეუქმნა, ფართოდ განეზოგადებინა ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ხასიათი და ტენდენციები. მისი პერსონაჟები დახატულნი არიან ყოველდღიური ჭეშმარიტი ცხოვრების ვითარებაში, თანამედროვე ცხოვრების პირმშონი არიან, მაგრამ სწორედ კონკრეტული ვითარებისათვის დამახასიათებელი კერძო ნიშან-თვისებების წყალობით, ინდივიდუალურობითაც იპყრობენ ჩვენს ყურადღებას. ბევრი მხრივ ჰგვანან ერთმანეთს ლუარსაბი, დარეჯანი, დავითი, მოსე გძელაძე და ელისაბედი, მაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ

ისინი ერთნაირნი არიან. შემოქმედს მიზანსწრაფულად, დიდი სიფრთხილით შეურჩევია და აუკინძავს მათი ხასიათის თვისებები, „განუწმენდნია, გადაუდენია და მშვენიერს ყალიბში ჩამოუსხამს“ ცხოვრებისეული მასალა. მისივე სიტყვების პარაფრაზი რომ გამოვიყენოთ, ზოგჯერ ვეება ზოდისათვის თვალის აურიდებია და პატარა კენჭი აურჩევია. სენსაციური მოვლენისათვის გვერდი აუვლია და ძლივს შესამჩნევი ფერილმანისათვის ჩაუვლია ხელი. მოთხრობაში ყველაფერი პარმონიულად მონაწილეობს ტიპური ხასიათის ჩამოყალიბებაში: პორტრეტი, ყოფა-ქცევა, საქმიანობა, გარე სამყაროსთან ურთიერთობა. ესენი ისე ბუნებრივად, თანმიმდევრულად ვითარდებიან, რომ ზოგი რამ, სხვა ვითარებაში ყალბად, დაუჭერებლად რომ მოგვეჩვენებოდა, აქ არავითარ დაქვეებას არ იწვევს. არ გვიკვირს, რომ ლუარსაბსა და მის კნეინას რუსეთ-თურქეთის ომის მიზეზად ის მიაჩნდათ, რომ ხონთქარმა ერთი დიდი აღმასი მოპარა რუსთ ხელმწიფეს. არც ბუზების თვლა და ჩიხირთაბოზბაშზე პაექრობა გვაოცებს, არც ის, ლუარსაბს მიმატება გამოკლებსაგან რომ ვერ გაურჩევია.

როცა ამ თელსაზრისით „კაცია-ადამიანში?!“ ვადარებთ მასზე სულ რაღაც ორიოდე წლის წინ გამოქვეყნებულ დ. ჭონქაძისა და ლ. არდაზიანის მოთხრობებს, რომლებიც მოკლებული არ არიან მხატვრულ ღირსებებს, მანც პრინციპულ განსხვავებებს ვამჩნევთ.

„კაცია-ადამიანი?!“ დიდი სიზუსტით ასახავს როგორც თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებას, სოციალურ მოვლენებს, ისე ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების იდეური წინააღმდეგობებისა და ბრძოლის კონკრეტულ რეალობას. კერძოდ ამ ნაწარმოებში, და საერთოდ 60-იანი წლების ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში, განურჩევლად ქანრისა, თავისებური ფორმით აირეკლა თაობათა შორის ბრძოლის განწყობილებები, დამახასიათებელი ნიშნები, მთლიანობაში კი ის სულიერი ვითარება, რომელიც 1861 წ. პოლემიკის შედეგად შეიქმნა.

65891

მოთხრობის მესამე ვარიანტში („ზღაპარი წინასიტყვაობის მაგიერ“) მწერალი არ ერიდება, „მამათა და შვილთა“ ბრძოლის უშუალო დეტალებს. „ის ერთი მუჟა ხალხი განაპირებული, რომელთ შორის ჭაბუქნიც არიან და პატროსანი მოხუცნიცა, თუ ამ აღწერას ჭეშმარიტებას შეამცნევს, დამლოცავს მე“<sup>5</sup>.

მოთხრობის საბოლოო ვარიანტში ეს მოტივი ისე გავრცობილი და გაღრმავებულია, რომ წარმოდგენილი დეტალების მიხედვით შეგვიძლია გავაცოცხოთ თაობათა პოლემიკის პერიპეტეიები. „აგე იქით რომ ხედავ ხალხს ჯგუფადა, ისინი კი ღეთის წინაშე, ადამიანები არიან. მათ შორის ყმაწვილებიც არიან და პატროსანი, გულმხურვალე მოხუცნიცა, მაგრამ ხომ ხედავ, რომ ისინი ისე ცოტანი არიან, რომ სხვანი ვერც კი ხედავენ, თუ კარგად, გონიერად არ დააკვირდნენ იმათ, იმ გულმხურვალეთ, ამ წუმპელებში პატივი არა აქვთ, ახლო რომ მივიდნენ (მისულან კიდევ ბევრჯერ, მივლენ კიდენაც), მაშინვე ლაფს შემოსახამენ, თუმცა კი იმათა ლაფისა თავის დღეში არ შინებით და ლაფისაგან უკან არ დაუხევიათ. შენც გირჩევ, ახლო ნუ მიხვალ, თუ შენი თავის სიფაქიზე გინდა, თორემ ის ორფეხა წუმპელები სულ წიხლებს ისერი-

<sup>5</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 560.

ან, სხვა ასონი კი, ნამეტნავად თავი, უძრავადა აქვსთ. ზედ შემოგასხამენ ტა-  
 ლახს“.

თავისთავად ცხადია, მხატვრული ფაქტი არასოდეს არ უდრის ცხოვრე-  
 ბის ფაქტს, რამდენადაც მხატვრულ ფაქტში დაძლეულია შემთხვევითი და მე-  
 ორეხარისხოვანი და შეკრებილია ყველაზე არსებითი და დამახასიათებელი.

მხატვრულ განზოგადებასთან ერთად „კაცია-ადამიანში?“ გვხვდება ისე-  
 თი პუბლიცისტური და პოლემიკური ჩანართები, რომლებიც „მამათა და  
 შვილთა“ კამათის უშუალო გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. „კარგი რამ  
 არის ქართველი კაცი, — ასე იწყება ერთი ამგვარი პოლემიკური ჩანართი, —  
 ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის  
 გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა და არის ისე ყველ-  
 გან ერთხანირად გულგრილი ...ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ  
 ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმა-  
 ყოფილებიცა ვართო ... კმაყოფილება კაცის მომაკვლინებელი სენია. ბედნი-  
 ერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს“.

მწერალს არ შეუძლია მხატვრულ ტილოზე ზუსტად და ცხოვრებისეული  
 სიზუსტით აღბეჭდოს ყველა წვრილმანი. შერჩევა და განზოგადება გარდუვალი  
 აუცილებლობაა. „ვინც ყველა დეტალს აგვიწერს, — ამბობს ტურგენევი, — მი-  
 სი საქმე დაღუბულია, უნდა შეგვეძლოს ყველაზე უფრო დამახასიათებელი  
 დეტალების შერჩევა. ეს არის მწერლის ნიჭი“.

ცნობილია, რომ „მამათა და შვილთა“ პოლემიკამ საყოველთაო მოძრა-  
 ობა გამოიწვია. ამას სხვათა შორის ადასტურებს ი. ჭავჭავაძის „პასუხი“ და  
 მისი იმდროინდელი სხვა წერილები. ეს მომენტი „კაცია-ადამიანში?“ სა-  
 ხიერდება: „იციანე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამი-  
 გონე ჭორი — შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქარ-  
 ველობას ვლაღატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმა-  
 ლავ ზოგიერთ გულმოკლე პატრიოტივით“<sup>6</sup>.

მამათა ბანაკმა ი. ჭავჭავაძის მამხილებელ წერილებს, რომლებშიც ის  
 მკაცრად აკრიტიკებდა ძველ თაობას, საქართველოს მდგომარეობას, ქართვე-  
 ლი „მაღალი საზოგადოების“ მანკიერებებს უსამართლოდ დასწამა სამშობ-  
 ლოს უსიყვარულობა და მტრობაც კი. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ი. ჭავჭავაძის  
 60-იანი წლების შემოქმედებაში ის მოტივი, რომ ნაკლის აღნიშვნა, მანკიე-  
 რებათა მხილება, სიცუდის დაგმობა მტრობა კი არ არის, არამედ მოყვრობაა.  
 ეს ერთ-ერთი ძირითადი მოტივია პოლემიკურ-კრიტიკულ წერილებშიც,  
 პროზაშიც და პოეზიაშიც. ამ მოტივს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგი-  
 ლი უკავია „კაცია-ადამიანში?“, რაც ხაზგასმულია ნაწარმოებისთვის ებიგრაფ-  
 ფად წამძღვარებულ ანდაზაშიც: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკა-  
 ნაო“.

ორიოდე ამონაწერი ამ ხასიათის მსჯელობიდან: „მამინაც კი უკეთებენ  
 გულს, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივართ ცოდვად უთვ-  
 ლიან გულისტკივილს. რა ვუყოთ? ზოგი გულისტკივილს იმით იჩენს, რომ  
 მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ  
 ხალხში, რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული  
 აქვს — ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს“.

საგანგებო დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ამ სიტყვებში აღმოვაჩი-

<sup>6</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ორ ტომად, თბილისი, 1977, გვ. 43.

ნოთ იგივე აზრი, რაც გატარებულია ი. ჭავჭავაძის სამოციანი წლების თხზულებებში. ჯერ კიდევ პირველ საპოლემიკო წერილში ილია ამბობდა: „მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდ კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთნიარად აწეროს და დაგვანახოს ... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამყავებული სიყვარულის გამო ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა“.

ცხოვრების ასახვა მთლიანად შეესაბამება მის მიმართ შემოქმედის დამოკიდებულებას. მწერლის ყურადღება ჩერდება, უწინარეს ყოვლისა, იმ მომენტებზე, რომლებიც მას აღეკუთვნება და აფიქრებს.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ი. ჭავჭავაძე მხატვრული სახეების შესაქმნელად სარგებლობს როგორც უშუალოდ ცხოვრებისეული მასალით, მოვლენებზე პირდაპირი დაკვირვებით, ასევე ლიტერატურული წყაროებით, პრესაში გამოქვეყნებული მასალებით, სუბლიცისტური წერილებითა და კორესპონდენციებით.

ფიქრობთ, ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული სახის საშენ მასალად მწერალს გამოყენებული აქვს ჟურნალ „ცისკრის“ 1860 წლის იანვრის ნომერში დაბეჭდილი ბაქარ ქართლელის (დ. ყიფიანის) „წიგნი მიწერილი თეიმურაზთან“ და მისივე 1859 წლის „ცისკრის“ ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული თარგმანი „რომანი ერთი ღარიბი ყმაწვილკაცისა“ (ოქტავ ფელიეტისა).

დ. ყიფიანის თეიმურაზი შთამბეჭდავი სახეა ჩამორჩენილი, განუვითარებელი, დაბალი ინტელექტის მქონე მკითხველისა, რომელსაც უჭირს წიგნის წაკითხვა და გაგება, არც თვლის საჭიროდ ამას, უბრალო სიტყვების გაგებაც კი არ შეუძლია, თუ თითოეული სიტყვის მნიშვნელობას ისე არ გახუშარტავენ, როგორც მცირეწლოვან ყმაწვილს. თეიმურაზი განსახიერებს თავისი წოდების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც სრული ინდიფერენტუზით იყვნენ შეპყრობილნი და ქართულ ჟურნალსაც კი არ კითხულობდნენ. „ჩემო გულითად საყვარელო თეიმურაზ! — წერს ბაქარ ქართლელი, — რომ აღარ მომოსუენე და — თუ მართლა მეგობარი ხარ, ერთი კარგი ამბავი კიდევ მითარგმნე რამეო, რისთვის ჩამცივებინხარ? რომ ვთქვათ, მეც აღვასრულე შენი საწადელი, გითარგმნე და აბა, გიგზავნი კიდევ! ახლა შენ რასა იქ? ადგები და „ცისკარში“ ვაგზავნი დასაბეჭდათა განა! დიალ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ რა გამოვიდა, ვინა კითხულობს მაც შენს „ცისკარსა?“.

ეს თემა გაშუქებულია აგრეთვე „სალაყბო ფურცლებში“, სადაც ავტორი კიცხავს საზოგადოებრივ გულგრილობას, ბედოვლათობას, უმეცრებას.

თეიმურაზი თავისი ინტელექტით, უმოძრაობით, პრიმიტიულობით, სწავლისა და წიგნის დამოკიდებულებით ლუარსაბ თათქარიძის უშუალო წინამორბედი. მისი სულიერი პორტრეტი ი. ჭავჭავაძემ გამოუყენებია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“. თადეოზი იგივე თეიმურაზია, გაღრმავებული, გართულებული და ჰიპერბოლიზებული. „ამა წლის იანვრის ჟურნალში წავიკითხე ბაქარ ქართლელისაგან თეიმურაზ ვაკელთან მიწერილი წიგნი ... ისე დამაფიქრა ბაქარ ქართლელის მიწერილმა წიგნმა და შემაწუხა, რომ მე ასე მეგონა, ჩემი მინაური გულითადი მეგობარი ვინმე ჩასულა და ბაქარ ქართლელისათვის უამბია ჩემი გარემოება-მეთქი“.

სერიოზულ ინტერესს იწვევს ამ მხრივ „ცისკრის“ 1860 წ. სექტემბრის

ნომერში ტატო მაცაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნებული „წიგნი მიწერილი „ციცკარის“ რედაქტორთან. საუბრობს რა ყურნალის გამოწერასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ტატო მაცაშვილი საჭიროდ არ თვლის დაფაროს თავისი ჩამორჩენილობა, განუვითარებლობა, უწიგნურობა, სიზარმაცე. იმასაც გრძნობს, რომ მარტო თვითონ არ არის ასეთი. ის თავის მსგავსთა, ე. ი. თავისი საზოგადოების, სახელით გამოდის. იღია, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებდა „ციცკარში“ დაბეჭდილ არც ერთ სტრიქონს, რა თქმა უნდა, იცნობდა ამ წერილს. „კაცია-ადამიანთან?!“ და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასთან“ შეპირისპირება, სახეობრივი, სტილისტური და შინაარსობრივი თანხედომები, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ლუარსაბ თათქარიძისა და თადეოზის არსებითი ნიშნების გამოკვეთაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ტატო მაცაშვილის ზემოხსენებულ წერილს.

ტატო მაცაშვილის ზოგიერთი გამონათქვამი ზუსტად ემთხვევა ლუარსაბ თათქარიძის შეხედულებებს სწავლა-განათლებლაზე. „მიყვარს სხვამ წაიკითხოს და მე ყური ვუვდო იმ წიგნსა, რომელშიაც მე ფული მიმიცია. და სხუანი კი კითხულობენ. ეს არ ვიცი, რას უნდა მივაჩემო? დიდკაცობასა, დაუდევნელობასა თუ ზარმაცობასა... თავი ასე ვაკვიმართლე, ვითომც ბევრი წავიკითხო, თვალები მეტკინება მეთქი“.

ერთხელ კიდევ დავსძინეთ, რომ ეს გარემოება სრულებით არ ნიშნავს პრესიდან მიღებული უმი მასალის შეტანას მხატვრულ ნაწარმოებში. ასეთი მასალა მხოლოდ ცალკეულ მონახაზს, შტრიხს ქმნის მხატვრულ ლიტერატურაში, ემორჩილება განზოგადებისა და შემოქმედებითი გადამუშავების პრინციპს. ზოგჯერ ისინი ასრულებენ შთაგონების სტიმულის როლს: აღვიძებენ ფანტაზიას, გარკვეული გზით წარმართავენ შემოქმედის წარმოსახვას.

აღნიშნული მომენტების ხაზგასმა საჭიროდ მიგვაჩნია იმის გამოც, რომ ეს გარემოება კიდევ ერთი დადასტურებაა „კაცია-ადამიანის?!“ ეროვნულობისა, მისი ქართულ ნიადაგზე და ქართულ წყაროებზე წარმოშობისა. ამდენად, ლუარსაბ თათქარიძის მსგავსება ობლომოვთან და ივან ნიკიფოროვიჩთან ტიპოლოგიური თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.

როგორც ცნობილია, 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში ი. ჭავჭავაძე გატაცებული იყო ბელინსკის ლიტერატურული მემკვიდრეობით, რაც თავს იჩენს მხატვრულ შემოქმედებაშიც, განსაკუთრებით „კაცია-ადამიანში?!“ და კრიტიკულ წერილებშიც: „ორიოდე სიტყვა თავად რევოზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვიდან „შემოღლის“ თარგმანზედა“, „ბასუხი“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ და სხვა.

ჩვენი ვარაუდით, აქედან უნდა მომდინარეობდეს სულისა და ხორცის დაპირისპირება „კაცია-ადამიანში?!“. ლუარსაბ თათქარიძის აღწერისას მჭერალი შენიშნავს: „ხშირია ხოლმე, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის — ხორცი დნება“.

ბელინსკის ილიასეულ თარგმანში, რომელიც ჩართულია „სფირიდონისა და თადეოზის“ ბაასში, ეს აზრი მეორდება: „ვინც თავისი ბუნებით არის სული, სულისგან მოვლენილი, იმას დაბადებიდან აქვს ნება თანაზიარ იყოს ყოველი სულის ნიჭისა, რომელსაც ვერ მისწვდება მისი ხორცი და ხორციელი სული, ე. ი. გონება“.

შესაძლოა, იგივე წყარო წარმოადგენდეს „კაცია-ადამიანში?!“ ბუხების თვლის ეპიზოდის წარმოსახვის ბიძგს. ზემოთ მითითებულ ილიასეულ თარ-

გმანში („სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“) ვკითხულობთ: „დიახ, სიცოცხლე ის არ არის, რომა ამდენ და ამდენი წელიწადი სვა და ჭამო, იცოდვილო ჩინებისა და ფულისათვის და თავისუფალ დროს ხოცო ბუზები, სთვლიმო და ითამაშო ქალადი: ამისთანა სიცოცხლე უსაძაგლესია ყოველს სიკვდილზე“<sup>7</sup> და სხე.

თუ ბელისკისთან მითითებული შეხედულებები გადმოცემულია პუბლიცისტური მსჯელობით, „კაცია-აღამიანში?“ მწერალმა ისინი წარმოგვისახა მხატვრულად და მიადღწია მათ განზოგადებას.

გრ. კიკნაძე რამდენიმე კონკრეტული ფაქტის ანალიზით დაასკვნინდა: «ილია ჭავჭავაძემ „კაცია-აღამიანში?“ მოძველებული ენისადმი თავისი სატირული დამოკიდებულების მკვეთრი მხატვრული ილუსტრაციაც მოგვაწოდა. ამ მოთხრობაში მას საჭიროდ დაუნახავს გადმოეცა თავად მოსე გებლადის ის წერილი, რომელიც ანტონ კათალიკოსის ენობრივი პრინციპების ქარგას იცავს და ამიტომ ძალიან შორსა დგას სასაუბრო მეტყველებიდან. ამ წერილს, რომელიც გამოირჩევა თავისი ცრუ-ამაღლებული სტილით, მოძველებული და ბუნდოვანი წყობით, ილია ჭავჭავაძე თავიდანვე უკეთებს დამცინავ შენიშვნას: „აი, ის წიგნი ნამდვილი თავისი ღირსებით და შეცდომებით“ (თ. VII). აქედან ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძემ მხატვრულ პროზაში გააგრძელა ის ბრძოლა, რომელიც მან წამოიწყო თავისი ცნობილი წერილით „ორიოდე სიტყვა თავად რევან შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“<sup>8</sup>.

ვიზიარებთ რა აღნიშნულ მოსაზრებებს, უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონ კათალიკოსის ენასთან მოსე გებლადის წერილის სტილს საერთო არაფერი აქვს. ანტონ კათალიკოსმა შექმნა საკუთარი, ხელოვნური მეტყველება, რომლის გაიგივება ძველ ქართულ ენასთან მართებული არ იქნება. მოსე გებლადის წერილი სწორედ არქაული ენის მოდელზეა შეთხზული და გაშარყებული. დავსძენთ, რომ მოსე გებლადის ბარათი ენობრივად ძლიერ ჩამოჰგავს ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ კატო მყაყვილის წერილს „ცისკარში“. ტ. მყაყვილის წერილში ვხვდებით ასეთ სტრაქიონებს: „საკვირველია და საოცარი აზრი წიგნისა ამის, რომელსაც დაწერა მე მივაჩემე თითქმის წინასწარმეტყველს“.

თანამედროვე სინამდვილის ყოველმხრივი განხილვითა და შეფასებით, „კაცია-აღამიანში?“ წარმოდგენილია ბატონყმობის, როგორც სოციალური სისტემის, ყოველმხრივი მხილება. დაგმობილია მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი საფუძვლები. მწერალს ბატონყმობა გამოყვანილი ჰყავს ქვეყნისა და ხალხის ყველა უბედურების მიზეზად. მას მიუყვანია ქვეყნის მუდურნობა უბედურების მომასწავებელ მდგომარეობამდე. ის გამხდარა მშრომელი აღამიანის ტანჯვისა და ვაების საფუძველი. მას გამოუწვევია თავდაზნაურობის სულიერი გაღატაკება და ზნეობრივი სიბილწე. ი. ჭავჭავაძემ ამ მოთხრობაში პირველმა გადაუშალა თანამემამულეებს სოციალური სისტემის სრული გადაგვარებით გამოწვეული კატასტროფა, შემამფოთებელი სურათები ქვეყნის უპატრონობისა და უმწეობისა.

„კაცია-აღამიანის?!“ მიხედვით დღესაც ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ 50—60-იანი წლებში საქართველოში ბატონყმობის შედეგად შექმნილი

<sup>7</sup> ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, ტფილისი, 1957.

<sup>8</sup> გრ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბილისი, 1972, გვ. 333.

ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური, სულიერი ვითარება. კერძოდ, აღვადგინოთ ის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ბატონყმობის გაუქმების სამზადისთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ბატონყმობის ურთიერთობის გადავარდნის ხმებმა, იმპერატორ ალექსანდრე II მიერ ამ საკითხზე 1858 წელს წარმოქმნილმა სიტყვამ თავდა-აზნაურთა შემოერთება გამოიწვია. ამანვე შეტყვევებულეს იენანე კირქეხელის 1858 წლის ცნობილი „სალაყობ ფურცელი“, ალექსანდრე ორბელიანის წერილები, გ. ქართველის „რუსეთუმე“, „მებუტყეების“ და სხვათა გამოსვლები „ცისკრის“ ფურცლებზე. მაგრამ ამ თვალსაზრისითაც „კაცია-ადამიანს?!“ ვერც ერთი სხვა წყარო ვერ შეედრება. იგი უმდიდრეს ინფორმაციას გვაწვდის როგორც აღნიშნული ვითარების სოციალურ-პოლიტიკურ, ისე ფსიქოლოგიურ მხარეზე. აქ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორ ხედებოდა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენა ბატონყმობის გადავარდნის ცნობებს, რა ურთიერთობა წარმოიქმნა ამ ასპექტში ყმა გლეხებისა და მებატონეების ურთიერთობაში, რა იმედებს ამყარებდა ესა თუ ის ფენა მომავალ მანიფესტზე. როგორც ყველგან, ბელეტრისტი ამ ასპექტშიც დიდი მხატვრული ტაქტით არჩევს კონკრეტულ საილუსტრაციო მასალას, იღებს ყველაზე ტიპურს, სოციალურად და ფსიქოლოგიურად დამახასიათებელს, საინტერესოს. დეტალები და ეპიზოდები შერჩეულია არა მათი პირდაპირი წონის, მნიშვნელობის ან სენსაციურობის თვალსაზრისით, არამედ ქვეტექსტის, სატირული, იუმორისტული და სხვა ინტონაციური მიმოხერხის შესაძლებლობათა მიხედვით.

მოახრობის რომელი ადგილიც არ უნდა ავიღოთ, ვგრძნობთ, რომ მაშინველი საზოგადოების ორივე ძირითადი კლასის ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში რაღაც არსებითი შერყეულა და ისინი რაღაც გადამწყვეტის წინაშე დაუყენებია, ყველაფერს ამ შეცვლილი ვითარების თვალსაზრისით განიხილავენ. მომავლის შიში დაუფლებია მათ.

შთაბეჭდილებაა, რომ თავდაზნაურობის უპირატესობა გლეხობის „ნაშუსა“ და ინერციაზედღა კილია.

ბატონყმობის გაუქმების მოლოდინი მოთხრობაში ასახული წლების ძირითადი შინაარსი და განწყობილებაა. რაზედაც არ უნდა ლაპარაკობდნენ პერსონაჟები, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ეს განწყობილება იგრძნობა.

„სწორედ. აი, ერთი კიდევ რა შევიტყე. ჯოგო და ბიჭი დაითხოვეთ, მოგახსენებთ, — სთქვა ელისაბეძმა. ვოგო და ბიჭი დაითხოვეს. ელისაბეძმა შემოაელო თვალი ვარშემოსა და ჰნახა, რომ არაყინ არ არის, მიჯდა ახლო. ლუარსაბმა ყურები დააკეტიტა და ახლო მოიწვია. დარეჯანმა ყურთან ლეჩაჰი გადაყეცა, რომ კარგად გაიგოს. ელისაბეძმა დაბალი ხმით დაიწყო: — ამ წინაზედ, რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა, ხომ გახსოვთ?... უთქვამთ, რომ, — აქ უფრო ხმა დაიდაბლა, — თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო.

— ვაი, შენს ლუარსაბსა! — წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა, — ეგ, რა სთქვი, რა? აკი მოგახსენებთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-შეთქი. აი, ლეთის წყრომა! სულ ჩენისავე ცოდვებისაგან მოგვევლინა — მამაჩემი ზაალი ნუ წამიწყდება, რომ წავალ, ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლქვეშ გავივადებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები!“

ანალოგიური ადგილები გვიჩვენებს, რომ ავტორს საგანგებოდ გაუსვამს ხაზი თხზულების თანადროულობისათვის. ლუარსაბის, დარეჯანისა და ელი-

საბედის საუბარი ბატონყმობის გაუქმების თაობაზედ იმის მაჩვენებელია, რომ მოქმედება მიმდინარეობს 1858—1863 წლებში.

ამ ხმებთან ერთად, მოცემულია კლასობრივი დაპირისპირებისა და ბრძოლის ცალკეული სურათებიც. შეიძლება ითქვას, რომ მოთხრობა ვითარდება მამაფრი კლასობრივი ანტაგონიზმის ფონზე, ერთ მხარეზე ემზადებიან შემამულეები, მეორეზე — ყმა გლეხები. ვგრძნობთ ურთიერთობის დაძაბულობას, გვესმის უკმაყოფილო ხალხის ხმა.

მრავალსაუბუნოვანი საზოგადოებრივი ფორმაციის სიცოცხლის აღსასრული დგებოდა. დრომოკმული წოდება საშუალებას ეძებდა, რათა ნაკლები ზარალის გზით დაეთმო პოზიციები.

კრიტიკული რეალიზმის მამხილებელი მოტივები მჭიდროდ იყო დაკავშირებული განმანათლებლურ იდეებთან. მწერალი ლუარსაბ თათქარიძეს წარმოგვიდგენს არა როგორც კერძო პირს, არამედ, როგორც „საზოგადო ჭირს“. ეს გარემოება თავს იჩენს ამ მოთხრობის პოლემიკურ ნაკადში.

60-იანი წლების დასაწყისიდანვე, როცა ბატონყმობის გაუქმებაზე ლაპარაკი დაიწყო, თავდაზნაურობამ გამოაცოცხლა თვალსაზრისი, თითქოს საქართველოში ბატონყმურ წყობილებას მამაშვილური ხასიათი ჰქონოდა. ამ მხრივ, ყურადღება მიიპყრო „ცისკარში“ გამოქვეყნებულმა ალექსანდრე ორბელიანის წერილებმა „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ (1858 წელი, № 11), „ივერიანელების ვალობა, სიმღერა და ლილინი“ (1861 წ., № 1), „ქართველების ძველი დრო“ (1861 წ., № 11), ალ. სულხანიშვილის წერილები, „აზრი აღზრდასა ზედა ყმათათა დასაუღეთის ევროპიაში“ (1861 წ., № 7) და სხვა.

„მამაშვილური“ თეორიის დამცველები ამტკიცებდნენ, რომ ბატონყმობა საქართველოში ოდითგანვე შემწყყნარებლური ხასიათისა იყო. ამით მათ სურდათ ხელისუფლებისათვის დენახვებიინათ, რომ საქართველოში ბატონყმობა არ არსებობდა და მის გაუქმებაზე ლაპარაკიც კი არ იყო საჭირო. შეტად გულუბრყვილად გამოიყურებოდა ეს თეორია მის დამცველთა ნაწერებში. ალ. ორბელიანი მაგალითად ამბობდა: „თუ ბატონი ჯიხით სცემდა ყმას, ამ უკანასკნელს ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა ბატონთან შესარიგებლად და, თუ ვერ შეურიგდებოდა, ძალიან გული სტკიოდა“.

„კაცია-ადამიანში?!“ მრავალმხრივ ასპექტშია მხილებული ეს ტენდენციური, კლასობრივი ნიადაგზე შექმნილი მსოფლმხედველობა. ვის უნდა ეზრუნა „შვილების ბედზე“, პირუტყვად ქცეულ ლუარსაბსა და დარეჯანს? თუ გაიძვერა მოსე გმელაძეს და ცბიერ, ძმის მოღალატე დავით თათქარიძეს? ასე გამოიყურებიან ამ მოთხრობაში „მამები“. ისინი განასახიერებენ არა ყმების მიმართ ზრუნვას და პატრონობას, არამედ გონებაჩლუნგობას, პირუტყვულ ეგონიზმს და უღმობლობას. წოდებრივი პრივილეგიები მათ სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი. ლუარსაბს, რომელსაც გვერდზე გადაბრუნება დიდ „შრომადად“ მიაჩნია, ყმების დასატუჭაგად და დასაშინებლად მანაც აღმოაჩინდება ხოლმე რაღაც ენერგია.

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ალ. ორბელიანის, ალ. სულხანიშვილის და ბატონყმობის სხვა ქომაგთა მითითებულმა ნაწერებმა გარკვეული კვალი დააჩინეს „კაცია-ადამიანში?!“. ამ მოთხრობამ ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალა „მარადიული ზავის“ დამცველთა მსოფლმხედველობას.

ლუარსაბმა, როცა გაიგო — სამუშაოზე ათი ურემი გაგზავნეს და არა

თხუთმეტიო, იყვია: „როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მამე მე ბატონი აღარა ვყოფილვარ!... მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან“.

რა თქმა უნდა, ეს შინაგანი გამსჭვალულობა ლუარსაბს წინაპართაგან ჰქონდა გადმოცემული, ყმების დაწიოკება-დაშინება მამა-პაპათაგან მოდიოდა. მისი ფიქრით, ყმა და პირუტყვი ერთი იყო. მწერალი პირდაპირ ამბობს: „ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა, რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს“.

დარეჯანიც არ ინდობს თავის ყმებს: „იქ მუჭლუგუნებს წაჰკარავდა... გოგოსა, აქ თავში ჩაუბარტყუნებდა ძონძებში ვახვეულ პატარა მუტიან ბიჭსა... მთელს ღამის ნაგუბარს წამოანთხევდა ქვეშევდრომებზე“.

ლუარსაბი იურიდიული კოდექსის სახით აყალიბებს თავის უფლებას: „ეცმა არაუერია, მაგაში ბატონს ვინ დასძრახავს, იმისი ბატონი არა ვარ, რომ მინდა ვცემ, მინდა არა?“

როგორც ვხედავთ, ლუარსაბი საკმაოდ ზუსტად იმეორებს მამა-შვილური თეორიის მესვეურთა მოსაზრებებს. ცნობილ ეპიზოდში მოურავის პასუხი შეიძლება გავიგოთ, როგორც ალ. ორბელიანის დასახელებული წერილის ირონიზებული პარაფრაზი: „დიახ, შენი ჰირიმი, სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ, თუ ხანდისხან გავვიწყრებით, აგვიკლებთ, წავგართმევთ, — ეგ რა, სულ ჩვენი სიკეთისათვის არის ხოლმე“.

ლუარსაბისათვის ძნელია მოურავის ამ ორლესული სიტყვების აზრის ამოცნობა, ამიტომაც ასე გულდაჯერებით განაგრძობს დარეგებას: „სხვის არა აქვს შაგის მიგნება, ამბობს, რომ რაც ჩემია, ჩემი უნდა იყოსო, ბატონი რათ უნდა გვართმევდესო“.

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ მოთხრობა „კაკოს“ ერთ-ერთ ვარიანტში კაკო აყალიბებს ბატონყმობის განსაკუთრებულ იდეალს, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს ალ. ორბელიანის აღნიშნული წერილიდან და „მამაშვილური“ თეორიის ირონიზებად უნდა მივიჩნიოთ. სწორედ მამის კაკომ შეადგინა თავისი გლეხური ჰკუთ იდეალი ბატონყმობისა: „—აი, თუ ბატონი იყოსო, ავთანდილისავით, თუ ყმა იყოს, შერმადინისავითო“. ეს დეტალი გამოყენებულია „გლახის ნამბობში“ და გარკვეული ფორმით, როგორც მივუთითეთ, „კაცია-ადამიანშიც?!“ არის არეკილი.

„მამაშვილური“ თეორიის მომხრეებს ამათრახებდა „კაცია-ადამიანის?!“ ისეთი ადგილები, სადაც მხილებულია ბატონების აღვირახსნილი დამოკიდებულება ყმა ქალისადმი. თუ „გლახის ნამბობში“ მხილებულია პირველი დაშის უფლება, „კაცია-ადამიანში?!“ ეს პრობლემა კიდევ უფრო განზოგადებულია წარმოსახული და გაგებული, როგორც ყოველდღიურ ყოფაში ფესვმოკიდებული ჩვეულება. „ენით არ თქმულა ქალისაგან ვაჟკაცის გალახვა და ქმრისაგან ეგრე აშკარად მავისთანა ამბები... (ლუარსაბი) — არა, ისე ჩუმად შოხედინა მაინც, იმ სულის მტერსა, კიდევ არაფერი იქნებოდა (დარეჯანი).

— ჩუმად, რომ მოხედინა, — ვინ რას იტყოდა? ... ვანა უწინ კი არ იყო მავისთანა ამბები? ხორციელები არ იყვნენ თუ? მაგრამ უწინ სულ დაფართული იყო, ისე დაიჭერდნენ საქმეს — რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ, — ბევრი მავისთანები მომხდარა უწინაც, მაგრამ ერთი შეგეტყვიათ რა-მე?“ (ლუარსაბი).

ცხოვრების ასეთი ანალიზისა და სწორად ასახვის შედეგად, „კაცია-ადა-

მიანში?!“ მიღწეულია ბატონყმობის კონცენტრირებული კრიტიკა; საშკაროაზნა გამოტანილი მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი ავლადიდება; ბატონყმობა გვევლინება, როგორც საზოგადოების ყოველგვარ უბედურებათა მიზეზი: განადგურებამდე მისული მეურნეობა, ადამიანის შეურაცხყოფა და ტანჯვა-წამება, გაბატონებული წოდების სრული გადაგვარება, საყოველთაო სიბნელე, უპატრონობა და უმწეობა. მწერალი ფართოდ იყენებს ამ ამოცანის განხორციელებისათვის პუბლიცისტიკას და პოლემიკას. ჩვენ უკვე მივეუთითეთ ამ ნაწარმოების მწვავე პოლემიკურ ხასიათზე, რომელიც ბატონყმობის დამცველთა „მამაშვილური“ თეორიის მხილებას ისახავდა მიზნად. ყველაფერი, რაც ვთქვით, მკაცრი მხილებაა 1859 წ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული ალ. ორბელიანის წერილის „უწინდელ დროს ბატონყმობა საქართველოში“ ანალოგიური მტკიცებისა და, ცოტა არ იყოს, კურობული ძაგალთებისა: „თუ ბატონი ჯობით სცემდა ყმას, ამ უკანასკნელს ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა ბატონთან შესარიგებლად და, თუ ვერ შეურიგდებოდა, ძალიან გული სტკიოდაო“.

მოთხრობაში გაბნეულია გამონათქვამები, რომლებშიც „მამაშვილური“ თეორიის მხილება შეიძლება ვიგულისხმოთ. ამ შეხედულებებს უმთავრესად ყმები წარმოთქვამდნენ, მაგრამ ისინი ყოველთვის ირონიულად გაისმის ნაწარმოების საერთო ფონზე და კონკრეტულ სიტუაციაშიც: „თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულებას“. „ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს“.

„კაცია-ადამიანი?!“ ისტორიული დეტალებითაც წარმოგვისახავს ბატონყმური წყობილების კრიზისს, სოციალურ ურთიერთობათა გამწვავებას. როგორც ცნობილია, ყმები ზშირად იძულებულნი იყვნენ გაქცეოდნენ თავიანთ ბატონებს. ამ ფაქტს გამოძახილი უპოვია მოთხრობაში: „ერთხელ ამათს სოფელი მოსული იყო იმერეთიდან ვილაც პოვერნია, ვილაც თავადის შვილისა, რათა გამოერთვა ხარჯი გამოქცეული იმერლებისათვის“.

ო. ჭავჭავაძემ „მამაშვილური ურთიერთობის თეორიას“, უწინარეს ყოვლისა, ლახვარი ჩასცა ამ ნაწარმოების საერთო იდეური კონცეფციით, გაპირუტყვეებულ ლუარსაბ და დავით თათქარიძეებს, მათ კნინებს, მოსე გეძლამეს არავითარი ადამიანური ღირსება არ შერჩენიათ, ინსტინქტები და ჩლუნგებიათ, მაგრამ ბატონყმური პრივილეგიები მტკიცედ გასჯდომიათ სისხლსა და ხორცში. ლუარსაბს თავის მოფხანა ეხარება, შარვლის ჩაცმის თავი არა აქვს, მაგრამ ყმების დასატუქსავად და დასაშინებლად მუდამ იღვიძებს მასში ენერგია. ყოველივე ადამიანურის დამკარგავს კლასობრივი ბატონობის გრძნობა შერჩენია, რადგან ამაზეა დამყარებული მისი ყოფნა-არყოფნა.

მწერალმა თვალწინ გადაუშალა საზოგადოებას თავადაზნაურული მეურნეობის მოშლისა და სრული კრახის სურათი, დაანახვა გაბატონებული წოდების უუნარობა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართა წარმოება, გამოეჩინა გონებრივი და ფიზიკური შრომის, მომჭირნეობის, ორგანიზაციის ინტენსიფიკაციის ის უნარი, რომელიც ამ დროს აუცილებელი გახდა არა მარტო დაწინაურებისათვის, არამედ არსებულის შენარჩუნებისათვის.

„კაცია-ადამიანი?!“ წარმოდგენილია როგორც ამ ვითარების სურათები, ისე მიზეზები და შეფასება, რაც პუბლიცისტიური შეფასებით კი არ გვეძლევა, არამედ აღწერილი ამბებისადმი ავტორის დამოკიდებულების ფორმით. მო-

თხოვრის დასაწყისში გამანადგურებელი ირონიით ვეცნობით თავად თათქარის სახლ-კარს, რომელზედაც ავტორი ამბობს „კარგი რამ იყო“.

უმთავრესი, რაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს, ეს არის — უსაქმურობა, ფუქსავატობა, სიზარმაცე, უყარაობა, რითაც ავტორი ხაზს უსვამს ვაბატონებული წოდების უუნარობას, ახალ ვითარებასთან მის შეუთავსებლობას, ავლენს ასეთი ცხოვრების და მისი გამომწვევი სოციალური სისტემის მოსპობის გარდუვალობას, ყოველ ეპიზოდში ვგრძნობთ თავადაზნაურული ცხოვრების უშინაარსობას, ამ წოდების უუნარობას დაძლიოს სიძხელები, თავი დააღწიოს კრიზისს. მეურნეობა მოუვლელი და მოშლილია, ბატონი არ ჩანს, მებატონეებს ფიზიკური შრომა სამარცხვინოდ მიაჩნიათ. მწერალს ამ იდეების საილუსტრაციოდ შერჩეული აქვს უაღრესად მეტყველი ცხოვრებისეული სურათები. გზოტესკი ამ შემთხვევაში ისე მახვილია, რომ ძალა შესწევს ეფექტურად წარმოგვისახოს ფაქტები. სახლ-კარის აღწერილობა, უსუფთაობა, ანარქია — ხაზს უსვამს თავადაზნაურობის სამეურხეო უბადრუკობას, უთაობას, ყოველგვარი ინიციატივისაგან დაშრეტილობას, მასასადამე, მომავლის სრულ უპერსპექტივობას, თითოეული კონკრეტული დეტალი მოწოდებულია ხელი შეუწყოს საერთო ჩანაფიქრის იდეურ-მხატვრულ განზოგადებას. ეს არის ერთდროულად ცხოვრების კონკრეტული სურათებიც და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში ბატონყმური წყობილების კრიზისის გარდუვალი მოსპობის არგუმენტებიც. მკითხველი გრძნობს, რომ თათქარიძეებს უნარი არ შესწევთ შემოაბრუნონ ცხოვრების ჩარხი, გადაურჩენ ეპოქის მსახვრალ ხელს.

### М. Ш. ТКЕШЕЛАШВИЛИ

## ИСТОРИЧЕСКАЯ ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТЬ В РАССКАЗЕ И. ЧАВЧАВАДЗЕ «ЧЕЛОВЕК ЛИ ОН?»

### Резюме

В работе исследованы основные историко-литературные вопросы, относящиеся к классическому рассказу великого грузинского писателя И. Чавчавадзе «Человек ли он?», в частности, то, как отражена в нем жизнь Грузии 50—60-х гг., как достигается обобщение и в то же время индивидуализирование образов, какой отпечаток накладывает на воплощение художественного вымысла историческая обстановка.

В труде установлены те рукописные, печатные, фольклорные, документальные и др. источники, которыми пользовался писатель; доказано, что в результате творческой обработки жизнь эпохи в рассказе «более верна самому себе, нежели самая рабская копия с действительности своему оригиналу» (В. Белинский).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ექვრნალისტიკის განყოფილება  
 წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში.

## დიმიტრი იოვავილი

## კორტრეტი და მისი ალბილი ქართულ მხარლობაში

„სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრი“ — ასეთი ახსნა, რომელიც ლექსიკოლოგიურ გამოცემებში ახლავს სიტყვა პორტრეტს, აშკარად არასრულია, რამეთუ ესთეტიკური კულტურის განვითარების თანამედროვე საფეხურზე პორტრეტს თავისი ადგილი აქვს არა მარტო მხატვრობაში, არამედ სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც. შეიძლება ვეთქვა, რომ ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის ანალოგიურად პორტრეტული ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში ერთობ მიღებულია და ნაწარმოებები, რომლებშიც აღნიშნული ელემენტი წამყვანია, კანონიერად იმსახურებენ როგორც ფილოლოგი — სპეციალისტების, ისე მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღებასა და ინტერესს<sup>1</sup>.

ის, რაც ზემოთ აღნიშნა, ძირითადად და უმთავრესად შეეხება პორტრეტის წარმოშობისა და გავრცელების საკითხს. შეიძლება ვთქვათ ჩვენთვის საინტერესო საგნის რაობის სხვა ასპექტების შესახებაც. შეიძლება ვთქვათ, მაგალითად, რომ, როგორც თვით სახელწოდებით მიიწინება, პორტრეტი არის ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ხატი როგორც სახვითი ხელოვნების, ისე ლიტერატურის (და სხვა) დარგებში, რომ ყველა სურათში, რომელსაც პორტრეტს ეწოდებთ, განმსაზღვრელია ადამიანის სახე-ხასიათი... აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სახე-ხასიათის პორტრეტული ჩვენება თავის დროზე ლიტერატურისა და ხელოვნების ფრიად წინგადადგმული ნაბიჯი, უფრო დახვეწილი ეტაპი იყო რაიმე ამბის აღწერასთან შედარებით, რაც უპირატესად მწერლობის ნაკლებად განვითარებულ წარმომადგენელთა თხზულებებს ახასიათებდა და ახასიათებს.

ამგვარი შეხედულების ფონზე და მის შესაბამისად მართებული იქნება ვალიართ, რომ გასული საუკუნის ქართული მხატვრულ პროზაში, მაგალითად, ოსტატობით ერთობ მაღლა იდგა ილია ჭავჭავაძე, რომლის ქმნილებებში გადაწყვეტი იყო პორტრეტული ელემენტი. ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა: „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“ და ა. შ., ამბავი საუკუნისმთა იმდენად, რამდენადაც ის ხელს უწყობს მოქმედ ერთეულთა პერსონალური ნიშან-თვისებების მხილება-გამჟღავნებას, მათი ხასიათების ილუსტრაციას. „კაცია-ადამიანი?!“, მაგალითად, ამბებს სრულებით არ გააჩნია თავისთავადი ფუნქცია. ასეთნაირ დანიშნულებას, თუ გნებავთ, საგრძნობლად მოკლებულია ლუარსაბის დაქორწინების ისტორია, რომლის დროს იგი უღვთოდ მოატყუეს, გააბრძოვეს — ნაცვლად წინასწარ გასინჯული და მოწონებული ლამაზი ასულისა, გონჯი, დარეჯანი შეაჩეჩეს. თავისთავად როგორც ამბავი, ასევე ნაკლებ ეფექტურია ლუარსაბ თათქარაძის სახლ-კარის აღწერა, მისი და დარეჯანის ოჯახური ცხოვრების დასურათება, უმემკვიდროდ გადა-

<sup>1</sup> უნდა ვაეთვალისწინოთ, რომ პორტრეტი გავრცელდა და დამკვიდრდა სულეირი კულტურის ისეთ სფეროებშიც, როგორცაა, მაგალითად, პუბლიცისტიკა, ისტორიოგრაფია და ა. შ. (არსებობს პორტრეტები პუბლიცისტური, ისტორიული, კრიტიკული...).

შენების შიშით გამოწვეული ცოლ-ქმრის დარღვები და სხვ. აქ, ისევე, როგორც ბევრ შემთხვევაში, ამბები გამოყენებულია მოქმედ პირთა (ამ შემთხვევაში ლუარსაბისა და დარეჯანის) ბუნება-ნასიათების გასახსნელად, მათი უნიუთობის, გონებრივი და ფიზიკური გამოფიტულობის საჩვენებლად.

გავიხსენოთ ადგილები „ოთარაანთ ქვრივიდან!“ ამ თხზულებაში ბევრი რამაა საინტერესო. შეგვეძლო ჩამოგვეთვალა: ქვრივის ჩხუბი მთავრობის სოფელს მოხელეებთან მოპარული ქათმების გამო, „გამასპინძლება“ პოეტოვართან, სოფლის ავეციების საპასუხოდ ნათქვამი მისი მწარე სიტყვები... ან კიდევ გიორგი ავიღოთ! რა შვიი დღე დააწია მან ზარმაც მეხრეს, რაოდენ დიდი ხალისით გაიბა თავი არჩილის მოჭამავიროების უღელში... მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ამბავი, რომლებიც „ოთარაანთ ქვრივის“ სიუჟეტის ცალკეულ ეპიზოდებს შეადგენენ, ბევრი რამით საინტერესოა, მათი თავი და თავი მნიშვნელობა მაინც ქვრივ-ობოლი ოთარაშვილების დახასიათებაა, ე. ი. ამბები მხოლოდ იმისათვის წარმოგვიდგებიან, რომ მოქმედ ერთეულთა ავ-კარგი, მათი ღირსება-ნაკლოვანებები, მათ გამოსაცნობი ნიშნები გავიგოთ და გავითვალისწინოთ.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ე. ი. მხატვრულ თხრობაში პორტრეტული ელემენტის აქცენტირება, მოწმობს რეალისტური სტილის დომინანტობას მწერლობაში; სატილისა, რომლის ენერგიული თაოსანიც, თავისი დროის დიდ სახელებთან ერთად, ჩვენში სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო.

წინარე მსჯელობის კვალობაზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ სიტყვაკაზმულ თაზულებაში, ისევე, როგორც ფერწერულ ან გრაფიკულ ტილოებზე, ავტორის მხატვრული მეტყველების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ადამიანის სახე, თანაც არა უბრალო და ჩვეულებრივი, არამედ პორტრეტის დონემდე ამაღლებული სახე.

პორტრეტ — ადამიანთა ჩვენება ამა თუ იმ მოძრაობითა და მოქმედებით, მისი ნიშან-თვისებების გამოვლინება — მწერლობის განვითარების შედეგებით აღრინდელ საფეხურებზე ერთ-ერთ რიგითი შტრიხი და კომპონენტი იყო მხატვრული თხზულებისა.

ღროთა განმავლობაში ეს კომპონენტი დაიხვეწა და მისი მნიშვნელობაც თანდათან გაფართოვდა, რის შედეგად ლიტერატურაში ცალკე ჭამოიყო პორტრეტი როგორც უანრობრივი ერთეული, როგორც თავისებური უანრობრივი ფორმა. ისე, როგორც სახვით ხელოვნებაში გვაქვს პორტრეტი-უანრი, მხატვრულ ლიტერატურაშიც ახლა შეინიშნება პორტრეტი-მოთხრობა, პორტრეტი-რომანი, პორტრეტი-ნარკვევა, პორტრეტი-პოემა და ა. შ.

რომელ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ პორტრეტი ამა თუ იმ ნაწარმოებებს, რათა იგი ჩვეულებრივი მოთხრობისაგან, მხატვრული ნარკვევისაგან, ან, თუ გნებავთ, რომანისაგან გამოვეყოთ? ვეცდებით წინარე კითხვის შესატყვისი და შესაბამისი იყოს ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა.

პირველი ნიშანი, რითაც შეიძლება პორტრეტი გამოვარჩიოთ მხატვრული ლიტერატურის სხვა ფორმებისაგან, ის გახლავთ, რომ მასში მხატვრულ თხრობას ახასიათებს სახის დახვეწილად გამოხატვა.

თუ უწინ ამა თუ იმ პირს რომელიმე ნაწარმოების ჩვეულებრივ რიგით პერსონაჟად ვთვლიდით, ამჟერად, როცა იგივე პერსონაჟი წამყვანია, ე. ი. როცა თხზულების მთელი შინაარსი აღნიშნული პორტრეტით განსაზღვრება და მასზე უფრო მნიშვნელოვანი აქ სხვა არა არის რა, პორტრეტის

რედურ-მხატვრული ფუნქცია გაცილებით დიდი და ფართო მასშტაბით გვესახება.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივ მხატვრულ თხზულებაში პერსონაჟი მაშინაც კი, როცა იგი პორტრეტის დონეზეა, სიუჟეტის ერთ-ერთი რიგითი შემადგენელია და უფრო ძირითადი ამბებია, მოქმედებაა. მართალია, ეს მოქმედება და ამბები ადამიანთა მეშვეობით შენდება და ხორცს ისხამს, მაგრამ საქმე ისე გამოდის, რომ აქ პერსონაჟები უფრო იმისათვის არიან, რათა მოქმედება გვიჩვენონ და არა პირიქით...

იმ შემთხვევაში, როდესაც მხატვრულ თხზულებაში პორტრეტი დომინანტობს, სიუჟეტში ისეთი ამბებია თავმოყრილი, რომლებიც პიროვნების, მოქმედი პირის ხასიათის გახსნა-გამყვანებას ემსახურება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ასეთ შემთხვევაში პირველობა გმირებს აქვთ დათმობილი და არა მათი მეშვეობით გამოსახულ ამბებს, მათი მეოხებით განვითარებულ მოქმედებას. ე. ი. როცა ამა თუ იმ ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებს პორტრეტს უწოდებენ, მასში მთავარი და ძირითადი სწორედ ეს პორტრეტია, ანუ პორტრეტი აქ მთელი სურათია მისი სივრცე-სივრცით, მთელი მისი შინაარსით, ყველა დიდი და პატარა დეტალით.

მაშასადამე, იმ მსჯელობით, რომელიც ზემოთ განვითარეთ, ჩვენ ვეხებით პორტრეტს, რომელიც სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ისევე, როგორც სახვით ხელოვნების დარგებში, პირობითად ცალკე ენარის სახით გამოიყვება, როცა სიტყვის ოსტატის მიერ მოხაზული მთელი სურათი — რომანი, მოთხრობა, პოემა, მხატვრული ნარკვევი — წარმოადგენს პორტრეტს (თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ პორტრეტი, როგორც ცალკე არსებული ენარი, მხატვრულ ლიტერატურაში არ იხსენიება).

გვახსოვს, ლიტერატურის ისტორიკოსების ადრინდელ თაობათა წარმომადგენლები მხატვრული პორტრეტის რაობას პერსონაჟის გარეგნობის აღწერის ხარისხით განსაზღვრავდნენ. მაგალითად, მწერლის ინტერესი პორტრეტისადმი ხასიათდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი ყურადღება ჰქონდა დათმობილი გმირის აღნაგობის, პირისახის, ცხვირის მოხაზულობის, თვალის ფერის ჰევენებას. აღნიშნული ტენდენციის თავისებურ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ქართველ ლექსიკოლოგის მ. ჭაბუაშვილის სიტყვები, რომელთა თანახმად პორტრეტი გაგებელია, როგორც „პერსონაჟის გარეგნობის აღწერა ლიტერატურულ ნაწარმოებში“<sup>2</sup>.

რასაკვირველია, მხატვრულ ნაწარმოებებში ფიქსირებული პორტრეტის საკითხის განხილვაში, რასაც თანამედროვე ლიტერატურისმცოდნენი ან კრიტიკის მესვეურები მიმართავენ, ის, რის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ, ან სრულებით არ შედის, ან კიდევ უბრალო დამხმარე მასალის სახით იგულისხმება. საქმე ის არის, რომ მხატვრული პორტრეტის ის მხარე, რითაც იგი ეფექტს იწვევს, სრულებითაც არ განისაზღვრება ადამიანის გარეგნობის მაჩვენებელი ნიშნების დასახელებითა და აღწერილობით, რამეთუ არაიშვიათად ზოგი მწერალი გმირის ფიზიკური აღწერილობის გარეშე ახერხებს ზილვადი გახადოს მისთვის საინტერესო პიროვნების დამახასიათებელი ყველა ნიუანსი, ზოლო სხვა, ვინც მომეტებულად „ცდილობს წარმოადგინოს გარეგნობის მაჩვენებელი ნიშნები, ვერა და ვერ ქმნის ნამდვილ პორტრეტს“<sup>3</sup>.

<sup>2</sup> მ. ჭაბუაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1964, გვ. 308.

<sup>3</sup> შტრ.: Б. Г а л а н о в, Искусство портрета, М., 1967, გვ. 12.

იმისათვის, რომ პორტრეტი ეფექტური იყოს, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ასახული პიროვნების გარეგნობის მაჩვენებელი დეტალების ჩამოთვლას და აღწერას, არამედ შინაგანი სულისძვრით გამოწვეულ მოძრაობათა გამოხატვას.

რა თქმა უნდა, ამით არ ვცდილობთ დავამტყიცოთ, თითქოს გარეგნობის აღწერა-დახასიათებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს პორტრეტში. მისი ხელალებით უარყოფა ნამდვილად არ ეგების, პირიქით, შეიძლება გვეთქვას, რომ გარეგნობა ქმედით როლს შეასრულებს, თუ მწერალი შეძლებს თავისებურად ამმეტყველოს ეს გარეგნობა, გააცოცხლოს იგი, დააკვიროს გარეგნული შინაგან სამყაროსთან, აქციოს პირველი მეორეს მისანიშნებლად, ისე, როგორც ამერიკელი ტრუმენ კეპოტი ერთი თავისი მოთხრობის („მირიამი“) პერსონაჟის გამო შენიშნავს „მისის მიღერის გარეგნობა მისი ცხოვრების სარკე იყო“<sup>4</sup>. ე. ი. პორტრეტად ქმნილი ადამიანის გარეგნული ნიშნების ჩამოთვლა-დახასიათებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, როცა ეს ნიშნები ადამიანის შინაგანი თვისებების გამოვლინების, დემონსტრირების საშუალებაა. საწინააღმდეგო მხრებში იმის აღნიშვნას, რომ რომელიმე კაცს უჩვეულოდ გრძელი ცხვირი, მწვანე თვალები, ყურებამდე გახეული ტუჩ-პირი აქვს და სხვა, მნიშვნელობა არ აქვს.

პერსონაჟთა გარეგნობის უბაღლო დასურათება და დახასიათება იცოდა მიხეილ ჯავახიშვილმა. ამ მოსაზრებას ხაზს ვუსვამთ, იმიტომ, რომ გარეგნობა მ. ჯავახიშვილის მეოხებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეესაბამებოდა, შეესატყვისებოდა იმას, რაც პერსონაჟში შინაგანი იყო. მ. ჯავახიშვილი გვიხატავს ჯაყოს, როგორც ველურს, მხეცს, მტაცებელს, რომელიც არავის და არაფერს არ ინდობს; მზად არის ყველა გაძარცვოს, ყველაფერი ტალახიანი ფეხით გათელოს. ამ მხრივ კი ჯაყოს ის გარეგნობა, რასაც მწერალი გვისურათებს, — ბანჯვლიანი პირისახე, ხარბი, გადმოკარკალებული თვალები, ჭყვილა ხმა, ცხენის კბილები და ა. შ., — პირდაპირ შეესაბამება მის შინაგან თვისებებს. ჯაყოს გამომეტყველება ყოველმხრივ შესატყვისია მისი ქცევა-მოქმედებისა.

გარეგნულ მხარეს. გარეგნულ ნიშნებს და მათ აღწერილობას მნიშვნელობა არ აქვს, თუ ეს ნიშნები გარკვეულ როლს და ფუნქციას არ შეასრულებენ პორტრეტით წარმოსახული ადამიანის შინაგანი დახასიათებისათვის, — თუ გარეგნული ატრიბუტები თავისებურად არ ეხმაურებიან იმას, რასაც შინაგანს ვუწოდებთ; თუ გარეგნული ჯეროვან მთლიანობაში არაა შინაგანთან, როგორც ფორმა შინაარსთან.

უნდა შევნიშნოთ: მხატვრული პორტრეტის ზემოთ მოხსენიებული ნიშნები — მისი შინაგანი და გარეგნული მხარეების ერთიანობა — სასურველია მაშინაც კი, როცა პორტრეტი სიტყვაკაზმული ქმნილების ერთ-ერთი, როგორც უკვე მიუთითებ, რიგითი შემადგენელია, ხოლო ასეთი მთლიანობა, ერთიანობის დაცვა ფრიად აუცილებელი გვგონია, როდესაც ჩვენთვის საინტერესო რომელიმე მწერლის ნაწარმოებში ყველაზე მთავარი პორტრეტია, როცა თხზულება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პორტრეტულია, ე. ი. როცა პორტრეტის სახით მკითხველს ვთავაზობთ რომელიმე უანრის მთელ ნაწარმოებს — მთელ რომანს, მოთხრობას, პოემას, მხატვრულ ნარკვევს ან სხვ.

<sup>4</sup> ტრუმენ კეპოტი, ლამის ხე, თბ., 1970, გვ. 3.

ასეა... მაგრამ დაუსვებელი და დასანანი, როცა გარეგნული აღწერილობა არა მხოლოდ არ შეესაბამება, არამედ ზოგჯერ ეწინააღმდეგება იმას, რასაც შინაგანს ვუწოდებთ. თუ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჯაყო სათნო გუნება-განწყობილების კაცი იყო, უბოროტო, ყველასათვის კეთილმოსურნე, რომელსაც სხვებისადმი თანაგრძნობით აღსავეც სიტყვა-პასუხი ახასიათებდა და „ჯაყოს ხიზნების“ შინაარსშიც ამას ვიხილავდით, მაშინ მტაცებელი მხეცის გარეგნობით ჯაყოს წარმოჩენას არავითარი გამართლება არ ექნებოდა და ამ შემთხვევაში კრიტიკას შეეძლო თავისებური ლოგიკური შეუსაბამობა აღენიშნა.

როგორც ვხედავთ, პორტრეტში დიდზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ, ჯერ ერთი, მიღწეული იყოს გმირის შინაგანი სამყაროს ასახვა, მიღწეული იყოს მისი შინაგანი დახასიათება, მეორეც; — ის, რასაც გარეგნულს ვუწოდებთ, მხატვრული კონტექსტის მიხედვით, კი არ ეწინააღმდეგებოდეს, არამედ შეესატყვისებოდეს, ზედმიწევნით ეხმიანებოდეს შინაგანს, ხელს უწყობდეს შინაგანის გამომხეურებას; რომ გარეგნობის მანიშნებელი შტრიხები პორტრეტში ჰარმონიული იყოს შინაგანის მიმართ და არ იყოს მისგან გამიჯნული...

სახე-პორტრეტად ჩამოყალიბებულ ნიმუშებზე ვლაპარაკობთ და ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ვიორჯი ნატროშვილის „ძე კაცისა“. აი, რას აღნიშნავს მწერალი თავისი გმირის გამო: „უცნაური კაცი იყო ეს ადამი. ღონე კამეჩისა ჰქონდა, მაგრამ გული ბალღისა გამოჰყოლოდა, ბალღოვით უხაროდა ყველაფერი, ტანმაღალი იყო, ფეხები იფნის მორებს მიუგავდა, მუდამ დაწინწკლული ჩითის პერანგი ეცვა, ქამრის ნაცვლად აბურღები ჰქონდა შემორტყპული, ქალამნებს კი მუდამ კამეჩის ტყავისას ხმარობდა... რაღაც სიხარული გაუელვებდა ხშირი წარბების ქვეშედან გულუბრყვლოდ და ნდობით მომზირალ ჭროლა თვალბში“<sup>5</sup>. საქმე ისაა, რომ კახელი ადამოს გარეგნობის ნატროშვილისეულ აღნუსხვა-აღწერილობაში, რაც ზემოთ დაეიზოწმეთ, ერთობ საჩინოა დინამიკური ელემენტი — ყველაფერი სხეულის მოძრაობის დროს გადაღებულ სურათს ჰგავს. შეგიძლიათ იგულისხმოთ, რომ ობიექტივის მეშვეობით დაჭერილი თითოეული მომენტი ადამოს სახისა გაგრძელება და შედეგია წინა მოძრაობისა ან მიზეზია, წინაპირობაა იმისა, რასაც ახალი მოქმედება უნდა მოჰყვეს.

უფრო საგულისხმო ისაა, რომ ადამოს იმ გარეგნობაში, რომელსაც მწერალი ასახავს, სულ მუდამ გამოსტევივის, ჩანს შინაგანი; ჩანს, რომ აქ ყოველივე გარეგნული, რაც ადამოს მიეწერება, ადეკვატურია იმავე ადამოს შინაგანი მხარეებისა, მისი სულიერი თვისებისა და ამასუ ჩვენ იმდენად უფრო გვეწაღია ყურადღების გამახვილება, რამდენადაც გმირის ორწვე ამ მთლიანობაში საგულეებელ მხარეს მწერალი არა გათიშულად და ცალ-ცალკე, არამედ ერთად წარმოგვიდგენს. ასე რომ, ადამოს გარეგნობის მასანიშნებელ თითქმის ყოველ დეტალს (ქამრად გამოყენებულ აბურღებსაც, დაწინწკლულ ჩითის პერანგსაც, კამეჩის ტყავის ქალამნებსაც) ქმედითი გამოძახილი აქვს ცალკეულ მდგომარეობებში, რაც ადამოს ძალების ერთობლივი მოქმედების უშუალო შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. ისინი შესატყვისი სახით ვლინდებიან „ძე კაცისა“ სიუჟეტურ ნაწილებში, იქნება ეს ექსპოზიცია, კვანძები, მოქმედების განვითარება, კულმინაცია თუ სხვა. ის გარემოება, რომ ტანმა-

<sup>5</sup> ვიორჯი ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, ისევ გაზაფხული იყო, თბ., 1957, გვ. 272.

ლალი ადამოს ლონე კამეჩისა გააჩნდა, ფეხები იფნის მორებს მიუგავდა და გული ბალლისა ჰქონდა, ჩანს ამ თავისებური ჭაბუკის ყოფის განმასახიერებელ თითოეულ კონტექსტში, მის დევგმარულ შრომაში; მაშინაც, როცა მეზობელ-ნათესავთა წასაშველებლად ირჩება ან როცა კახეთის რკინიგზის მშენებლობაზე ორი — სამი კაცისოდენს აკეთებს, გასამჩრელოს წამატებაზე კი, თუ თავად უფროსებმა არ ინებეს, ერთხელაც არ დააწუწუნებს. მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი თხზულება თავიდან ბოლომდე წარმოადგენს ქართველი განმავარი გლეხის, ახალგაზრდა კახელის უანგარობის, გულმართლობის, კეთილმოსურნეობის მხატვრულ დადასტურებას, პორტრეტს, რომელშიც ყოველივე ისე და იმ ზომით არის წარმოდგენილი, როგორც და რა ზომითაც ის საჭიროა; ამასთან დეტალები იმგვარ ურთიერთშესატყვისობასა და მთლიანობაშია, როგორ მთლიანობასა და შესატყვისობასაც მხატვარს უკარნახებს მის სახელმძღვანელოდ მიღებული სიმართლის გრძნობა.

ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისით ფრიად საგულსხმობა, დეაკვირდეთ აგრეთვე იმავე გ. ნატროშვილის მეორე ნაწარმოებს — „უდარდელი კაცის სიკვდილი“. ამ თხზულების გმირის მიხა ოსტატის პორტრეტული ავტორის ვარკვევა-დახასიათებას ისე ვერ შევძლებთ, თუ გავკრით მაინც არ შევეხებით ფოტოსურათს, რომელიც ქალაქში სტუმრად ყოფნის დროს მიხას ვადაულო შეილიშვილმა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სურათის ჩართვა „უდარდელი კაცის სიკვდილში“ თითქმის იგივე გმირის ფიზიკური გარეგნობის აღწესება-დახასიათებაა, მისი იერ-სახის, აღნაგობის მისანაშნებელი ნიუანსების ისეთივე ჩამოთვლაა, რაც ეგზობი ხშირად იციან ხოლმე პორტრეტში და რომლის შესახებაც ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ.

როგორც აღვნიშნეთ, გარეგნობის სურათი იმ მიზნით, რომ პორტრეტისათვის საჭირო მთლიანობა იქნეს დაცული, უმეკლად უნდა შეესაბამებოდეს, უნდა ეხმარებოდეს იმას, რასაც პორტრეტის გმირის შინაგანი სამყარო შეიცავს.

მიხა ოსტატის ფოტოანაბეჭდში კურსირებული შტრიხებიც, სახელდობრ მისი უდარდლობა („პაპა იჯდა არხეინად, შუბლი ნიავისათვის შეეშვირა, მუხლებზე კალათა ედგა და ქლოაესა სჰამდა, თითქო აქ არაფერი მომხდარიყოს“<sup>6</sup>), ზედმიწევნით ისეთია, რაც გ. ნატროშვილის მიხა პაპას დახასიათებლად ესაუბრობდა. სურათი აქ თითქმის ისეთია, როგორიც მიხა ოსტატი თავის წილ ყოფა-ცხოვრებაში იყო, ე. ი. მიხას შეილიშვილის მიერ ნაუცბათევად გადაღებული და შემდეგ, მიხას სიკვდილის გამო, საგანგებოდ გადაიდებული ფოტო მთელი არსით ეხმარება ყოველივე იმას, რაც კახელი ხელმარჩვე ოსტატის სულიერ მხარეს შეადგენდა მიხა პაპას ფოტოსურათი ასახავს გმირის არამარტო ფიზიკურ მხარეებს. უფრო მეტიც, იგი წარმოადგენს მისი გულარხეინობის, შინაგანი კეთილმოსურნეობის დამადასტურებელ დოკუმენტს; იმის ნიშანს, თუ როგორ იჩენს თავს ადამიანის შინაგანი მხარე მის გარეგნობაში, მისი სახის გამომეტყველებაში, მის სიცილსა და მხიარულებაში...

ის, რის გამოც ჩვენი მსჯელობა შეიძლება გავაგრძელოთ, ვახლავთ სიუჟეტის საკითხი, ანუ — რა თავისებურებანი აღინუსხება ამ მხრივ პორტრეტულ ნაწარმოებში? დავიწყოთ პირდაპირ: ტრადიციულია, როცა პორტრეტ-

<sup>6</sup> გ. ნატროშვილი, ისევ გაზაფხული იყო, გვ. 105.

ში მკითხველს საქმე აქვს არა მთლიან დიდ ამბავთან, რომელიც მეტი თავის-თავადობით ხასიათდება, არამედ ერთ ან რამდენიმე პატარა ამბავთან, რომელთაგან თითოეულის ამოცანაა პორტრეტით ასახული ადამიანის რომელიმე ნიშან-თვისების ჩვენება-ილუსტრირება. აღნიშნულს დავემატებთ, რომ სიუჟეტთან პორტრეტის დაკავშირების ასეთ ხერხს ქართულ მწერლობაში თავის დროზე მარჯვედ იყენებდა ილია ჭავჭავაძე. მის მოთხრობებში წარმოდგენილი პორტრეტები — ოთარანთ ქერივისა, გიორგისა და სხვათა — ძირითადად ასე დანაწევრებული სიუჟეტების მეშვეობით სახიერდება. სიტუაციების ასეთი განვითარების კვალობაზე პორტრეტის გამოხატვის ნიმუშს წაჭმოადგენს ვა-ე-ფშაველას პოემა „ივანე კოტორაშვილის ამბავი“. უბრველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული ნაწარმოების სათაურში სიტყვა „ამბავს“ ერთობ პირობითი მნიშვნელობა აქვს. ვაჟს მიერ ასახული ვითარების შინაარსს თუ მართებულად გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პოემაში მთავარი და ძირითადია არა ამბავი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არამედ მთიელი დევგმირის ივანე კოტორაშვილის ვინაობისა და მისი სწორუპოვარი ვაჟკაცობის ჩვენება. პოემის მეორე თავიდან იწყება და ერთიმეორეზე მიყოლებით აისახება ივანეს პატრიოტული გულადობის დამადასტურებელი ეპიზოდები: პირველად ის, რომ კოტორაშვილს ვერა ნახავდი მხიარულსა და მოცინარეს; თმა-წვერი ესხა ისეთი, როგორც ეკალი ჯაგარისი; ხელს მოჰკიდებდი — უდრევი, როგორაც რკინა მაგარი, მუდამ იცვამდა თხის ტყავსა, ხმალს სქელი თასით იბამდა... ხანჯარი წვერ შემოხრილი, ფარი ილიას სწვდებოდა.. ღარიბი იყო ივანე.. სულ ტყე-ტყის პირად ძვრებოდა, სადაც მტერს დაიგულებდა მყისვე თავს დაველებოდა... „არას დასდევდა ტანთჩაცმას, არც რა საჭელსა ჰყვარობდა, როცა ლეკებსა ჰუჟუჟებდა, მარტო მაშინა ჰლალობდა“ (გვ 261-262)<sup>7</sup>. მესამე თავი იწყება იმის აღნიშვნით, რომ „სრულ ვერ გაიმბობ ივანეს რაც საქმე ჩაუდენია“ (გვ. 262). ამას მოსდევს თხრობა, თუ რაზომ მედვრად გაუსწორდა კოტორაშვილი კახეთის ამკლებთ, რის გამოც საჩუქრად მეფე ერეკლეს ბეჭედი დაიმსახურა. შემდეგ ვაჟა გვაუწყებს — როგორ უზლო საკადრისი ივანემ იმ დაღესტნელ მეკობრეებს, რომელთაც „არხლით ტყვედ წაუყვანიათ ერთიმეორეზე გადაბნული კაცი, ქალი და ბალები“, როგორ შეეცადნენ მტრები ივრის წყალში მობანავე ივანეს დატყვევებას და ქართველმა დევგმირმა მათ კუდით ქვა ასროლინა... მეფემ, გაუგებრობის გამო, იარაღი აჰყარა ივანეს, რომელმაც ამის შემდეგ ცარიელი ხელით შესძლო მოსისხლეობთან გამკლავება...

როგორც ყველა ზემოაღნიშნულიდან ჩანს, „ივანე კოტორაშვილის ამბავში“ მოთხრობილია რამდენიმე მინიატურული ამბავი, რომელთაგან თითოეული თავისებურად — დროის, ადგილის და ვითარების სხვადასხვა გარემოებაში — გვიდასტურებს კოტორაშვილის გულადობას, მის სულიერ და ფიზიკურ შემართებას. ეს და მხოლოდ ეს არის ამ ამბავის ძირითადი შინაარსი, ე. ი. ყველა ერთად და ცალ-ცალკე ისინი ივანეს პორტრეტის თავისებურ დეტალებს შეადგენენ.

ამგვარად, ამბავი პორტრეტში თავისებური გავრცობილი ტიპის მეტაფორებია გმირის პორტრეტის გადმოსაცემად. ამავე დროს ეს ამბავი იმის

<sup>7</sup> ფრჩხილებში მოთავსებული ციფრებით მინიშნებულია გვ. ვაჟა-ფშაველას ავტომეულის III ტომიდან, საიდანაც დამოწმებულია ადგილები „ივანე კოტორაშვილის ამბავისა“.

კვალობაზე, თუ რა არსებითი ნიშნის მიხედვით ემეზობლებიან ერთმანეთს, გაერთიანებულია მთლიან სიუჟეტად.

როგორც ნახეთ, ჩვენ საქმოდ ვრცლად შევჩერდით ვაჟა-ფშაველას „ივანე კოტორაშვილის ამბავზე“, რომელიც პოემა-პორტრეტის ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშად მიგვაჩნია<sup>8</sup>. თავისებურება ამ პოემისა სწორედ ის არის, რომ მის სიუჟეტს შეადგენს არა ერთიანი, თავისთავადი მნიშვნელობის მქონე ამბავი, არამედ მოკლედ ნათქვამი ამბები, რომლებიც ივანე კოტორაშვილის პიროვნებით აღძრული ინტერესების ძაფზეა ასხმული. ასეა იმიტომ, რომ ავტორი მოწადინებულია მკითხველამდე მიიტანოს ყველაზე მთავარი. გაცნობიეროს ივანე კოტორაშვილის პიროვნება.

ამგვარად, ამბის ხვედრითი წონა ისეთი პოემა-პორტრეტის სიუჟეტში, როგორც „ივანე კოტორაშვილის ამბავია“, ერთობ შეკვეცილი და განსაზღვრულია; ერთიანი, გაშლილი ამბის ნაცვლად აქ გვაქვს სხვადასხვა გარემოებაში მოქცეული, გმირის ხასიათის მისანიშნებელი რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დანაწევრებულად გადმოცემული ისტორიები, რომელთაც საერთო სიუჟეტის სახე აქვთ.

ერთგვარი პირობით, ასეთი შედგენილობის სიუჟეტებს ჩვენ ტრადიციული ვუწოდებთ, თავისებურად ტრადიციულია (უფრო გავრცელებულია) აგრეთვე პორტრეტულ თხზულებათა ის სიუჟეტები, რომლებშიც თხრობა ანუ გმირის პორტრეტული გამოსახვა ბიოგრაფიული მაჩვენებლების კვალობაზე და მათ შესაბამისად ვითარდება. სიუჟეტის ასეთი შინაარსი, კერძოდ ის, რომ იგი პორტრეტით ასახული ადამიანის ბიოგრაფიული მასალისაგან შედგება, იმის უეჭველი პირობაა, რომ პორტრეტი და მასთან მისადაგებული სიუჟეტი თავიდან ბოლომდე განუწყვეტელ მთლიანობაში წარმოვიდგინოთ, რომ სიუჟეტის მეშვეობით თავთავის, ადგილას ვიხილოთ ყოველივე, რაც გმირის შესახებ მისი პორტრეტისათვის არის საჭირო და საინტერესო, რამეთუ პორტრეტის სიუჟეტში აქ სხვა არა არის რა, გარდა პორტრეტით წარმოსახული ადამიანის ცხოვრებისა.

ზემოაღნიშნული თვისებით ჩვენ ერთობ გვერჩევა დ. კლდიაშვილის „როსტომ მანველაძე“. ამ ნაწარმოებში თხრობა იწყება საერთოდ მანველაძეთა საგვარეულოს შესახებ არსებული ინფორმაციის გადმოცემა-დახასიათებით. შემდეგ მხატვარი ზოგადიდან თანდათან კონკრეტულზე გადადის, გვაუწყებს, რომ მანველაძეებს მუდამ „ენაზე ეკერათ სიტყვა თავიანთი გვარის წარჩინებულობაზე... ამ წარჩინებულობის დასასაბუთებლად მოჰყავდათ ამბავი, ვითომ ერთ მეფეს.. ერთი მანველაძეთაგანი კარისკაცად ჰყოლა“<sup>9</sup> და სხვ.

მანველაძეთა წინაპრებისა და შთამომავლების თავისებური დახასიათების შემდეგ, რისთვისაც მწერალს „მოშველიებული აქვს“ ხალხური გადმო-

<sup>8</sup> სხვათა შორის, რაკი სიტყვა პოემა-პორტრეტზე ჩამოვადგებთ, იმავე ვიტყვი, რომ თანამედროვე პოეზიაში ასეთი ხასიათის თხზულებებად ცნობილია: ალ. ტყვარდოსკის „ვასილი ტორკინი“, მ. ალიგერის „ზოია“, ი. ნონეშვილის „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ და სხვ.

<sup>9</sup> როგორც ვიცით, ასეთი თავისთავადი მნიშვნელობის მქონე ერთიანი ამბები თავიდან ბოლომდე მოიცავს ვაჟა-ფშაველას ისეთ ქმნილებების სიუჟეტს, როგორცაა: „სიტუარა-მასპინძელი“, „ბახტრიონი“ და ა. შ.

<sup>10</sup> ღვეთ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, მოთხრობები, თბ., 1961, გვ. 578.

ცემები, თხრობა უშუალოდ ეხება როსტომს; აღინიშნება, რომ ისიც თავის დროზე თავმომწონე მანველაძე გახლდათ<sup>11</sup> და ა. შ.

„როსტომ მანველაძის“ შინაარსს თუ გვიხსენებთ, უმაღვე დავინახავთ, რომ ხსენებულ ნაწარმოებში მთავარია არა მთელი ბიოგრაფია, მთელი ცხოვრება როსტომისა, მისი წარსულის გათვალისწინებით, არამედ ის, რა ყოფაშიც როსტომ მანველაძე ახლა, აქამად არის. როსტომის წარსული დ. კლდიაშვილს გამოყენებული აქვს მისივე სახის, პორტრეტის ფონად, რომელზე დაფუძნებით პლასტიკურ-ლაპიდარულად სახიერდება „გმირის“ ახლანდელი მდგომარეობა, როსტომის უსამველობა, მისი მარტობა (მისი ცოლ-შვილი სულ მუდამ იმას ცდილობენ, რომ შორს იყვნენ უმწეო მოხუცისა და მისი სახლსაგან); სახიერდება მდგომარეობა, როცა ერთად-ერთი ყმაკაცის ანაბარად დარჩენილი როსტომი მარტოდღენ ჭამაზე ფიქრობს, სხვა საქმეს ვერ უმკლავდება.

მოთხრობის პირველი სტრიქონებიდანვე მწერალი როსტომს წარმოგვიდგენს, როგორც აბსოლუტურად ზედმეტ, ყოველგვარი საჭიროების გარეშე მყოფ კაცს, რაც გამოწვეულია თავდაზნაურული საზოგადოებრივი წოდების უნიადაგობით. მოთხრობა-პორტრეტის ცენტრში მოქცეულია სცენა: როსტომის ცოლისა და ქალიშვილების მზადება-გამგზავრებისა, რასაც მოსდევს სტატიკური სურათი, უმწეოდ და მარტოდ მიტოვებული როსტომის მდგომარეობას რომ ასახავს და კიდევ უფრო ხილვადს, მეტყველს ხდის როსტომის მარტოსულობას, უმწეობას.

„როსტომ მანველაძე“ სტატიკური ხასიათის მოთხრობა-პორტრეტია იმით, რომ თავად მწერალი გახაზავს პორტრეტის საგნის, ობიექტის უძრობას და უმოქმედობისაყენ მიდრეკილებას, ე. ი. „როსტომ მანველაძეში“ დ. კლდიაშვილი განსაკუთრებული აქცენტით წარმოაჩენს როსტომის უქმადგედას.

„როსტომ მანველაძე“ მოგვავიწყობს გიორგი ლეონიძის „სამთო საბალახო“. ალბათ არაყენ შემოგვედავება, თუ აღვნიშნავთ, რომ დასახელებულ თხზულებაში ასახული თავდაყოფილი ყადორი მრავალმხრივ ჩამოჰკავს დ. კლდიაშვილის პორტრეტის გმირს. რაც მთავარია, როსტომი და ყადორი ერთიმეორეს ედრებაან სოციალური მდგომარეობით, ცხოვრებასთან ინდიფერენტული, პასიური დამოკიდებულებით. ორივე წარსულის კაცია. როგორც ერთს, ისე მეორეს არ აქვს მყარი ნიადაგი თანამედროვე ყოფაში, ორივე ოჯახდნაწრეულია. მართალია, უშვილიძირო ყადორთან შედარებით, როსტომს ვაჟიცა ჰყავს და ქალიშვილებიც, მაგრამ სულაც რომ არაყენ ჰყოლებოდა, მაინც მისი ყოფა შეიძლება ბევრად უარესი არ ყოფილიყო, რამეთუ როსტომიც ხომ ისევე, როგორც ყადორი, სიმარტოვეში, უჭირისუფლო სიბერეში ათავებს სიცოცხლეს.

ასახვის მანერაც ამ შემთხვევაში გ. ლეონიძისა თითქმის ისეთია, როგორც თავის დროზე მანველაძის მანველაძის ილუსტრირებისათვის დ. კლდიაშვილს მიუმართავს. „სამთო საბალახოში“ თითქმის ისეთივე სიტუაციაა გამოშუქურებული, როგორიც მკითხველმა „როსტომ მანველაძიდან“ იცის. ორივეგან სიმარტოვეთ, მიზნის უქონლობით, უიმედობათ გამოწვეული მოწყენილობაა და სევდა... ბევრი რომ არ გავავარძელოთ, შეიძლება უმაღვე ვთქვათ, რომ „როსტომ მანველაძეშიც“ და „სამთო საბალახოშიც“, ეტყობა, თხრობის თავისებური რიტმი

და პათოსი თვით ასახულის შინაარსისა და ხასიათის ერთნაირობით განისაზღვრება.

შედარებით სხვაგვარი მსჯელობის საფუძველს იძლევიან ამ მხრივ გმირები, რომელთა პორტრეტული სახეებით აღბეჭდილია გ. ლეონიძის „მოხუცი გუთნისდების სიკვდილი“, გ. ნატროშვილის „ისევ გაზაფხული იყო“, „უღარდელი კაცის სიკვდილი“ და სხვ.

საქმე ის არის, რომ ყველა დასახელებულ ნაწარმოებში წარმოდგენილ მოხუცთა პორტრეტებს მისადაგებული აქვს ბიოგრაფიული ინფორმაციით შედგენილი სიუჟეტები, როგორც ამას ადგილი აქვს „როსტომ მანველაძესა“ და „სამთო საბალახოში“. მიუხედავად ამისა ჩამოთვლილი თხზულებებით დასტურდება, თუ როგორ ხალისიან, ოპტიმისტურ გუნება-განწყობალებას ინარჩუნებენ ადამიანები მაშინაც კი, როცა უკვე ამთავრებენ თავიანთ წილ ცხოვრებას და, როგორც იტყვიან, სიკვდილ-სიცოცხლის საბედისწერო ზღურბლზე დგანან ორივე ფეხით. ნინიას, იორამის, მიხას პორტრეტები გ. ლეონიძისა და გ. ნატროშვილის ნაწარმოებებიდან სიკვდილის წინაშე ქედმოუხრელობის ისეთ ძალას განასახიერებენ, რაც მხნეობით ავსებენ, ამაგრებენ, ამაღლებენ ჩვენს ადამიანებს და რის გამოც მკითხველს საბაზი აქვს ჩეროვანი პატივი მიუზღოს მოთხრობა-პორტრეტების იმ სერიას, რომელსაც ჩვენ მიერ აღნიშნული ნაწარმოებები მიეკუთვნება.

პირობითად რომ ვთქვათ, სიუჟეტი ხშირად ფონია ნაწარმოებში წარმოდგენილი სხე-ხასიათების მიმართ. ასეთი მოსაზრება ყველაზე ნათლად და ცხადად პორტრეტულ თხზულებებზე დაკვირვების შედეგად დასტურდება. ავიღოთ, მაგალითად, მ. ჯავახიშვილის ისეთი თხზულებები, როგორცაა „ჩანჩურა“ და „კურკას ქორწილი“. მაწანწალა ჩანჩურას ფონს, როგორც მოთხრობა-პორტრეტის სიუჟეტს და მის შემადგენელ ნაწილს, წარმოადგენს კაპიტალისტური ქალაქის ქუჩისა და ბაზრის ხალხი, მყიდველ-გამყიდველთა ბრბო, უფრო ზუსტად, ისინი, ვის წიალშიც იბადებიან, იზრდებიან და, აგრეთვე, ვისი მეოხებითაც განწირულნი არიან ჩანჩურა და მისი მსგავსნი, ე. ი. აღნიშნული ბრბოს გარეშე ჩანჩურები შეიძლება არ იქნებოდნენ, ქუჩისა და ბაზრის ამ ნახევრად ხულიგნური, უწესრიგო და უზნეო ხალხის გარეშე ჩანჩურა, როგორც ასეთი, წარმოუდგენელია.

ზედმიწვევით ანალოგიური შინაარსის სიუჟეტი შეინიშნება „კურკას ქორწილში“, ე. ი. აქაც მაწანწალა კურკა, ისევე, როგორც ჩანჩურა სხვა არავინაა, თუ არა მისივე მესაფლავის, დამსამარებლის საშოში გაჩენილი სიმახინჯე, რომელსაც მხოლოდ სახე უგავს ადამიანს. სხვა მხრივ კი იგი პირუტყვის დონეზეა. ძნელია ვილაპარაკოთ მის რაიმე ინტელექტზე, რადგან მის გამჩენ ბრბოს არ ძალუდვა გადაეცა ის ღირსება მისთვის რადგან თავად ამ ბრბოს არ გააჩნდა არაფერი ამის მსგავსი.

ვიმეორებთ, რომ პორტრეტთან მისადაგებული სიუჟეტი როგორც „ჩანჩურაში“, ისე „კურკას ქორწილში“, იგივეა, რაც დასახელებული პორტრეტების ფონი, რომლის გამოც პორტრეტს აქვს ყველაფერი, რაც აქვს, რომლის მეოხებით ის ისეთია, როგორც არის, და რომლის ზემოქმედებით ის, როგორც ცოცხალი არსება, ამთავრებს თავის არსებობას. როცა იმ კონკრეტულ გარემოებაში, რითაც მ. ჯავახიშვილის მოთხრობა-პორტრეტები ხასიათდება, სიუჟეტად წარმოდგენილი ვითარების მთავარი მოქმედი ძალა ბრბო, პორტრეტად განსახიერებული მაწანწალები ასახული მოქმედების აუცილე-

ბელი ობიექტები არიან იმდენად, რომ მათ გარეშე სიუჟეტი არ იქნება და ასეთი კავშირით „ჩანჩურას“ და „კურკას ქორწილის“ სიუჟეტები მთელი შინაარსით მათში ნაგულისხმევი პორტრეტების გარშემო, მათ შესახებ მეტყველებენ, ყოველმხრივ მათ ყანსახოვნებას უწყობენ ზელს.

როგორც ცნობაშია, ყოველი მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის შედგენილობა, სტრუქტურა უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ მწერლის მიერ აღძრული რომელი იდეური ამოცანის, ერთიანი კომპოზიციის რომელი ელემენტის განვითარებას უნდა მოემსახუროს ეს სიუჟეტი. ისე, რომ როცა მხატვარი თავისი იდეურ მიზანდასახულობას რაიმე ამბავთან აკავშირებს, მთავარი და ძირითადი ამ შემთხვევაში სწორედ ეს ამბავია, ანუ, როგორც იტყვიან, მისი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრულია. თითოეულ ამ ნაწილში უნდა გამოიხატოს, გაცხადდეს, გამოვლინდეს ის, რაც წამყვანია ნაწარმოებში, რაც მის არსს შეადგენს.

სწორედ, რომ აღნიშნული მოსაზრების შესაბამისად, მის კვლობაზე ვლინდება განსხვავება, თუ გნებავთ, თავისებურება, რაც სიუჟეტის მიხედვით ახასიათებს ბევრ პორტრეტულ ნაწარმოებს, სულ ერთია, იქნება იგი მოთხრობა, რომანი, პოემა თუ სხვა. ერთიანი, მთელი თხზულების გამწვდომი და მისი შემავსებელი სიუჟეტი შეიძლება გააძნელებდეს პორტრეტის წინა პლანზე წამოწევას, მის ხაზგასმა-აქცენტირებას, რაც ერთობ საჭიროა იმისათვის, რომ პორტრეტს თავისი სპეციფიკური შინაარსი და ფორმა ექნეს. თხზულებაში, თუ იგი პორტრეტულია, ავტორს თავისი იდეურ-მხატვრული მიზნების ძაფზე პორტრეტი ჰყავს, ე. ი. პორტრეტი და ამ უკანასკნელის დეტალები მისთვის მთავარია. ამდენად სიუჟეტს ისეთი ფუნქცია უნდა დაეკისროს, რომ გამართლება ექნეს პორტრეტთან მის თანაარსებობას. მეტიც: სიუჟეტი თავისებური მასალა უნდა იყოს პორტრეტის გასანათებლად, მისი კონტურების გამოსაჩინად, რამეთუ აქ სიუჟეტი პორტრეტისათვის ყალიბდება და არა პირიქით.

ასე და ამნაირად, როცა პორტრეტში სიუჟეტის გამოყენების, მისი ადგილისა და მნიშვნელობის გამო ვმსჯელობთ, მართებულია მხარი დავუჭიროთ იმ მოსაზრებას, რომ სიუჟეტი ეფარდებოდეს და ექვემდებარებოდეს პორტრეტს, ე. ი. ის იყოს პორტრეტის შესატყვისი, ემსახურებოდეს პორტრეტის გამოხატვას ამოცანას.

მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ პორტრეტისადმი სიუჟეტური მასალის ამგვარი შეფარდებითა და მისადაგებით გამოირჩევა ვაჟა-ფშაველას „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, რომლის ცალკეული ადგილები ამ პოემპორტრეტის ზემოთ წარმოდგენილი ჩვენეული განხილვის კვლობაზე დავიმოწმეთ. მაგრამ პორტრეტის პრაქტიკაში გვხვდება სიუჟეტური მასალის სხვაგვარი განლაგების შემთხვევები. კერძოდ, რაკი საგანგებოდ ვიყავით დაინტერესებული, ჩვენ ისე აგებულ არაერთ პორტრეტსაც გავეცანით, რომელშიც სიუჟეტი თავიდან ბოლომდე გასდევს სურათს და ყველა თავისი შემადგენელი ნაწილით იგი მჭიდროდ, ორგანულად არის დაკავშირებული პორტრეტთან, ზელს უწყობს მისი დეტალების ხაზგასმა-აქცენტირებას. მოკლედ, ეს ისეთი შემთხვევებია, როცა სიუჟეტი ცალკე ელემენტი ვერასახება და თავისთავად მნიშვნელობას როდი ატარებს, არამედ ყველა და ყველაფერში პორტრეტის გამოხატვის ამოცანას ექვემდებარება და ეს მაშინ, როცა ის დანაწევრებული არ არის ისე, როგორც ამას ზოგჯერ პორტრეტის მხატვრული

წარმოჩენის საჭიროება მოითხოვს, არამედ შედარებით უფრო მთლიანი და განუყოფელია. დავასახელებთ ისეთ მოთხრობა-პორტრეტებს, როგორც სწორედ ზემოაღნიშნული თვალსაზრისით იმსახურებენ ინტერესს. ესენია: აკაკი ბელიაშვილის „ბედის უკუღმართობა“, ოთარ ჩხეიძის „მიწა“, გიორგი ლეონიძის „ფუფულა“, „ღვინჯუა“ და ა. შ. მკითხველმა არ შეიძლება არ ინიშნოს ყველა ამ ნაწარმოებში პორტრეტთან მხატვრულად შერწყმული სიუჟეტები, რომელთა შედგენილობაში ცხადად იგრძნობა პორტრეტისათვის დამახასიათებელი ნიუანსების გამახვილება და ხაზგასმა.

დასახელებულ თხზულებებში შეინიშნება ყველაფერი, რაც ჩვენ პორტრეტის გამო ვიცით; რაც მთავარია, და ამჭერად ჩვენ ეს ყველაზე უფრო გვაინტერესებს, შეინიშნება სიუჟეტის უშუალობა და სიასლოვე პორტრეტთან, იგრძნობა, რომ აქ სიუჟეტი ყველაფრით და ყოველმხრივ პორტრეტისათვის მუშაობს. ამისათვის ჯერ მართო იმის გასწავლავს კი საქმარისია, რომ ისევე, როგორც იმავე „ივანე კოტორაშვილის ამბავში“, „როსტომ მანველაძეში“, „უღარდელი კაცის სიკვდილში“, „ისევ გაზაფხული იყო იორაშვინი“, „ძე კაცისაში“ და ა. შ., სიუჟეტის წამყვანი ძალები პორტრეტად გათვალისწინებული ფიგურები არიან, ე. ი. ის, რა მასალა თუ ამბავიც სიუჟეტშია ფორმირებული, არსებითად პორტრეტის გმირის თავგადასავალია; ისეთი შემთხვევაა, რომელიც პორტრეტის გმირს ახასიათებს და ურომლისოდაც თავად ეს გმირი იმდენად საყურადღებო არამც და არამც არ იქნებოდა.

ვისაც „ბედის უკუღმართობა“ წაუკითხავს, იცის, რომ ეს ნაწარმოები იუმორისტულია. ისე გამოდის, რომ ხელმრუდი კაცი სხვათა ზემოქმედების გარეშე თვითონ ჩავარდა სასაცილო მდგომარეობაში, სწორედ ისე, როგორც ხალხში იტყვიან, რაც მოგივა დავითათ, ყველა შენი თავითათ. თუმცა აკ. ბელიაშვილის მოთხრობის ეს მხარე ახლა ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს. მთავარი ისაა, რომ „ბედის უკუღმართობის“ სიუჟეტის მეშვეობით მწერალს მთლიანად გამოაქვს სინათლეზე ყარამანა მხეიძის კოლორიტული სახე, რამეთუ ყარამანის პორტრეტსა და მასზე მისადაგებულ სიუჟეტს შორის არა მართო ცალკეული შეხების წერტილებია, არამედ ორივე ეს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სიდიდე ორგანულ, მხატვრულ მთლიანობაშია და ერთიმეორის გაცხადება-სრულყოფას უწყობს ხელს.

პორტრეტისადმი სიუჟეტის მნიშვნელობა ზედმიწევნით ანალოგიურია ი. ჩხეიძის ეტიუდში „მიწა“. ერთობ მნიშვნელოვანია, რომ ამ ნაწარმოების სიუჟეტი მთელი თავისი არსით მთლიანად გამოდინარეობს პორტრეტისად, მისი შემადგენელი სიდიდეებით განისაზღვრება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პორტრეტი და სიუჟეტი „მიწაში“ ყოვლად განუყოფელია, ისინი უერთმანეთოდ არ წარმოიდგინებია და ერთიმეორისადმი ინტერესს აღძრავენ. როგორ გვესახება წინარე სიტყვებით გამოხატული აზრი: ეტიუდის ავტორი ვვამცნობს, თუ როგორ დასჩემდა ქართველ გლეხკაცს მიწის სიყვარული; ისე, რომ სანამ სული ედგა, არა მართო ვერ მოიშალა და ვერ უკუაგლო ეს ფანტიკური სიყვარული, არამედ, პირიქით, უფრო გაიძლიერა, განივითარა. ხალაც არ წავიდა, რანაირადაც არ შეიცვალა ცხოვრების წეს-პირობები, ყოველი გარემოებასა და შემთხვევაში იგი მიწას ეპოტრებება, გულითა და სულით მას შეჰპარის, თუ მიწის საკუთრებას არ განიცდის, ისე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ასე ვითარდება „მიწის“ სიუჟეტური ქარგა. ყველაზე მეტად საინტერესოა მისი ბოლო ნაწილი, დასასრული: საქმე ის არის, რომ ეს

მიწისმოყვარული კაცი, ბოლოს და ბოლოს მოკვდა, ჭირისუფლებმა ის, როგორც საერთო წესია, გააბატონეს, დაიტირეს და ხალხის თანდასწრებით ასაფლავებენ. სწორედ ამ შემთხვევაში ზღბა ის, რითაც ავტორი ხაზს უსვამს, ამხვილებს თავის ჩანაფიქრს, როგორც სიუჟეტის ერთ-ერთ საკვანძო ნაწილს და პორტრეტის მთავარ და ძირითად ხაზს. მიცვალებულისათვის გამზადებული საფლავი ვიწრო აღმოჩნდა, რის გამოც საფლავი გააფართოეს, მაგრამ კუბო მაინც სივიწროვეში გაეჩხირა. კიდევ გააფართოეს საფლავი და, წარმოიდგინეთ, ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. თითქოს ის თვისება, რაც სიცოცხლეში ახასიათებდა ამ უცნაურ კაცს, საიქიოშიც თან გაჰყვა, თითქოს სიცოცხლის დროს დაჩემებული სიყვარული მიწისა სიკვდილშიც არ მოეწალა მას. ასეთი აზრით აიხსნება დასაფლავების ის ეპიზოდი, რომელიც, უნდა ითქვას, დიდი მხატვრული ალღოთია წარმოჩენილი ო. ჩხეიძის ეტიუდ-პორტრეტში. საერთოდ, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ „მიწის“ სიუჟეტი პორტრეტის ზედმიწევნით შესაფერისი ჩინებული მასალა და მის გამო ნამდვილად მიმზიდველი პორტრეტი შესთავაზა მწერალმა მკითხველს.

პორტრეტის შედგენილობას, მის თავისებურებას — იქნება იგი სახვით ხელოვნებაში, თუ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში — ერთგვარად განსაზღვრავს გმირთა ოდენობა: ის, თუ რამდენი ერთეული ჰყავს მხატვარს მხედველობაში. ამის მიხედვით უწინარესად გამოირჩევიან პორტრეტები, რომლებიც ერთპიროვნული ასახვით ხასიათდებიან. ასეთი პორტრეტები შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია. ერთპიროვნულია ბევრი ნაწარმოები იმათგან, რომლებიც ჩვენ ამის წინ განვიხილეთ: ვაჟა-ფშაველას „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, გ. ნატროშვილის „მზიარული კაცის სიკვდილი“, „ძე კაცი-სა“, აკ. ზელაშვილის „ბედის უკუღმართობა“, ოთ. ჩხეიძის „მიწა“... ერთპიროვნულია ბევრი პორტრეტი გიორგი ლეონიძის ცნობილ მოთხრობებს შორის.

იმის ნიშნად, თუ როგორ და რანაირი თანმიმდევრობით განასახიერებდა გ. ლეონიძე პორტრეტს, ჩვენ უყოყმანოდ დავასახელებდით „ფუფალას“. როგორც ვიცით, ამ პორტრეტში გავლებული პირველი სახვითი მინიშნებულია მთავარი პერსონაჟის გარეგნობა და ის გარემო, რომელიც ზედმიწევნით ახასიათებს გაუბედურებულ, ყველასათვის ზედმეტ ფუფალას. ყველაფერი ეს არის: მრავალგზის დახეულ-დაკერებული, უსარგებლო ძონძად ქცეული ჩითის კაბა, უზომოდ შელანძღული ქოლგა, რომლითაც პატრონი სახეს კიდევ იჩრდილავს და ვერც იჩრდილავს. შემდეგ სოფლის მოედანზე თავშეყრილი ქალები, ბებრები და ახალგაზრდები. ფუფალაც სწორედ მათკენ მოემართება; რათა ერთხელ კიდევ გახდეს მასალა მათი მითქმა-მოთქმისა; რათა მოესმინოს მისდამი სიბრალულის გამომხატველი სიტყვები და თავისი იქვე თქვას; ერთხელ კიდევ ყველას მოავგონოს, თუ როდენ წარმტაცი სილამაზე ამკობდა ახალგაზრდობაში, ამ უშვილიძიროდ, უმტერმოყვროდ გადაბერებულ და დაგლაზახებულ ქალს, რამდენი ვაჟკაცი დნებოდა და ილეოდა მისი სურვილ-სიყვარულით...

სოფელში და სოფლელებთან ფუფალას სტუმრობას გ. ლეონიძე იყენებს, როგორც მიზეზ-საბაბს პორტრეტის საგნად მიჩნეული ქალის წარმოსახენად. ეს ნიშნავს, რომ ყველა იმათ ყურადღების ცენტრში, ვინც ამ უბედურ ქალს თავის მასპინძლად და ლუკმაპურის მიმწოდებლად ესახება, ერთადერთი ფუფალაა და მეტი არაფერია. ამიტომ ყველა, დიდიან-პატარიანად ამ ფუ-

ფალაზე ილესავს ენას, ყველა ლაპარაკობს და ნამდვილად არავინ იცის, ნათქვამიდან რა არის მართალი და რა კიდევ — ჭორი. ტყუილისა და მართლის ასეთი განურჩევლობა თავად ფუფალას არსების, მისი ყოფის ნიშანივით ისახება გ. ლეონიძის თხზულებაში. არსებითად ფუფალაც თითქოს ისეთივეა, როგორც მის მიერვე და მის შესახებ გაერთელებული, ღობე-ყორეს მოდებული ჭორ-ტყუილები, ე. ი. რამდენადაც ფუფალას ამბებია დაუჭერებელი, იმდენადვე სარწმუნოდ არავის ესახება თავად ფუფალას ამ ქვეყნად არსებობა. ჰქონდა თუ არა ფუფალას წარმატებული ყმაწვილქალობა, საერთოდ, როდესმე მიიწვიოდა, თუ არა ის ახლანდელზე ბედნიერი, ან რას წარმოადგენს იგი ახლა? ეს ისევე არავის სჯერა, როგორც ფუფალას საქმრო შიოლას არსებობა.

გ. ლეონიძის მიერ შექმნილი ზოგი პორტრეტი ავტორის განცდებთან ღრმად დაკავშირებული დეტალის უშუალო ილუსტრაციებით იწყება. წინა შემთხვევაში პორტრეტის გადმოსაცემად წამყვანია სახის გარეგნობის შესაბამისი დეტალები, ნაჩვენებია ფუფალას თავისებური ჩაცმულობა, მოძრაობის (სიარულის), მეტყველების დამახასიათებელი მანერები, რის შემდეგ მწერალი თანდათან იწყებს მისთვის საინტერესო სახის შინაგანი სამყაროს ხილვას, მისი მოჩვენებითი სიხარულის, სულსა და გულში ღრმად შეჭრილი წუთის, დარდის ჩვენებას. შედარებით სხვა შინაარსი და შედგენილობა ახასიათებს „ორ შემოხედვას“, რომელშიც მხატვრული თხრობა თავიდან ბოლომდე ეფუძნება ფსიქოლოგიურ დეტალს, კერძოდ იმას, თუ რამ მიიყვანა, რანაირმა ბედუკუდმართმა ცხოვრებამ აიძულა ადამიანი (რაქდენა მეწისქვილე) ისე სევდიანი თვალები ჰქონებოდა, როგორც მწერალი თავის ბავშვობაში შეუნიშნავს გნოლა ხარისათვის, როცა ეს უკანასკნელი შეჩვეული პატრონისა და მიდამოსავან გაუშორებიათ და უცხოზე გაუყვლიათ. ეს თავისებური შედარება — ერთი უფრო თვალსაჩინოს დასახელებით მეორე, მისი მსგავსის მინიშნება და ისე გამოხატვა — არის საბაზი რაქდენას სიტყვიერი დასურათხატებისა ისე, როგორც ეს „ნატვრის ხის“ ავტორს აინტერესებს.

როგორ ერთნაირიც არ უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოებები, რომელნიც ნათესაური არიან ჟანრობრივად, გარკვეული ნიშნებით ისინი, ერთი მხრივ, ემიჯნებიან და, მეორე მხრივ, უახლოვდებიან ერთმანეთს, ქმნიან რა ამგვარად თავისებურ ოჯახებს თუ ჯგუფებს. ასეთი შეხედულება მხატვრული პორტრეტის მიმართაც უეჭველად შეიძლება გავრცელდეს.

როგორც აღვნიშნეთ, პორტრეტების დაჯგუფების, კლასიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რამდენი ერთეულის პორტრეტად გვაქვს საქმე. ერთეულების, ვანკერძობულად მყოფი პირების ამსახველი ნაწარმოებების განზილვა-დახასიათება, ჩვენი შესაძლებლობის პირობაზე, უკვე ვცადეთ. ამჯერად უნდა აღვნიშნოთ, რომ არის პორტრეტები, რომლებშიც მწერალი გვიხატავს წყვილს, ანუ რაიმე არსებითი ნიშნით გაერთიანებულ ორ ერთეულს, ორ პიროვნებას. გარდა ამისა, პორტრეტში ზოგჯერ აისახება არა მხოლოდ ერთი, ან ორი პირი, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფი (სამი ან უფრო მეტი ერთეული) და ამის შესაბამისად მსგავს ნაწარმოებებს უბრალოდ ჯგუფურ პორტრეტს უწოდებენ.

არ ეგების შეუნიშნავი დავტოვოთ, რომ ქართულ მწერლობაში, ისევე, როგორც ერთეულების ამსახველი, წყვილის პორტრეტებაც საკმაოდ ხშირია: რომ ორერთეულიანი პორტრეტის ტრადიცია ჩვენს ლიტერატურას დიდი ხნიდან მოსდგამს. არ შეეცდებით, მაგალითად, თუ ასეთი ნაწარმოებების დახ-

ვეწილ ოსტატად ჩვენს სასიქადელო ილია ჭავჭავაძეს მივიჩნევთ. არც მეტი, არც ნაკლები — მისი „კაცია-ადამიანი?!“ სწორედ ამგვარი პორტრეტის ნიმუშია ქართულ პროზაში. ხომ უეჭველია, რომ დასახელებულ თხზულებაში ცოლ-ქმარი თათქარიძეები წარმოუდგენელია ერთიმეორეს გარეშე, იმდენად შერწყმული, შენივთებული არიან, ისე განუყოფელი არიან ისინი ერთმანეთისაგან. სანამ ახალგაზრდა თათქარიძე დაქორწინდებოდა, მწერალი ცალკე ახასიათებდა ლუარსაბს, მაგრამ „კაცია-ადამიანის?!“ მთავარი „გმირის“ წარმოჩენისათვის გამიზნული ასეთი დეტალები ოდნავაც არაა გადამწყვეტი. უმაღლვე შეიმჩნევა, რომ ილიას მიზნად ჰქონდა ეჩვენებინა სულ სხვა ლუარსაბი — მაშინდელი სოციალური ჭაობის მკვიდრი ბინადარი და ასეთი ის არის დარეჯანთან ერთად. ლუარსაბი და დარეჯანი ილიას ქმნილებაში, რომელიც სატირულ-იუმორისტული ელფერით ხასიათდება, ერთიმეორის წარმოჩენის პირობას წარმოადგენენ. როგორც თვით დარეჯანი იქნებოდა შედარებით უფერული ლუარსაბის გარეშე, ისევე ლუარსაბის სახეს ბევრი დააკლდებოდა, თუ მწერალი თათქარიძეს წარმოადგენდა დარეჯანის გამოკლებით.

წყვილის პორტრეტის შექმნის თავისებური ტენდენცია შეინიშნება ილიას „ოთარანთ ქვრივშიც“. ამ ნაწარმოებში ძირითადია დედა-შვილის — მარიამ ოთარაშვილისა და მისი გიორგის სახე-ხასიათები. მწერალი ერთნაირად გაცხოველებული ინტერესით უტრიალებს ამ ორ ფიგურას, გვიჩვენებს ყველაფერს, რითაც ისინი ერთმანეთისაგან გამოიმდინარებენ. აქ შვილი თათქმის ისეთივეა — ხასიათმტკიცე, პრინციპული, ქედმოუხრელი, შეუპოვარი და შრომისმოყვარე — როგორც დედა. მოკლედ რომ ვთქვათ, ოთარანთ ქვრივი და მისი ობოლი შვილი ილიას უკვდავ ქმნილებაში თითქმის თავისებურად ავსებენ ერთმანეთს, ერთიმეორის არსებობის პირობად გვესახებიან. შეგვეძლოს გვეთქვა, ასეთი დედა რომ არა, შეიძლება გიორგი სხვანაირი ყოფილიყო. თავის მხრივ, შვილის ხასიათს რომ ჰხედავს, მარიამსაც მეტი სტიმული ენიჭება, არ უღალატოს საკუთარ თავს, დაიცვას და შეირჩინოს ყველაფერი, რითაც იგი ნამდვილი ოთარანთ ქვრივია, რის გამოც მას გიორგის ჭეშმარიტი დედობა შეეფერება.

წყვილურ, ანუ ორი ერთეულის, პორტრეტზე რაკი ვმსჯელობთ, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ კ. გამსახურდიას „მთავრის მოტაცების“ ისეთი ფიგურები, როგორიცაა ტარიელ შერვაშიძე და ლუკაია ლაბახუა. ისინი ორი ერთეულის პორტრეტს წარმოადგენენ დასახელებულ რომან-ტრილოგიაში. რეალისტური მონაცემებით თუ განვსაზღვრავთ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ბატონი ტარიელი და მისი მსახური ლუკაია აქ სულ მეტად ერთად მოსახსენებელი სახელებია. პირველს უმსახუროდ არ ძალუძს ცხოვრება და ასეთ მსახურად მას მაინცდამაინც სწადია ჰყავდეს არა სხვა ვინმე, არამედ ლუკაია. მეორე მხრივ, ლუკაიასაც დაჟინებით უნდა ბატონი ჰყავდეს და ასეთ ბატონად მას ყველაზე უფრო ტარიელი ეგულება.

რასაკვირველია, აქ შეჩვევის ფაქტორიც ასრულებს თავისებურ როლს. როგორც შერვაშიძეს, ისე ლაბახუს, მათი ხანდაზმულობისა და კონკრეტული ბუნების გამო, არ აწყობთ სიახლე, არ ეპრიანებათ ის, რასაც შეჩვეულნი არ არიან. ერთსაც და მეორესაც შეჩვეული ეშმაკი უჯობს, ვინემ შეუჩვეველი და უცხო ანგელოზი. არც ერთს ან შეუძლია უერთმანეთობა... ისე რომ, კ. გამსახურდიას ხელით დახატული ტარიელ შერვაშიძე მხოლოდ და მხო-

ლოდ ლუკაიას ბატონია, ხოლო ლუკაია ლაბახუა სხვა არავინაა, თუ არა ტარიელის მსახური. რაც მთავარია, ისინი უერთმანეთოდ არ ჩანან და თითოეული შეადგენს წყვილის პორტრეტის აუცილებელ ნაწილს.

წყვილად წარმოდგენილ ერთეულთა პორტრეტული წარმოსახვის საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე გრ. ჩიქოვანის რომანში „თებერვლი დაღვალ...“. ეს ნაწარმოები გვიჩვენებს ავტორის მიერ ასახული სოფლის ორ მკვიდრს, რომლებიც, მართალია, არასოდეს არ არიან თანხმობით, (ნიადაგ რაღაცაზე დაობენ), მაგრამ მიუხედავად ამისა მცირეხანსაც ვერ ძლებენ უერთმანეთოდ. ხანმოკლე განშორების შემთხვევაშიც კი თითქოს ერთსაც და მეორესაც მოსწყურდება ხოლმე ერთმანეთთან ყოფნა, ერთიმეორესთან დაეკამათი, ერთუბრთის კვიმატი რეპლიკების მოსმენა.

ქართულ პროზაში წყვილის პორტრეტის დამახასიათებელ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ გ. ლეონიძის იმავე „ნატურის ხის“ ციკლში შესული „ჩირიკი და ჩიკოტელა“. გახსოვთ, ალბათ, ეს ნაწარმოები! მეტადრე იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ საინტერესო ფილმი შეიქმნა „ჩირიკი და ჩიკოტელას“ მიხედვით.

როგორც ვიცით, აღნიშნულ ნაწარმოებს თავად ავტორმა გ. ლეონიძემ ჩირიკისა და ჩიკოტელას მტრობისა და სიყვარულის გასალიმებელი და გულის გადასაყოლებელი ამბავი<sup>12</sup> უწოდა. მოთხრობაში არის სიძულელიც და სიყვარულიც, მაგრამ არც პირველი და არც მეორე არ წარმოგვიდგება თავად ჩირიკისა და ჩიკოტელას, ე. ი. იმათ გარეშე, ვისაც ეს სიყვარული შეუძლია და ვინც სიყვარულს იმსახურებს, ერთი მხრივ, და ვინც კიდევ მხოლოდ სიძულელით ცოცხლობს, სიავის წვენით საზრდოობს, მეორე მხრივ.

მოთხრობა ჩირიკისა და ჩიკოტელას შესახებ ზედმიწევნით ეხმაურება მოთხროვნებს, რომლის წინაშე დგას წყვილი ერთეულის პორტრეტის შექმნით დანტერესებული ხელოვანი. რა გვაქვს მხედველობაში, როცა ამას აღვნიშნავთ? — მთელი თხზულების სიგრძე-სივანეზე მწერალი ჩვენს ყურადღებას იპყრობს კეთილი ჩირიკისა და ავი ჩიკოტელას მხატვრული შედარება-შეპირისპირებით; იმით, თუ როგორ უნდოდა პირველს კეთილმეზობლობა (ხომ კარის მეზობლები იყვნენ?) და როგორ ეჩინა და იჩენდა მეორე სიყვეს. ჩირიკისა და ჩიკოტელას ურთიერთობა, რასაც გ. ლეონიძე ასახავს, თუ შეიძლება ითქვას, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს ეფუძნება: რაც ერთს მეტი აქვს, ის მეორეს სულ არ გააჩნია, რის გამოც ერთმანეთის შემწეობით ორივე სხვადასხვა სიდიდეს ავსებს და სრულყოფს. ჩირიკი შრომისმოყვარე, კეთილმოსურნე კაცია, ჩიკოტელა, პირიქით, ღვარძლიანია და მოშურნე. სიავის ქმნა მას ისე სწყურია, როგორც მწყურვალს წყალი. პორტრეტით ასახული წყვილის ცალების დაპირისპირების მიზნით მწერალი იმ გარემოებასაც იყენებს, რომ ერთი მეზობელი (ჩირიკი) შრომისმოყვარეა, ხოლო მეორე (ჩიკოტელა) შრომისმომძულე და იველება. ყველა რომ იფლად იღვრება, ჩიკოტელა ჩრდილს აფარებს თავს. რასაკვირველია, აღნიშნული მიზეზით არის, რომ ჩირიკს ღონიერი მოჭირანახულის სახელი აქვს დეკარდნილი, ჩიკოტელა კი სიღარიბეშია და თავის ხელმოკლეობას მაინცაღამაინც მეზობელს აბრალებს — ჩემს საზღვრებში იჭრება და ჩემს კუთვნილს ითვისებსო.

<sup>12</sup> გ. ლეონიძე, ნატურის ხე, თბ., 1962, გვ. 98.

მინიშნებული შედარება-შეპირისპირების საფუძველზე გ. ლეონიძის მოთხრობაში პორტრეტულად წარმოჩენილი წყვილი ერთმანეთის გამოხატვას უწყობს ხელს. თითოეული აქ თავისებურ კონტრასტულ ფონს შეადგენს მეორეს მიმართ: ჩიკოტელა აადვილებს ჩირიკის გაგება-გაცნობიერებას იმავე პირობით, რა პირობითაც თვითონ ჩირიკი თავისი სანაქებო თვისებებით შესაძლებელს ხდის ჩიკოტელას სიბილწის ხილვას.

• ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ გიორგი ლეონიძე მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ არა მარტო ერთპიროვნული და წყვილური, არამედ ე. წ. ჯგუფური პორტრეტის თვალსაჩინო მესვეურად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. იმისათვის, რომ აღნიშნული მოსაზრება დავასაბუთოთ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუუსვათ დასახელებული მწერლის პროზის ერთ დამახასიათებელ მხარეს, რაც, თუ არ ვცდებით, დღემდე არ მიუთითებიათ ლიტერატურათმცოდნეობაში. საქმე ის არის, რომ ლეონიძის ზოგი ბელეტრისტული თხზულება ორ ერთმანეთისაგან საგრძნობლად გამიჯნულ ნაწილად გვესახება იმის კვლობაზე, თუ რა ოდენობის ადამიანთა პორტრეტებს გადაგვიშლის მხატვარი. მაგალითისათვის ისევ „ჩირიკი და ჩიკოტელა“ ავიღოთ! თვალი გავადევნოთ ამ ნაწარმოების ექსპოზიციურ სტრიქონებს: „განა არ იყვნენ ჩვენს დაბაში განთქმული ადამიანები? გინდაც, შაბაშელა — სოფლის დიაკვანი, პატრონი ულამაზესი ახალგაზრდა ცოდის ზიზილასი. როცა ზიზილა სადღესასწაულოდ ქართულ კაბაში მოირთვებოდა, დიაკვანი ორივე ხელს გაშლიდა, ცოლის სილამაზით გაკვირვებული და აღტაცებით შეჰღალღალებდა... „დაფარნა ცანი მშვენიერებამან შენმან და ქებთა შენით აღივსო ქვეყანა! შე კურთხეულის შვილო, რამ გაგაჩინა ეგრე ლამაზი?“.

კიდევ? მოხუცი სამხედრო, გადაყრუებული, გადაშტერებული, „გიტარა-მაიორი“. ოდესღაც სიმღერა ჰყვარებოდა, ახლა კი ხეზედ ამოსული სოკოს აბედრევით გამომშრალს ყურში ჩაძახილიც ძლივს ესმოდა...

შემდეგ: ჭამპურა ჭამპურაძე, რომელმაც ჭამა იცოდა სანაძლაოზე და უყვარდა ყანწიანობა... ჭამპურას საათობით შეეძლო ემსჯელა, თუ რა სჯობია — ორაგული, მურა, კალმახი, თუ მურწა ვაზის ფოთოლზე? რა უგემრიელესია? — ზუთხი, თართი, თუ ლოქო ძმრიან ქინძში? ქათმის ჩიხირთმა, თუ ბატკნის ბოზართმა. ხონჩით პური და მარილი, ხახალზე მწვანელილეული, კიტრი, ყველი, ცხვრის თავი, ლურჯი კაბუეტები, მწვადი... ახ!.. მოყუდებული ჩარექა!...

— მაშ, ამ წითელ ღვინოში მზის მადლი არ ინახება? მაშ, რით არის ნაკურთხი ზედაში?

სულ მუდამ ღვინის კაპი სწყუროდა, შექუხურუადებოდა, მერე დუქნიდან ფრატა-ფრუტით მოდიოდა.

— გემრიელი კერძი და ძლიერი ღვინო მადით სჭამე, გულით დალიე, მხიარულად იცინე! — ასეთი იყო ჭამპურა ჭამპურაძე, თუ ძვალეყლაპიაშვილის აღთქმა.

...კიდევ ვინ იყვნენ? თოთოშა, ხატს რომ შეწირულ ფულებს ჰპარავდა ნიშიდან!

მედუქნე „ჩარირამა“ — მის დუქანში ხშირად შეგხვდებოდა თამადა — ხელში ყანწით, — პეტრე ერქვა, რატომღაც პავლეს ეძახდნენ, მოლაყბის ყბა ჰქონდა.

„ჭერიგედი“, რომელზედაც იტყოდნენ — ეშმაკმა რომ სიარული დაიწყო, ფეხის ადგმა მაგან ასწავლაო!

კონდრო — თვალვიწრო და წუწკი, ძუნწი, ლამამ საათის მაიატნიკს ჩამოხსნიდა, არ გაცდესო! განჯინა მუდამ დაკეტილი ჰქონდა, თუმცა შიგ ერთი თევზი იდო, ისიც შუაზე გადამტვრეული და მავთულით შეკრული.

პროვიზორი ანთა, რომელმაც მეხუთე დღეს ამოავდო თავისი ფეხსაცმელიდან შიგ ჩამძვრალი, მოგუდული თავი. მანამდე სულაც ვერ გაიგო და ეს ამბავი საკეხურად ჰქონდა, როგორც რომ საგმირო! პროვიზორს დიდი ფეხები ჰქონდა და კალოშებს ვარშავიდან იწერდა, რადგან მისი ფეხის ზომის შოვნა ჩვენში არ შეიძლებოდა<sup>13</sup>. ჩემი საგანგებო მითითების გარეშეც დაინახავთ, რომ მიყვანილ სტრიქონებში რამდენი ახალი სახელიცაა, იმდენი ესკიზურ-მინიატურულად აღბეჭდილი პორტრეტია თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად წარმოჩენილი. სიტყვა მინიატურულის გავიმეორებთ, თუმცა ყველა იმდენად ნათელი ხაზებით არის მინიშნებული ავტორისეულ ტილოზე, რომ ძნელიც არის რომელიმე მათგანი მინც უკუაგდოთ მეხსიერებიდან. სხეაც რომ არა იყოს რა, მართო ის უაღრესად მეტყველი მეტსახელედსახელები (შაბაშა-დიაკვანი, გიტარა-მაიორი, თოთოშა, ჩარირამა, ჰერიგედი) რად ღირს! მათი მეოხებით ხომ გიორგი ლეონიძე ეგზომ ბევრს გვანიშნებს მისთვის და ამავე დროს ჩვენთვის საინტერესო ტიპზე, რომელიც ჯგუფური პორტრეტის რომელიმე ერთეულს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა, ხომ ცხადია, რომ მწერლის მიერ დასახელებული თითოეული ტიპი მართლაც რომ ტიპია, რამეთუ იგი რაღაც ისეთი, განუყოფელი ნიუანსით გვესახება, რაც იშვიათზე იშვიათია. უსაფუძვლო არ ჩნდება თუ ვიტყვით, რომ ლეონიძის მიერ დასახელებულ ყოველ პირზე, აღამიანზე ცალკე ნაწარმოები შეიძლებოდა დაწერილიყო, ისეთი მოთხრობა-პორტრეტების ტოლბადალი, როგორიც არაერთია „ნატვრის ხეში“<sup>14</sup>.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებებს ანუ პორტრეტულ თხზულებებს ცალკეულ შემთხვევებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მათში ასახულ ადამიანთა რაოდენობის მიხედვით, ე. ი. გვაქვს მრავალი ცალკე ერთეულის განმასახიერებელი პორტრეტი. ცალკე გამოყავით და დავახასიათებ წყვილის ანუ ორი ერთეულით აღბეჭდილი თხზულებები, რის შემდეგ შევხებით ჯგუფური პორტრეტის ბადალ ნაწარმოებებს. როგორც ხედავთ, მწერლობაში შენიშნული პორტრეტების ასეთი დაჯგუფება თუ კლასიფიკაცია შედარებით ფორმალურ, არაარსებითი ხასიათის მაჩვენებლებს ეფუძნება.

პორტრეტთა რაობის დასახასიათებლად საგულებელია მეორე რიგის კლასიფიკაცია, რომელიც პორტრეტის ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული სტილის მისანიშნებელი ელემენტების გათვალისწინებას ემყარება. ამის მიხედვით გვექნება დრამატული, ტრაგიკული, კომიკური ანუ სატირულ-იუმორისტული და ა. შ. პორტრეტები<sup>15</sup>. ძირითად და უმთავრეს საკლასიფიკაციო მაჩვენებელს ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს ის, თუ რო-

<sup>13</sup> გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, გვ. 79—81.

<sup>14</sup> „ჩირიკის და ჩირიკელას“ შესავალში დასახელებულ ერთ-ერთ პირს ჰამპურას აკი თავად გ. ლეონიძე ცალკე ნაწარმოებს მიუძღვნის (იხ. „ნატვრის ხე“, გვ. 305—328).

<sup>15</sup> ასახვის ხასიათის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ ისეთი პორტრეტები, როგორცაა მონუმენტურ-პერსონული, მინიატურული, საპარადო, ინტიმური და სხვა პორტრეტებიც.

გორ გუნება-განწყობილებას აღგვიძრავს, პორტრეტით ასახული პირი თუ ადამიანთა ჯგუფი, რა ემოციების წყაროდ გვესახება პორტრეტი.

პირველი ნიშნის შესატყვისად პორტრეტების დაჯგუფება-დახასიათება ჩვენ უკვე ვცადეთ. სასურველი და მისასალმებელია, თუ ასეთი ცდით, რაც უმთავრესია, მისი შედეგებით, ერთგვარად მანც დაუახლოვდით იმ მოთხოვნებს, რომელთაც მკითხველი აყენებს აღძრული საკითხის გარშემო. ამჯერად ვეცდებით ხაზი გავუსვათ პორტრეტთა ისეთ დანაწილებას, რომლისთვისაც, როგორც მოგახსენეთ, ამოსავალია პორტრეტით ასახული ადამიანების გუნება-განწყობილება და განსახიერების სტილი.

თუ აღნიშნული საკლასიფიკაციო ნიშნებით ვიხელმძღვანელებთ, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ივანე კოტორაშვილისადმი მიძღვნილი თხრობა პერიოდიული პოემა-პორტრეტის ნიმუშია, დავით კლდიაშვილის „როსტომ მანველიძეში“ კი პირველობს სევდის, მწუხარების, უიმედობის ელემენტი, რის გამოც მოხუცი მემამულის პორტრეტით აღბეჭდილი ეს მოთხრობა დრამატულ-პესიმისტურია. ანალოგიური ელფერი აქვს გ. ლეონიძის „ფუფალას“. საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვს ე. ნატროშვილის ჩვენი მიერ ზემოთ დასახელებულ და განხილულ პორტრეტებს (აღამო, მიხა, იორამი). მით უმეტეს, რომ ყველა ეს პორტრეტი ანალოგიური მასალით შეკრული სიუჟეტების პრიზმაშია გაცხადებული. 1978 წლის ე. „სიკის“ მე-2 ნომერში დაისტამბა ჯ. თოფურბის „გამოუსწორებელი“ და „გოგია“. ორივე ამ ნაწარმოებში, ისევე, როგორც ამავე ავტორის ზოგ სხვა ნაწარმოებში, საგრძნობლად ჭარბობს ტრაგიკული მომენტი (სიცოცხლის სიხარულითა და ენერგიით აღსავსე კაცი, რომელსაც აღნიშნული ენერგიის შემწეობით სხვები გამოჰყავდა საქნელო მდგომარეობიდან, ბოლოს თავად განიცდის საკუთარი არსებობის დამანგრეველ მარცხს და მოძალადის ხელით იღუპება).

მხატვრული პორტრეტის დამოუკიდებელი ქანობრივი ფორმით განვითარება-ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, მართოდენ ქართულ ლიტერატურას არ ახასიათებს. აღნიშნული პროცესი მსოფლიოს ხალხთა მრავალ მწერლობაში შეინიშნება.

არის თუ არა მართებული, რომ ხელი შევეწყობო დასახელებული ფორმის შემდგომ სტაბილიზაციას და რაფინირებას? ასეთი კითხვის შესაბამისი ორი აზრი ნაკლებად საგულგებელია, რამეთუ მხატვრული პორტრეტის პრაქტიკის გაძლიერება და დახვეწა კიდევ უფრო დაახლოებს მწერლობას მის საარსებო ამოცანებთან და შექმნის აუცილებელ პირობებს თანამედროვე ადამიანის მდიდარი სამყაროს სრულფასოვანი განსახიერებისათვის. ჩვენი სურვილია, რომ წინამდებარე ნარკვევიც ზემოაღნიშნულ მიზნებთან დაკავშირებით მიიღოს და შეაფასოს მკითხველმა.

Д. Д. ИОВАШВИЛИ

## ПОРТРЕТ И ЕГО МЕСТО В ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

На относительно ранних стадиях развития литературы портрет являлся одним из рядовых компонентов художественного сочинения. Впоследствии описательное значение портрета расширилось и сложились условия для оформления его в качестве отдельного жанра.

Назначение портрета состоит в описании не только внешности персонажа — такой подход является односторонним. Главное в портрете — показ внутреннего мира героя, без чего образ не может быть полным.

В этом аспекте проанализированы такие образцы грузинской литературы, как «Повесть об Иване Которашвили» Важа-Пшавела, «Ростом Манвеладзе» Д. Клдиашвили, «Чанчура» и «Свадьба Курки» М. Джавахишвили, «Фуфала», «Гвинджила», «Чирика и Чирикела», «Горное пастбище» Г. Леонидзе, «Превратности судьбы» А. Белиашвили, «На Иори была снова весна», «Смерть беззаботного человека», «Сын человеческий» Г. Натрошвили, «Земля» О. Чхеидзе.

Различные виды художественного портрета — идентичный, парный, групповой, а также портреты драматического, трагического и комического характера, монументальные и прочие портреты исследованы по соответствующим произведениям грузинской литературы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
 ისტორიის ინსტიტუტის ქართული საბჭოთა მწერლობის  
 განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
 აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული  
 ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## ბორის ღარჩია

## ხატაელთა ამბის ხელნაწერის ფრაგმენტბი

ჩვენს ფილოლოგიურ მეცნიერებაში კარგად არის ცნობილი „ქილილა და დამანას“ ონანა მდივნისეული რედაქციის შემცველი ხელნაწერი<sup>1</sup>. ეს უნიკალური ავტოგრაფული ნუსხა ამჟამად ინახება ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილ მკვლევართან სოლომონ ყუბანიევილთან, რომელსაც იგი 1931 წლის ბოლოს წამოუღია ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაიანიდან<sup>2</sup>.

ამ ხელნაწერის ბოლო ორი ფურცელი (134r.-v.—135r.) დაწერილია სხვა, მოგვიანო ხელით და წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის (თუ მისი გაგრძელების) ერთი ეპიზოდის—ხატაელთა ამბის ფრაგმენტს.

ეს ფრაგმენტი რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში აღრიცხული არ არის<sup>3</sup>.

აღნიშნული ფურცლები თეთრი, სიყვითლემდე მისული ერთიანი ქაღალდია, რომელიც შუაზე გაკეცილი ორ ფურცელს ქმნის და ქვედა ნაწილით საცავ ფურცელს ეკვრის. გაკეცილად მათი ზომაა 29,5×19,2 სმ. ნაწერია შავი, მოყავისფრო მელნით. სუფთად, მაგრამ არაკალიგრაფიული ხელით. არ არის გამოყენებული რაიმე სასვენი ნიშანი. ყველგან გამოცალკავებულად წერია სტრიქონის ბოლო ერთი ასო. მეოთხე სტრიქონის დასაწყისში არის სტროფგამყარი „და“ კავშირი, მაგრამ სტროფისგან გამოყოფილი არ არის. გამოყოფილი არ არის აგრეთვე სათაური.

დაწერილია მხოლოდ სამი გვერდი: 134 ფურცლის ორივე და 135 ფურცლის პირველი გვერდი. ამ უკანასკნელის მეორე გვერდი თავისუფალია. სამივე გვერდი შევსებულია სრულად. სულ შეიცავს 23 სტროფს. ესენია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ გამოცემის სტროფთა სათვალავის მიხედვით 1821 (1616), 4—1843 (1638), 1—3 სტროფები<sup>4</sup>. როგორც

<sup>1</sup> კ. კ ე მ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ლიტერატურა, II, თბ., 1958, გვ. 465—470; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945, გვ. 348—350; VI, თბ., 1975, გვ. 160—161; გ. ჯ ა კ ბ ი ა, ონანა მდივნისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, თბ., 1940, გვ. 133—140; ლ. ბ რ ე ვ ა - ძ ე, ქართული მწერლები რუსეთში (XVIII), I, თბილისი-ქუთაისი, 1958, გვ. 49—54, 214—252; მ. თ ო ლ უ ა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 87—92, 96, 113—115, 123—125 (გვევე ნარკვევი თან ერთვის „ქილილა და დამანას“ მ. თოლუხაეულ გამოცემის, თბ., 1975, გვ. 76—81, 85, 100—102, 110—111).

<sup>2</sup> ამ ხელნაწერის შესახებ ვ. კეკელიძემ 1932 წლის 18 იანვარს საგანგებო მოხსენება წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (იმ ხანად—პედინსტიტუტის) ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის საჯარო სხდომაზე (კ. კ ე მ ი ძ ე, დასახელებული წიგნი, გვ. 465; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., I, გვ. 350).

<sup>3</sup> ვეფხისტყაოსნის ხელნაწერული მემკვიდრეობა თავმოყრილი და აღწერილია ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი ს წიგნში: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, თბ., 1970. აქ, სხვათა შორის, აღწერილია ს. ყუბანიევილთან დატული ვეფხისტყაოსნის ერთი ხელნაწერი (გვ. 139—140).

<sup>4</sup> ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი მეოთხე, გამოსაცემად ამომზადდა ივანე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ შ ა, თბ., 1963, გვ. 996—1012. პირველი, დიდი ციფრი მიუთითებს ვეფხისტყაოსნის ს. ყუბანიევილისეულ ვრცელი გამოცემის (თბ., 1956 წ.) სტროფთა სათვალავს; მეორე,



ვხედავთ, პირველი და ბოლო სტროფები არასრული სახით არის წარმოდგენილი. პირველი იწყება მეოთხე სტროქონით, ბოლო მთავრდება მესამე სტროქონით<sup>5</sup>.

ხატაელთა ამბის ეს ის ნაწილია, სადაც მოთხრობლია დამარცხებული ხატაელების შეწყალება, ტარიელისა და მისი ამაღის ინდოეთის მოსახლეობასთან, შემდეგ დიდებულებთან და დედოფალთან შეხვედრა და, ბოლოს, ტარიელისა და ნესტანის სამეფო ტახტზე ასვლა. ამ სტროფებიდან ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემაში შესულია მხოლოდ ბოლო ორი სტროფი — 1842 (1637) და 1843 (1638).

მთლიანად ხელნაწერი მოთავსებულია მაგარ, ტყავგადაკრულ ყდაში, რომელიც ალაგ-ალაგ, უფრო კუთხეებში, გაცვეთილია. ყდას შიგნიდან გამოკრული აქვს მრავალფერად მოჩითული ქაღალდი, სადაც მოყავისფრო ფონზე შავი, ნაცრისფერი, მოყვითალო და მოწითალო ფერები ღამაშ ტალღებს გამოსახავენ. ეს ქაღალდი აგრეთვე გამოყენებულია ბოლო საცავ ფურცლად, რომლის შიდა მხარე თეთრი, მოუხატავია.

ხატაელთა ამბის შემცველი ფურცლები გარეგნულად „ქილილა და დამანას“ ფურცლებს ჰგავს, მაგრამ ჭვირნიშნების მიხედვით ირკვევა, რომ ისინი სხვადასხვა წარმოების ქაღალდებია<sup>6</sup>. ხელის მიხედვით ხატაელთა ამბის ფურცლები XVIII საუკუნის ბოლოს, ან XIX საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი, „ქილილა და დამანას“ ხელნაწერს კი კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე XVIII საუკუნის პირველი მეოთხედით ათარიღებენ<sup>7</sup>, რაც სარწმუნო ჩანს<sup>8</sup>.

ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები—ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო (თბ., 1937 წ.) და მისგან მომდინარე (თბ., 1951, 1953, 1957 წწ.) გამოცემათა სტროფთა სათვალავს.

<sup>5</sup> პირველ გვერდზე (134 რ.) არის 1821 (1616), 4—1829 (1624), 1 სტროფები (1821/1616, 4 — „და ტარი[ს] კვალი ვერ გაძღა ვერ ჯორცი მომშაირეს[ს]“, 1829/1624, 1—„რა ნახა ხანსი ვეზირნი ფლასითა დამოსილია[ს]“).

მეორე გვერდზე (134 V.) იკითხება 1829 (1624), 2—4—1836 (1631), 1—2 სტროფები (1829/1624, 2—„კვლავ დაიძახა ტარიელ ცუდათ ცოცხალსა მიეღნია“, 1836/1631, 2—„ტარიელ თქვა დედოფალ ვაქვს ამათი არა მცნება“).

მესამე გვერდზე (135 რ.) მოთავსებულია 1836 (1631), 3—4—1843 (1638), 1—3 სტროფები (1836/1631, 3—„ესენია მხსნელი ჩემი აწ აღარ გეცალს ვძლად უბნება“, 1843/1638, 3—„მისცეს კლიტე საჭურჭლეთ თავთა მათთა მანადობდეს“).

<sup>6</sup> „ქილილა და დამანას“ ტექსტის შემცველ ფურცელთა ერთ ნაწილს ჭვირნიშნად აქვს ქალაქ ამსტერდამის გერბი, ლიტერა—AB. ხატაელთა ამბის ფურცლის ჭვირნიშნაია ვ. წ. „Pro Patria“.

<sup>7</sup> კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე, დასახ. წიგნი, გვ. 465; ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., I, გვ. 350. კ. კეკელიძე ათარიღების საფუძვლად ჭვირნიშნის ასახელებს.

<sup>8</sup> „ქალაქ ამსტერდამის გერბისა“ და „პრო პატრიას“ ჭვირნიშნანი ქალაქების წარმოებისა და გავრცელების შესახებ საგანგებო გამოკვლევები არსებობს, მაგრამ მათში, ისე როგორც ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვა გამოკვლევებში, საკითხი იმდენად შესწავლილი არ არის, საშუალებას რომ იძლეოდეს, საძიებელი ხელნაწერი ფურცლები უფრო დაზუსტებით ათარიღდეს. თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ ეს მონაცემები ხელის მიხედვით ჩვენი ხელნაწერების ზემოთ აღნიშნულ დათარიღებას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის. ასე მაგალითად, დადასტურებულია, რომ ამსტერდამის გერბიანი ჭვირნიშნით ქაღალდი გამოდიოდა 1635—1808 წლებში, რუსეთში კი ყველაზე მეტად ვრცელდებოდა 1701—1725 წლებში (С. А. Клепиков, Бумага с филигранью «Герб города Амстердама», сб.: Записки отдела рукописей Государственной библиотеки СССР им. В. И. Ленина, вып. 20, М., 1958, გვ. 315—352; А. А. Герасимов, Филигранны XVII века на бумаге рукописных и печатных документов русского происхождения, М., 1963, გვ. 17—18, 40, 233).

სა კლებიკოვის მითითებულ ნაშრომში დასახელებულია 1718 წელს გამოსული წიგნი, რომელსაც, მსგავსად „ქილილა და დამანას“ ხელნაწერისა, ჭვირნიშნად აქვს ამსტერდამის გერბი და ლიტერად AB (გვ. 331, № 2).

„ქილილა და დამანას“ ფურცლები ერთ წიგნად არის აკინძული, მაგრამ უდიდან ამოვარდნილია, ხოლო ხატაელთა ამბის ფურცლები, როგორც ვთქვით, საცავი ფურცლის მეშვეობით ყდაზეა მიმაგრებული. „ქილილა და დამანას“ ტექსტი ნაკლულია: თავსა და მეოთხე ფურცლის შემდეგ თითო ფურცელი აკლია, ბოლოს კი — დიდზე დიდი ნაწილი, ალბათ სამ მეოთხედამდე მაინც. ძველად, რაგინდ დიდი ყოფილიყო თხზულება, ჩვეულებრივ, ერთ წიგნად კინძავდნენ. მისი ნაწილებად, ტომებად შეკვრა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მიღებული არ იყო. „ქილილა და დამანას“ ამჟამინდელი ყდა დამატებით 4—5 ათეულ ფურცელს თუ დაიტევს, მეტს ვერა. ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ხატაელთა ამბის მოღწეული ფურცლები ამ ყდისათვის ორგანულია, მაშინ როდესაც „ქილილა და დამანას“ ნაკლული ხელნაწერი ამ ყდაში შემდეგ, მექანიკურად უნდა იყოს ჩადებული.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი: აღნიშნული ფურცლები ვეფხისტყაოსნის, ან მისი გაგრძელებების, ან კიდევ თუნდაც საკუთრივ ხატაელთა ამბის მთლიანი ხელნაწერის ნაშთია, თუ მისგან რაიმე საჭიროების გამო უბრალოდ გადაწერილი ფურცლები? ამის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, საზოგადოდ, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერული მემკვიდრეობის სიმდიდრისა და, კერძოდ, ამა თუ იმ რედაქციული სახეობის გავრცელების განსაზღვრისათვის.

ყდა ამ საკითხზე არაფერს გვუბნება. მასზე ოქროსფერად ამოტვიფრულია ყდის შესაბამისი სიდიდის ოთხკუთხა, ექვსკუთხა და პატარა რომბისებური გამოსახულებანი, მაგრამ რაიმე წარწერა არ გააჩნია.

გადამწყვეტ საბუთს ვერც საძიებელი ფურცლების გაფორმება იძლევა. ის ფაქტი, რომ ტექსტი ღარიბულად არის გაფორმებული (არაკალიგრაფიული ხელი, სასვენი ნიშნების უქონლობა, სათაურის, სტროფის დასაწყისი სიტყვებისა და სტროფგამყარი „და“-ს გამოუყოფლობა, ლაფსუსები) უთუოდ ეჭვის ქვეშ აყენებს მთლიანი ხელნაწერის ნარჩენად მის მიჩნევას, მაგრამ ამის დაბეჭითებით თქმის უფლებას მაინც არ იძლევა. მრავლად მოიპოვება გვიან პერიოდში გადაწერილი ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების, მათ შორის ვეფხისტყაოსნის, სრული ხელნაწერები, რომლებიც ისე არაკვალიფიციურად არის შესრულებული, როგორც ჩვენთვის საინტერესო ფურცლებია. გარდა ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მათ მაინც მოეპოვება ხელნაწერი წიგნებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი: სტროფგამყარი „და“-ს გამოყენება, სტრიქონთა ბოლო ასოების გამოყოფა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ტექსტი გადაწერილია სუფთად, სიმეტრიულად, ფურცლები შევსებულია სრულად. ამ მხრივ რაიმე დაუდევრობას ადგილი არა აქვს.

დასმული საკითხისათვის უფრო საყურადღებოა ტექსტის დასაწყისი და დასასრული. როგორც უკვე მივუთითეთ, ტექსტი იწყება მეოთხე სტრიქონით.

რაც შეეხება „პრო პატრიას“, ამგვარი ჭვირნიშნით ქალაქი გამოდიოდა 1683—1848 წლებში რუსეთში გამოსვლას იწყებდა მე-18 საუკუნის 40-იანი წლებიდან. საერთოდ, ამ ჭვირნიშნის ქალაქი ყველაზე მეტად გავრცელებული იყო 1781—1800 წლებში, რაც შეესაბამება ხატაელთა ამბის ჩენი ფრაგმენტის ხელის მიხედვით დათარიღებას (С. А. Клепиков и М. В. Кук у ш к и н а, Филigrань «Pro Patria» на бумаге русскогo и иностранного происхождения, Сборник статей и материалов Библиотеки АН СССР по книговедению, Л., 1965, გვ. 83—191, т. III, Л., 1973, გვ. 319—383).

4. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 4

აქ თავისუფლად შეგვეძლო გვეგულისხმა, რომ მას თავის დროზე წინა ნაწილი მოეპოვებოდა და იგი მთლიანი თხზულების სახით წარმოგვედგინა, მაგრამ ანალოგიური ვითარება ტექსტის ბოლოს სხვას გვიჩვენებს: ტექსტი მთავრდება მესამე სტრიქონით, მაგრამ მეორე გვერდზე არ გრძელდება, მაშინ როდესაც ამის საშუალება არის. იმ შემთხვევაშიაც კი, ბოლო სტროფი რომ დასრულებული სახით იყოს წარმოდგენილი, შინაარსის მიხედვით ვერ დავუშვებდით, გადაწერს ხელნაწერი, თხზულება ამ ადგილას დამთავრებინა. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, გამორიცხავს ტექსტის შემდგომი ნაწილის არსებობას, რაც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის საძიებელი ფურცლების მთლიანი ხელნაწერის ნაშთად მიჩნევას. მაგრამ არც ეს იძლევა კატეგორიული დასკვნის გაკეთების უფლებას. აქ არაერთი საპირისპირო ვარაუდის დაშვება შეიძლება. საზოგადოდ, გამორიცხული არ არის, გადაწერს ხელნაწერი დამთავრებელი დარჩენილია. გარდა ამისა, ადვილი შესაძლებელია, აღნიშნული ფურცლები სრული ხელნაწერისათვის იწერებოდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, ვთქვათ, მასში დაშვებული ლაფსუსების გამო, იგი უარყოფილი, დაწუნებულ იქნა. ადვილი დასაშვებია ისიც, რომ ისინი ნაკლები ხელნაწერის შესავსებად დაიწერა. ამგვარ ვარაუდთა უფლებას იძლევა ზემოთ მითითებული ფორმალური მხარეები — „და“-ს გამოყენება, ბოლო ასოების გამოყოფა და სხვა, რომლებიც ხელნაწერი წიგნებისათვის არის ნიშანდობლივი და ჩვენს ფურცლებში კი თავიდან ბოლომდეა გატარებული.

ამრიგად, არსებული მასალები განხილულ საკითხზე გადაჭრით რაიმეს თქმის უფლებას არ იძლევა. ჩვენ უფრო გვეონია, საძიებელი ფურცლები ვეფხისტყაოსნის, ან თუნდაც ხატაელთა ამბის სრული ხელნაწერის უშუალო ნაშთს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ხელნაწერი წიგნისათვის, ან ნაკლები ხელნაწერის შესავსებად გადაწერილი და, ამ გავებით, ხელნაწერის ნაწილი კი ადვილი შესაძლებელია იყოს.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ კიდევ უფრო გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ყდისათვის არც ჩვენი ფურცლებია ორგანული ნაწილი. მსგავსად „ჭილილა და დამანასი“, ისინიც შემდგომ იქნა ამ ყდაში შეტანილი და ჩაწებებული.

ახლა ძირითადი საკითხი — რას წარმოადგენს ტექსტი.

ჩვენი ხელნაწერი ზედმიწევნით მიჰყვება J ნუსხას<sup>9</sup>. J, რომელიც<sup>10</sup> გადაწერილი უნდა იყოს მე-17 საუკუნის ბოლოს<sup>11</sup>, რედაქციულად მეტად საინტერესო ხელნაწერია. ვეფხისტყაოსნის ძირითად ნაწილში იგი ერთიანდება KOTG<sup>1</sup> ხელნაწერთა ჯგუფში. ამ ჯგუფთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს აგრეთვე G

<sup>9</sup> ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს აქ და ქვემოთაც ვასახელებთ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“ მიღებული ლიტერების მიხედვით, რომლებიც გამეორებულა ვეფხისტყაოსნის 1966 წლის ვარიანტებთან გამოცემაში (რედაქტორები ი. შანიძე და ა. ბარამიძე): J—H [461 (ბ. მავაშვილისეული), K—S 4499 (მ. ნაკაშიძისეული), O—K 205 (ქუთაისური, რ. დათეშვიძისეული), T—W 17 (ოქსფორდული, მზეხათუნისეული), G<sup>1</sup>—Q 796 (ა. ქავთარაძისეული), G—S<sup>2</sup> 4988 (ი. ჭიჭიანიძისეული), H—H 2610 (პ. კარბელაშვილისეული).

<sup>10</sup> ძირითადი ლიტერატურა მის შესახებ მითითებულია ს. ც ა ი შ ვ ი ლ ს წიგნში: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 55.

<sup>11</sup> რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ჰეირნიშნები, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 67.

და H ხელნაწერები. ამ რედაქციული ჯგუფიდან ქვერედაქციის სახით გამოიყოფა JT ხელნაწერები<sup>12</sup>.

J ძირითადად ანალოგიურ რედაქციულ თვისებებს ამჟღავნებს ვეფხისტყაოსნის გავრცელებებშია<sup>13</sup>.

მოვიყვანოთ ნიმუშები იმისა, თუ როგორ მიპყვებიან ერთმანეთს J და ჩვენი ფრაგმენტი და რა რედაქციულ თავისებურებებს გვიჩვენებენ; ბოლოს, რა განსხვავებაა მათ შორის.

დავიწყოთ ძირითადი რედაქციული ჯგუფის ჩვენებით. ქვემოთ ჩვენს ფრაგმენტს J<sup>2</sup> ლიტერით აღვნიშნავთ.

ხატელთა ამბის მონაკვეთზე, რომელსაც ჩვენი ფრაგმენტი განეკუთვნება, J ძირითად რედაქციულ ჯგუფს ქმნის HKOTG'P' ხელნაწერებთან. ზოგჯერ მათთან არის G და ე. წ. თავისებური რედაქციის ნუსხები<sup>14</sup> J<sup>1</sup>, R<sup>1</sup>.

მაგალითები:

1823 (1618) გ. ბერიი ზოგნი (ზოგი JJ<sup>2</sup>T) JJ<sup>2</sup>, HKOTG'P', J', R.'

1829 (1624) ბ. უფროსი დანავიჯლია ცულად (-თ J<sup>2</sup>HP') ცოცხალსა მივლინა (მივლია HP') JJ<sup>2</sup>, HKOTG'P'.

1832 (1627) ბ. ცხელი აწ დამწვა ქარმან მამქროლა JJ<sup>2</sup>, KOTG'P'.

1833 (1628) გ. არა ზის მასლაქი (აწ HP<sup>1</sup>) აღარ (აღარა J<sup>2</sup>, HOG'P<sup>1</sup>) ზის JJ<sup>2</sup>, HKOTG'P'.

1834 (1629) დ. ათასი ათასჯერ (-ელ G<sup>1</sup>) JJ<sup>2</sup>, HKOTG'P'.

1836 (1631) ბ. გპირს გაქვს JJ<sup>2</sup>, HKOTG'P', G, J<sup>1</sup>, R<sup>1</sup>. და სხვ.

ამ ძირითადი რედაქციიდან ქვერედაქციული ჯგუფის სახით გამოიყოფა HJTP' ხელნაწერები და მათთან არის ჩვენი ფრაგმენტი:

ამ ხელნაწერებში და ჩვენს ფრაგმენტში აღვიღებთ აქვს შენაცვლებული 1822 (1617)—1823 (1618) სტროფებს. საინტერესოა, რომ K-ში 1822 (1617) სტროფი ორჯერ არის: თავის ადგილას და 1823 (1618) სტროფის შემდეგაც. ოღონდ ეს უკანასკნელი ვადამწერს შემდეგ ვადაუხაზავს. K-ში 1823 (1618) სტროფის შემდეგ მდებარე 1822 (1617) სტროფი წაკითხვებით ემთხვევა HJTP'-ის 1822 (1617) სტროფს (ვარიანტებში მას K\*-ით აღვნიშნავთ).

წაკითხვები:

1822 (1617) ა. ტარისს მათ ლომთა JJ<sup>2</sup>, HK\*TP'.

1827 (1622) ბ. მათ მწეთა მუნ მათი (მათ J<sup>2</sup>, მათნი HP<sup>1</sup>) JJ<sup>2</sup>, HTP<sup>1</sup>.

1828 (1623) ა. გამზრდელსა გამზრდელზედ JJ<sup>2</sup>, HTP<sup>1</sup>,

1830 (1625) დ. მუნა მაშინ JJ<sup>2</sup>, HTP<sup>1</sup>; ვერა ვინ JJ<sup>2</sup>, HTP<sup>1</sup>; გაცინებთ გაცინებულ JJ<sup>2</sup>, HTP<sup>1</sup>, R<sup>1</sup>.

1831 (1626) დ. გლოვა სულთქმა JJ<sup>2</sup>, HTP<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში გამოიყოფა და მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებს JT-ს. ხატელთა და ხეარაზმელთა ამბებში ეს ხელნაწერები ასევე ერთად არის, ოღონდ იმდენი ვა-

<sup>12</sup> დასახელებული რედაქციული ჯგუფის შესახებ იხ.: ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები, თბ., 1970, გვ. 183—188, 192, 213, 226—233, 237, 246—248, 263—279, 288—290, 301; ტ. II, თბ., 1970, გვ. 35—38, 53—55, 63—65, 71—72, 78—79; მ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის, თბ., 1977, გვ. 43—55, 70—135; ბ. დ ა რ ჩ ი ა, ვეფხისტყაოსნის ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის თავისებურებანი და მისი შექმნის დრო, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1975, გვ. 42—52.

<sup>13</sup> ვრცლად ამ საკითხზე იხ. ჩვენი ნაშრომი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გავრცელებების მიხედვით, თბ., 1975, გვ. 54—71, 131—147, 151—153, 158—161, 165—177, 186, 189.

<sup>14</sup> J<sup>1</sup>—H 783, R<sup>1</sup>—D 12904/190.

რიანტული ნიარფეროვნებით არ გამოირჩევა, როგორც საკუთრივ ვეფხის-ტყაოსნის ნაწილში. ხატაელთა ამბის განსახილველ ეპიზოდში არის შემთხვევები, როდესაც ეს ნუსხები გამოცალკევებულნი არიან და მათთან არის ჩვენი ფრაგმენტი:

1822 (1617) ა. მოსრული // მოსული // მოსულნი მოსულა JJ<sup>2</sup>, T.

1827 (1622) დ. ზახილით ზარითა (ზარით J<sup>2</sup>) JJ<sup>2</sup>, T.

1839 (1634) ბ. გაუბირა // გააპირა დააპირა JJ<sup>2</sup>, T. და სხვა.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც J თავის ჯგუფს შორდება და ემთხვევა სხვა რედაქციის ნუსხებს, მათთან დგას ჩვენი ფრაგმენტი:

1824 (1619) დ. მით (მუნ KOG<sup>1</sup>) მით JJ<sup>2</sup>, EF<sup>1</sup>J<sup>1</sup>.

1827 (1622) ა. გამოდგეს HKOTG<sup>1</sup>P<sup>1</sup> გამოჩნდეს (გამოჩნდენ JJ<sup>2</sup>) JJ<sup>2</sup> და ყველა დანარჩენი ხელნაწერი.

1836 (1631) გ. არ ხაშს სიტყვის დაყოვნება HKOTG<sup>1</sup>P<sup>1</sup> აწ არა გეცალს ვრძლად (გძლად JJ<sup>2</sup>, RH<sup>1</sup>N<sup>1</sup>) უბნება JJ<sup>2</sup> და ყველა დანარჩენი ხელნაწერი.

ჩვენი ფრაგმენტი იმეორებს J-ის თავისებურ, მათ შორის გრამატიკულ-ორთოგრაფიული ხასიათის, წაკითხვებს, რომლებიც სხვა ნუსხებში არ დასტურდება:

1840 (1635) სტროფში J და J<sup>2</sup>-ში ადგილები აქვს შენაცვლებული მეორე და მესამე სტრიქონებს.

1822 (1617) გ. მოვიდეს| მოვიდნენ JJ<sup>2</sup>.

1824 (1619) ა. უსალამან| ესალამან JJ<sup>2</sup>.

1826 (1621) ე. ხმობდეს იძახდეს| ხმობდნენ იძახდნენ JJ<sup>2</sup>

1830 (1625) ა. მოხევიენეს| მოხევიენენ JJ<sup>2</sup>. ბ. ტირილიცა/ ტირილსაცა| ტარიელცა JJ<sup>2</sup>,

X<sup>1</sup>.

1831 (1626) გ. გამოსახვად| გამოზრახვად JJ<sup>2</sup>.

1832 (1627) გ. ამისმან| ამისად JJ<sup>2</sup>. დ. თქვენი სიცოცხლე| თქვენან სიცოცხლემ JJ<sup>2</sup>.

1833 (1628) ა. ჰაი/აპა/ჰიპი| აპი JJ<sup>2</sup>.

1835 (1630) ა. მცირე ხანი~JJ<sup>2</sup>. გ. გულს| გულსა JJ<sup>2</sup>. დ. აკოცეს და|აკოციან JJ<sup>2</sup>; თავის-თავის| თავის თავად JJ<sup>2</sup>.

1837 (1632) გ. დაგვემენ//დაგვემენ//დაცემენ| დაცემდა J, დასცემდა J<sup>2</sup>.

1838 (1633) დ. იცინოდით და იმღერდით| სიცილით მხიარულობდით JJ<sup>2</sup>.

1840 (1635) ა. აიხადა| გაიხადა JJ<sup>2</sup>. გ. დამოსა| დამოსნა JJ<sup>2</sup>.

1841 (1636) გ. მათმცა//ვისცა//ვითა| მათსამც JJ<sup>2</sup>. დ. რამცა//რამცა გვანდა| რადამც გვინდა JJ<sup>2</sup>; სოფელს შვილი| შვილი მათებრ JJ<sup>2</sup>.

1843 (1638) გ. მანდობდეს| მანდობდეს JJ<sup>2</sup>. და სხვა.

განსხვავება J-სა და ჩვენს ფრაგმენტს შორის ძალიან მცირეა და განისაზღვრება გრამატიკულ-ორთოგრაფიული ფორმებითა და კალმისმიერი შეცდომებით. აი, არსებითი სხვაობა მათ შორის:

J-ის წაკითხვები:

1821 (1616) დ. ტარიას

1822 (1617) გ. რაზმისა

1824 (1619) გ. გამოენდუნეს

დ. მოელოდნენ

1827 (1622) ბ. ფლასითა, მათი

დ. ზარითა, იცმდენ

1828 (1623) ა. ვითა

გ. თავსა

დ. მოჭფოცხავს

1829 (1624) ბ. ცუდად

გ. სდის

J<sup>2</sup>-ის წაკითხვები:

ტარია

რამაზის

გამოენდუნეს

მოელოდნენ

ფლასით, მათ

ზარით, იცემდენ

ვით

თავს

მოჭფოცხავ

ცუდათ

სზდის

1830 (1625) გ. ჩამოსცივედნეს	ჩამოსცივედეს
1831 (1626) გ. წყალობისა	წყალობის
დ. მივეცეთ	მივეცეთ
1833 (1628) გ. აღარა	აღარა
1834 (1629) ბ. მთხელები	თხელები
1835 (1630) ბ. ეთაყვანენ	ეთაყვანენ
დ. თოთვეულად	თოთვეულად
1837 (1632) გ. მტერი, ყოლ	მტერი, ყოვლ
1839 (1634) ბ. მეფისასა	მეფისას
1840 (1635) გ. დამზადა	დამზადა
1841 (1636) ბ. შეჭფერობდენ	შეჭფეროდენ
1842 (1637) ა. მისას	მისას
ბ. სახელმწიფო	სახემწიფო
გ. დააიწყებს	დაიწყებს
1843 (1638) ა. ორნივე	ორნივე
ბ. ბუკსა	ბუკსს
გ. საქურჭლეთა	საჭურჭლეთ

აქედან საყურადღებო და ანგარიშგასაწევია მხოლოდ და მხოლოდ ერთი წაკითხვა:

1822 (1617) გ. მოვიდეს (-დნენ JJ<sup>2</sup>), ნახეს: რ ა მ ა ზ ი ს ლაშქარი ძლივღა ვტია.

ასეა ყველა ხელნაწერში, მათ შორის ჩვენს ფრაგმენტში. JT-ში „რამაზის“ ნაცვლად არის „რაზმისა“, რაც აშკარა შეცდომაა. ეს კიდევ იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენი ფრაგმენტი J-საგან გადაწერილი არ არის.

ამრიგად: 1. „ქილილა და დამანას“ ონანა მდივნისეული რედაქციის ნუსხაში მოთავსებული ხატელთა ამბის ხელნაწერი-ფრაგმენტი, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს მე-18 საუკუნის ბოლოს ან მე-19 საუკუნის დასაწყისში, ზედმიწევნით მიჰყვება J ხელნაწერს, მაგრამ მისგან გადაწერილი არ არის. რედაქციულად იგი განეკუთვნება HJKOTG'P' ხელნაწერთა ჯგუფს, რომლისაგან ქვერედაქციის სახით გამოიყოფა HJTP'.

2. აღნიშნული ფრაგმენტი ვეფხისტყაოსნის, ან მისი ვაგრძელებების, ან კიდევ საკუთრივ ხატელთა ამბის სრული ხელნაწერის უშუალო ნაშთს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ხელნაწერი-წიგნისათვის გადაწერილი, ან ნაკლები ხელნაწერის შესავსებად დამზადებული, ადვილი შესაძლებელია იყოს.

Б. Ш. ДАРЧИЯ

ФРАГМЕНТ РУКОПИСИ СКАЗА О ХАТАЙЦАХ

Резюме

В труде рассмотрен фрагмент рукописи дополнения поэмы Ш. Руставели—сказа о хатайцах, помещенный в рукописи «Калилы и Димны», редакция которой принадлежит Онана Павленишвили. Фрагмент сказа о хатайцах, по всей вероятности, относится к концу XVIII или к началу XIX века. Он дословно следует рукописи J (H—461), но не является ее копией. С редакционной точки зрения названный фрагмент принадлежит к группе рукописей H (H—2610), J(H—461), K(S—4499), O(K—205), T(W—17), G'(Q—796), P'(S—2525). Из этих редакций в виде подгруппы выделяются HJTP' и указанный фрагмент.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა



ოზარ გვატაძე

დიალოგი ქართულ ჰაგიოგრაფიაში (V—XI სს.)

ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიციის ერთ-ერთ კომპონენტს— დიალოგს მნიშვნელოვანი ესთეტიკური ფუნქცია აქვს არა სინამდვილის მხატვრული გარდასახვისათვის. ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი მიძღვნილი გამოკვლევები ადასტურებენ ამ ლიტერატურული მოვლენის სირთულეს და მრავალმხრივობას; აღნიშნავენ, რომ «диалог предстает как конкретное воплощение языка в его специфических средствах, как форма речевого общения, сфера проявления речевой деятельности человека и— шире— как форма существования языка»<sup>1</sup>. მხატვრული ნაწარმოების დიალოგი ცოცხალ ესთეტიკურ ღირებულებას იძენს მაშინ, როდესაც მასში პიროვნების ხასიათი ჩანს, ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა თვალსაზრისი, რეპლიკების გაცვლით იხატება ადამიანთა განცდები და ემოციები.

როგორია დიალოგიურ მიმართებათა გამოხატვა V—XI საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში? თავიდანვე პირობითად უნდა განვასხვავოთ „დიალოგიური მეტყველება“ როგორც მაკროსტრუქტურა და საკუთრივ დიალოგი როგორც მიკროსტრუქტურა, დიალოგიური დამოკიდებულებანი ტექსტებს შორის და ტექსტებს შიგნით (მ. ბახტინი). პირველ შემთხვევაში შეიძლება ვიგულისხმოთ ლიტერატურული ნაწარმოების ის თვისება, რომ თუნდაც იგი «ни с кем и ни с чем открыто не полемизирует, в той или иной степени с чем-то сходится, и уже тем самым меняет соотношение сил на литературной арене. Это изменение сил может совершаться в плане общественной или литературной борьбы, в плане борьбы направлений и стилей, индивидуальных в том числе»<sup>2</sup>. ასეთი კუთხით ძველი ქართული მწერლობის კვლევა ფრიად გადაუღებელი ამოცანაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს დიალოგი, როგორც რთული მეტყველებითი კომპლექსი და ქართულ ჰაგიოგრაფიაში მისი სხვადასხვა სტრუქტურული ტიპის გამოვლენა. ეს უკანასკნელი ჩვენ მიერ არ არის განვიხილული ლინგვისტური თვალსაზრისით. ჰაგიოგრაფიული ქანრი არა როგორც სიტყვაში გარდასახული სამყაროს ფორმალურ-ლოგიკური ორგანიზაცია, არამედ როგორც მხატვრული შინაარსის ტიპი ავტორის თხრობის მანერას უქვემდებარებს პერსონაჟთა მეტყველებას; ამავე დროს კიდევაც ქმნის „დიალოგის ჩაკეტულ სტრუქტურას“ (ვ. ოდინცოვი), რომელიც სიუჟეტის განვითარებისა და პიროვნების ხასიათის განსნის ერთ-ერთ მხატვრულ საშუალებას წარმოადგენს. ეს ვარემოება მჭიდროდ უკავშირდება კომპოზიციური აგებულების საერთო პრინციპებს. ქართული ჰაგიოგრაფიის კომპოზიციური მხარე თეორიულად განხილულია კ. კეკელიძის<sup>3</sup>, რ. ბარამიძის<sup>4</sup>, რ. სარაძის<sup>5</sup> გამოკვლევებ-

\* ზოგადი დებულებების საილუსტრაციოდ არ ვსარგებლობთ მხოლოდ ერთი კონკრეტული ლიტერატურული ძეგლით. დიალოგთა ტიპურობის გამო არ მოგვეყვს ციტატები ყველა თხზულებიდან.

ში. გარკვეულია, რომ პავიოგრაფიულ ბელეტრისტიკაში არსებობს მკვეთრად გამოხატული „კომპოზიციური შაბლონები“. ქართული პავიოგრაფიისათვის დამახასიათებელია აგებულების მთლიანობა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), რომლის საფუძველს ქმნის მოქმედებათა განვითარების ტენდენცია; მარტივლო-ლოგიური ძეგლების კომპოზიცია მარტივია, მასში არ არის მოცემული სხვა-დასხვა სიუჟეტურ რაკლთა მონაცვლეობა; ამები გადმოცემულია ცხოვრებისეულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, ე. ი. მწერალს პასიურად გადმო-აქვს სინამდვილე. ამ თვალსაზრისით „ცხოვრებანი“ ერთგვარად განსხვავდება მარტივლოლოგიური ხასიათის ძეგლებისაგან. ლიტერატურათმცოდნეობაში აღ-ნიშნულია აგრეთვე, რომ პავიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო მოვლენების დროში თანმიმდევრობით გადმოცემის პრინციპი.

როგორც ვხედავთ, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი უპირატესად პავიოგრაფიული თხზულებების კომპოზიციის გარეგნულ მხარეს. დიალოგების მონაცვლეობა კი მხატვრული ნაწარმოების შინაგანი თავისებურების სფეროს განეკუთვნება.

პავიოგრაფი გვიხატავს ისტორიულ კონკრეტულ პიროვნებებს და აგვიწერს იმ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს, რომელშიც გმირი ცხოვრობს და მოღვაწეობს. შუა საუკუნეების „ლიტერატურული ეთიკების“ (დ. ლინჩაოვი) თანახმად, მწერალი ისწრაფის ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურით მთლიანობაში ანთისის სინამდვილე, ცხოვრება, ცხოვრება კი, — წერს მ. ბახტინი, — თავისი ბუნებით დიალღური. იცხოვრო, ეს ნიშნავს მონაწილეობა მიიღო დიალოგში, მოუხმინო, უპასუხო, დაეთანხმო და ა. შ. ამ დიალოგში ადამიანი მონაწილეობს მთელი თავისი ცხოვრებით: თვლებით, ბაგეებით, ხელებით, სულით, მთელი სხეულით, მოქმედებებით. ადამიანი თავის თავს ათავსებს სიტყვაში. სიტყვა კი შეიძლება ადამიანის ცხოვრების დიალოგურ ქსოვილში, მსოფლიო სიმპოზიუმში“. ქართული პავიოგრაფიის მხატვრულ სამყაროსთან ამ შესვლის მისაღებად, თვალსაჩინო ხდება, რომ პერსონაჟთა სახეები ესთეტიკური და მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულებით იმსება სხვა ადამიანებთან თუ საგნებთან და მოვლენებთან შეხებით, არეკლით. ყოველ სიტყვას, ფრაზას, რეპლიკას, ხმას, დუმილს, პოზას, ინტონაციას — დიალოგის მიკრო-სტრუქტურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სინამდვილის მხატვრული გარდასახვისათვის.

პავიოგრაფიის მხატვრული სამყარო ადამიანს წარმოაჩენს არა მარტო ავტორისეული თხრობა-დახას-ათებით (მყარი ფორმულები: ნეტარი, წმინდა, სანატრელი, სძალი და სხვ.), არამედ ობიექტურად გადმოცემულ დიალოგებისა და ურთიერთშესიტყვეებების იქით წარმოდგინდება კონკრეტული ხატი პიროვნებისა, თავისი რეალური ცხოვრებისეული განცდებითა და მისწრაფებით. აქ როგორც სახარებაში საუბარი მიმდინარეობს ისე, რომ პერსონაჟები პირისპირ დგანან, ერთმანეთს თვალს არ აცილებენ და ყოველ სიტყვას დაძაბულად უსმენენ. ე. აუერბახს მაგალითისათვის მოჰყავს პეტრეს მიერ ქრისტეს სამჯერ უარყოფის სცენა მარკოზის სახარებიდან: „და ვითარცა იხილა იგი, ტყეზორდა რაა, მიჰხედა მას და ჰრქუა: და შენცა იყავ იესუსს თანა ნაზარეველისა. ხოლო მან უფარ-ყო და თქუა: არა ვიცი და არცა უწყი, რასა-ეგე იტყვ შენ. და გამოვიდა პეტრე გარეშესა მას ეზოსა და ქათამიან ჭმა-ყო და კუალად იხილა იგი მკველმან მან და იწყო სიტყუად წინაშე მდგომარეთა მათ, ვითარმედ:

ესეცა მათგანვე არს. ხოლო მან კჳალად უარყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა წინაშე მდგომელნი იგი ეტყოდეს პეტრეს: ქვეშარიტად მათგანი ხარ და რამეთუ გალილეელი ხარ, და სიტყუადცა შენი გამოგაჩინებს, ხოლო პეტრე იწყო შეჩუენებად და ფიცად ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე, რომელსა იტყუთ“ (მარკოზი, 14, 67, 68, 69, 70, 71). მკვლევარი ასკვნის: „Я не думаю, что у античного историка можно найти хоть одно место, где прямая речь использовалась бы так для краткого, прямого диалога“<sup>7</sup>.

ლაკონიური, ნათელი, ერთი თემატური რკალით შეკრული დიალოგები V—XI საუკუნეების ჰაგიოგრაფიაში მრავალია<sup>8</sup>. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ იაკობისა და შუშანიკის, აბოსა და მსაჯულის, სერაპიონისა და ჩორჩანელის დიალოგები. ძველ ბერძნულ მწერლობაში უპირველეს ყოვლისა პლატონის დიალოგებში, პირველ პლანზეა წამოწეული ქვეშარიტების ძიება დიალექტიკის გზით. ეს არის რიტორიული დიალოგი. პერსონაჟის პირდაპირი სიტყვა უპირატესად გადმოცემულია ცნობილი სენტენციებით, აფორიზმებით, გნომებით. შუა საუკუნეების ხელოვნება არღვევს ძველ მხატვრულ ფორმებს. ქრისტიანული ესთეტიკური აღქმა, უპირველეს ყოვლისა, ემყარება „ადამიანის მხატვრული სახის შინაგანი გათიშულობისა და წინააღმდეგობის პრინციპს“<sup>9</sup>. დიალოგურობა ფართო კონტექსტით, სწორედ ამ ასპექტში უნდა გვეიაზროთ V—XI საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ანტიკური ტრადიციის გმირის — ოიდიპოსის სულიერი და ფიზიკური ტკივილები (სირცხვილის გრძობა, დანაშაულის შეგრძნების საშინელება, გოდება, ტანჯვა) ჰარმონიულობაშია მის გარეგნულ ყოფასთან. იგი, როგორც პიროვნება, განუყოფელია მთელსაცანს. საზოგადოებრივი აზრი ოიდიპოსს და მასთან ერთად გმირიც თავის თავს დამნაშავედ თვლის, თუმცა იგი სუბიექტურად უდანაშაულოა<sup>10</sup>. ასევე, ესქილეს პრომეთეს მხატვრული სახის მთლიანი ხაზის განვითარებაში არ არის დუალიზმი, დაეჭვებით თუ სინანულით სულიერი შრეების განათება.

ჰაგიოგრაფიის გმირი — წმინდანი თუ მოწამე — თავის გზას ირჩევს არა ბედის ფატალურობის, მოსაზღდენის გარდაუვალობის გავლენით, არამედ საკუთარი ნებელობით, შეგნებული გზით. მაგ., აბიბოს ნეკრესელს „შეემთხვნეს ვითინიძე და პრქუეს: „უკუეთუ არა გენბავს წასვლის ჩუენ გაქციოთ საყოველთადვე შენდა“<sup>11</sup>. და არა ინება, რამეთუ სურათად მარტულობად ქრისტესთან“ (I, 243)<sup>11</sup>. „ადამიანმა უნდა მოიპოვოს თავისი უმაღლესი მე“<sup>12</sup>, უნდა ეზიაროს ზეგრძნობად სამყაროს, მაგრამ არა ექსტაზური, გაუცნობიერებელი ხილვებით, არამედ მაღალი შეგნებითა და ნათელი ცნობიერებით გასტივოსნებული გზით“<sup>12</sup>. აქედან გამომდინარე, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა აბოსა და ამირამ შორის უკანასკნელი მოკლე დიალოგის უაღრესი დრამატული ინტონაციის აღქმა, იმ სულიერ ტანჯვათა და თავის თავში ღირებულებათა გადაფასების გარეშე, რომელიც გმირმა განვლო და გადაიტანა. იოანე საბანისძე აბოს მიერ წარმოთქმულ პირველ დიალოგიზებულ მონოლოგს გადმოგვცემს კონტრასტული შინაარსის ფრაზებით, რომელიც საცნაურს ხდის პერსონაჟის შინაგანი სამყაროს მთელ სიმდიდრეს, მის „ნათელი ცნობიერებით გასხივოსნებულ“ უკომპრომისო გადაწყვეტილებას: „სადაღა შემოწყნარა მე ქრისტემან... და განმავორა ჩემგან იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩემისაჲ და ღირსყო მე ნათელსა მისსა, არსადა უფარ-ვეო მე სახელი მისი, დაღათუ

ბევრეული ოქროსად და ვერცხლისად მომცენ მე, გინა თუ ტანჯვითა და გუემითა განმკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყვარულისა უფლისა ჩემისასა. და აწ ნუ დამაჩენებ...“ (I, 161). [ქრისტემ (ნათელმა) „განმაშორა ჩემგან ბნელი; სიყვარული უფლისა (სიკეთე, სიწმინდე) — უფლის უარყოფა ოქროსა და ვერცხლის დაპირებით“ (სიხარბე)].

ლიტერატურათმცოდნეობაში მითითებულ სხვადასხვა ხასიათის დიალოგთაგან<sup>13</sup> ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ყველაზე ხშირად გვხვდება კითხვა-პასუხის ტიპისა, რომელიც ზოგ შემთხვევაში იღებს დიალოგი-კამათის ფორმას. ერთი დიალოგის ფარგლებში ორი თვალსაზრისი, ორი პოზიცია უპირისპირდება ერთმანეთს—მწვალბეღელი და მოწამე. ეს არის კლასიკური ქრისტიანული დიალოგური სინკრეზი. «Огромное организующее значение в христианских жанрах, как и в менипее, имеет и с п ы т а н и е и д е и е е е н о с и т е л я , и с п ы т а н и е с о б л а з н а м и и м у ч е н и ч е с т в о м ( о с о б е н н о , в ж и т и й н о м ж а н რ ე ) »<sup>14</sup>.

იღვის გამოცდის დრამატული სცენები, რომლებიც დიალოგის ფორმი-თაა გადმოცემული, უპირატესად მარტივობათა წიგნებში გვხვდება.

აბიბოს ნეკრესელმა საპარსოა ლეთაება — ცეცხლი წყლით „დაშრიტა“. ამისათვის იგი სარკინოზეზმა შეიპყრეს და მარზპანს მიჰგვარეს: «პრქუა მარზპანმან მან: „რამათუს უეარ-ჰყავ უფლება მეფეთ-მეფისა და მოჰკალი ღმერთი ჩუენი?“».

მიუგო აბიბოს და პრქუა: „მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესო ქრისტე. ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დაეშრიტე იგი, რაათამცა საც-თური განვაქარვე ეშმაკისა. ხოლო გლოცავ, რაათა განეყენეთ უნდოსა მას მსახურებასა და ღმერთი მხოლოდ იცანით, რომელისა მიერ დაებადა ყოველი, და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ...“

პრქუა მას მარზპანმან მან: „მე გკითხავ, რამათუს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ ვნებავს, რაათამცა შენისა ღმრთისა წარგუყვანენ?“ ხოლო ნეტარმან მან აბიბოს პრქუა: „უწყებელ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დაეშრიტე. არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათავანი არს, ერთისა ნიუთისაგანი მცირედ ნაწილი, რომელთაგან აღჰმართა ღმერთმან სოფელი ესე... აწ მიკვირს თქუენი ესევეითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხვილ გიჩანს მის სახელის დება ღმერთად...“

მაშინ განრისხნა ფრიად მარზპანი იგი მეფისა და შემდგომად მრავლისა გუემისა და საკურველთა სატანჯველთადასა ქვეითა განტუნნეს იგი, ნეტარი აბიბოს, და მოკლეს და განათრის გარეშე ქალაქსა...“ (I, 244—45). პეტრონაეთა ეს „სიტყეებით შეჯახება“ (გრ. კიკნაძე) ფიზიკური ბრძოლის მაუწყებელია. მარზპანის რეპლიკები მცირე მოცულობისაა აბიბოსის რეპლიკებთან შედარებით. თავიდან მისი კითხვა ერთგვარი მშვიდი და მომლოდინეა. როგორც სხვა ჰაგიოგრაფიული თხზულებების მწვალბეღები (მაგ., „ევესთათი მცხეთელის წამებაში“, „აბოს წამებაში“) იგი სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხს წყვეტს. აბიბოსის „საპასუხო რეპლიკას ორგვარი მიმართულება აქვს: და მიემართება მოსაუბრის სიტყვას — „მე არავინ ვიცი მეუფედ...“ და თეატრონში“ შეკრებილთ (და საერთოდ მკითხველს): „ხოლო გლოცავ, რათა განეყენეთ უნდოსა მას მსახურებასა...“ მარზპანის მეორე რეპლიკა უკვე თავისთვის არასასურველი პოზიციის მოხსნას ცდილობს. აღნიშნავს,

რომ მის კითხვას ვერ უპასუხეს და მოკამათის აზრს ირონიული ტონით იძეორებეს: „მე გკითხავ, რაასთვის მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ ვნებაეს, რაათამცა შენისა ღმრთისა წარგუყვანენე“.

ღიალოგში გმირის პირდაპირი მეტყველება პირიქით ააშკარავებს მოწინააღმდეგის პოზიციას, იგი მსჯელობის ლოგიკური მიმდინარეობით ასაბუთებს თავის აზრს და მწველებელს კითხვაზე კითხვითვე პასუხობს: „უტუეთუ ღმერთი არს ეგეე?“. ავტორს არ მოჰყავს მარზბანის საპასუხო რეპლიკა, ე. ი. „სხვისი აზრი“, იდეა. პერსონაჟი თავისი ემოციური მოქმედებით ამქლავნებს სათქმელს: „განრისხნა ფრიად მარზბანი“. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში არ იცის სხვისი აზრი, სხვისი იდეები როგორც გაღმოცემის ობიექტური საგანი. სხვისი აზრები უარყოფიან, მაგრამ ობიექტურად არ გაღმოიცემიან. საჭიროა მხოლოდ მოწინააღმდეგის „გამოაშკარავება“ როგორც ბოროტი ძალის მატარებლისა. ასეთნაირადაა გაღმოცემული სწორედ ღიალოგი-კამათი არა მარტო მარზბანისა და აბიბოსს შორის, არამედ ამირასა და ევსტათის, ამირასა და აბოს, კონსტანტი კახასა და ბულას შორის. ჩვენ მიერ დასახელებული კითხვა-პასუხის დიალოგთა მონაცვლეობას თუ დაეკვირდებით, შევნიშნავთ, რომ პერსონაჟთა შესიტყვეებას ჰაგიოგრაფი მიმართავს ვითარცა ერთ-ერთ მხატვრულ საშუალებას მოქმედების დინამიკური განვითარებისათვის, ცალკეული ეპიზოდების მიკროკომპოზიციის შექმნისათვის.

ბასილ ზარზმელის თხზულების ექსპოზიციური ნაწილი, რომელშიც გმირის ვინაობა და წარმომავლობაა გაღმოცემული, მთავრდება მიქელისა და სერაპიონის დიალოგით. მასთანაა დაკავშირებული მოქმედებათა შემდგომი განვითარება (რა თქმა უნდა, მიქელის ხილვასთან ერთად, რომელიც წინ უსწრებს დიალოგს).

მიქელმა „შეგმუნებულთა პირთა ჰრქუა სერაპიონს: „...ფრიად მძიმე აღმიჩნდა ბრძანებაჲ ესე... აწ... [გივმს] რათა განხვდე და აღაშენო სულთ-სამზრუნველოა...“ (I, 323), სერაპიონს ღიდაღ ეძენელა ასეთი საქმის თავსდება, მაგრამ შემდეგ მოძღვარის რჩევით დათანხმდა: „არღარა იკადრა წინა-განწყობაჲ, არამედ შეუ[ვ]ერდა ცრემლით და მოწლედ შეიტკბნეს ურთიერთას წმიდათა მათ...“ (I, 323). ჰაგიოგრაფი აგრძელებს თხრობას: „ხოლო წარმოემართნეს რა, მათ თანეცრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისა...“ და ა. შ., რომელიც კვანძის შეკვრისაკენ მიემართება. დიალოგში მონაწილე პერსონაჟის პირდაპირი მეტყველების თავისებულება განპირობებულია იმ ვითარებით და ისტუაციით, რომელშიც მოქმედებაა გაშლილი. ის სიუჟეტური ფენა, წერს გ. ფარულავა, რომელსაც შუედიოსის შინაგანი სამყაროს მოძრაობის ხატები ქმნის, უშუალოდაა დაკავშირებული გრიგოლისა და მის თანამოძმეთა ხანძთაში მოსვლასთან, ყველა დეტალში ამ ამბავთანაა გადაბმული, პირდაპირ აირეკლავს ფაქტს, მოტივირებულია მისით<sup>15</sup>. მკვლევარი მოვლენათა ასეთ განვითარებას უწოდებს ფაქტობრივ სიუჟეტს. გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, თუ როგორ შემურდა ბელიარს წმიდა მამის ეფთვმის დაფასება და სიყვარული ძმათა მიერ, მისი შემოქმედებითი წარმატებანი. ჰაგიოგრაფი ამბობს: „ფრიად ეღმოდა და განილოდა შურითა...“ მოქმედებათა შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ამ ამბავთან. ბელიარმა მონაზონი მიუგზავნა ეფთვმეს მოსაკლავად. ეს ნაწილი თხზულებისა დიალოგით არის გაღმოცემული: ეფთვმეს მოწაფეს „შეემთხვა... განცოფებული იგი მონაზონი და ჰრქუა ვითარმედ: „წინაშე მამისა აღვალ და მიჟამე“, ხოლო იგი ეტყოდა,

ვითარმედ: „არა ჯერ არს ესრეთ უკამოდ აღსვლა მამისა“. და იგი ეტყოდა: „შეუძლებელ არს, ვითარცა არა აღვედ“... (II, 87). აქ იმ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომელზედაც წერს მ. ბახტინი: «Сказ действительно может иметь иногда лишь одно направление—предметное. Также и реплика диалога может стремиться к прямой и непосредственной предметной значительности»<sup>16</sup>.

ასევე, ბასილ ზარზმელის თხზულებაში სერაპიონის დიალოგი თავის მოწაფეებთან ფაქტობრივი სიუჟეტით არის მოტივირებული: «...და კუალად თქუა: „მე, ძმანო, ამა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხოლო თქუენ იძიეთ მამა და თანამძღუარი, რომელი შემძლებელ იყოს მწყსად თქუენდა, ვითარცა შევითა და ძმათა“.

ხოლო ყოველნი იგი, დღესებულნი ცრემლითა ტიროდეს ფრიად და არა-ენ მიუგო ტირილისა მისგან ფრიალსა და, მოერაგნეს თავთა თვისთა, მიუგეს ესრეთ და ჰრქუეს: „ჩუენ, მამაო, ვინაფთგან თხოვ ვიქნებით ტკბილსა და ყოვლად-მოწყალისა მამისაგან, არა უწყით, რამ მოგივოთ“.

და წმიდმან ჰრქუა: „ვინაფთგან, შეილნო, არას მითხრობთ, მე გლახაკსა თანა მაც, რათა შევე ვიტყოდე ჯერისებრ“» (I, 341).

ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების დიალოგებს არ ახასიათებთ ახალი დროის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სირთულე და მრავალპლანიანობა. მათში უმთავრესად უშუალო განცდები, განწყობილებანი, პოზიციები და ნებელობითი მიმართულებანი ხედებიან ერთმანეთს. X

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ მაინც გამორჩეულად საინტერესო ლიტერატურული ძეგლია. აქ (ტექსტში) ერთმანეთს ხედება და კონტრასტს ქმნის რამდენიმე ხმა დიალოგში, დიალოგი კითხვა-პასუხის ფორმითაა გადმოცემული, რეპლიკები დატვირთულია ფსიქოლოგიურად მოტივირებული ინტონაციებით. მაგალითად, მოვიყვანოთ ერთი პასაჟი ნაწარმოებიდან: „და ჩუენდა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყმაე ერთი და თქუა: „იაკობი მანდა არსა?“ და მე ვარქუე, ვითარმედ „რამ გინებს?“ და მან მრქუა: „უწყეს პიტიახში“ და მე დამიკვრდა, თუ „რამსა-მე მიწყეს ამა ყამსა?“ და მივისწრაფე და მივედ. და მრქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა. და ჩემი სამკაული მას არა დაუტევო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, — იპოს ვინნე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რამცა რამ არს“, ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუნა და მივართუ პიტიახსა. და მან მიიღო ჩემგან და აღიხილა და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: „მერმეცა იპოს ვინნე, რომელმან ესე შეიძკოს“ (I, 18—19). ტექსტის ამ მონაკვეთში ავტორის მეტყველება, რომელიც თვითონ გამოხატავს თავის თავს (თხრობა მიმდინარეობს პირველი პირით) და პერსონაჟთა ხმა ისე მიემართება ერთმანეთს, რომ დიალოგი ობიექტური თხრობისაგან დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. რეპლიკები უღრესად დატვირთულია ფსიქოლოგიური ნიუანსებით. თითოეული რეპლიკის, ფრაზის უკან დგას წარმომტქმელი სუბიექტი. ხმების დრამატულ ელერადობას აძლიერებს პიტიახშის მიერ კონკრეტული სახელის — შუშანიკის ნაცვლად, ნაცვალსახელების მოხმობა („ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს“. „ჩემი სამკაული მას არა დაუტევო...“). ამკარად საგრძნობია შინაგანი დიალოგი. პიტიახში შუშანიკს დაფარულად, უსიტყვოდ ეკამათება („იპოს ვინნე რომე-

ლმან განკაფოს იგი...“). ავტორი თვითონ არის დახატული სცენის მოქმედი პირი. ამვე დროს იგი, როგორც მთხრობელი, ამჟღავნებს თავის აქტიურ პოზიციას მოვლენებისა და საგნებისადმი („და მე დამიჯერდა ფრიალ თუ რაასა მე მიწეეს ამას ყამსა?“, „ხოლო მე მივედ და უთხარ წმინდასა შუშანიკს, ხოლო მან განიხარა ფრიალ და მადლი მისცა ღმერთსა“). სიტყვა პიტიახშისა მიმართულია (პირველ შემთხვევაში) მასთან გამოხმობილ ხუცესისაკენ და ვარდა პირდაპირი აზრისა აქვს მეორე პლანი, რომელიც შინაგან დიალოგში გამოხატება. პავიოგრაფის მხატვრული წარმოსახვა უფაქიზესად გრძნობს ვათამაშებულ სცენის ყველა ფსიქოლოგიურ ნიუანსს და, მიუხედავად იმისა, რომ რალაც დრო გავიდა პიტიახშითან პირველი საუბრიდან, ეპიზოდის საბოლოო რეპლიკას მას უკავშირებს. იაკობ ხუცესი ამ მომენტს ხაზს უსვამს სიტყვებით: „და კულად თქუა“. ვარსკენის მიერ წარმოთქმული რეპლიკა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმაც ესე შეიმოს“ მიემართება მკითხველს (მსმენელს). ეს უკვე საერთოდ ნათქვამი, ყველას გასაგონად წარმოთქმული სიტყვაა. პიტიახში თითქოს ვერც ხედავს მის წინაშე მდგარ ხუცესს, მაგრამ ამ ფრაზას მაინც ჰყავს კონკრეტული ადრესატი და ამდენად იგი უაღრესად დრამატული ტონის მქონეა.

ასევე საინტერესოა იაკობ ხუცესისა და შუშანიკის შეხვედრის სცენა ციხის საკანში. „მრავალი ვედრების“ შემდეგ იაკობს ნება დართო მცველმა ენახა მარტვილი, როდესაც მას უქადეს „ჭურჭერი ერთი სამისოჲ“. ხუცესმა, როცა თავისი აღზრდილი იხილა „ვეითარცა რძალი შემკული საკრველთაგან“, ვერ შეიკავა თავი და ატირდა ფრიალ. შუშანიკმა მას უთხრა: „კეთილისა ამისათვის სტირა, ხუცეს?“ ნაწარმოების გმირის ეს რეპლიკა, გამოწვეული იაკობის მკვეთრი შესტით და მოქმედებით, უფრო მეტს გულისხმობს სიტყვების იქით, ვიდრე სინამდვილეში წარმოდგინდება. მოცემული რეპლიკის და სიტუაციის კონტექსტი გმირის მეფილი ბიოგრაფიის ფონზე იკითხება. იგი ითვალისწინებს იმას, რაც იყო — დედოფლობიდან ერთ ვინმე შეურაცხთაგანამდე — ტანჯვას, გვემას, ამქვეყნიურ სიამეთა გამოტირებას, და იმასაც, რაც უნდა მოხდეს შემდგომ „კეთილისა ამისა“: ეს არის წმინდანის ეკლიანი გზა, რომლის ბოლომდე გავლა რჩეულთა ხვედრია. ავტორმა ეს იცის. ამ ცოდნაშია სწორედ მისი პოზიცია გამჟღავნებული: თანაგრძნობა გმირისა. სცენას განსაკუთრებულობას და სიმძაფრეს სძენს სხვა პერსონაჟის, ამ შემთხვევაში მცველის, რეპლიკა: „ესლა თუმცა მეცნა, არამცა შემოვგიტევე შენ“. ამით იხსნება მოვლენებისადმი ახალი კუთხე ხედვისა ავტორი სიტუაციას აფასებს „სხვისი თვალთ“.)

იაკობ ცურტაველი დიალოგის გადმოცემის დიდი ოსტატია. დიალოგი და გმირის მეტყველება, საერთოდ, ერთი უმნიშვნელოვანესი მხატვრული სახეა მწერლისათვის. პერსონაჟის მეტყველების სახეებს ისევე საგანგებოდ ქმნის შემოქმედი, როგორც მისი მოძრაობის, ექსტის, მიმიკის სახეებს<sup>17</sup>.

ამრიგად, მოქმედების განვითარებისათვის აუცილებელ ყველა მნიშვნელოვან დიალოგში წამყვანი მონაწილეები მთავარი პერსონაჟები არიან.

როგორც აღვნიშნეთ, პავიოგრაფის მეტყველება აცოცხლებს შუა საუკუნეების საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, ვეიხატავს აღძრანებს თავიანთი ბედი და ხასიათებით, მათ სულიერ განცდებს და ეპოციებს. პავიოგრაფის თხრობა ამბების გადმოცემას და პერსონაჟთა პირდაპირ მტ-

ყველბას უქვემდებარებს გარკვეულ მიზანდასახულობას: შექმნას მკითხველისათვის მხატვრულად დამაჯერებელი გმირის სახე-იდეა; ღილოგი, რომელიც გულისხმობს ერთი ადამიანის მეორესთან დაპირისპირებას და თანხმობის თუ უარყოფის გზით რაიმე დასკვნის მიღებას, ამ შემთხვევაში ყველაზე იდეალური ფორმაა ჰაგიოგრაფის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში გაღმოცემული ყველა ღილოგი, რა თქმა უნდა, მხატვრულობის თვალსაზრისით ერთნაირ ყურადღებას არ იმსახურებს. შუა საუკუნეების ლიტერატურულ თხზულებებში ქადაგების სტილისა და გამომსახველობითი საშუალებების ხვედრითი წონა ძალიან ღიოდა; თუმცა ქადაგება ირღვევა ტექსტში დოკუმენტის შემოტანით. ამიტომ ჰაგიოგრაფიაში ღილოგურ მიმართებებს სახეობრივ და არასახეობრივ ნაკადთა თანამიმდევრული მონაცვლეობა განსაზღვრავს. ვ. ოდინცოვის აზრით, ღილოგურ ფორმათა ყველანაირი სახეცვლილების დროს რჩებოდა მთავარი—ილუსტრაციულ-თხრობითი ხასიათი ღილოგისა. «Эта неразграниченность, однотипность художественных функций диалога и повествования, их одноплановость, естественно, не допускала никаких различий между лексикосинтаксическим составом как высказываний персонажей, так и авторского повествования»<sup>18</sup>.

ეს ვითარება ვრცელდება ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე. ხშირ შემთხვევაში ავტორისა და გმირის მეტყველება ღილოგში ერთმანეთისაგან განსხვავებული არ არის. პერსონაჟებს არა აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ენა, ლექსიკა. აზო და მსაჯული, გობრონი და ამირა, კოსტანტი კახა და ბულია, ევსტათი მცხეთელი და ცინოსთავი უსტამი, შემდეგ ვეყან ბუზმირი, გრიგოლ ხანძთელი და სხვა პერსონაჟები — ერთი ენით საუბრობენ. „ერთი ენით“ საუბარში იგულისხმება ერთნაირი სტილიზებული ლექსიკა პერსონაჟებისა, პირდაპირი მეტყველების არანდვიდულაობაცია, ღილოგთა თემატურ რაკლთა სიახლოვე, გმირთა მონოლოგიზებული რეპლიკების მსგავსება ფორმის მხრივ და ა. შ. შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა თხზულების ღილოგებში აზრობრივი შინაარსისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების დამთხვევა:

„წამებად აზოდასი“: «წარადგინეს იგი წინაშე მსაჯულსა მის, და ჰრქუა მას მსაჯულმან: „რად არს, ჰაბუკო, რად განიზარახე თავისა შენისა?“ ხოლო წმიდა მოწამე აღივსო სულითა წმინდითა და ჰრქუა მას: „მე განვიზარახე და ქრისტიანე ვარ!“» (I, 70).

„გობრონის წამება“: «მოვიდეს წინაშე ამირასა მის, ჰრქუა ამირამან: „რად გამოარჩიე თავისა შენისა?“ ჰრქუა წმიდამან გობრონი: „მე პირველადვე გითხარ შენ არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან“ (I, 181). ან კიდეც, „ევსტათი მცხეთელის წამება“: „ხოლო წმიდამან ევსტათი ჰრქუა: „არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყვარულისათჳს, არამედ სიკუდილიცა თავი ჩემი არა მეწყალის“» (I, 32).

„წამებად აზოდასი“: «ხოლო მას ჰრქუა მათ: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესათჳს, არამედ სიკუდილიცა“» (I 64).

ქართველი ჰაგიოგრაფი, ისევე, როგორც ბიზანტიური, ძველი რუსული და ძველი სომხური მწერლობის წარმომადგენლები, გმორჩილება „წესს თხრობისას“, ლიტერატურულ ეთიკეტს. ამ შემთხვევაში ავტორის, როგორც

მწერლის, მხატვრულ ნიჭიერებაზეა დამოკიდებული ლიტერატურული თხზულების ღირსება-ნაკლოვანებანი.

„წამებათა“ და „ცხოვრებათა“ წიგნებში დიალოგების გადმოცემა რამდენადმე თავისებურებებს გულისხმობს. „ცხოვრებანში“ „წამებათაგან“ განსხვავებით პერსონაჟთა რეპლიკები თბრობის მიმდინარეობიდან ხშირ შემთხვევაში ავტორის მიერ არ გამოიყოფა. მაგ., გიორგი მცირე თავის თხზულებაში შემდეგნაირად გადმოგვცემს გიორგი მთაწმიდელისა და ბერის დიალოგს: «ხოლო ესე ნეტარი არაა თავს იღებდა, არამედ ესრეთ იტყოდა, ვითარჲმედ: „შეუძლებელ არს ესე ჩემგანო და ესევეითართა გამორთობილთა კაცთა შუენის, ვითარცა იყო წმიდა მამაა ჩუენი ეფთჳმი“. ხოლო ბერი ეტყოდა, ვითარმედ: „შვილო, რომელმან წმიდაა იგი სიკუდილისაგან იჯსნა და ქართული ენაა განუმარტა, იგივე შემძლებელ არს შენდაცა შეწევნად, რამეთუ მას დიდად ეწყალის და უყუარს ნათესავი ჩუენი...“» (II, 122—123).

რეპლიკის აზრობრივ-ემოციური მიმართულება ერთდროულად გამოხატავს როგორც ავტორის პოზიციას, ასევე პერსონაჟთა დამოკიდებულებას მოვლენების მიმართ. ჩვენ წინაშეა ორი სიტყვიერი ცენტრი და ორი სიტყვიერი მთლიანობა ერთი კონტექსტის ფარგლებში (მ. ბახტინი). „ცხოვრებანში“ ავტორი მოგვითხრობს დიალოგებს. ამ გარემოებას აქ ხაზს უსვამს სიტყვა „ვითარმედ“ შესიტყვების დასაწყისში. თუ „წამებათაში“ დიალოგები კითხვა-პასუხის სტრუქტურის შემცველია, რომელიც ხშირად დიალოგ-კამათში გადადის, „ცხოვრებანში“ უპირატესად გვხვდება დიალოგი-განმარტება და მასთან დაკავშირებული დიალოგი-ემოციური კონფლიქტი.

დიალოგი-განმარტების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია ფრაზათა ექსპრესიული წყობა, ლოგიკური მომენტის ნაკლებად გამოხატვა, რეპლიკების პარალელურობა, რეპლიკათა „წართმევის“ ხერხები და სხვ. გიორგი მერჩულე ასე გადმოგვცემს გრიგოლ ხანძთელისა და ჭუდილისის დიალოგს: «მან ნეტარმან მან ბერმან ჰრქუა: „მაკურთხე, წმიდაო მამაო გრიგოლ, რამეთუ მღდელი ხარ შენ“. და აკურთხა წმიდაო მამან გრიგოლ და ვითარცა მრავალ [ყამთა] მეგობარნი საყუარელნი, მოიკითხნეს ურთიერთას და სიხარულით დასხდეს და მიუთხრეს ჩუენებად იგი პირველი, ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „უკმადლობ ჭრისტესა, რომელი მომიძღუა საყოფელად შეხდა შეილსა შენსა და ღირს მყო მე თაყუანის-ცემად...“ ხოლო მან ჰრქუა: „არამედ უფროსდა ნაყოფი წმიდათა ლოცვათა შენთაჲ და წმიდაჲ ჳუარი შენი მარადის იყავნ ჩემ ზედა, უძღურისა ამას მოხუცებულისა...“ ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა მას: „ჭრისტემან აღუთქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ... და შენ მოგცეს შრომათა შენთა წილ სასუფეველი ცათაჲ სიტყუსაებრ მოციქულისა...“» (I, 253—254).

პერსონაჟთა ამ შესიტყვებას ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ნიშან-თვისება ახასიათებს. რაც შეეხება ემოციური კონფლიქტის ტიპის დიალოგებს, მრავალი დამადასტურებელი მაგალითის მოყვანა შეიძლება V—XI საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიიდან, რადგან, როგორც აღნიშნულია, „ცხოვრების“ მთავარი გმირის ყოველი ნაბიჯი, ყოველი დაბრკოლების გადალახვა იქნება ეს, მონასტრის აშენება, მოწაფეთა აღზრდა, ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობა თუ სხვა, თითოეულ ცალ-ცალკე წარმოადგენს კონფლიქტს<sup>19</sup>.

ამრიგად, ქართველი ჰაგიოგრაფები თავიანთი თხზულებების მხატვრული სტრუქტურის ასაგებად მიმართავენ სხვადასხვა ტიპის დილოგებს. დილოგთა ასეთნაირი გადმოცემა საშუალებას იძლევა შესიტყვების იქით დავინახოთ ინდივიდუალური თვისებების მქონე, როგორც სულისკვეთებით გახსსქვალული აღმანიხის — მოწამის თუ წმინდანის — მხატვრული სახე.

დილოგურ მიმართებათა აღნიშნული ესთეტიკური ფუნქცია ახლებურად აყენებს V—XI საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების კომპოზიციური აგებულების საკითხს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. З. В. В а л и н с к а я, Вопросы изучения диалога в работах советских лингвистов, в кн.: «Синтаксис текста», М., 1979, გვ. 300.
2. Д. С. Л и х а ч е в, Стиль как поведение, в кн.: «Современные проблемы литературоведения и языкознания», М., 1974, გვ. 191.
3. ქ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 2, თბ., 1958, გვ. 5.
4. რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კომპოზიციის საკითხი ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ.15, № 9, 1954.
5. რ. ს ი რ ა ძ ე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 142.
6. М. Б. Б а х т и н, План доработки книги «Проблемы поэтики Достоевского» в кн. «Контекст. 1976, М., 1977, გვ. 307.
7. Э. А у е р б а х, Мимесис, М., 1976, გვ. 65.
8. ძველ ქართულ მწერლობაში დილოგის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციის შესახებ იხ.: გ. ფ ა რ უ ლ ა ვ ა, იაკობ [ცურტაველის პოეტური ხელოვნება, კრებ. „შუშანიის წამება“, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1978, გვ. 156—168; ხ. შ ა რ ი ძ ე, იაკობ ცურტაველის მხატვრული ოსტატობის ერთი საკითხი, კრებ. „შუშანიის წამება“, 1978, თბ., გვ. 61—66; რ. ს ი რ ა ძ ე, იაკობ ცურტაველის სახსიმეტრეველება, „ლიტერატურული საქართველო“, 15, IX, 1978, რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, იაკობ ცურტაველის რეალისტური ტენდენციები და ოსტატობა, „მნათობა“, 1978, № 9, გვ. 147—154; რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, თბ., 1979, გვ. 40, 43, 49.
9. გ. ფ ა რ უ ლ ა ვ ა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ქართულ აგიოგრაფიაში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1970, გვ. 36.
10. მაგალითი მოგვეყავს—«Теория литератур-დან», М., 1964.
11. ჰაგიოგრაფიული ტექსტები მოგვეყავს შემდეგი გამოცემიდან: „ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, თბ., I, 1964; II, 1967. ქვემოთ წყაროს დაუსახელებლად რომელი რიცხვით ვუთითებთ ტომს, არაბულით—გვერდს.
12. ლ. გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დავით აღმაშენებლის „ვალობანი სინანულსანის“ კონცეფციისთვის, „ქართული ლიტერატურის საკითხები“, თბ., 1971, გვ. 87.
13. А. К. С о л о в ъ е в а, О некоторых общих вопросах диалога, ВЯ, 1965, № 6.
14. М. М. Б а х т и н, Проблемы поэтики Достоевского, М., 1979, გვ. 156.
15. გ. ფ ა რ უ ლ ა ვ ა, ექო სულისა, „ცისკარი“, 1975, № 2, გვ. 125.
16. М. М. Б а х т и н, Проблемы поэтики Достоевского, გვ. 215.
17. გ. ფ ა რ უ ლ ა ვ ა, იაკობ ცურტაველის მხატვრული სამყარო, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1973, № 2, გვ. 36.
18. В. В. О д и н ц о в, О языке художественной прозы, М., 1973, გვ. 66.
19. რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 637.

ახლა?

О. Е. ГВЕТАДЗЕ

## ДИАЛОГ В ГРУЗИНСКИХ АГИОГРАФИЧЕСКИХ ПАМЯТНИКАХ (V—XI вв.)

Резюме

Художественный мир грузинских агиографических памятников (V—XI вв.) представляет мученика или святого не только авторским повествованием-характеристикой (устойчивые формулы: блаженный, святой, «человек небесный и ангел на земле» и т. д.), но и объективно переданными диалогами и высказываниями изображается конкретная личность, наделенная своими переживаниями и стремлениями.

Грузинские агиографы для построения композиции своих сочинений применяют диалоги разных структурных типов. Авторы вводят диалог преимущественно для развития действия, для создания микрокомпозиции отдельных эпизодов.

Отмеченная эстетическая функция диалогических отношений по-новому ставит вопрос композиционного строения грузинских агиографических памятников V—XI веков.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი  
 ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
 აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლი-  
 ტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ბ რ ი ვ ა ხ ზ ლ უ დ ი ა ნ ი

ფოლკლორული მასალები დიმიტრი ბაქრაძის  
ისტორიულ ნაშრომებში

I. ფოლკლორული მასალები დიმიტრი ბაქრაძის „საქართველოს ისტორიაში“. მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა ჯეროვნადაა შესწავლილი, წარმოჩენილი და გარკვეულია მის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი<sup>1</sup>. წინამდებარე გამოკვლევაში დიმიტრი ბაქრაძის ისტორიული ნაშრომები ფოლკლორული ასპექტითაა განხილული. ამ თვალსაზრისით დიმიტრი ბაქრაძე დღემდე არაა შესწავლილი.

1. დ. ბაქრაძე ხალხური სიტყვიერების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. დიმიტრი ბაქრაძე ზეპირსიტყვიერებას ერთ-ერთ ისტორიულ წყაროდ მიიჩნევს. მისი აზრით, საქართველოს წინაისტორიული ხანის შესახებ წყაროები ძალზედ მცირეა და თანაც ზღაპრულ ხასიათს ატარებენ. ამის გამო იგი ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას დიდ მნიშვნელობას აძლევს ზეპირსიტყვიერებას. ამასთან მეცნიერმა მშვენივრად იცის, რომ ზეპირგადმოცემებსა და თქმულებებში ბევრი რამ ხალხის ფანტაზიას ეკუთვნის და ისინი კრიტიკულ შესწავლას მოითხოვენ.

ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება დიმიტრი ბაქრაძემ ჯერ კიდევ 1857 წელს გამოამჟღავნა<sup>2</sup>.

1885 წელს გამოქვეყნებულ წერილში—„ქართლის ცხოვრების პირველ-გადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი“ დ. ბაქრაძე თავისებური მეცნიერული სიფრთხილით აფასებს „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ მასალას<sup>3</sup>. იგი აღნიშნავს, რომ „პირველ-გადმოცემა“ არ შეიძლება ისტორიულ ჭეშმარიტებად მივიღოთ. მიუხედავად ამისა, მითებსა და ლეგენდებში, მისი აზრით, ისტორიკოსმა ჭეშმარიტების მარცვალი უნდა დაინახოს. იგი წერს: „სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს ამ უქანასკნელთ დასაწყისი: იბადებან ივინი თვით ერში, თუ შემოდინა გარედან, მაინცა და მაინც ჩვენ არ შეგვეფერის მათდამი უყურადღებობა, რადგან, როგორც ცნობილია, ხშირად აღბეჭდავენ ივინი ერში დანერგვის რომელსამე მოსაზრებას, უჩვენებენ ერის შეხედულობას ქვეყნიურობაზე, სტოვებენ კვალს მის ცხოვრებაში და საფუძვლად ხდებიან შემდეგ მწერლობის ნაწარმოებში“. ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს ავტორი ნაშრომში «Оп источниках грузинской истории». მეცნიერი წერს: უქვევლია, რომ პირველ დროებათა მოვლენები გადმოცემების მიხედვითაა აღწერილი. ამას ამტკიცებს მატიანეთა შინაგანი ხასიათი: მათში მოთხრობილია დაუჭერებელ თავგადასავლებზე, მებრძოლთა რიცხვი არ შეესატყვისება ქვეყნის მოსახლეობას და სივრცეს, არაბუნებრივია მოქმედ გამირთა პირადი თვისე-

<sup>1</sup> მ. დ. უ მ ბ ა ძ ე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის წყაროები, აკადემიის წევრს, მარი ივანეს ძე ბროსეს, „ცისკარი“, 1857, № 2, გვ. 51—69.

<sup>3</sup> ეურნ. „ივერია“, 1885, № 1.

ბანი. მათი კითხვის დროს თქვენ თითქოს მითიურ ხანაში გადადიხართ, მაგრამ თანდათან ზღაპრული ელფერი კლებულობს და ბოლოს თქვენ გრძნობთ, რომ მოკვდავთა გარემოში მოხვდით. ამის გამო არაა გასაკვირი, ახლარომ წერენ თანამედროვენი: მათში გამოსახული ხასიათები და მოვლენები სინამდვილეს შეესატყვისება, განსაკუთრებით მსხვილი ფაქტების გადმოცემაში<sup>4</sup>.

დ. ბაქრაძე ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერულ-კრიტიკულ მიმართულებას იწყებს, მისი, როგორც ისტორიკოსის, კრიტიკული მიდგომა ფოლკლორული წყაროებისადმი სწორი თვალსაზრისითაა შემუშავებული. იგი ზეპირსიტყვიერებას ძლიერ თავშეკავებულად მიმართავს, ზოგჯერ ისტორიულ თხზულებებში გამოყენებული ფოლკლორული ნიმუშების სანდოობას კითხვის ქვეშ აყენებს. თავის „საქართველოს ისტორიაში“ დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ მან მის განკარგულებაში არსებული მასალა ქართულსა და უცხოურ ენებზე „შეძლებისდაგვარად აწონა, გაარკვია“. ამასთან ისტორიკოსი, ახალი მეცნიერულ-ისტორიული პოზიციებიდან გამომდინარე, იქვე მიუთითებს, უძველესი ქართული წერილობითი წყაროების უკმარობას საქართველოს წინაისტორიული ხანის სურათის აღსადგენად. „იმგვარი მასალა ჩვენი ისტორიისა, — წერს იგი ისტორიის წინასიტყვაობაში, — როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ჯერ-ჯერობით ჩვენი არა გვაქვს და რაც გვაქვს, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტი, აქა-იქ გაფანტული, ხელუხლებელი კრიტიკის მხრით; ამის გამო ჩვენი შრომა არათუ სრული არ არის, არამედ რამდენადაც უძველეს ხანას ეხება, იმდენად უფრო ზღაპრულის თვისებისაა“<sup>5</sup>. „ზღაპრული თვისებების“ მიუხედავად, „ამგვარ მასალას“ დ. ბაქრაძე ძველი ისტორიის საკითხების გაშუქებისას დიდ მნიშვნელობას აძლევს: „თვით ეს ზღაპრული თვისება აღმოგვიჩინს იმგვარ ფაქტებსაცა, რომელთაც დროთიდრო აქა-იქ ნათელი შეაქვთ საქართველოს ისტორიის მსვლელობაში“<sup>6</sup>.

## 2. ცნობები არგონავტების, პრომეთეს მითისა და ამორძალების შესახებ.

დ. ბაქრაძე თავის „საქართველოს ისტორიის“ პირველ თავში ვრცლად მსჯელობს პელაზგების შესახებ. იგი აქვე პრომეთეს მითზეც ლაპარაკობს. მისი აზრით, პრომეთეს მითი კავკასიასთანაა დაკავშირებული. იგი წერს: „მცირე აზიის ყველა ტომში უმთავრეს ტომად უნდა ითვლებოდნენ პელაზგები. მართალია, ეს სახელი ძველადვე ამოიკვეთა, მაგრამ იმათი მითოლოგიური გარდამოცემა იმათ შთამომავალ ტომში ელინებში დარჩა. ამტკიცებენ, ვითომც პელაზგებს ზემო აზიიდან ურალზე გამოეყვოს და ვითომც პირველი ბინადრობა იმათ ჩვენის კავკასიის ჩრდილო მხარეში დაედევით. პელაზგების მითი ანუ ზღაპართქმულობა იმათ წინაპრად უჩვენებს იაფეტს, რომელიც კავკასუსში თურმე ცხოვრობდა“<sup>7</sup>. დ. ბაქრაძე კავკასიის ქედს პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად იხსენიებს. „იაფეტისა და აზიის შვილი პრომეთე კავკასის ქედზე თურმე იყო მიმსჭვალული“<sup>7</sup>. მეცნიერი პრომეთეს მითზე მსჯელობისას ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებს ეყრდნობა (ესქილე, აპოლონიოს როდოსელი, თეოფრასტე, სტრაბონი, არიანე და სხვ.). მაგალითად, აპოლონიოს როდოსელის ცნობის მიხედვით, პრომეთეს

<sup>4</sup> Дм. Ба к р а д з е, Об источниках грузинской истории, გვ. 405.

<sup>5</sup> დმ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე, ტფილისი, 1889, გვ. 2.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 14.

მიჯაჭვის ადგილად მდინარე ფაზისის შესართავის მახლობელი კავკასიონის მთაგრების მიუვალი კლდეები ითვლება<sup>8</sup>.

დ. ბაქრაძე არგონავტებისა და ამორძალების თქმულებებს პელაზგებს მიაკუთვნებს. იგი წერს: „პელაზგების მითი წარმოგვიდგენს ყოფა-ცხოვრებას და მოღვაწეობას ძველის გმირებისა ბელლეროთონისას, თესისას, პერკულესისას და არგონავტებისას, ამ მითში მოხსენიებულნი ღირსსახსოვარნი არიან არგონავტები და ამაზონები. ყველას აქვს ამოკითხული ძველის ისტორიად მითი არგონავტების ზღვით გამგზავრებაზე, ოქროს მატყლის საძებნელად, აეტის სამფლონლოში, სადაც უმთავრესი მდინარე ოკეანს თურმე უერთდებოდა და სადაც დედაქალაქი აეტისა ეად თურმე იწოდებოდა. ამ მხარეს ძველნი მწერალნი ჰხადიან კოლხიდად, მდინარე ოკეანს — ფაზისად ანუ რიონად, ზღვას — პონტად, ფას — არხეპოლად ანუ ნაქალაქევად საძებრელოში. თვით ოქროს მატყლი, მათის აზრით, კოლხიდის სიმდიდრეს მოასწავებდა. მითი გვიჩვენებს ამაზონებს მეომარ დედაკაცებად, რომელნიც თერმოდონის მთა-ღეღეღებში მკვიდრობდნენ... ფიქრობენ, ვითომც ამაზონები ინდო-ევროპულს სკვითებს შეადგენდნენ, ვითომც იგინი კავკასით გამგზავრებულიყვნენ და მცირე აზიაში დაბანაკებულიყვნენ, ვითომც ცხენოსნობაში და შვილდ-ისრის ხმარებაში დიად დახლოვებულნი ყოფილიყვნენ, ლაშქრობაში თავიანთ ქმრებს არ ჰპირდებოდნენ და ვითომც აქედან წარმოსდგა ზემოთ მოყვანილი თქმულება ამაზონებზე“<sup>9</sup>.

ამორძალების მითის გადმოცემისას დ. ბაქრაძე მიუთითებს ვივიენ დე სენმარტენის შრომაზე „გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიიდან“, რომელიც გამოქვეყნდა პარიზში 1845 წელს. მაგრამ ავტორი ამ საკითხზე უშუალო წყაროებსაც იცნობს. მაგალითად, იგი იცნობს ბერძენი და რომელი მწერლების ცნობებს ამორძალებზე, ოდისეას მე-12 სიმღერას, სადაც საუბარია არგონავტების ზღვაოსნობაზე და ამორძალებზე, აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკას და სხვას. იგი იცნობს აგრეთვე ნ. კარამზინის, ვ. სვეტლოვის, ვ. ლატიშევის და სხვათა შრომებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

თქმულება ამორძალებზე ძველისძველია. ლეგენდა ქალთა ტომის შესახებ გავრცელებულია მსოფლიოს ყველა კუთხეში. მან ფართო ასახვა პოვა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ლიტერატურასა და ფოლკლორში. იგი გვხვდება აგრეთვე ძველ ქართულ მწერლობასა და ზეპირსიტყვიერებაში<sup>10</sup>.

**3. ლეგენდა კოლხების წარმომავლობაზე.** დ. ბაქრაძე თავის „ისტორიაში“ კოლხების წარმომავლობის თაობაზე მოგვითხრობს. ისტორიის ამ ნაწილში იგი იყენებს ბერძენი ისტორიკოსების — პეროდოტეს (484—425 წწ. ძვ. წ.), აპოლონიოს როდოსელის (II ს. ძვ. წ.), დიოდორეს (I საუკ. ძვ. წ.) ცნობებს, რომელთა მიხედვით კოლხები ეგვიპტური წარმოშობის არიან. დ. ბაქრაძეს მოაქვს პეროდოტეს ცნობა: „პეროდოტეს თქმულებით, ეგვიპტის განთქმული მეფე სეზოტრისი, რომელიც ახლა ცნობილია რამზე მეორედ და ჰყვობდა XIV საუკუნეში, აზიისა და ევროპის დაპყრობის შემდეგ მისდგომია ფაზის მდინარეს და იქ დაუსახლება თავისი კოლონია. „მე გამოვიკითხეო ამ საგანზე, ამბობს პერო-

<sup>8</sup> აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი ა. ურუშაძისა, თბ., 1948, გვ. 108—109.

<sup>9</sup> დ. ბ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 15.

<sup>10</sup> გ. ა. ხ. ვ. ლ. ე. ი. ა. ნი, ამორძალები ერთ ძველ ქართულ ძეგლში, ქურონ. „ციცქარი“ № 1967, № 9, გვ. 150—154.

დოტი, კოლხიდელებსაც და ეგვიპტელებსაც და ორნივე ერთის აზრისანი არიანო. ეგვიპტელნი იტყვიანო, რომ კოლხიდელნი შეადგენენ სეზოსტრის მხედრობის ნაწილს. ამ აზრს ჰპოწმობსო იმათივე მოშავო ფერი, ხუჭუჭი თმა და წინდაცვეთა, რომელიც ჩვეულებად აქვთ ორსავე ტომს და რომელიც კოლხიდელებთან მიუთვისებიათო თვით იმათ მეზობლებს მაკრონებს. გარდა ამისა ეგვიპტელნი და კოლხიდელნი ერთგვარ მისდევნო სელის შემუშავებასა და თვით ყოფა-ცხოვრება და ენა ორისავე ტომისა ერთი და იგივეაო<sup>11</sup>.

დ. ბაქრაძე პეროდოტეს ამ ცნობას მითს უწოდებს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში სხვადასხვა ვარიაციით. იგი წერს: „ეს გარდამოცემა პეროდოტისა, ანუ, ჩვენის ფიქრით, მითი, მიუღიათ ნამდვილ შემთხვევათ შემდეგის საუკუნეების მწერლებსა და ამგვარად გავრცელებულა ჩვენს დრომდე“<sup>11</sup>.

დ. ბაქრაძე სკეპტიკურად უყურებს ამ ცნობას, მაგრამ, სრულიად სპარსულიანად, ისტორიკოსი საჭიროდ თვლის, რომ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის გადმოცემისას ანგარიში გაუწიოს დაუჭერებელ მოთხრობასაც და თავის „ისტორიაში“ შემოიტანოს, ისტორიის წყაროდ გამოიყენოს; თანაც ეს ცნობა მას არ მიაჩნია ბერძენ მემატრიანეთა მიერ უბრალო გამოწვინა ამბად.

ბერძენი ისტორიკოსების (პეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი, დიოდორე) ცნობას ძველი ეგვიპტის მეფის სეზოსტრის ლეგენდარული საქმიანობისა და კოლხების ეგვიპტურ წარმოშობაზე ვერ ეძებნება ისტორიული საფუძველი. სამეცნიერო ლიტერატურაში არაა გარკვეული, თუ საიდან გაჩნდა პეროდოტესთან, და, საერთოდ ბერძენ მწერლებთან, ცნობა კოლხთა და ეგვიპტელთა მათესაობის შესახებ. იქნებ იგი ისტორიული სინამდვილის ბუნდოვანი ანარეკლი იყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით ფიქრობთ, სწორად აღნიშნავს პროფ. თ. ყაუხჩიშვილი: „ჩვენ დღესდღეობით გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით ამ ცნობის ჭეშმარიტების შესახებ, მაგრამ ის მთლად ისე ხელაღებით უარსაყოფი არ უნდა იყოს, როგორც აქამდე ხდებოდა. მას სხვაგვარი ასხნა სჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ ხსნიან ხოლმე“<sup>12</sup>.

4. დ. ბაქრაძე ირანული ეპოსისა და მიჯაჭვული ამირანის შესახებ. დ. ბაქრაძე არ ივიწყებს ზეპირსიტყვიერებას, აღიარებს მის ისტორიულ ღირებულებას და თავისი დროის პირობაზე სწორ შეფასებას აძლევს მას. იგი „ქართლის ცხოვრების“ საკითხებზე მსჯელობისას ჯეროვნად იყენებს ფოლკლორულ მონაცემებს, მაგრამ იყენებს არა ბრმად, არამედ, როგორც მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების სერიოზული წარმომადგენელი, მეცნიერების თვალთახედვით სწავლობს მას, წარსულის მსოფლიო-ისტორიულ პროცესთან მიმართებაში განიხილავს.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრებაში“ დატულია ძველი სპარსული გადმოცემანი. მაგალითად, ერთ ადგილას ირანის მითურ-ლეგენდური ხანის ამბები გადმოცემული და ქართლის ისტორიასთან დაკავშირებული (ქ. I, 12—16). ლეონტი მროველი ამ ამბების წყაროდ „სპარსთა ცხოვრების წიგნს“ ასახელებს. ლეონტი მროველი აღწერს ქეკაპოსის ამბებს და იქვე დასძენს: „ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა“ (ქ. I, გვ. 14). აქვე მოხსენიებულია ირანული ეპოსის ცნობილი გმირები: აფროდიონ, შიომ ბედნიერი, ქაიხოსრო, ფარაბოროტი, სპანდიატ რვალი, არდაშირ, ზაჰამანი და სხვ.

<sup>11</sup> დი. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 26—27.

<sup>12</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, თბ., 1977, გვ. 55.

დ. ბაქრაძის დაკვირვებით, ძველი სპარსული ამბების მოთხრობისას „ქართლის ცხოვრებას“ და „შაჰ-ნამეს“ ერთი საერთო წყარო აქვთ. ლეონტი მროველს ეს ამბავი აღებული აქვს არა უშუალოდ „შაჰ-ნამედან“, არამედ სპარსეთის ისტორიაში კარგად ცნობილი „დაბისტანის წიგნიდან“. თავის მხრივ დაბისტანი კი ძველი ფალაური მანუსკრიპტით და ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით სარგებლობს. ისტორიკოსი წერს: „...წყაროდ ქ-ცხბას, როგორც თვით ის იტყვის, სპარსეთის ისტორია ჰქონია. ეს ის წყარო უნდა იყოს, საიდანაც XI საუკ. ქრისტეს შემდეგ სპარსეთის პოეტს ფერდუსის შეუდგენია ევროპიელთა მეცნიერთაგან კარგად ცნობილი ისტორია სპარსეთის მეფეებისა ანუ „შაჰ-ნამე“. შაჰ-ნამე და ქართლის ცხოვრება თითქმის თანახმად გვიამბობენ ძველი სპარსულ გარდაცემისას. ეს გარდაცემა უნდა იყოს, ჩვენის ფიქრით, მაკკოლმის მიერ ვარკვეული სპარსეთის ისტორიაში წიგნი დაბისტანი. დაბისტანს თავის მხრით ხელთ-მძღვანელად ჰქონია ძველი ფეჰლევური მანუსკრიპტი და ზეპირსიტყვიერი გარდაცემანი, რომელნიც დაბისტანის ავტორისათვის მოჰამედ-ფანისათვის უამბნიათ ზოროასტრზე წინა-სარწმუნოების აღმსარებელთა. დაბისტანი სპარსეთის ისტორიას უკავშირებს ინდოეთის ისტორიასა. აქ სპარსეთის გამოხატულობაში შესანიშნავია როგორც ზნეობა და ყოფა-ცხოვრება სპარსეთისა, აგრეთვე იმისი სარწმუნოებრივი წესდებულება ზოროასტრის წინად, რომელიც ერთი და იგივე თურმე იყო სპარსეთში და ინდოეთში“<sup>13</sup>. მეცნიერი მოიხსენიებს „ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებულ ირანული ეპოსის ცნობილ გმირებს: აფრიდონს, ქეკაპოს და სხვას. მისი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონ გმირი, რომელსაც გვევლთ უფალი ბუერასდ ჯაჭვით შეუკრავს და მთაზე დაუბამს“, სპარსეთის გადმოცემით ყოფილა ჯემშიდის შვილი ფერიდუნ, ხოლო გვევლთ უფალი ყოფილა ზოჰაკი, სახელწოდებული აგრეთვე აჭე-ჰაქად, ესე იგი დრაკონად, ჩვენებურად ვთქვათ, გველეშაბად. იმ მთას, სადაც ის შემეპვალული თურმე იყო, სახელსდებენ იალბუზად თეჰერანის მახლობლად. ჩვენი იარედი არის იარეჯი, ძე ფერიდუნისა. ქეკაპოს ლეკეთში მგრძნობელისაგან დაბრმავებული არის ქაი-კაოსი, ანუ ქიასკარი, რომელიც ცხოვრობდა მე-VII საუკუნეში ქრისტეს მოსვლამდე“<sup>14</sup>.

დ. ბაქრაძის დაკვირვებით, ზოჰაქი—დრაკონი ანუ გველეშაბა, რომელსაც ანალოგიები ეძებნება ქართულ ზღაპრებში. იგი წერს: „ჩვენი ერის წარმოდგენაში აქამდე გავრცელებულია დევი, რომელიც ამ სახელითვე იხსენიება. ამ მრავალ ზღაპარს საგნად აქვს ელვარეთალებიანი, მრავალთავებიანი გველეშაბი, დაბისტანის ზოჰაქი ანუ დრაკონი, მთაზე დაბმული“<sup>15</sup>. მეცნიერის აზრით, მთაზე დაბმული გველთ უფალი ზოჰაქის (იგივე ბეერასდი, სპარსულად ბეივერასპი) ზღაპარი „მოგვაგონებს სომხების ლეგენდას არტავაზზე, ქართველების თქმულებას ამირანზე“<sup>16</sup>. მკვლევარი არამართებულად ამირანს ზოროასტრის არიმანთან იგივეებს და აღამიანთა ქომაგ გმირს დემონებისა და მიჯაჭვულ ურჩხულთა პლეადას აკუთვნებს. „სპარსულს ზღაპრულ გარდამოცემაში, — წერს დ. ბაქრაძე, — არიმანი ანუ ამირანი იყო მაცდური სული, წინააღმდეგ ორმუხდისა და მეფე დევებისა. ეს ლეგენდა ჩვენში იგივეა ახლა, რაც სომხითში ყოფილა მე-V საუკ. მოსე ხორენელი ამბობს არტავაზზე: „მოხუცი დედაკაცი

<sup>13</sup> დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 67.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 69.

იტყვიან, ვითომც არტავაზი, რკინის ჯაჭვით შეკრული, შემსჭვალული იყოს კლდის ქვაბში; ვითომც ორი ძალი შეუსუსტებლად ჰღრიდნენ ჯაჭვისა და არტავაზი ცდილობდეს ქვაბიდან გამოვიდეს და ქვეყანას ბოლო მოუღოს; ვითომც მკედლების კვერის დარტყმით ჯაჭვი ისევ მაგრდებოდეს. ამისათვისაც თვით ჩვენ დროს, დასძენს ხორენელი, მრავალნი მკედელნი ამ ლეგენდის მიხედვით სცემენ კვერსა სამკედლოში, რომ არტავაზის ჯაჭვი შემაგრდეს<sup>17</sup>. „ეს ლეგენდა, — დასძენს დ. ბაქრაძე, — ოსებსაცა აქვთ. ოსების წარმოდგენით ერთი მძიმედ შეჯაჭვული პერობილი შემსჭვალულია იალბუზის კლდეში და იმის გულმუცელსა სჭამს ავი ძერა“<sup>18</sup>. დ. ბაქრაძის აზრით, ასეთივე ლეგენდა არსებობს ბერძნულ მითოლოგიაში პრომეთეს შესახებ. იგი ეთანხმება უსლარს, რომელიც ფიქრობს, რომ ლეგენდა პრომეთეზე ბერძენებმა კავკასიიდან ისესხეს. დ. ბაქრაძე წერს: „როგორც სომხური ლეგენდა არტავაზზე და ქართველების ამირანზე, აგრეთვე ოსების ზღაპარი წარმოგვიდგენენ ძველს ელინურ მითსა პრომეთოსზე, რომელიც ელღინების გამოხატულობით ყოფილა ძე იაფეტისა და მამა დევკალიონისა და რომელიც იუპიტერს კავკაზის ქედზე მიუღურსმავს და აქ იმისთვის მიუჩენია ძერა იმის გულ-ღვიძლის ამოსაქმელად. ეს ლეგენდა, უსლარის ფიქრით, ელინებს გაუგონიათ თვით კავკაზში და აქედამ შეუტანიათ თავიანთ მითოლოგიაში“<sup>19</sup>.

ქართული ფოლკლორის პრობლემების კვლევის დღევანდელ ეტაპზე დ. ბაქრაძის მოსაზრებას არიმანისა და ამირანის (იმავე პრომეთეს) იგივეობის თაობაზე ვერ გავიზიარებთ. ასევე, ზღაპარს გველთ უფალ ზოპაქზე არაფერი აქვს საერთო ამირანის თქმულებასთან. ისტორიკოსის ეს მოსაზრებანი მცდარია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამირანს არიმანთან იმ დროის ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსიც აიგივებდა (ნ. ბერძენოვი, ს. ბარათაშვილი, ალ. ხახანაშვილი და სხვ.)<sup>20</sup>.

ამირანისა და არიმანის (ასევე ამირანისა და ზოპაქის) იგივეობის აზრი მოკლებულია საბუთიანობას. ამის გამო იგი ქართველ მეცნიერთა მიერ უარყოფილი იქნა. დღეს თანამედროვე მეცნიერების პოზიციებიდან დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ამირანს არაფერი აქვს საერთო არც ბოროტ ლეთაება არიმანთან, არც ზოპაქთან, იგი კეთილი, თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის თავდადებული გმირი, რეალური ადამიანია<sup>21</sup>.

დ. ბაქრაძის აზრით, ბერძენებს პრომეთეს მითი კავკასიიდან უსესხებიათ და თავიანთ მითოლოგიაში შეუტანიათ. ამ შემთხვევაში დ. ბაქრაძე არ იჩენს ორიგინალობას, სხვების შეხედულებას იზიარებს. პრომეთეს მითის კავკასიურ წარმოშობას აღიარებდნენ მკვლევრები: მილერი, ა. ვესელოვსკი, პ. უსლარი, ნ. მარი და სხვ. მათ კავკასიური თქმულება მიჯაჭვული გმირის შესახებ უძველესად მიაჩნდათ. უსლარი წერდა: „Нет даже причин сомневаться, что легенды

<sup>17</sup> იქვე, გვ. 70; История Армении Моисея Хоренского, перевод Эмина, М., 1858, გვ. 130.

<sup>18</sup> დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 70; А. Д у б р о в и н а, История войн и владычества русских на Кавказе, СПб., 1871, გვ. 326—329.

<sup>19</sup> დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 70.

<sup>20</sup> გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ფოლკლორი XIX საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში (იოანე ბატონიშვილი, სულხან ბარათაშვილი), წიგნში: ხალხური პოეზია და პროზა, თბ., 1977, გვ. 142—144.

<sup>21</sup> მძხ. ჩ ი ქ ო ე ა ნ ი, ქართული ეპოსი, წიგნი 1, თბ., 1959, გვ. 62; წიგნი II, თბ., 1965, გვ. 211—213, 313—325, მ ი ს ი ე ვ ე, Необходимые поправки, «Литературная Грузия», 1959, № 8.

Эти относятся к самому отдаленному времени, к времени, предшествовавшему началу ознакомления греков с Кавказским перешейком»<sup>22</sup>.

ამირანის ეპოსის ურთიერთობა სხვა ხალხების ანალოგიურ თქმულებებთან (ვილგამეშვიანთან, პრომეთეს მითთან და სხვ.) ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომელიც დღეს, ამირანის ეპოსზე შექმნილი პროფ. მ. ჩიქოვანის ფუნდამენტური ნაშრომების შედეგად, მსოფლიო ფოლკლორისტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა. თქმულება კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირის შესახებ თავისი ფესვებით შორს მიდის. ამირანის თქმულების საწყისებს მესოპოტამიურ ეპოსში—„ვილგამეშვიანი“ ეძებენ და ამასთან ერთად ამ თქმულების მეშვეობით ავლენენ შეხების წერტილებს და მონათესაობასაც ქართულ-ელამურ სამყაროთა შორის<sup>23</sup>. ამ მიმართულებით კვლევებიდან ჩვენი საუკუნის დასაწყისშივე ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. ივ. ჯავახიშვილი კავკასიურ თქმულებას უძველესად თვლიდა. მისი აზრით, ეს თქმულება საქართველოში არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე, წარმართობის დროს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ პრომეთეს მითს კავკასიიდან ნასესხებად თვლიდნენ V—IV სს. ელნი მწერლები და პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავკასია მიაჩნდათ<sup>24</sup>.

კავკასიურ თქმულებას მიჯაჭვული გმირის შესახებ უძველესად თვლიან დღესაც. მართებულად აღნიშნავს პროფ. მ. ჩიქოვანი: „ბერძნები ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე გაეცნენ კოლხურ-იბერიულ თქმულებას მიჯაჭვულ ამირანზე და ამ ნიადაგზე შეიქმნა საბერძნეთში პრომეთეს მითის უცხოური წარმოშობის თეორია“<sup>25</sup>.

დ. ბაქრაძის მოსაზრება კავკასიური თქმულებისა და პრომეთეს მითის კავკასიურ წარმოშობაზე არაა ინტერესმოკლებული. იგი რამდენადმე დღევანდელ შეხედულებას ეხმარება. თანამედროვე შედარებითი მითოლოგია და ფოლკლორისტიკა აღიარებს, რომ პრომეთეს მითში ზოგიერთი ნიშან-თვისება ამირანის თქმულებიდანაა ნასესხები<sup>26</sup>. მართალია, პრომეთესა და ამირანის სახეები მხატვრული ორთულებია, რომელთაც დამოუკიდებელი ისტორია აქვთ<sup>27</sup>, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბერძნულ მითში არაა ყველაფერი ადგილობრივი, მასში კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე მიღებული პლასტებიც შეინიშნება. მ. ჩიქოვანის სარწმუნო დაკვირვებით, „პრომეთეს მითში, და მის გავებაშიც, იბერიულ-კოლხური ელემენტი ადრიდან არის შეჭრილი ღვთისურჩი ტიტანის კავკასიონის ქედზე მიჯაჭვის სახით“<sup>28</sup>.

5. **ქართველთა წარმართული ღვთაება—არამაზი.** დ. ბაქრაძე თავის „ისტორია საქართველოში“ ეხება არამაზის — ქართველთა უძველესი ღვთაების წარ-

<sup>22</sup> П. Х. У с л а р. Древнейшие сказания о Кавказе, Тифлис, 1881, გვ. 483.

<sup>23</sup> Г. А. М е л и к ш в и л ი, Найри-Урарту, Тб., 1954, გვ. 120, 121.

<sup>24</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 160.

<sup>25</sup> მხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 216.

<sup>26</sup> И. Т р е н ч и н и-Вальдапфель, Мифология, пер. с венгерского, 1959, გვ. 43; М. Ч и к о в а н и. К проблеме взаимосвязи греческого мифа о Прометее и колхидо-иберийского сказания о прикованном к Кавказскому хребту Амირани, Будапешт, 1967, გვ. 403—408.

<sup>27</sup> მხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 50. მისივე; ქართული ეპოსი, I, თბ., 1959, გვ. 97, 197—206.

<sup>28</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, გვ. 105. მისივე, К проблеме взаимосвязи... , გვ. 404—405.

მომავლობას. იგი თვლის, რომ „ძველი საქართველოს სარწმუნოებაც სპარსელის ბეჭდით ყოფილა აღბეჭდილი“. „არმაზი არის სპარსელების ორმუხდი. წარმომადგენელი მზისა ანუ ცეცხლისა“. ჩვენ გვყოლია სპარსელნი მოგვნი „მზის მსახურნი“<sup>29</sup>. ამ შემთხვევაში ისტორიკოსის წყაროა ძირითადად ლეონტი მროველი და „მოქცევაჲ ქართლისაჲის“ მათიანე და აგრეთვე მოსე ხორენელის სომხეთის ისტორია.

დ. ბაქრაძე წერს: „ქართლის ცხოვრება იტყვის ფარნავაზზე: „შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა, ესე იგი არმაზი“... ..ცხადია, რომ არმაზი ძველადვეა დამყარებული საქართველოში. ჩვენი არმაზია სპარსელების ორმუხდი, სომხების არამაზტი. იგი სპარსეთში იყო „მზისა ანუ ცეცხლის წარმომადგენელი“. იმისნი მსახურნი იყვნენ მოგვნი. საქართველოში და სომხეთში იმას კერპთ-მსახურების გავლენის ქვეშ შეუცვლია თავისი ხასიათი და ბუნება: აქ ის შეცვლილა საწარმართო კერპად და, რადგანაც სხვა კერპებზე ერის აზრში უძლიერესი ყოფილა, ამისათვის ის იქ, როგორც სომხეთში, უმოავრეს ღმერთად გადაქცეულა“<sup>30</sup>.

საკითხავია, რამდენად სწორია ისტორიკოსის თვალსაზრისი, რომ ჩვენი არმაზი სპარსელების ორმუხდია და ქართული სარწმუნოებაც სპარსული ზოროასტრიზმის „ბეჭდით ყოფილა აღბეჭდილი“. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს და სიტყვა „არმაზის“ წარმომავლობაც საკამათოდ არის ქცეული.

აკად. ნ. მარი არმაზის კულტს სპარსულ აპურამაზდას უკავშირებდა<sup>31</sup>. შემდგომი დროის კვლევა-ძიებამ არ გაიზიარა ნ. მარის ეს მოსაზრება.

მ. წერეთლის აზრით, არმაზის თაყვანისცემას სპარსულ აპურამაზდას თაყვანისცემასთან სახელის გარდა არსებითად არაფერი აქვს საერთო. წმ. ნინოს ცხოვრებაში დაცული ცნობები არმაზის კერპის გარეგნობისა და მისი თვისებების შესახებ მეცნიერს საბაბს აძლევს იფიქროს, რომ ქართველთა არმაზი ნამდვილად აპურამაზდა კი არ იყო, არამედ „მცირე აზიის ღმერთი ცისა და სიანთლისა, ატმოსფეროსა, წვიმისა და ელვა-ქექისა“ — თეშუბ<sup>32</sup>.

ღღეს ქართული საისტორიო წყაროების თანახმად არმაზი ქართველთა ეროვნულ ღვთაებად არის მიჩნეული. მისი წარმოშობა ხეთურ-მცირეაზიურ სამყაროს, სახელდობრ, ხეთურ-ნესიტურ (ან ხეთურ-ლივიურ) კულტურას, აქაური მთვარის ღმერთის არმას სახელს უკავშირდებამ<sup>33</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში დამაჯერებლად და დასაბუთებულად, რომ ხეთური სახელი მთვარისა და მთვარე-ღმერთისა ყოფილა *armas*, რომელიც ნაწარმოებია *arma* ძირიდან<sup>34</sup>.

<sup>29</sup> დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 69.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 103.

<sup>31</sup> Н. М а р и, Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам, ЗВОИРАО, том XIX, СПб., 1901, გვ. 6.

<sup>32</sup> მ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი, 1924, გვ. 84. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 105, 110. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 175.

<sup>33</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ანტიკური ხანის ქართული წარმართული პანთეონი, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 667.

<sup>34</sup> შდრ. А. Б о л т у н о в а, К вопросу об Армази, ВДИ, № 2, 1949, გვ. 237. Г. А. М е л и к и ш в и ლ ი, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 229. მისივე; Найри-Урар-

მთვარის ღვთაების ხეთურ-მცირეაზიულ სახელის გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს მცირე აზიიდან ერთ-ერთი უძველესი ქართველი ტომის მუშქების ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმონაცვლებასთან და მათ მიერ სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თემში დასახლებასთან<sup>35</sup>.

არმა ღმერთის (არმაზის) ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს მთავარ ღმერთად აღიარება ძველქართული ტრადიციის გაგრძელება იყო და არა უცხოური (მაინცლაჰინც სპარსული) მოვლენა.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ნათელი უნდა იყოს, დ. ბაქრაძის მოსაზრებათა მცდარობა: არმაზი სპარსელების ორმუხდი კი არ არის, არამედ ქართველთა წარმართული, ეროვნული ღვთაებაა. მართალია, არმაზი ხალხური პოეზიის ნიმუშებში ერთხელაც არ იხსენიება, მაგრამ მოუხსენებლობას თავისი მიზეზები აქვს და საზოგადოებრივი ვითარებით აიხსნება<sup>36</sup>.

**II. ფოლკლორული მასალები დ. ბაქრაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევებში.** დ. ბაქრაძემ მეცნიერული მუშაობის დაწყებისთანავე გაზეთ „კავკაზის“ 1850 წლის № 91-სა და № 92-ში გამოაქვეყნა წერილი „სცენები ქართული ცხოვრებიდან“. წერილში ფოლკლორისტიკისთვისაც მოიპოვება საჭირო მასალი. ავტორი გადმოგვცემს თბილისიდან კახეთისაკენ მოგზაურობის შთაბეჭდილებას და ამბობს, რომ ქართველები ლეგენდებსა და თქმულებებში ყველა ეკლესიისა და ციხის აშენებას თამარ მეფეს მიაწერნო. აქვე მსჯელობს ქართველი ქალის სიმღერის თაობაზე. სინანულს გამოთქვამს, ქალები საჯაროდ სიმღერას ერიდებიან და მხოლოდ ერთხელ მომეცა საშუალება მომესმინაო. იგი გადმოგვცემს აკვანთან მიმჭდარი ყმაწვილი ქალის ტკბილი სიმღერის ამბავს და აღნიშნავს, რომ ქართული ლხინის სუფრის აუცილებელი თანმხლებია სიმღერა და ცეკვა. გუნდი იყოფა ორ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავის დამწყები, რომელიც რეჩიტატივით ლექსს ამბობს და ნახევარგუნდი ბანს ეუბნება. ამ სიმღერას ცეკვით აჰყვებიან და „ფერხულს“ ასრულებენ. ავტორს „ფერხული“ სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთ პირველ საფეხურად მიაჩნია, ამასთან ხაზს უსვამს მის სინკრეტულ ხასიათს<sup>37</sup>.

ფოლკლორისტიკისათვის საყურადღებო ცნობებია დაცული დ. ბაქრაძის წერილში „ჩემი გაცნობა ფშაველებთან“. იგი დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზის“ 1850 წლის № 97-ში. წერილში აღწერილია დატირების ფშაური წესი და ბოჭორმის წმ. გიორგობა. აღნიშნულია, რომ წმ. გიორგის დღესასწაულზე დიდი ცეკვა-თამაში და სიმღერა იმართება, რომელშიც მონაწილეობენ „ბარის ქართველები, ფშაველები და ხეცურები“. საუბარია აგრეთვე, რომ ბოჭორმის ციხის აშენებას ვახუშტი საქართველოს ისტორიის ზღაპრულ პერიოდს, ქართლოსის დროს აკუთვნებს, ხოლო ზეპირი გადმოცემა თამარის მეფობასო. ამბობენ, რომ მშენებლობა გაითვალისწინეს მეზობელ, თუმცა ასეთივე მაღალ, მაგრამ მოსახერხებელ გორაზე, სადაც შეგროვებულ იქნა სამშენებლო მასალა. შემდგომი ეს მასალა არწივებითა და ყვავებით გადაიტანეს ბოჭორმაზე, სადაც იმ დროიდან

ტუ, ტბ., 1954, გვ. 420—421. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 71; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1963, გვ. 176—178.

<sup>35</sup> Г. М е л и к и ш в и л и, Н айри-Урарту, Тб., 1954, გვ. 420. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 666; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 176.

<sup>36</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ., 1972, გვ. 37.

<sup>37</sup> Д. Б а к р а д з е, Сцены из грузинской жизни, газ. «Кавказ», 1850, № 91, 92.

დაიწყეს შენობის აღმართვა შთამომავალთა გასაკვირადო. ამტიცებენ კიდევ, — წერს დ. ბაქრაძე, — და ეს გადმოცემა დადის ფშაველებს შორის, რომ ბოჭორმის ძირში ცხოვრობდნენ თამარის ხელქვეითი ბუშბერაზები, რომლებიც თავისუფლად გადააბიჯებდნენ ხოლმე მთას. მათ მეფის თანხმობით ააშენეს ბოჭორმის შენობა. ზოგადქართული რწმენა აქაურ ეკლესიას სასწაულებრივ ძალას მიაწერს. მე ვნახეო, — დასძენს დ. ბაქრაძე, — ბოჭორმის სამარეკლოში ზარები, ირმის რქები და მინის ნამსხვრევები, ხის ჭურჭლები და ტყვიის ბირთვები. ისინი აწყვია იქ, ლმერთმა იცის რამდენი ხანია და საიდან. ვერავის გაუბედავს შეეხოს მათ ან ოდნავ შეჭრას ხე, რომელიც გალავანში იზრდება იმიტომ, რომ ამისათვის ხატი დაწყევლის<sup>38</sup>.

დ. ბაქრაძემ სვანეთში მოგზაურობის საფუძველზე დაწერა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „სვანეთი“. დაიბეჭდა გაზ. „კავკასში“ (1861, № 1—4), 1864 წელს ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა<sup>39</sup>.

ნაშრომს სვანების და საერთოდ სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიული და ზოგ შემთხვევაში ფოლკლორული თავისებურებების შესწავლისათვის უმკველად დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორად აღნიშნავს დ. ბაქრაძე: „ამ ტომის ცხოვრების სურათის შესწავლა, რომლის წარმოშობა შორეულ წარსულში იკარგება და რომელმაც, ევროპული ცივილიზაციის მიერ ხელუხლებელმა, შემოინახა პირველყოფილ ჩვეულებათა ნიშნები, მაღალი ინტერესის საგანია. აქ თქვენ ნახავთ კაცობრიობის მოდგმის ბავშვურ მდგომარეობას მისი სათნოებითა და მანკიერებით“<sup>40</sup>.

დ. ბაქრაძე ნარკვევში აღნიშნავს, რომ სვანურ ხალხურ გადმოცემებში ქართველ მეფეთა შორის მხოლოდ თამარ მეფის სახეა შემონახული. სვანების შეხედულებით, თამარს განსაკუთრებით უყვარდა სვანეთი, სადაც ხშირად ატარებდა დროს, ააშენა ეკლესიები და შეამკო მდიდარი ხატებით. თამარი ღვთისმშობლის შემდეგ ყველა ქალთა შორის პირველია. იგი უყვადვია. მისი ადგილსამყოფელი უშგულის მიწისქვეშეთია, ღვთისმშობლის ეკლესიის ქვეშ, სადაც ქვეტარში ზის და ხელში სანთელი უჭირავს. დ. ბაქრაძე გადმოგვცემს შინაარსს. ერთი სვანური ლექს-სიმღერისა, რომელიც იმ დროს ფართოდ ყოფილა გავრცელებული: „მეფე თამარი ღვთისმშობლის სადარია, თავს გვირგვინად ოქროს ღიადემად ადგას, ყურებზე ბრილიანტის საყურეები ჰკიდია, ყელს მწვანე და წითელი ფერის ძვირფასი ქვის ყელსაბამი უმშვენებს, შემოსილია ნათელმოსილი შესამოსელით და ღვთისმშობელივით კაშკაშებს. იგი ჩამოდის მესტიამში, სადაც ექვსი დღის განმავლობაში წმინდა მარიამის სახელზე ეკლესიებს აშენებს და თავის გემოვნებით რთავს. თამარი მიმართავს სვანებს: ავიგეთ უკვდავი ღმერთის ტაძარი. მე არ ვარ უკვდავი. მისკენ ყველამ ლოცვა აღაპყარით და ის თქვენ შეგიფარებთ ქრისტეს სახელით. ამინ“. შევნიშნავთ, რომ სვანეთში ეკლესიების აშენებას თამარ მეფეს მიაწერენ. თავისუფალ სვანეთში მათი საერთო რწმენით, თავის თავს თავისუფალს თამარ მეფის დროიდან თვლიან<sup>41</sup>.

დ. ბაქრაძე სვანებში შეილიერების ზოგიერთ თავისებურ წესზე მოგვითხრობს. იგი აღნიშნავს, რომ გოგონებს ზოგჯერ დედა ძუძუს არ აწოვებდა და

<sup>38</sup> Д. Бакрадзе, Мое знакомство с пшавами, газ. «Кавказ», 1850, № 98.

<sup>39</sup> Д. Бакрадзе, Сванетия, Записки Кавк. отдела, имп. РГО, кн. VI, 1864.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>41</sup> Д. Бакрадзе, Сванетия, «Кавказ», 1861, № 2, გვ. 13—14.

კლავდა იმიტომ კი არა, რომ უჭირდათ, — ამას თავადებიც სჩადიოდნენ, — არამედ გოგო არ უნდოდათ. მათთვის მთავარი იყო გვარის გამგრძელებელი, გვარის ინტერესების დამცველი მებრძოლი ვაჟის დაბადება. გოგონების დახოცვის წესმა, — აღნიშნავს დ. ბაქრაძე, — ქალების ნაკლებობა და ამის კვალობაზე სხვისი ცოლების მოტაცების აუცილებლობა გამოიწვია<sup>42</sup>.

როგორც არნ. ჩიქობავამ გაარკვია, თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები ძველ ქართულში დაირთავდნენ დ-ს, ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი კი -ა-ს, მაგ., სალოცველ-ა, სადიდებელ-ა, საბერანეთ-ა<sup>11</sup>... თ. შარაძენიძეც ვითარებითის ფორმანტად გამოყოფს: დ-ს, -ა-სა და -ად-ს<sup>12</sup>.

აჭარაში მომუშავე მწერალთა ენაში ვითარებითი ბრუნვის ზემოთ აღნიშნული ანიშნაანი ფორმების არსებობა ქართული ენის რიგ კილო-თქმათა (აჭარული, იმერული, გურული...) უძველესი ვითარების ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

**2. მრავლობითში დასმული სახელი მსაზღვრელად.** სპორადულად დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის მრავლობითის ფორმით გამოხატული სახელი მსაზღვრელად, მაგალითები: „ლევან, ერთი გიორგიანთ გადიარე!“ (ს. ქლ. 11), „პაატაანთ ბიჭი ჰყავთ ცუდად“ (გ. ლორთქ. 243), „თაბაგაანთ მურადას სიტყვა მიუცია“ (ლ. გელ. 24), „განა ეგეთი სახლი უდგათ ბოროლაანთ?!“ (ი. რურ. 132), „ხუციენტ ქვრივს საქონლის ალაფი დალვია“ (ლ. გელ. 12), „ქომუანთ ახმედამ ელჩი მიუგზანვა“ (ლ. გელ. 6).

აღნიშნული ენობრივი ფორმულები, რომლებიც პერსონაჟის მეტყველებაშია დამოწმებული, ი-ან სუფიქსისა და მრავლობითის -თ ფორმანტის შერწყმის საფუძველზე არის მიღებული (=ი+ან+თ).

მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი ნათესაობითში დასმული სახელები, რომლებიც ადიექტივის მნიშვნელობითაა ნახმარი, -თა სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების მსგავსად უნდა იყოს შექმნილი<sup>13</sup>.

<sup>10</sup> არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 50. აღ. ლეკიაშვილი, ივრისხეური ფშაური, სტუდენტთა სამეცნ. შრ. კრებ., წგ. I, თსუ, 1941, გვ. 161. ე. კოშორიძე, ვ. ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, თბ., 1966, გვ. 61. ნ. საბაშვილი, მწერლის ენა, გვ. 56.

<sup>11</sup> არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმქის მოამბე, I, 1937, ტფ., გვ. 9-31.

<sup>12</sup> თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში; სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგნ. I, თბ., 1956, გვ. 10.

<sup>13</sup> შდრ. ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წგნ. I, ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1956, გვ. 286-289. ვ. დონდუა, „ლიბარიტეთ“-ისა და ანალოგიური ფორმის გეარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში; თსუ შრ., XXXIII B, თბ., 1948, გვ. 133-156.

როგორც ა. შანიძე მიუთითებს, -იან სუფიქსის ძველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ვინმესაგან წარმომავლობის აღნიშვნა, შემდეგ უნდა განვითარებულიყო კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობის გაგება. ამჟამად -იან დაბოლოების გვარები გამოყენებულია უმთავრესად სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ძველად ასეთი გვარები აღმ. საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ აქ ეს -იან შემდეგ შეუცვლია ძე-სა და შვილ-ს. ამის გამო -იან დაბოლოებას დაუპარავს პირვანდელი მნიშვნელობა და გარკვეულ შემთხვევაში შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია<sup>14</sup>.

ზემოაღნიშნული ნიმუშებიც სწორედ ჩამომავლობა-კუთვნილებას, ან ადგილმდებარეობას გამოხატავს. ზოგ მათგანს გარკვეული ფონეტიკური ცვლილება განუცდია, მაგ: „ხუციენტ“ ფორმაში სუფიქსისეული ა ხმოვანი წინამავალ ი-ს გავლენით დაეწროებულა, ხოლო „ქომუანთ“ — ქომო-ი-ან-თ — ქვემო-ი-ან-თ ფორმისაგან, სადაც მოხდა როგორც კომპლექსთა შერწყმა (ვე→ო), ისე შენაცვლება (ო>უ), ხმოვნებს შორის მოქცეული ო კი დიაკარგა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ფორმები აქარაში მომუშავე მწერალთა საკონტაქტო დიალექტური წრისათვის არ უნდა იყოს ტიპური. ვფიქრობთ, აქ ჩანს მწიგნობრული ენის გავლენა მწერლის ენაზე.

ორიოდე შემთხვევაში შემორჩენილია დეტერმინანტი სუფიქსი -ნ სიტყვაში „მ-ა-ნ“. მაგ.: „ხომ გახსოვთ, ძმ ან ე ბო“ (შ. როყ. 187), „ვთ და უთ დაეცა, ძმ ან ე ბო, ჩვენს მტერს“ (შ. როყ. 4).

შეგვხვდა ორმაგი მრავლობითის აღმნიშვნელი ფორმა: „ს ხ ვ ა ნ ე ბ მ ა ც დაამთავრეს უმაღლესი“ (ლ. გელ. 25). აქ ჯერ ნ-ართაა გამოხატული მრავლობითი და შემდეგ ერთის -ებ ფორმანტი. ქართულ სამწერლო ენის ისტორიიდან ცნობილია სახელთა მრავლობითის უდავოდ ორმაგი წარმოება: ამხანაგებთა... შვილებთა... ქვებთა... აქ ყველგან -ებ სუფიქსი მრავლობითისა უსწრებს წინ, ნ/თ-იანი მრავლობითის ნიშნები მას მოსდევს. ძმ ან ე ბ-ში წინ უსწრებს -ნ და მოსდევს -ებ<sup>15</sup>.

**3. თანდებულისანი ბრუნვები.** თანდებულების გამოყენების მხრივ შეინიშნება ზოგი თავისებურება: ნათესაობითისთვის თანდებულის ნაცვლად ზოგჯერ გვხვდება თვინიზა, რომელიც სახელთან შერწყმულად იხმარება. მაგ.: შ ვ ი ლ ე ბ ი ს თ ვ ი ნ (ი. რურ. 114), თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ნ (ფ. ხალვ. 85), რ ა ი ს თ ვ ი ნ (ლ. გელ. 26)... „თხუთმეტი თ უ მ ნ ი ზ ა პირს უტეხდა“ (პ. ლორ. 628), „შენი გუ ლ ი ზ ა ვშობი“ (გ. ლორთ. 335), „ერთი თ ხ ი ზ ა გავჭენდე ქვეყანაში?“ (ი. რურ. 45), „ძ მ ა ი ზ ა ათი ფუთი ღვინო გიჭირს?“ (ნ. მაღაზ. 31), „რ ე ი ზ ა უნდა წაართვას მაგან?“ (პ. ლორ. 47), „ღმერთმა შეგარცხვინოს მაგის თ ქ მ ი ზ ა!“ (გ. ლორთქ. 246), „გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ი ზ ა დავდივარ სოფელში“ (პ. ლორ. 151), „ღების და თ ხ უ ე ბ ი ზ ა მეცადა?“ (პ. ლორ. 263).

ახალ სალიტერატურო ქართულში გაბატონდა თვის, კილოებში კი იხმარება: თვინ (როგორც ბარის, ისე მთის დიალექტებში), თუნ (ინგილოურსა და მესხურში), თი (ფერეიდნულში), ხოლო იზა მიღებულია ნაგენეტივარი ვი-

<sup>14</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 122—123.

<sup>15</sup> არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 8.

თარებითისაგან ფონეტიკურ ნიადაგზე: იზა—იზდა—ისდა, სადაც ასიმილატორ დ-სთან ს-ანი ზ-დ იქცა, დ-ონი კი დაიკარგა<sup>16</sup>.

იზა ფორმა თვის თანდებულის ფუნქციით ფეხმოკიდებულთა გურულში, ქვემოიმერულსა და ქვემოაჭარულში.

საანალიზო თხზულებებში თვის თანდებულის მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე სუფიქსი -და, რაც ძველ ქართულში ძალზე გავრცელებული იყო, შემდეგ ეს ფორმა სალიტერატურო ქართულში შემოგვრჩა გამოთქმაში: ამისდა მიხედვით და მისთ.

ჩვენს მასალაშიც აღნიშნული სუფიქსი ნაცვალსახელებთანაა წარმოდგენილი: „ორი-სამი ბოთლი ჩემდაც გეიმეტეთ“ (ნ. მალაზ. 32), „გერონტიას გამოგზავნილი ხარ ჩემდაც ყელის გამოსაჭრელად?“ (ნ. ჩხ. 21), „სად სცალია ჩემდა“ (ნ. მალაზ. 14), „ჩემდა, ძმაო, ეს წისქვილი მეფის ტახტია“ (გ. ლორთქ. 332), „ჩემდა კაის მეტი არაფერი გოუკეთებიათ“ (გ. ლორთქ. 334), „თავს ნუ ისაწყლებ, ჩვენდა სასირცხვილოდ დაბადებულთ“ (ა. შერვ. 24), „ახლა ქეა მისდა“ (ნ. მალაზ. 4) „შენდა სატრფიალოდ დაუკრავენ ჰანგებს“ (მ. ვარშ. 50), „მე შენდა ლოცვად მიწას გავერთხმი“ (მ. ვარშ. 71)...

ა. შანიძე როცა განიხილავს პირის ნაცვალსახელებს ძველ ქართულში, ცალკე გამოყოფს მიმართულებით: „ჩემდა, შენდა, მისა (მისა მიმართ, მოგვიანო ხანის ძეგლებში: მისდა), ჩემდა მომართ, ჩუენდა მომართ, შენდა მიმართ, თქუენდა მიმართ, მათა მიმართ (მოგვიანო ხანის ძეგლებში: მათდა მიმართ)<sup>17</sup>.

ნაცვალსახელთა ეს ძველი ფორმები დიალექტთაგან ამჟამად შემორჩენილია უმთავრესად გურულში, აგრეთვე იმერულსა და რაჭულში, იგი წარმოდგენს ნაგენეტივარი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ვითარების ფორმას<sup>18</sup>.

არაიშვიათად გან თანდებულისანი ნათესაობითის ნაცვალად ამავე თანდებულისანი მოქმედებითი გამოიყენება: „ამ კაცო დან მოელოდნენ...“ (პ. ლორ. 119), „ქალეზი დან ესმოდათ“ (პ. ლორ. 95), „გლეხები დანაც შიილო“ (პ. ლორ. 22), „ცხოვრები დან გამწარებულს...“ (პ. ლორ. 212) და სხვ.

როგორც ვხედავთ, გან თანდებულისანი მოქმედებითი ნათესაობითის ნაცვალად მხოლოდ პ. ლორიას თხზულებებშია დამოწმებული და ისიც ავტორისეულ ენაში. „მოქმედების ჩამდენობის ან მასალის აღნიშვნის შემთხვევაში, კითხვებზე ვისგან? რისგან? ნათესაობითი ბრუნვაა საჭირო, ხოლო მოქმედების დასაწყისი, გამოსასვლელი პუნქტის აღნიშვნისას, კითხვაზე საიდან? — მოქმედებითი“<sup>19</sup>.

სპორადულად დასტურდება დამ თანდებულის ხმარებაც: „ათი მეტრის სიმადლი დამ გადმოვხედე ტურისტებს“ (ნ. ჩხ. 101), მაგრამ იგი ამჟამ-

<sup>16</sup> არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებულები ქართულში, ივე, I, თბ., 1946, გვ. 203—246.

<sup>17</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 46.

<sup>18</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჩემდა, შენდა... ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, ივე, სმამ, თბ., 1959, გვ. 109—113.

<sup>19</sup> მ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდია, თბ., 1975, გვ. 73.

მად დასავლურ კილოებში აღარ გვხვდება. ფეხმოკიდებული ჩანს ქართულსა და კახურში<sup>20</sup>. „საშუალო ქართულში საყოველთაოდ გავრცელებული იყო დაღმე—//—დამ თანდებული, რომელიც ერთვოდა მოქმედებითის ფორმას. XIX-ს იგი ჯერ კიდევ იხმარებოდა სპორადულად (ქართლ-კახეთიდან გამო-სულ მწერალთა ნაწერებში). ამჟამად მისი ხმარების არე ძალიან შევიწრო-ებულა, მაგრამ ქართლის მოსახლერე ზემოიწერულ სოფლებში ცალკეულ იშვიათ შემთხვევაში თუ დავადასტურებთ. ძველად კი აქაც საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა“<sup>21</sup>.

**4. ნაცვალსახელი.** თავისებურებას ავლენენ პირის, ჩვენებითი და გახუ-სახლერელობითი ნაცვალსახელები: ერთ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელი მე შეგვხვდა მენა-ს ფორმით: „რაც არის შენში ნათელი, მეკუთვნის შენა შენს უკითხავად“ (ლ. სეიდ. 72), შესაძლოა ეს ფორმა ლექსის საჭიროებით იყოს გამოწვეული, მაგრამ ასეა თუ ისე, იგი არქაიზმად ჩაითვლება.

II პირის ნაცვალსახელები მიმართვის დროს, თუ სხვა სახელს უძღვის, ბოლოკიდურ ნ-ს იკვეცენ: „შე კაცო?“ (ა. შერვ. 31), „შე ქალო!“ (გ. ლორთქ. 144), „შე წურბელა“ (გ. ლორთქ. 149), „შე ხესავით აყუდებულო!“ (ნ. ჩხ. 41), „თქვე საცოდავებო!“ (ს. ულ. 103)...

ჩვენებითი ნაცვალსახელები არაიშვიათად წარმოდგენილია ხმოვანშეცე-ლილად, ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით: აგი, ეგი, მაგი, ამფერი, მაგე-თი: „გაიოხა ყოფილა, კაცო აგი!“ (ნ. ჩხ. 61), „შენი ძამიაა, ცავ, აგი?“ (პ. ლორ. 130), „აგი ანძის ფეხი“ (ნ. ჩხ. 18), „აგი მთლად ჩემ ღვინოს ვავს“ (ნ. მაღაზ. 41), „ეგი რაა, უარესი მოგელის“ (გ. ლორთქ. 245), „რაია ეგი?“ (გ. ლორთქ. 244), „იმისი ბრალია მაგი“ (ნ. ჩხ. 68), „რა გეკ-ნეს ამ ფერი?“ (პ. გორგ. 70), „მაგეთი რა უნდა მთხოვო?“ (კ. რუს. 358)... მაგეთი ნაწარმოები ჩანს ეგეთის ანალოგიურად.

აღნიშნული ნაცვალსახელები მრავლობითის ფორმითაც დასტურდება, სადაც უფრო პროდუქტიული ჩანს -ებ-იანი წარმოება: „მაგეები არაა სა-ჭირო“ (კ. რუს. 7), „მაგეებს თავი ვაანებე!“ (კ. რუს. 90), „ამეების შოენაზე ღოღილი დამჭირდა“ (ი. რურ. 21), „ამეების საყიდელი თან-ხა გამოვიყენოთ“ (პ. ლორ. 159), „მაგინი ამერიკას უწვევენ ხელს“ (ი. რურ. 99)...

-ებ-იან მრავლობითში გვაქვს აგრეთვე კითხვითი და განუსაზღვრელო-ბითი ნაცვალსახელები: „რამეები არ უთხრა“ (ნ. მოღებ. 150), „იციო, რა-ეები დაუთენებია?“ (პ. ლორ. 141), „ისინი უბრალო ვინმეები არ უნ-და ყოფილიყვნენ“ (პ. ლორ. 176), „ზოგიერთ რამეებს აკეთებენ“ (პ. ლორ. 116)... „შვილი ვილაცეებთან გყავთ მიგდებული“ (კ. რუს. 51), „კიდევ მოილაპარაკეს რაღაცეებზე“ (პ. ლორ. 93), „ბევრი რაღაც-რაღაცეები ეყიდა“ (პ. ლორ. 217), ვილაცეებს გაეცნო, ვილაცეებს დაუმეგობრდა, ვილაცეებმა შეაეღინეს (პ. ლორ. 66)...

როგორც მაგალითებიდან ჩანს, კითხვითი ნაცვალსახელი რა მრავლობი-თის -ებ ფორმანტის დართვისას ყველა შემთხვევაში უკვეცელია (რამეები). რა-

<sup>20</sup> არჩ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენისკის მოამბე, I, 1937, გვ. 55.

<sup>21</sup> ი. ქავთარაძე, იმერული დიალექტის ისტორიისათვის, „მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 3, გვ. 117.

ლაც(ა) ნაწილაკიან ნაცვალსახელებთან როგორც პერსონაჟის, ისე ავტორის ენაში პარალელურად გვხვდება შეკვეცილი და შეუკვეციელი ფორმები (ვილაცები// ვილაცები, რალაცები // რალაცები), სადაც ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს სრულ ასიმილაციას (რალაცები—რალაცები), მეორე შემთხვევაში კი ასიმილაციასთან ერთად დაკარგვასაც (რალაცები—რალაცები— რალაცები). როგორც ჩანს, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები გაორკეცებისას იძენენ მრავლობითის მნიშვნელობას. შდრ.: „ვინ და ვინ მოვიდნენ?“ ეს ფორმა ნიშანდობლივია აჭარულის სსსაუბრო მეტყველებისათვის.

ზემოაღნიშნული ნიმუშებით ცხადი ხდება, რომ ნაცვალსახელებთანაც გაბატონებულ მდგომარეობას იჭერს მრავლობითის ებ-იანი წარმოება.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელის თვით//თვითონ პარალელურად დასტურდება „თავად“ ფორმა, რომლის ერთადერთი მნიშვნელობა ძველ ქართულში იყო თვითონ ის<sup>22</sup>. ზოგჯერ კი ამავე ფუნქციით გვევლინება კუთვნილებითი ნაცვალსახელები მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (ჩვენი, თავისი, მისით): „მე თავად ვესტუმრე“ (ნ. მოდებ. 146), „ჩვენ თავად შევატყობინებთ“ (ფ. ხალვ. 34), „ეს თავად მეფის წადილია“ (ფ. ხალვ. 29), „თავად მეორე ოთახში შევიდა“ (ფ. ხალვ. 21), „ეს ხმა, სიჩუმე და თავად მთები / იმ ძველ ხანძართა წინწყლებს მესვრიან“ (ფ. ხალვ. 47)... „მთავრობა თუ არ დაგვეხმარა, ჩვენი თ გავაკეთებთ ჩვენ საქმეს“ (პ. ლორ. 48), „წესრიგის დამრღვევი თავისით ადგეს ფეხზე!“ (ი. რურ. 31), „კალმახები მისით არ ამოვლენ ნაპირზე“ (ნ. ჩხ. 39).

უკანასკნელ მაგალითში შესაძლოა გვეფიქრა ასეც: „კალმახები თავისთავად არ ამოვლენ ნაპირზე“. მაგრამ ის ფაქტი, რომ აჭარულის ცოცხალ მეტყველებაში დამკვიდრებულია ასეთი ფორმები: ჩემით გავაკეთებ (მე თვითონ გავაკეთებ), ჩემით წავიყვან (მე თვითონ წავიყვან), ჩვენით გავაკეთებთ (ჩვენ თვითონ გავაკეთებთ), მისით გავაკეთა (მან თვითონ გააკეთა) და მისთ., თავისთავად მოწმობს ზემოაღნიშნულ ფორმათა არსებობის ფაქტს, რაც მხატვრული ლიტერატურის ენაშიაც გამოვლინდა.

ზოგი ქართული კილოს მსგავსად, ჩვენ მიერ შესწავლილ თხზულებებში ზოგჯერ გარჩეული არაა „თავისი“ და „მისი“ ნაცვალსახელების სტილური განსხვავებულობა. მაგ: „ყველამ მის საქმეს მოუაროს“ (გ. ლორთქ. 195), „თავისი ნამდვილი მტერი მურთაზაი ცოცხალი დიარება“ (ა. შერვ. 36), ნაცვლად ამისა: „ყველამ თავის საქმეს მოუაროს“ და „მისი ნამდვილი მტერი“...

**5. მსაზღვრელი სახელები.** საანალიზო თხზულებებში, ჩვეულებრივ, ახალი სალიტერატურო ქართულის დამახასიათებელი პირდაპირი (პრეპოზიციური) წყობა—მსაზღვრელ-საზღვრული არის გაბატონებული. პოსტპოზიციური წყობა, როგორც მოსალოდნელი იყო, პოეზიაშია შესამჩნევი. მრავლად დასტურდება როგორც ატრიბუტული, ისე მართული მსაზღვრელი ინვერსიული რიგით, მაგ. ატრიბუტული მსაზღვრელი შებრუნებული წყობით პოეზიაში: „წელამდე მწვდება ბალახი მწვანე“ (ლ. სეიდ. 37), „ნატვრის ხე მაღალი...“ (გ. ჯაყ. 67), „... ხომ მისიცაა ლექსი ჩვენი, სიტყვა ხნიერი“ (ფ. ხალვ. 101), „ვინ იცის დროშა დაკეცილი რას ელოდე“

<sup>22</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 527.

ბა“ (ფ. ხალვ. 19), „შიშით კრთოდა, ირყეოდა, კლდე პიტალო ძველის-ძველი“ (ი. რურ. 20), „დუხჭირ ცხოვრებას მალე დაპკრავს მეხიციური“ (ი. რურ. 5), „სცან დასანგრევედ განმზადა ქვეყანა ძველი“ (პ. რურ. 4), „შენ დამხვედრე დილა პირსავსე“ (ფ. ხალვ. 10), „გულს მტკივანს, სულსა მქვუნვარეს აღტაცებით ცად აღავლეს“ (გ. ვარშ. 44), „ო, როგორ გავდა იღბალით მკაცრით / ჩემს ხეიბრობას იმის სიბერე!“ (ი. მელია, 83), ქალაქო დიდო, ქალაქო წმინდავ, ქალაქო დედავ“ (ჯ. ჯაყ. 131)...

ზოგჯერ თანხმოდანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი პრეპოზიციურ წყობაში საზღვრულს ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ფუძის სახით ეთანხმება. მაგ.: „ისეთ ავადმყოფობის შემდეგ შვილი არ გეყოლებაო“ (პ. ლორ. 121), „მახლობელ სოფლები სსაბჭოებსაც მიმართა“ (პ. ლორ. 167), „შეეცდებოდნენ საზიზღარკბილების გამოჩენას“ (პ. ლორ. 253), „თავიანთ ბატონობის აღდგენაზე ფიქრობდნენ“ (პ. ლორ. 212), „მას თავის ზურგით გადაეზიდა ყველაფერი“ (პ. ლორ. 226).

შეინიშნება მოქმედებითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის ნათესაობითში დასმა: „დიდის ამბით დამემშვიდობა“ (ი. რურ. 42), „მთელის ტანით ჩამოეკიდა“ (გ. ლორთქ. 134), „გზა მიეცი დიდის დიდებით“ (ჯ. ჯაყ. 55)...

პოეზიაში დასტურდება მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის ნიშნუშე-ბიც: „არს იგი დღეი უნათლო და ხეუმეცრების“ (ლ. სეიდ. 59), „მაგრამ უცებ შედრკა ზვირთი და შეწყვიტა ძგერა გულის“ (პ. რურ. 21.), „მოლეულა ბინდი დამის, გარიჟრაჟით მოლეულა“ (ჯ. ჯაყ. 67), „...სახელს მიწისას“ (ჯ. ჯაყ. 33), „სხივებს მზისას“ (პ. რურ. 25), „სვეტს ნათლისას“ (გ. ვარშ. 32)... პროზაში: „მღუმარებას დამისას“ (ს. ჟღ. 7), „ნაპირს მდინარისას“ (ს. ჟღ. 15)...

როგორც ხედავთ, მართული მსაზღვრელი ინვერსიული წყობისას ემფატიკური ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი სახელობით ბრუნვაში. ცხადია, ეს ლექსის საჭიროებითაა გამოწვეული.

გათიშული მსაზღვრელიც, ჩვეულებრივ, ლექსებშია გამოვლენილი: „თვალი მოვისხით ორბული“ (ფ. ხალვ. 98), „ფრთას შევასხამ სიოცხლისას“ (პ. რურ. 25), „და გამკვირვალე ხდება ნიღბები“ (ზ. გორგ. 15), თავისუფალი ქვეთინებს ქარი / უახლოესი ვარწინაპარი“ (ზ. გორგ. 34), „დღეს წინაპართა ვასრულებ ანდერძს“ (გ. ვარშ. 17), „თითქოს აქ არის ნატვრის თვალი ჩემი წინაპრის“ (მ. ვარშ. 77) და სხვა მრავალი.

**6. ზმნა.** II პირის სუბიექტისა და III პირის ობიექტის ნიშანთა გამოყენების თვალსაზრისით აპარაში მოღვაწე მწერალთა ენაში ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, რაც საერთოდ დამახასიათებელია სამწერლობო ენისათვის ამჟამად.

მოგვეყავს მაგალითები ტექსტებიდან, როცა  $S_2O_3$  პირის ნიშნები გამოხატულია წესისამებრ:

ა) II პირის სუბიექტის აღსანიშნავად: „რა პქენი?“ (შ. როყე. 140), ჩვენს რჩევას თუ დაპყვებით?“ (ი. ფად. 135), „გაპყავით ქონება!“ (პ. ლორ. 54), „ხომ მოჰკალ დედაშენი?“ (შ. როყე. 137), „რას სჩადიხარ!“ (ს. ჟღ. 106)...

ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან III პირის ირიბი ობიექტის გამოსახატავად: „ყველას გაჰყვირებ ია“ (პ. ლორ. 4), „გულნარა ლაპარაკს აღარ შეჰყოლია“ (მ. გორგ. 4), „სოფელს გადაჰყურებდა“ (მ. გორგ. 9), „გზას შეჰყენენ“ (ნ. მოდებ. 79), „მზია ჰქეცია“ (ი. ფალ. 112), ბედს არ შესჩივის“ (პ. ლორ. 79), „თავი მოსწონს“ (პ. ლორ. 142), „ჩაფრები წამოსწეოდნენ“ (მ. გორგ. 73), „მოსწყურებოდა“ (პ. ლორ. 333) და სხვ.

გ) სამპირიან გარდამავალ ზმნებთან ირიბი ობიექტის III პირის გამოსახატავად: „ხელი მოჰკიდა“ (პ. ლორ. 139), „თქმა ვერ შეჰბედა“ (პ. ლორ. 18), „ლაპარაკს მოჰკრაცურია“ (ნ. მოდ. 141), „მშვენიერებას ჰმატებს“ (ი. მელია, 121), „ხმალი დაჰკრა“ (ს. ჟღ. 217), „სთხოვა თევდორემ“ (ზ. რუყ. 43), „ხელმწიფეო,—სწერდა ბარკლაი“ (ა. შერგ. 82)...

ზოგჯერ ჰ//ს გვხვდება ორპირიან გარდამავალ (სახელობით ობიექტიან ზმნებთან პირდაპირი ობიექტის III პირის გამოსახატავად, რაც სალიტერატურო ნორმით, რასაკვირველია, არ უნდა გვექონდეს, მაგალითები: „თავი ჩაჰკიდა“ (გ. ლორთქ. 159), „მოგზაურობამ დაჰკარგა რომანტიკული ელფერი“ (ა. ჩხ. 128), „სიტყვები საყვირმა დაჰფარა“ (ა. ჩხ. 23), „ულვაშამ თავი დაჰხარა“ (პ. ლორ. 280), „კაპიტანმა ეკიპაჟი შეჰკრიბა“ (ა. ჩხ. 127), „სოფელი შეჰყარა“ (მ. გორგ. 61), „დედა ჰკერავდა“ (მ. გორგ. 13), „კენჭები ჩანთაში ჩაჰყარა“ (მ. გორგ. 49), „რად მოჰკლა მშობელი?“ (ჯ. ჯაყ. 6), „აღათანგმა წარბი აჰგრიბა“ (ჯ. ჯაყ. 71), „რამინმა დასძრა მურადი“ (პ. ლორ. 280), „საშინელებას სთესავს სატანა“ (ა. შერგ. 33), „ორი დასჭრა“ (მ. გორგ. 15), „მუშებს თავს სჭრიან“ (ა. შერგ. 59), „დასწერეს საჭირო მოთხოვნები“ (მ. გორგ. 47), „ჩხირსაც ვერ გასტეხს“ (პ. ლორ. 179)...

დ) არაიშვიათად იგივე ნიშნები აბსოლუტური აგებულების ზმნებსაც ახლავს III პირის ფორმაში, მაგ.: „ნიავე ჰქერის!“ (ს. ჟღ. 133), „ქარი ჰქერის“ (გ. ლორთქ. 45), „ჰკითოდა ის“ (პ. ლორ. 129), „მიჰქერის შატარბელი“ (გ. ლორთქ. 157), „აქ ერთი ჰხარობს“ (ა. შერგ. 8), მახჟანა ელვის სისწრაფით გაჰქრა“ (პ. ლორ. 136), „კრავჭუკი ისევ სტირის“ (ა. შერგ. 14), „ეტყობა ჰყინავს“ (ა. ჩხ. 75), „მურადი შესდგა“ (პ. ლორ. 10), „ამანათი ბალიშის ოდენა სჩანდა“ (ი. ფალ. 207), „სიღრმეში მოსჩანს ქალაქი“ (ა. შერგ. 6), „სჰკნება დასტკბება“ (ა. შერგ. 8), „პატიმარი სდუმს“ (ა. შერგ. 67) და სხვ.

ზემოაღნიშნული ზმნები გამოხატავენ მხოლოდ სუბიექტურ პირს და ამიტომ წინ დასმული ჰანს ზედმეტია<sup>23</sup>. ხშირად ერთსა და იმავე მწერალთან ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი, რაც პირის ნიშნების ხმარების წესის აღრევით ან ზეპირი მეტყველების გავლენით არის გამოწვეული.

ე) გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა პირის პრეფიქსები სრულიად არ არის გამოხატული ისეთ ფორმებში, სადაც სალიტერატურო ნორმის თვალსაზრითი აუცილებელია: „ამათ გონიათ“ (ფ. ხალვ. 21), „რძალი მოგვარა სოფელს“ (ი. რურ. 84), „დახმარებას პირდებთან“ (პ. ლორ. 310), „გზას შეყენენ“ (ნ. მოდებ. 78), „თქვენ კითხეთ“ (ი. რურ. 79),

<sup>23</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 188.

„ანდრო თავს და ტ რ ი ა ლ ე ბ და“ (პ. ლორ. 239), „ქალი უკან გაყვდა“ (პ. ლორ. 229), „მხარზე ხელი დაკრა“ (გ. ლორთქ. 182), „მზე სიტბოს ფენდა“ (პ. ლორ. 270), „მათ ჯერათ ჩემი“ (ალ. ჩხ. 50), „ვის არ მოტაცებდა თვალს თინათინის ნაწნავები“ (ი. რურ. 84)...

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ანომალიების თვალსაზრისით არც ერთ მწერალთან არ ჩანს ერთგვარობა. ანალოგიურ მოვლენებს თითქმის ყველა თანამედროვე ქართველი მწერლის თხზულებებში დავადასტურებთ.

ვ) იშვიათად სუბიექტის III პირის მოსალოდნელი ო სუფიქსის ნაცვლად წყვეტილში გამოყენებულია ა, რაც ავტორის ენაშია დამოწმებული: „მთის წვეგრვალები რძისფერ ბურუსში ჩაეფლა“ (პ. ლორ. 264), ხოლო — ი თემისნიშნის საშუალო გვარის ზმნასთან აწმყოს III პირში სუბიექტის III პირის -ს სუფიქსის მაგივრად გვაქვს — ა: „ჩემ თავს ეინ ჩივა“ (პ. ლორ. 313). ჩივა—ჩივის დამახასიათებელია გურული დიალექტისათვის<sup>24</sup>.

ასევე იშვიათად სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელ თ სუფიქსს I თურმეობითის III პირში ცვლის -ან: „ქალებსათვის მოკლე კაბები ჩაუცმევინან“ (ლ. გელ. 25), იმავე -ან სუფიქსითაა შეცვლილი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -თ სუფიქსი აწმყოს I და II პირშიც: „მე კაცები მახლაევან“ (ლ. გელ. 75), „ღვინთ ოჯახი სავსე გაქვან“ (ნ. მანლაშ. 31), „სხვა რა საქმე გაქვან“ (პ. ლორ. 262), ნაცვლად ფორმებისა: გვახლავს, გაქვთ. აღნიშნული ფორმები ძირითადად დამახასიათებელია აჭარულისა და იმერხეულისათვის<sup>25</sup>.

სპორადულად გარდაუვალი ზმნის დამახასიათებელი -ენ დაბოლოება აქვს გარდამავალ ზმნას წყვეტილის III პირში მრავლობით რიცხვში: „შოთამ და ნანულმ გამომაცოლებნ“ (ს. ყლ. 56).

ზემოაღნიშნული -ან, -ენ სუფიქსების ხმარება მრავლობით რიცხვში ნიშანდობლივი მოვლენაა დასავლური კილოების ერთი ჯგუფისათვის და იგი ახსნება „ენის ტენდენციით, რომ ერთისა და იმავე ფუნქციის მატარებელი ნაირ-ნაირი ფორმები ერთ ფორმამდე დაიყვანოს“<sup>26</sup>.

ორიოდ შემთხვევაში „მიდგას“ ნაცვლად აწმყოში „მიდგია“ ზმნა გვხვდება, რაც სტატიკურ ზმნათა ანალოგიით მომხდარა (შდრ. წერია, ხატია, აგია...): „სანამ სული მიდგია“ (პ. ლორ. 264), „გლახა დღე გვადგია, ძმავე“, (ფ. ხალვ. 8).

**7. ზმნისწინი.** სალიტერატურო ენასთან მიმართების თვალსაზრისით

ზოგჯერ ზმნისწინთა ახლებურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე. მაგ.: „რაც მორჩება, სახარჯოდ მოინახავს“ (გ. ლორთქ. 5). აქ მოსალოდნელი იყო შემო ზმნისწინი — შემოინახავს. „ქალს ტუჩები სქლად გაეღებდა“ (ნ. მოდ. 150), უნდა გვეკონოდა — შე-ეღებდა. „სანამ წყალი მო-ცხელდა, სოფიომ შუბლზე ფხალის ფოთლი მიაფინა“ (შ. როყ. 259), ნაცვლად — შე-ცხელდა-სი. „ვაი იმას, თუ ვინმე ერთ მტკაველ მიწას გამოპარავდა“ (ნ. მო-

<sup>24</sup> შ. ძიძიშვილი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში, იყ. ტ. IX—X, თბ., 1958, გვ. 194.

<sup>25</sup> იხ. მაკარხუბია, ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, 1932, გვ. 18. ე. ნოდოდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936, გვ. 19—20. შ. ცინცაძე, კონათ-მარადის მეტყველების თავისებურებანი, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის პედინსტ. სტუდ. შრ., ტ. I, 1954, გვ. 12.

<sup>26</sup> იხ. ვ. თოდუროია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვარობანი პროცესი ქართველურ ენებში, იყ. ტ. 6. 1954, გვ. 452—453.

დებ. 155). მართებული იქნებოდა — მოიპარავდა. „ნაღვლიანი თვალები სივრცეში გაეპყრო“ (ს. ჟღ. 183), ნაცვლად — მიეპყრო ფორმისა. „პარტი-აში უნდა დაეწერო, უთხრა“ (პ. ლორ. 206). ჩა-ზმნისწინის მაგივრად და-არის წარმოდგენილი. „ქალი თუ და-გწონდა მაინც?“ (პ. ლორ. 251). აქ კი მოსენაკვლება და-ზმნისწინი. „ხავსმოდებულ ლოდთან სული და-ითქვა“ (ნ. ჩხ. 42), „მო-ითქვას“ მაგივრად. „ქალს არ გაუპატიუნი ა“ (გ. ლორთქ. 33) და სხვა.

წარმოდგენილი ნიმუშების უმრავლესობა ავტორის ენაში დასტურდება. ვფიქრობთ, იგი ცოცხალი აქარული მეტყველების უშუალო გავლენაა. ზეპირ მეტყველებაში ხშირად გაიგონებთ ზმნისწინების ამგვარად ხმარებას. ზოგ შემთხვევაში ამას მწერალი სტილური თვალსაზრისით იყენებს, მას გარკვეული სემანტიკურ-ლექსიკური დანიშნულება აქვს, უფრო გახაზავს გამოსახატავი მოვლენის არსს. მაგ.: „ტუჩები სქლად გაეღებ ა“ — ხაზგასმულია სიმკვეთრე. „წყალი მოცხელდა“ — იფულისხმება ოდნავ შეთბა (თუშკა ამასვე აღნიშნავს — შე-ცხელდა-ც). „ერთ მტკაველ მიწას გამო-პარა-ედა“ ავტორი მიწის ფართობის საერთო რაოდენობიდან მცირე ნაწილის გამოტანას უსვამს ხაზს, „თვალეები სივრცეში გაეპყრო“, აქ თითქოს აქცენტით გადატანილია თვალგაშტერებით, განუსაზღვრელი მიმართულებით ცქერაზე. ზოგჯერ კი ასეთი ფორმები ძალზე ხელოვნური ჩანს, მაგ.: „ქალი თუ და-გწონდა“, „პარტიში უნდა და-ეწერო“ და მისთ.

პრევერბთა მონაცვლეობის შემთხვევები აქა-იქ დასტურდება სხვა მწერალთა ნაწერებშიც. მაგ.: გამოსთხოვე (მოსთხოვეს ნაცვლად), მოიარე გაიარეს მაგივრად, მიუერთა (შეუერთას მაგიერ) და სხვა<sup>27</sup>.

დასახელებულ მწერალთა ენაში აქა-იქ შეიმჩნევა პრევერბისეული ხმოვნების გაფართოების ტენდენცია, რაც საყოველთაოდ გავრცელებულია ქართული ენის დიალექტებში, განსაკუთრებით აღმოსავლურში: მარტივ ზმნისწინებთან: მაიკლოთ (ი. ფალ. 66), მაიყვანე (ი. ფალ. 69), მიიწყინო (გ. ლორთქ. 58), შაირთე (ი. ფალ. 88), შაირთამ (ი. ფალ. 88), შაგვიძლია (ი. ფალ. 66); რთულ ზმნისწინებთან: შამეიხედავ (ლ. გელ. 73), ამაიტანე (გ. ლორთქ. 245), ამაიყვანეთ (გ. ლორთქ. 240), ჩამაიტანე (გ. ლორთქ. 242), წამიყვა, კაცო (ი. ფალ. 69)...

შეინიშნება ძველი სახის ზმნისწინებიც; ალ: „ვაჭრული გარიგების ცდამ მძულვარებით აღმავსო“ (მ. გორგ. 37), „ტყუილის საკადრებლად პირი არ აღაღო“ (ჯ. ჯაყ. 22). გან-: მოხერხებულად განაღაგაკერძები“ (მ. გორგ. 13), „შენ განგიცდია ტყვილები“ (პ. ლორ. 129). წარ-: „წარვიდე, შენთან დამაბინავე“, (ფ. ხალგ. 42); უკუ- „ქავთარი უკუდგა“ (ს. ჟღ. 218), „ბუმერანგივით უკუბრუნდება“ (ლ. სეიდ. 5). ნაზმნარ სახელებში: „სურათისაგან უკუმდგარი კუთხეში მიდგა“ (ს. ჟღ. 197), „კარებისაკენ დაიწია უკუსვლით“ (ს. ჟღ. 213).

დასახელებული ძველი ზმნისწინები თავისებური მხატვრული მიზანდასახულობით არის გამოყენებული.

**8. დრო-კილოთა ფორმები.** დრო-კილოთა წარმოებაში შეინიშნება ზოგი თავისებურება: ა) თურმეობით პირველში -ავ და იშვიათად -ამ თემისნიშნის

<sup>27</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტიზმები XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებში, იყე, XVI, თბ., 1968, გვ. 96.

ზმნებს არ გადაწყევბათ თემის ნიშანი და ვლელბულობთ ია-თი ნაწარმობე ფორმებს: „ხალიჩასავით მო გიქ არ გია“ (ა. შერვ. 32), „მაგრად გა გე ბე დია“ (ნ. ჩხ. 17), „სიმართლე ჩა გიხ ბა ტია“ (ნ. ჩხ. 86), „საქალაქო კომიტეტისათვის და უ რ ე კ ი ა“ (ს. ულ. 79), „არ უ ნ ა ხ ი ა“ (ა. შერვ. 249), „მინასთია ა ჳოროხისკენ დენა სისხლის ნაკადულის“ (ფ. ხალვ. 171), „გზა ჩრდილით და მი ფ ა რ ი ა“ (ფ. ხალვ. 115), „ვილაც გამვლელს დაუდგია თლილი ღარი“ (ლ. გელ. 81) და სხვა.

ასეთი ფორმები დამახასიათებელია ქართული ენის თითქმის ყველა კი-ლოსათვის, რაც სალიტერატურო ენაშიაც იჩენს თავს. ზემოაღნიშნული ფორ-მები, როგორც ვხედავთ, ავტორის ენაშიც ასახულა.

ასეთი და მსგავსი ფაქტის არსებობა ენაში სპეციალურ ლიტერატურა-ში ახსნილია ერთგვაროვან მოვლენათა უნიფიკაციის ტენდენციით. აქ „უნი-ფიკაცია ვატარებულისა თურმეობით I-ის ფორმებისა თითქმის ყველა დია-ლექტში. აღსანიშნავია, რომ აქ ორი მიმართულება იჩენს თავს: ერთი მიმარ-თულება გაბატონოს -ია სუფიქსები და მოშალოს -ავ და -ამ თემატური ნიშნები, მეორე კი პირიქით, გაავრცელოს -ავ და გარკვეულ შემთხვევაში -ივ“<sup>28</sup>.

ბ) დრო-კილოთა I და II თურმეობითის მწკრივებში მრავლად მოიპოვე-ბა ნ-არ ჩართული ფორმები. იგი გვხვდება როგორც გარდამავალ, ისე გარ-დაუვლად ზმნებთან, მაგრამ უფრო პროდუქტიული ჩანს გარდაუვალთან. მა-გალითები: I თურმეობითის ფორმასთან: „ეს მი ი ა მ ბ ნ ი ა თქვენთვის“ (პ. ლორ. 161), „მაკრატელი გა ტ ე ხ ნ ი ა“ (პ. ლორ. 65), „ნეკნები ჩა უ ლ ე წ - ნ ი ა“ (პ. ლორ. 137), „ბავშვებისათვის არ უ ლ ა ლ ა ტ ნ ი ა“ (ი. ფლ. 230), „მას გულისტივილით წ ა მ ო უ ძ ა ხ ნ ი ა“ (კ. რუს. 82), „ცული საქმე დ ა - ვ მ ა რ თ ნ ი ა“ (კ. რუს. 82), „არაფერი უ პ ა ს უ ხ ნ ი ა“ (გ. ლორთქ. 310), „ალექსის არ დ ა ვ ი წ ყ ნ ი ა“ (ნ. მოდებ. 17), „გ ი მ უ შ ა ვ ნ ი ა ოდესმე“ (ნ. მოდებ. 42), „არც ერთს არ გა უ მ ა რ ჳ ნ ი ა“ (ა. ჩხ. 11), „ქალს არ გა უ პ ა ტ ი ე ნ ი ა“ (გ. ლორთქ. 33), „მამას არ გა უ ლ ი მ ნ ი ა, არ უ მ - ღ ე რ ნ ი ა და არ უ თ ა მ ა შ ნ ი ა“ (პ. ლორ. 205).

II თურმეობითის ფორმები: „გადაწყვიტეს შე ე თ ვ ა ლ ნ ა თ“ (პ. ლორ. 194), „ყურები და ე ც ქ ე ი ტ ნ ა თ“ (პ. ლორ. 65), „არ უნდა გა მ ე ბ ე დ - ნ ა“ (პ. ლორ. 336), „კვერცხი მო ე ხ ა რ შ ნ ა თ“ (პ. ლორ. 34), „უნდოდა ეს რ ო ლ ნ ა“ (პ. ლორ. 107), „რომ მშვიდად ე ლ ა პ ა რ ა კ ნ ა“ (ფ. ხალვ. 87), „ჩემად ე მ უ შ ა ვ ნ ა ზაქარისა“ (გ. ლორთქ. 269), „გულნაზს არ მი - ე კ ი თ ხ ნ ა“ (კ. რუს. 232.), „ცდილობდა არაფერზე ე ფ ი ქ რ ნ ა“ (კ. რუს. 274), „მწერაფრად დროის გაუცდენლად ე მ ო ქ მ ე დ ნ ა“ (ს. ულ. 33).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ნ-არიანი ფორმების ხმარება თურქოე-ობითებში უფრო დამახასიათებელია პ. ლორიას თხზულებათა ენისათვის. იგი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ უფრო ავტორის ენაშია გამოხატული, ე. ი. შეინიშნება მისი ნორმალ დამკვიდრების მიდრეკილება.

როგორც ვხედავთ, პირველი თურმეობითის აწმყოზე დაყრდნობილი ფუ-ძიდან იღვენება -ავ, -ებ სუფიქსები და მათ ადგილს იჭერს -ნ სუფიქსი. ჩვენს მასალაში გამოვლენილი ნ-არიანი ფორმები, რომლებიც უმრავლეს შემთხვე-ვაში ავტორის ენაშია დამოწმებული, გაუმართლებელია ისეთ ფუძეებთან,

<sup>28</sup> ე. თ ო ფ უ რ ი ა, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იყ, ტ. VII, თბ., 1955, გვ. 458.

რომელთაც აწმყო-მყოფადში აწარმოებს -ავ, -ამ, -ებ სუფიქსები<sup>29</sup>. მას ხმა-რებულობის სანქცია არ უნდა მისცეს მწერალმა.

**8. თემის ნიშნები.** საანალიზო მასალაში მარტივფუძიან და იშვიათად ფუძედრეკად ზმნებს დართული აქვს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი — თემის ნიშანი: მაგ.: „ჩაგწერავთო“ გვითხრა“ (პ. ლორ. 62), „მე არ მკერავს“ (ა. შერვ. 76), „არ გჯერავს ხომ?“ (ს. ჟღ. 28), „თუ არ გკერავთ, თქვენც დახედეთ“ (ნ. ჩხ. 19), „მას რომ ვუწოდებვარ, რა ვქნა?“ (ლ. გელ. 22), „მაგ მუხლს რომ იზელავ, თუ გტკივა?“ (კ. რუს. 215).

ფუძედრეკად ზმნებში: ღრეკს, ფლეთს, სრეს და მისთ. ფუძისეულ ე-ს ნაცვლად I სერიის ფორმებთან გვაქვს **ი**, ამასთან გაჩენილია თემის ნიშანი -ავ. მაგ.: „შევარდენი ღრუბელს ფლითავს“ (ლ. გელ. 5), „ქარი მიწამდუნნიქავდა ალორთქილ თხმელებს“ (ნ. ჩხ. 15), „ფეხით სრისავს“ (გ. ლორთქ. 148), „სულში ფრინავენ გუნდი მერცხლების“ (ქს. მუჟია. 29), „ბაწარს გრიხავს“ (მ. ვარშ. 58), „ადარი გლიჯავს ხეს“ (ფ. ხალვ. 30), „ზეცა პირს მოიწმინდავს“ (ლ. გელ. 96), „ლომი დავფლითავს“ (ლ. გელ. 80)...

სალიტერატურო ენაში ასეთი ფორმების არსებობა სასურველი არაა. ეს ნიშნავს „კარი გავუღოთ ისეთ ყოვლად გაუმართლებელ ფორმებს, როგორიცაა: „მამებთა“, „შვილებთა“ და სხვა, სადაც მრავლობითი რიცხვის ორი ბოლოსართი (ებ და თ) გვაქვს<sup>30</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მარტივფუძიან ან ფუძედრეკად ზმნებზე თემის ნიშნის დართვა ქართული ენის მრავალ (როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ) კილოში შეინიშნება, ფუძის საწარმოებელ სუფიქსებს ფუძედრეკადი ზმნები არ საჭიროებენ, რადგან ამ სუფიქსების ფუნქციას (ფორმათა გარჩევას) ფუძის ღრეკადობა ასრულებს<sup>31</sup>.

იშვიათად შეინიშნება თემის ნიშანთა მონაცვლეობა, მაგალითად, -ებ-ს ენაცვლება -ობ: ფართხალობდა (პ. ლორ. 163), ფუსფუსობდნენ (ლ. გელ. 80), ფლიეინობს (პ. ლორ. 300), აპირობს (პ. ლორ. 47), გვპატიეობ? (პ. ლორ. 182), ქადაგობდნენ ... (პ. ლორ. 67)...

თემის ნიშანთა მონაცვლეობა აქ შეინიშნება როგორც პერსონაჟის, ისე ავტორის ენაში. ეს მოვლენაც ფეხმოკიდებულია კილოებში, განსაკუთრებით კი აღმოსავლურში. მასაც სპეციალისტები ენობრივი ფორმების ანალოგიითა და გათანაბრების ტენდენციით ხსნიან<sup>32</sup>.

**9. ვნებითი წარმოება.** ა) ზოგჯერ ე-ნიანი და ი-ნიანი ვნებითი გვარის ზმნებს აწმყო-მყოფადში ზმნის ფუძის დამახასიათებელი დაბოლოება არ დაერთვის და გვაქვს არქაული ფორმები: „დიდ ბედნიერებად:.. მე გუღვის“ (ლ. გელ. 118), „გული მეთთქვის“ (ლ. გელ. 37; ჯ. ჯაყ. 56), „დოიკარგვის“ (კ. რუს. 282), „არ დაეკარგვის“ (პ. ლორ. 437), „პირი ებურვის“ (ლ. გელ. 88), „ლარ იცრემღვის“ (ლ. გელ. 25), „მწვა-

<sup>29</sup> იხ. ი. ქავთარაძე, დრო-კილოთა III სერიის წარმოების ერთი თავისუბრება ხალქართულში, იკვ. ტ. 7, თბ., 1955, გვ. 61—78.

<sup>30</sup> ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ, შრ, III, თბ., 1936.

<sup>31</sup> ი. ცერცვაძე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის (ხელმძღვ. არნ. ჩიქობავა), სტ. სამცენ. შრ. კრ., წგნ. I, თბ., 1941, გვ. 181—189.

<sup>32</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“, ტფ., 1925, გვ. 72—73.

ნით მოიკრთვის მთა-ბარი“ (რ. რურ. 60), „მწვეანეთში მიიძალვის“ (მ. ვარშ. 75).

ბ) აწმყო-მყოფადის მესამე პირში იშვიათად შეინიშნება -ს ნიშნიანი ფორმები: „არ შე გვე რ გებ ის“ (გ. ლორთქ. 58), „გეთქმის“ (კ. რუს. 311), „მზე მაღლა იქნების, ეს ასე იქნების“ (ჯ. ჯაყ. 26), „ცოდვად დაიწერების“ (ჯ. ჯაყ. 27), „ესეც გვეყოფის“ (ჯ. ჯაყ. 56)...

გ) სახელთაგან ნაწარმოებ ზმნების ერთ ჯგუფში შეინიშნება მიჩნევისა და გუნების ვნებითის ნიშნარსი: „ნაზიკო ძალიან მეღამაზა“ (ფ. ხალვ. 8), „გენაკულდება თუ?“ (გ. ლორთქ. 244), „რა მე ალერსება“ (ბ. ლორ. 153), „ელამაზება ვით ვარდი / თვალებს ლერწამით მოლობის“ (ხ. გორგ. 23).

ერთ შემთხვევაში ე-ნიანი ვნებითის ნაცვლად გვხვდება ნამყოს მიძღობის ფორმისაგან -ობ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმა: „ისე დაუმძიმდა, თითქოს ვერ ზიდულობსო“ (კ. რუს. 134). შდრ. ნამიმღობარ ზმნებს: ცნობილობს, ტანულობს, ხმარულობს<sup>33</sup>...

**10. კაუზატივის წარმოება.** როგორც ცნობილია, ამჟამად სალიტერატურო ქართულში კაუზატივის საწარმოებლად -ინ გვაქვს ზმნათა უმეტეს ნაწილში, -ევიზ კი (რომელიც -ევიზა და -ინის შეერთებითაა მიღებული) გარკვეული ტიპის ზმნებს მოუღიო, მაგ., ახნევიზებს, ათლევიზებს, აქრევიზებს<sup>34</sup> და მისთ. -ინ მოუღიის ისეთ ზმნებს, რომელთაც საწყისში მარცვლოვანი ფუძე (თემა) აქვთ, ხოლო -ევი კი—უმარცვლოებს<sup>35</sup>. -ინის ნაცვლად ზმნათა დიდ უმეტესობას ზოგ კილოში (გურული, იმერული) -ი მოუღიის. ანალოგიური მაგალითები მრავლად მოწმდება ჩვენს მასალაშიც: „კისის მოვტეხი-ევი“ (გ. ლორთქ. 252), „კუღით ქვანა ვასროლი-იოთ“ (ლ. გელ. 24), „მასალას ვერ გავაფუჭებ-იევი“ (ნ. ჩხ. 4), „მეც ჩავალბობ-იევი“ (ფ. ხალვ. 8), „გინდათ დამაწყებ-იოთ?“ (ი. რურ. 64), „ხომ თქვი — დამატოვებ-იესო“ (ფ. ხალვ. 14), „ნუ მაცქერ-იევი მის ტანჯვას“ (ლ. გელ. 122), „მოგასმენ-იევი“ (ლ. გელ. 23), „შენ აგაშენებ-იევი ბდი სახლს“ (ნ. ჩხ. 18), „ჩაგაწერ-იევი“ (ნ. ჩხ. 12), „მომადებენ-იევი ჩონგური“ (კ. რუს. 159), „რა გამაძლებ-იევი ქალაქში!“ (კ. რუს. 106), „ამისთვის დავამთავრებ-იევი უმაღლესი?“ (კ. რუს. 325), „რა ჯანდაბა მოგარბენ-იევი!“ (კ. რუს. 96), „იმას ავარჩევ-იევი“ (ლ. გელ. 33), „რაცხა დავგვალევი-იევი“ (ი. რურ. 92), „სიძეს ხილი მოაკრეფ-იევი“ (ნ. მალაზ. 55)...

მსგავსი მაგალითები მრავლად აქვს დამოწმებული გ. კვერენჩილაძეს<sup>36</sup> და აქ იგი-ი(ნ) სუფიქსის -ნს მიიჩნევს დაკარგულად, ხოლო ა. შანიძის აზრით, -ი(3)-ის 3 ელემენტია ჩავარდნილი<sup>37</sup>. მოყვანილი საილუსტრაციო მასალის მიხედვით ირკვევა, რომ შედარებით მოგვიანო ხანაში გაჩენილი -ინ სუფიქსის ნარია დაკარგული. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო სარწმუნო მი-

<sup>33</sup> კ. ძოწენიძე, ზემოიერულ და ქვემოიერულ კილოკავებთან მიმართებით შუაიერულის საკითხისათვის, „მაცნე“, 1967, გვ. 214. (№ 3)

<sup>34</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 360.

<sup>35</sup> იხ. არ. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974, გვ. 5—34.

<sup>36</sup> იხ. გ. კვერენჩილაძე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში (ხელმძღვ. ა. ჩიქობავა), სტ. სამცხე. შრ. კრებ., წგნ. I, თბ., 1941, გვ. 205, 206, 209.

<sup>37</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 417.

გვანია მტკიცება იმის შესახებ, რომ ხევსურულს არქაული წარმოება „შემო-უნახავს. და იქ - ევ-ი(ვ) სუფიქსის ვ-ინის ჩაჯარდნა ხელშესახები მაგალითებით დასტურდება<sup>38</sup>. მაგრამ საგულისხმოა, რომ ევ+ინ-ის ბაღლად სახალისო მასალაში სავარაუდოა გვქონდეს -ევ+ებ→ივ+ებ<sup>39</sup> ფორმა: „ვიხუმრე თორემ არ გახდ-ი-ე ბ“ (ნ. მალაზ. 19) „ხორცს არ გვახდ-ი-ე ბენ“ (ლ. გელ. 31), აქ ნუ მათქმ-ებთ ყველაფერს. (ნ. მალაზ. 36), „შენი ბარტყი სხვას გინდა გააზრდ-ი-ო? (კ. რუს. 96). ამ უკანასკნელში უფრო ადრინდელი ფორმა უნდა იყოს გამოხატული: გააზრდ-ი(ვ)-ო (მდრ. ხევს. ავნ-ევ-ს: ავნ-ივ-ა→ავნ-ი-ა).

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშები, რომლებმაც თავისი გამოხატულება პოვეს შესწავლილ მწერალთა მხატვრულ თხზულებებში, ძველია და გურული კილოს ანარეკლი ჩანს.

**11. ნაწილაკი.** ნაწილაკთაგან ყურადღებას იპყრობს „უნდა“, რომელიც გაბმულ მეტყველებაში ზოგჯერ კარგავს მახვილს, ერწყმის რომელიმე მახვილის მქონე სიტყვას და ვლბულობთ ფორმებს: ნა—ნდა—უნდა. ასეთ შემთხვევაში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, საქმე გვაქვს პროლოტიკას ან ენკლიტიკასთან.

საანალიზაციო ტექსტებში დასტურდება მხოლოდ ენკლიტიკის მაგალითები, უფრო მეტად იგი -ნა ფორმით არსებობს, გვხვდება თითქმის ყოველგვარ სახელთან, იშვიათად ზმნიზედასთანაც: „ვაშაძეს კუდით ქეანა ვასროლიოთ“ (ლ. გელ. 24), „თ ივანა გამეიტანოს“ (ლ. გელ. 11), „სახელგატეხილინა ვიარო“ (ლ. გელ. 22), „ახმედასნა წაგყვე“ (ლ. გელ. 22), „ოჯახშინა ჩაგვიჯდეს“ (ფ. ხალვ. 8), ცხემლის წირეხითნა ცემო“ (ფ. ხალვ. 85), „იცი, რანა გითხრა?“ (ფ. ხალვ. 61), „რანა უქნა ამისთანებს!“ (ა. შერვ. 181), „ვისნა წაელო?“ (ლ. გელ. 73), „არნა სვა“ (ლ. გელ. 69), „აბა, სადა ვერინა ვიყო?“ (ფ. ხალვ. 20)...

აღნიშნული ფორმები დასტურდება ქართული ენის ზოგ დიალექტში: აჭარულში, მესხურ-ჯავახურსა და იშვიათად კახურში<sup>40</sup>.

ჩვენი მასალის მიხედვით ჩანს, რომ მას იყენებენ მხოლოდ ადგილობრივი მწერლები. აღნიშნული ენობრივი ერთეულები ნიშანდობლივია აჭარულის სასაუბრო მეტყველებისათვის.

ზოგიერთ მწერალთან პერსონაჟის მეტყველებაში დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციით იხმარება ქე: „დეინახა და ქეც შეასრულა“ (ა. შერვ. 182), „რომ შემოვა, ქე ამოხტი კოდიდან“ (გ. ლორთქ. 251), „შენც ქე ჩეეტევი“ (გ. ლორთქ. 251), „ახლა ქე ვისწავლე ჭკუა“ (გ. ლორთქ. 104), „ხელის მოწერას ყველა ქე შესძლბეს“ (ი. რურ. 83), „უკეთესი ქე მინდოდა, მარა“... (ი. რურ. 21), „უარი რომ ვუთხარ, ქე მდრუხა“ (ი. რურ. 149)...

ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს იმერული კილოს გავლენა მწერალთა ენაზე.

**12. კავშირი.** „რადგან“ კავშირის ნაცვლად შეიმჩნევა „რახან“ კავშირის

<sup>38</sup> ა. თაყაიშვილი, დასახ. შრ., გვ. 21—22.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>40</sup> იხ. შ. ნიჭარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 39—40. ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, გორის პედინსტ. შრ., ტ. I, 1942, გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კოლო, „მაცნე“, ცნისა და ლიტერატურის სერია, 1972, №4, გვ. 248. არ. მარტოროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 60.



გამოყენება, მავ: „რ ა ხ ა ნ ასეა, წაეიდეთ“, (გ. ლორთქ. 46), „რ ა ხ ა ნ ისურვა, დაგვეხმარება“ (პ. ლორ. 64), „რ ა ხ ა ნ საქმეს ხელი მოვკიდეთ, არ უხდა შევტყვევებ“ (პ. ლორ. 58), „რ ა ხ ა ნ აქამდე მოვედით, გავიმარჯვებთ“, (პ. ლორ. 57), „რ ა ხ ა ნ მომისწრო, არაფერი მიჭირს“ (პ. ლორ. 564), „რ ა ხ ა ნ ზეიმი გაქვთ, მიბატებიან“ (ალ. ჩხ. 8), „რ ა ხ ა ნ წამოიწყე, მეც გითხარი“ (ალ. ჩხ. 42)...

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ „რახან“ კავშირი პირობით დამოკიდებულ წინადადებაშია გამოყენებული და ყველა შემთხვევაში იწყებს წინადადებას. ეს კავშირი ცნობილია აღმოსავლურ დიალექტებშიც — ქართლურში, კახურსა და ხევსურულში<sup>41</sup>. იგი დიალექტური წარმოშობისა და მიღებულია „რა“ და „ხან“ სიტყვათა შეერთების საფუძველზე<sup>42</sup>.

„რომ“ კავშირის ფონეტიკურად ენაცვლება რუმე // რომე. ეს უკანასკნელი ძველი „რომელ“ ფორმის ნაშთია: რომელ—რომე—რომ<sup>43</sup>. მაგალითები: „რ უ მ გიყვარს, კაია“ (ფ. ხალვ. 84), „ყველამ რ უ მ პურ-მარილი გაშალოს, დაიქვევა ოჯახები“ (ლ. გელ. 15), „ბერძენსაც უთქვამს, რომ ე უსტარი მიუწერია...“ (ა. შერვ. 149), „ისე დეიკივლა, რომ ე თელმა ქვეყანამ დააყურა“ (ა. შერვ. 182).

აღნიშნულ კავშირთაგან „რომე“ არსებითად დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის, „რუმ“ კი აჭარულ-გურულისა და ინგილოურისათვის<sup>44</sup>.

იშვიათად შეინიშნება კავშირების ძველი სახეებიც: პირობითი — უკეთუ და ვითარებით-შედგობითი — ვითარ // ვითარცა, მიზეზობით-განსაზღვრებითი — რამეთუ, მაცალკევებელი — გინა: „უკეთუ აღნიშნულ მიმართულებას გაჰყვებით, თავს მოუყრი არმის“ (ა. შერვ. 69), „უკეთუ მოხდება თქვენი შეუღლება, ავინთებ სანთელს (ლ. სეიდ. 71), „ვითარ მაჰახელა აროდეს ბერდება, ასეა ქართველობა“ (ჯ. ჯაყ. 32), „ერთად ვამცრევი, ვითარცა მარცვლებს...“ (ფ. ხალვ. 125), „რამეთუ ფროხილად დარაჯობს სიცოცხლეს ანდამატივით, /აღარ მოშლოდეს არასდროს მიწას ეს დიდი პატივი“ (ლ. სეიდ. 56), „ვინ გიპირებს დარბევას? მეზობელი, გინა ლეკი, გინა ასირიელი“ (ჯ. ჯაყ. 27). როგორც ვხედავთ, კავშირების ეს არქაული ფორმები უმთავრესად ლექსშია გამოყენებული. აქ არქაიზმები სტილიზაციის გამოხატვის საშუალებაა და იგი წიგნური გზით ჩანს დამკვიდრებული საანალიზო თხზულებებში.

განხილული თავისებურებები გვიჩვენებს როგორც ძველი ენობრივი ფორმების შემონახვის შემთხვევებს, ისე ენის საერთო განვითარების ტენდენციებს და დიალექტური ერთეულების ლიტერატურაში შეგნებული გამოყენებისა თუ გავლენის ფაქტებს. ყველაფერი ეს კი საერთო ეროვნული ლიტერატურული ენის შედგენილობის კვლევისათვის საინტერესო და საჭირო მასალა<sup>45</sup>.

<sup>41</sup> იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 92.

<sup>42</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბ., 1959, გვ. 283.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>44</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 74, 100, 106.

<sup>45</sup> საანალიზოდ გამოყენებულია ე. ახვლედიანის (ე. ახვლ.), ნ. გვარამიშვილის (ნ. გვარ.) ლ. გელაძის (ლ. გელ.), ზ. გორგილაძის (ზ. გორგ.), მ. გორგილაძის (მ. გორგ.), მ. ვარშანიძის (მ. ვარშ.), პ. ლორიას (პ. ლორ.), გ. ლორთქიფანიძის (გ. ლორთქ.), ნ. მალაზონიას (ნ. მალაზ.), ი. მელიას, ნ. მოლდუაძის (ნ. მოლდუაძ.), ქს. მკევეას (ქს. მკე.), ს. ქლდუაძის (ს. ქლდუაძ.), შ. როყვას (შ. როყვ.) ე. რუ-

Н. Х. МИКЕЛАДЗЕ

 МОРФОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ В СОЧИНЕНИЯХ  
 ПИСАТЕЛЕЙ, РАБОТАЮЩИХ В АДЖАРИИ

Резюме

В художественных произведениях грузинских писателей, живущих и работающих в Аджарской АССР, наряду с ординарными литературными нормами, замечаются также диалектные и архаичные особенности.

Писатели пользуются аджарскими диалектизмами, а порой и близко стоящими к ним гурийскими и имеретинскими. Обращают на себя внимание следующие особенности: собственные имена имеют полное окончание в звательной форме (*Mzia-v*), притяжательное местоимение в творительном падеже имеет функцию определительного местоимения (*mis-it aqeteb's* «он сам делает»), глаголы с суффиксами *-av* и *-am* в первом результативном образуются через *-i-a*: *daxat-i-a*, «он, оказывается, нари-совал», *dauđg-i-a* «он, оказывается, поставил»; глаголы со стягающей основой в настоящем времени оформлены суффиксами, напр. *grix-av-s* «закручивает»; наблюдается слияние глагола *unda* «должен» с предыдущим именем: *kva* («камень») *unda* («должен») *gadaagdos* («выбросить») → *kvana gadaagdos*.

Все эти и подобные им диалектизмы употребляются в аджарском и вообще в западном ареале грузинских диалектов.

Из фонетических и грамматических архаизмов следует отметить сохранение нередуцированных основ (*stumaris*, в. *stumris* «гостя»), выявление суффикса-детерминанта в именах (ср. *daba* «поселок», множ. ч. *dab-n-eb-i*), образование настоящего и будущего времени в глаголах страдательного залога (*ixatvis*, в. *ixat'eba* «рисует») и каузативных (побудительных) форм (*axdiebs* в. *axdevinebs* «он его заставляет платить»).

Эти архаизмы, большинство из которых были нормой для древнегрузинского литературного языка, сохранены в диалектах и сейчас. Писателями эти диалектизмы используются со стилистической целью для характеристики персонажей и редко замечаются в собственном повествовании писателя. Аджарские писатели в этом отношении продолжают традиции классиков грузинской литературы второй половины XIX века, хотя современное состояние грузинского литературного языка и стремительный процесс нивелирования диалектов требует более осторожного и умеренного их использования.

სიძის (ქ. რუს.) გ. სალუქუაძის (გ. სალ.), ა. სამსონიას (ა. სამს.), ლ. სეიდიშვილის (ლ. სეიდ.), ი. ფალავას (ი. ფალ.), ჯ. ჭათამაძის (ჯ. ჭათ.), ა. შერვაშიძის (ა. შერვ.), ა. ჩხაიძის (ა. ჩხ.), გრ. ჩხაიძის, (გრ. ჩხ.) ნ. ჩხაიძის, (ნ. ჩხ.), ნ. ძირკვამის (ნ. ძირკვ.), ფ. ხალვაშის (ფ. ხალვ.), ჯ. ხოფერიას (ჯ. ხოფ.), ჯ. ჯაყელის (ჯ. ჯაყ.) სხვადასხვა დროს გამოცემული თხზულებები.

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის  
 ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

## მერი ჩიკობავა

## „ლალი“ და „ბადახში“ ტერმინების მნიშვნელოვანობისათვის

ლალი ერთ-ერთი ულამაზესი და უძვირფასესი წითელი ფერის ქვაა. კლასიკური და აღორძინების ხანის ქართულ ორიგინალურსა თუ თარგმნილ ლიტერატურაში სიტყვა „ლალი“ მეტად ხშირად გვხვდება. ჩვეულებრივ, ის სინონიმია ყოველივე წითლის, გამოიყენება როგორც ეპითეტი ან მეტაფორა წითელი ღვინის, ღაწვებისა და განსაკუთრებით ბაგეთათვის.

ლალი — წითელი ფერის ძვირფასი ქვა, პატროსანი თვალი, წითელი იაგუნდი, წითელი; იგივე ბადახში, ბადახშანი.

„...იხილა აღმოსავლეთ-კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ, აღრეული ლალითა“<sup>1</sup>. „ხოლო ლალი შეერაცხა მას ლეწილი“<sup>2</sup>. „ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის ფერსა ვარდსა ზრვიდა“<sup>3</sup>. „მიწანი წითლად ელაგდეს ბადახშურს ლალღბსავითა“<sup>4</sup>. „...ფირუზის თეფშებით ლალს ქვევითი, ლალს ქვეითის თეფშებით ზურმუხტი და ასრე მიყოლით“<sup>5</sup>. „ძოწ-ლა აღბაგეო, დამდაგეო, სულთწამარებო“<sup>6</sup>.

საბა ლალს სპეკალის ჯგუფის ქვებს მიაკუთვნებს და განმარტავს: „ლალი — წითელი“<sup>7</sup>.

რა მინერალს გულისხმობს ეს ტერმინი?

ფართო მნიშვნელობით „ლალი“ აღნიშნავს ყოველგვარ ძვირფას წითელი ფერის ქვას, კონკრეტულად კი ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება წითელი ან ვარდისფერი შპინელი. ბადახში სინონიმია ლალისა და ამ მინერალის საუკეთესო სახეობას აღნიშნავს. მაგრამ ლექსიკონებში „ლალი“ ჩვეულებრივ განმარტებულია, როგორც წითელი იაგუნდი (рубин): „ლალი (არაბ la'l) წითელი ფერის ძვირფასი ქვა, პატროსანი თვალი (სინონიმი იაგუნდი)“<sup>8</sup>; «Лал—ლალი, ძვირფასი თტალი, ин. рубини<sup>9</sup>; рубини—ლალი, ბადახში; красный яхонт—ლალი“<sup>10</sup>. გაიგივებულია ლალი და იაგუნდი სპარსულ-რუსულ ლექსიკონებშიც: п. а. la'l—рубин, яхонт“<sup>11</sup>.

ასეთივე ვითარებაა ტექსტებზე დართულ ლექსიკონებში (იხ. ი. აბულაძე, ვრლ; დ. კობიძე, შ-ნლ, III)<sup>12</sup>. საკითხი გარკვეული არ არის სპეციალურ გამოკვლევებშიც. მ. ჯანაშვილის მიხედვით ბადახში (ბადახში) არის рубин, ხოლო ლალი—лали<sup>13</sup>. ნ. ქოიავას მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში „იაგუნდითა წითლითა, ბადახშითა და ლალითა“, იაგუნდსა და ლალში იგულისხმება იაგუნდის სახესხვაობები (ვაჟური და ქალური), ხოლო ბადახში—შპინელი<sup>14</sup>. ლალს ღია წითელი ფერის კორუნდად<sup>15</sup> თვლის აგრეთვე ვ. ზუხბაია, ბადახშს კი მკვლევართა უმრავლესობა შპინელად განმარტავს, რაც არავითარ დავას არ იწვევს<sup>16</sup>.

ლალი ანუ ბადახში მინერალ შპინელის წითელ სახესხვაობას წარმოადგენს, ხოლო იაგუნდი ლალისაგან სრულიად განსხვავებული მინერალია: „წი-

თელი იაგუნდი კორუნდის წითელი ფერის გამჭვირვალე სახესხვაობაა და დღევანდელ ევროპულ და რუსულ მინერალოგიურ ლიტერატურაში ცნობილია რუბინის სახელწოდებით. სამწუხაროდ, ქართულ მინერალოგიურ ლიტერატურაში რუბინი ლალად ითარგმნება<sup>17</sup>.

რამ გამოიწვია ამ ორი მინერალის აღრევა? ალ-ბირუნის თავის მინერალოგიურ ტრაქტატში „ცნობათა კრებული ძვირფასეულობის შესახებ“ მოჰყავს საინტერესო აღმოსავლური ლეგენდა, რომლის თანახმად ლალი ვარკვეულ დრომდე არ არსებობდა და იგი მიწისძვრის წყალობით აღმოაჩინეს<sup>18</sup>. სხვა წყაროებიც<sup>19</sup> მეტ-ნაკლები სიზუსტით იმეორებენ ამ ლეგენდას და დაახლოებით მიუთითებენ ლალის აღმოჩენის დროს (VIII ან VII ს)<sup>20</sup>. მაგრამ სიტყვა „ლალი“ შპინელის აღმოჩენამდეც არსებობდა და აღნიშნავდა საერთოდ კაშპაშა წითელ ქვებს (სპარსული *lal* ნიშნავს 'წითელ'-ს ან 'ლალ'-ს). „VII ს-ში ბადახშანის რაიონში აღმოჩნდა წითელი შპინელის მსხვილი საბადოები და, დაიხვეწა რა მინერალთა ვარჩევის ხერხები, უკვე, ალბათ VIII ს-ში, ვარჩეულ იქნა ლალი (рубин) და შპინელი; „ლალ“ ეწოდა შპინელს, ხოლო „рубин“-ს შერჩა სახელწოდება წითელი იაგუნდი“<sup>21</sup>. მაგრამ ერთხანს, სანამ ამოიცნობდნენ, ლალი იაგუნდის ფასად იყიდებოდა<sup>22</sup>. ალბათ. ამით აიხსნება, რომ ხშირად ლალი და იაგუნდი ვაიკვივებულა, მიუხედავად იმისა, რომ „ლალის“ მნიშვნელობა დიდი ხანია დაკონკრეტდა: ლალი—ბადახშანური ლალი (ბადახში) ანუ შპინელი. თავის მხრივ, ლალის სახელით სავაჭრო მიმოქცევაში მეორეხარისხოვანი წითელი ქვები გამოიყენებოდა<sup>23</sup>, რაც ამ ქვათა საოცარი მსგავსებით აიხსნება. საყურადღებოა, რომ თვით ლალს „მოოქროსფრო ბეჯჯის უწოდებდნენ“<sup>24</sup> (შდრ. ქართ. ბეჯელი). როგორც ჩანს, რომელიღაც ნაკლებად ძვირფას წითელი ფერის ქვას აღნიშნავს აგრეთვე სახელწოდება „ლალს ქვევითი“ (იხ. ზემოთ.). ეტიმოლოგიურად სიტყვა *la'l, lāl* ('წითელი', 'ლალი') შესაძლოა ტიტას (ყვავილის) სპარსულ სახელწოდებას *lale* უკავშირდება. ლექსიკონებში *la'l* ჩვეულებრივ განმარტებულია, როგორც სპარსული სიტყვა<sup>25</sup>, თუმცა 'ით მისი დაწერილობის გამო შესაძლოა არაბულიც იყოს. „ა. სიდლიკი არაბულ *la'l*-ს სპარსულიდან შეთვისებულად მიიჩნევს და შენიშნავს, რომ ალბათ თვით სპარსელები ამ სიტყვას 'ით წერდნენ, რომ ლალი=*lāl* (*la'l*>არაბ. *la'l*), რომელიც არაბულში იყო გადასული, *lāl* წითელისაგან გაერჩიათ“<sup>26</sup>.

რაც შეეხება მინერალოგიური თვალსაზრისით ლალის თვისებების შესწავლას, ჯერ კიდევ ალ-ბირუნი, ეყრდნობა რა წინა ავტორთა<sup>27</sup> მონაცემებს და საკუთარ დაკვირვებებს, დაწვრილებით აღწერს ამ მინერალის მოპოვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებულ ურთულეს პროცესებს და გვაწვდის მისი დროისათვის (X—XI სს.) არსებულ ყველა ცნობას მის შესახებ. „ეს ქვა წითელია, გამჭვირვალე, წმინდა და ჰვავს საუკეთესო იაგუნდს ფერით, ზოგჯერ სჯობს კიდევ მას სილამაზითა და ელვარებით, მაგრამ ჩამორჩება სიმტკიცით, ასე რომ ადვილად იცვივება კუთხეებსა და წიბოებთან სხვა საგნებთან შეხებისა და ხახუნის შედეგად“<sup>28</sup>. აქვე ალ-ბირუნი ჩამოთვლის და ახასიათებს ლალის სახეობებს<sup>29</sup>. სპარსულ ენაზე თითოეულ მათგანს საკუთარი სახელწოდება აქვს, რომელიც ფერს აღნიშნავს, ან საბადოს სახელწოდებას იმეორებს<sup>30</sup>.

დღეს, როდესაც საბოლოოდ დამკვიდრდა ლალისა და მისი მსგავსი მინერალების გამოჩენა, დადგენილია, რომ ლალი ანუ ბადახში წარმოადგენს შპინელს (გერმ. *Spinell*, ფრან. *spinelle*). მისი ქიმიური ფორმულა  $MgAl_2O_4$ ,



ხვედრითი წონა—3,5—3,7<sup>31</sup>. შპინელის სხვადასხვა ფერის სახეობათაგან თითო-  
ეულს თანამედროვე საიუველირო სახელწოდება აქვს<sup>32</sup>.

აღმოსავლეთში ლალი ძველთაგანვე მეტად გავრცელებულია. ის ულამაზესი  
წითელი ფერის ქვადაა აღიარებული და მხატვრულ ლიტერატურაში, განსაკუ-  
თრებით კი პოეზიაში, სხვა წითელი ფერის ძვირფასი ქვების (იაგუნდი, აყიყი,  
მარჯანი) მსგავსად მუდმივი მეტაფორაა სატრფოს ბაგეებისა (სპ. la'le kahrobā,  
la'le šakarbar), ღვინისა (სპ. ābe la'1, la'le ravān, la'le mozāb)<sup>33</sup>; მზესა და განთი-  
ადს უწოდებენ la'le falak, la'le zar; და საერთოდ მიმზიდველი წითელი ფერის  
აღსანიშნავად ებითეტად „ლალს“ იყენებენ: სპ. dibāye la'1 -ლალისფერი აბრეშუ-  
ში, angūre la'1-ლალისფერი ყურძენი, qabayē la'1<sup>34</sup>—ლალისფერი სამოსელი  
და სხვ.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლალის პოეტიკა ქართულ პოეზიაშიც.  
ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარია „ვეფხისტყაოსანი“: „გაზეთქა  
ლ ა ლ ი, გათლილი ანდამატისა კვერითა, მუწით წყარონი გამოჩნდეს, ძოწსა  
ვამსგავსე ფერთა (ვტ. 1342ა). „ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლ ა ლ ი ს ფერ-  
სა სცვენ და ბურვენ“ (ვტ. 856) და სხვ.

ლალისა და ბადახშის იდენტურობის თვალსაზრისით საყურადღებოა „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ სტრიქონები: „ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა შემკული  
თვალითა, /იაგუნდითა წითლითა, ბადახშითა და ლალითა“ (1439<sub>1,2</sub>); აგრე-  
თვე: „სადა დგა კუბო შემკული ბადახშითა და ლალითა“ (394<sub>2</sub>). აქ სინონი-  
მების ლალისა და ბადახშის „და“ კავშირით გათიშვა შეიძლება hendiadys-ით<sup>35</sup>  
ან სინონიმური პარალელიზმით აიხსნას.

საინტერესოა ლალის სიმბოლიკა. ისევე, როგორც იაგუნდს, ლალს მრავალ-  
ფეროვანი სამკურნალო და მაგიური თვისებები მიეწერება<sup>36</sup>. ზ. ფანასკერ-  
ტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნში“ ხაზგასმულია ლალისა და იაგუნ-  
დის სხვაობა და დახასიათებულია ლალის სამკურნალო თვისებები: „ბუნება  
მისი მკურვალი და კმელი არის. და მისი ხასიათი: ვისცა ჰქონდეს ეშმაკმან არა  
დასცეს“ და სხვა<sup>37</sup>.

ლალის მუდმივი ებითეტი ბ ა დ ა ხ შ ა ნ უ რ ი (ბადახშანისა) და ამავე  
მინერალის აღმნიშვნელი სიტყვა ბ ა დ ა ხ შ ი დაკავშირებულია მხარის სა-  
ხელთან; თუმცა უმადლესი ხარისხის შპინელის საბადოები მოიპოვება არა სა-  
კუთრივ ბადახშანში, არამედ მის მახლობლად შუღნანში, ამუ-დარიის შესარ-  
თვის პანჯის მარჯვენა ნაპირზე<sup>38</sup>, ბადახშანი კი ლალის სატრანზიტო და დამუ-  
შავების პუნქტია<sup>39</sup>.

„ბ ა ლ ა ხ შ ი — ლალი უმჯობესი“, — განმარტავს საბა. „შეყრით ძეს გო-  
რი ოქროსა და ბადახშისა თლილისა“ (ვტ. 155<sub>2</sub>). „მამამან უთრუთ მოეჭდო, პი-  
რად ბროლ-ბალახჩიანსა“<sup>40</sup>. „ბაგენი ბალახშნი და იამანგარემოწყობილი“<sup>41</sup>.  
„საკმრად ლანკანთა, თანად პინაკთა ბალახშნით კელ ყვეს შექმნულობანი“<sup>42</sup>.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ეს სიტყვა ქართულში ორი ფორ-  
მით გვხვდება—ბადახში და ბალახში. გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ „ვეფხის-  
ტყაოსნის“ ხელნაწერებში, ისევე, როგორც ქართული ლიტერატურის სხვა ძეგ-  
ლებში, „ბალახშ“ ფორმა გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ „ბადახშიც“ იხმარება. პოემის  
გამოცემებში კი ეს უკანასკნელია მიღებული იმ მოსაზრებით, რომ სპარსულ  
სალიტერატურო ენაში badaxš ფორმაა გავრცელებული<sup>43</sup>. ამ საკითხს პირვე-  
ლად ნ. მარი შეეხო და d/l ბერებების მონაცვლეობა კანონზომიერ მოვლენად

მიიჩნია<sup>44</sup>. გ. წერეთელმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ქართული „ბალახში“-ის წარმომავლობას. აღმოჩნდა, რომ სპარსულშივე ბ ა დ ა ხ შ ი ს ა და ბ ა დ ა ხ შ ა ნ ი ს გვერდით იხმარება ბ ა ლ ა ხ შ ი და ბ ა ლ ა ხ შ ა ნ ი ც პარალელურად სალიტერატურო ენის ტრადიციისა. „ბალახში“ ფორმა დადასტურებულია იბნ-ბატუტას (XIV ს.) ტექსტში, როგორც მდამბოთთების დამახასიათებელი<sup>45</sup>. ვ. ბარტოლდის აზრით, „ბალახში“ თავდაპირველად როგორც დიალექტური ფორმა ბ ა დ ა ხ შ ი ს ა თ ვ ი ს აღნიშნავდა მხარეს და შემდეგ იქნა გადატანილი ლალის ერთგვარ სახეობაზე; ანკუთი (XIII ს.) ადგილის აღსანიშნავად ორივე ფორმას ხმარობს, ხოლო ძვირფასი ქვისათვის — მხოლოდ „ბალახში“-ს<sup>46</sup>.

balaxš (balaxšān) ფორმები (I-თი d-ს ნაცვლად) ირანულ დიალექტებში აღნიშნული აქვთ პ. ჰორსს, ვ. ჰენინგს და სხვა ავტორებს. კერძოდ, ვ. ჰენინგი ამ მონაცვლეობას სპარსულზე სოლდურისა და საერთოდ აღმოსავლური ირანული დიალექტების გავლენით ხსნის<sup>47</sup>. აღსანიშნავია, რომ სიტყვა badaxšān არაბულად ზამ-ით (ზ) იწერება: badaxšān. არაბულის გზით ეს ფორმა შევიდა ესპანურში და აქედან გავრცელდა სხვა ევროპულ ენებში (ფრან. balais, გერმ. Balas, ინგლ. balass და სხვ.), აგრეთვე ქართულშიც. სწორედ ეს ფორმა (ბალახში) იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი მას ქართულად მიიჩნევდა სპარსული ბადახშანისაგან განსხვავებით<sup>48</sup>.

ამრიგად, „ლალი“ და „ბადახში“ სინონიმებია და მინერალ შპინელის წითელ სახესხვაობას აღნიშნავს. ლალი ხშირად გაიგივებულია წითელ იაგუნდთან (კორუნდის სახეობასთან), რაც ამ ორი მინერალის მსგავსებით აიხსნება. ამასთან, სახელწოდება „ლალი“ თავდაპირველად აღნიშნავდა საერთოდ წითელ ძვირფას ქვებს, მოგვიანებით კი, შპინელის აღმოჩენასთან დაკავშირებით, ამ ტერმინის მნიშვნელობა დაკონკრეტდა. „ბადახში“ (იგივე „ბალახში“) მიღებულია მხარის სახელიდან, რომლის მახლობლად მოიპოვებენ ლალის (შპინელის) საუკეთესო სახეობას.

### შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

1. სერაპონ ზარზმელის ცხოვრება, 160, 24, (X ს-ს I მეოთხელი). ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალების მიხედვით ეს არის პირველი ორიგინალური ქართული ძეგლი, სადაც სიტყვა „ლალი“ გვხვდება.
2. ბობლია, ძველი აღთქმა, შინეი იობისა, 41, 20, თბ., 1884.
3. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, 860გ; სხვაგან შემოკლებით „ვტ.“
4. შპ-ნამე, ქართული ვერსიები, ტ. I, თბ., 1916, 1863<sub>2</sub>.
5. რუსულდანიანი, თბ., 1957, გვ. 495.
6. ბ ე ს ი კ ი, მესამე გამოცემა, თბ., 1921, გვ. 6.
7. ს-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1928.
8. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV.
9. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1971.
10. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1958; ტ. III, თბ., 1959.
11. იხ. М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, т. II, М., 1927. აგრეთვე Ю. А. Рубинчик, Персидско-русский словарь, т. II, М., 1970.
12. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ვისრამიანის ლექსიკონი, ვისრამიანი, თბ., 1938. დ. კ ო ბ ი ძ ე, შპ-ნამეს III ტომის ლექსიკონი, შპ-ნამე, ტ. III, თბ., 1974.
13. იხ. М. Г. Джанашивили, Драгоценные камни, их названия и свойства (из грузинского сборника Хв.). Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 24, Тифлис, 1898, გვ. 14.

14. ნ. ქ ი ა ვ ა, ძვირფასი ქვების შოთარუსთაველის პოემაში, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილოლოგიის აკად. მ. შარის სახ. ენის, ისტ. და მატ. კულტურის ინსტიტუტის მოამბე, 3, თბ., 1938, გვ. 70—72.
15. იაგუნდი ანუ წითელი იაგუნდი, იგივე რუბინ, წარმოადგენს კორუნდის ჯგუფის ( $Al_2O_3$ ) მინერალთა წითელ გამჭვირივალ სახეობას (იხ. А. Е. Ферсман, Рассказы о самоцветах, Л., 1957, გვ. 87); კორუნდის ჯგუფის მინერალდება აგრეთვე საფირონი (ლურჯი), აღმოსავლური ტოპაზი (ყვითელი). და სხვ.
16. თ. მ გ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი, ძვირფასი ქვების შოთარუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ბუნებისმეტყველების და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს შრომების კრებული, 1—2, თბ., 1970, გვ. 191.
17. იქვე.
18. Ал-Б и р у н и, Собрание сведений для познания драгоценностей (Минералогия); Комментарий Г. Г. Лемлейна, Л., 1963, გვ. 74.
19. იხ. **داھخدا، لغت نامه**, ტ. 99, გვ. 222—224; М. Н. Пы л я е в, Драгоценные камни, СПб., 1896, გვ. 359; აგრეთვე А. А. Се м е н о в, Из области воззрений мусульман Средней и Южной Азии на качество и значение некоторых благородных камней и минералов; Мир Ислама, 1, № 3, СПб., 1912, გვ. 302.
20. А. А. Се м е н о в, Из области..., გვ. 302.
21. Ал-Б и р у н и, Минералогия, გვ. 435.
22. იქვე, გვ. 74.
23. იქვე, გვ. 30, გვ. 436; იხ. აგრეთვე А. А. Се м е н о в, Из области... გვ. 300 და М. Н. Пы л я е в, Драгоценные камни, გვ. 316.
24. Ал-Б и р у н и, Минералогия, გვ. 78.
25. იხ. **داھخدا، لغت نامه — محيط المحيط — معر. ف لال — فرھنگ** لعل 'ლალ'-სპარსული სიტყვაა იმთავითვე, ტ. 99, გვ. 222. აგრეთვე **فرھنگ لعل** — **معر. ف لال** — **لعل** 'ლალ' — არაბიზებული სპარსული **لعل**, ტ. 3, გვ. 3596.
26. შ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტ. 1, თბ., 1966, გვ. 336.
27. ალ-ბირუნდი ლალი ცალკე სახეობად გამოყვეს და მისი თვისებები შეისწავლეს: ნასრიბიზ მაკუბ ად-დინავარი ალ-ქაშთაბა (XI ს), რომელსაც ეკუთვნის ტრაქტატი ძვირფასი ქვების შესახებ სპარსულ ენაზე, და ალ-ქინდი (IX ს. „ძვირფას ქვათა და მათ მსგავსთა შესახებ“, არაბულ ენაზე); ალ-ქაშთაბა იმყოფება ალ-ქინდის, ალ-ბირუნი კი, ძირითადად, ალ-ქაშთაბს. იხ. Аль-Б и р у н и, Минералогия, გვ. 78.
28. Ал-Б и р у н и, Минералогия, გვ. 73.
29. იქვე, გვ. 75.
30. იქვე, გვ. 76—77. იხ. აგრეთვე А. А. Се м е н о в, Из области, გვ. 302. მოვიყვანო ლალის სახეობების სპარსულ სახელწოდებებს დეპ-ხოდას ლექსიკონიდან: **عنابي ' لحمی ، آدریسی ، قمی ، دوشابی ، عقربی ، قطبی ، رمانی ، پیازی ، تمری** და სხვ. (იხ. **لغت نامه داھخدا**, ტ. 99, გვ. 222).
31. თ. მ გ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი, ძვირფასი ქვების შოთარუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 192—193.
32. ეს სახელწოდებებია: Шпинель рубиновая (благородная), шпинель-балэ (рубин балэ), шпинель альмандиновая, рубицел, кандит. და სხვ. (იხ. В. И. С о б о л е в с к и й, Замечательные минералы, М., 1971, გვ. 105).
33. სპარსული მაგალითები მოგვეყვას მოჰამედ მოირის „სპარსული ლექსიკონიდან“, ტ. 3, გვ. 3597.
34. იქვე.
35. იხ. გ. წერეთელი, „ბალახში“ და „ბალახში“ ვეფხისტყაოსანში, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბ., 1972, გვ. 35. (პენიადისი-ფიგურა, რომელიც ორისიტყვით გამოხატავს ერთ რთულ ცნებას. ერთი სიტყვა განსაზღვრავს მეორეს ან აძლიერებს მის აზრს).
36. იხ. А. А. Се м е н о в, Из области воззрений мусульман..., გვ. 304. აგრეთვე: М. Н. Пы л я е в, Драгоценные камни, გვ. 358—359.
8. მ ა ც ე ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, № 4

37. ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, თბ., 1978, გვ. 778—779.
38. გ. წერეთელი, „ბადახში“ და „ბალახში“ ვეფხისტყაოსანში, გვ. 35.
39. ივ. ალ-ბირუნი, Минералогия, გვ. 74, გვ. 436.
40. შაჰ-ნამე, III, 204, 2
41. რუსუდანიანი, გვ. 601.
42. შავთელი, აბდულმესიანი, თბ., 1937, გვ. 39.
43. გ. წერეთელი, „ბადახში“ და „ბალახში“ ვეფხისტყაოსანში, გვ. 35.
44. ივ. Н. Марр, Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже», Шоты из Рустава, СПб., 1910, გვ. 17.
45. გ. წერეთელი, „ბადახში“ და „ბალახში“ ვეფხისტყაოსანში, გვ. 36.
46. იქვე, გვ. 37.
47. იქვე, გვ. 38.
48. იქვე, გვ. 39

М. Г. ЧИКОБАВА

## К ЗНАЧЕНИЮ ТЕРМИНОВ „LALI“ И „BADAXSI“

Резюме

В статье рассмотрены примеры употребления терминов «lali» и «badaxši» в текстах памятников грузинской классической литературы.

Термины «lali» и «badaxsi» («balaxsi») являются синонимами и обозначают красную разновидность шпинели. Часто в литературе «лал» ошибочно отождествляют с красной разновидностью корундов, яхонтом, что объясняется большим сходством этих двух минералов. Кроме того, термин «lali» первоначально обозначал камни красного цвета вообще, но позднее, в связи с открытием шпинелевых руд в Бадахшане, значение этого термина конкретизировалось: лал—бадахшанский лал («badaxši») или шпинель.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანული ენების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

## ზურაბ სარჯველაძე

## ზოგი საერთო-ქართველური ლექსების ეტიმოლოგიისათვის

უკანასკნელ ხანებში ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლის საქმეში საკმაოდ დიდი წარმატებებია მოპოვებული. თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, კ. ჰ. შმიდტის, გ. კლიმოვის, ტ. გუდავას, ბ. გიგინეიშვილის, პ. ფენრიხისა და სხვათა ნაშრომები აშუქებენ ქართველურ ენათა ლექსიკის მრავალ უაღრესად საინტერესო საკითხს. ამავე დროს ისინი თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი სამუშაო არის ჩასატარებელი.

წინამდებარე სტატიის მიზანია გარკვეული დაზუსტება ზოგი ეტიმოლოგიისა, აქვე წარმოდგენილია აგრეთვე რიგი ახალი დაკავშირებების ცდა.

1. \***ჟურ-**. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთთან დაკავშირებულია ქართ. **ყვა-ი** (ძვ. ქართ. **ყუა-ი**), ჰან. **ყვაოჟ-ი**, **კვაოჟ-ი**, მეგრ. **კვარ-ია**, **ყვარ-ია**, სვან. **ჰურ-**. ქართული და მეგრული ფორმები შეაპირისპირა ა. ცაგარელმა (1, გვ. 28), ჰანური ვარიანტი დაძებნა არნ. ჩიქობავამ (2, გვ. 108), სვანური კი — გ. კლიმოვი (3, გვ. 209). გ. კლიმოვი ამ ფორმათა არქეტიპად აღადგენს \***ყუა** ფორმას და თვლის, რომ არქეტიპს ჰქონდა ხმაბაძვითი ხასიათი, რის გამოც მან არ მოგვცა კანონზომიერი ზუსტი შესატყვისები მონათესავე ენებში (3, გვ. 209). არნ. ჩიქობავას აზრით, ძირეულია **ყვ-**, ხოლო **-არ** მეგრულში, **-ავ** ჰანურსა და ქართულში დეტერმინანტი სუფიქსებია. ჰანურში **-ავ** სუფიქსიანი ფუძე მეორეული **-ოჟ** სუფიქსითაა გათულებული (2, გვ. 108-109). ზანურსა და სვანურში მეორეულ სუფიქსაციას ვარაუდობს გ. კლიმოვიც (3, გვ. 209).

ეტიკრობთ, ქართულ **ყუა-ი**, ჰან. **ყვაოჟ-**, მეგრ. **კვარ-ია**, **ყვარ-ია**, სვან. **ჰურ-** ფორმათა უშუალოდ ერთმანეთთან დაკავშირება გაჭირდებოდა. ის ფაქტი, რომ ერთმანეთთან სავარაუდო ეტიმოლოგიურ კავშირში მყოფ ფორმათა ვოკალიზმი არ იძლევა კანონზომიერ ფონემურ შესატყვისობებს, ამ დაკავშირებას საეჭვოდ მიგვაჩნევენებს.

ეტიკრობთ, რომ ზემოთ დასახელებულ ფორმათაგან ერთმანეთს უდავოდ უნდა უკავშირდებოდეს მეგრ. **კვარ-**, ჰან. **კვარ-ოჟ**, სვან. **ჰურ-**. ამ ფორმათა არქეტიპად უნდა აღვადგინოთ \***კურ-**. ჩვენ სავსებით ეიზიარებთ გ. კლიმოვის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, თუ რომელიმე ფორმა კანონზომიერ შესატყვისებს გვაძლევს სვანურსა და ერთ-ერთ ქართველურ ენაში, იგი უნდა ვივარაუდოთ საერთო-ქართველურ ფუძე-ენის დონეზედაც (3, გვ. 16). გ. კლიმოვის ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით საერთო-ქართველურში აღვადგენთ \***კურ-** არქეტიპს, რომლისგანაც მომდინარე \***კურ-** უნდა გვექონოდა ქართულის მწერლობამდელ პერიოდში, ქართული ენის ლექსიკიდან \***კურ-** ლექსიკა გამოდევნა **ყუა-ი** ხმაბაძვითი ხასიათის სიტყვამ. აქვე შევნიშნავთ, რომ არც ისაა გამორიცხული, რომ \***კურ-** არქეტიპი იყოს ხმაბაძვითი ხასიათისა.

მეგრულსა და ჰანურ ფორმებში კ/ყ სუბსტიტუცია (<კვარ-ია> <ყვარ-ია>; <კვარ-ოჟ-ი> <ყვა-ოჟ-ი>) ხმაბაძვის შედეგი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ გურულ დიალექტში გვხვდება **კვარაკუნჩხა** (მცენარის

სახელი), რაც ზანიშმია და ეტიმოლოგიურად ყვავისფხვას ნიშნავს. ეს სიტყვაც ზანურ კვარ- ფორმას გამოავლენს.

2. \*მა-ტლ-ი || \*მ-ტლ-ი. ქართული მატლ-ი და მეგრულ-ქანური მუნტურ-ი ერთმანეთთან ნ. მარმა დააკვეშირა (4, გვ. 828), ხოლო ქართული მატლ- და სვანური მგტ-ი. უორდრობმა (5, გვ. 634). გ. კლიმოვი საერთო-ქართველური ლექსების არქტივობად აღადგენს \*მატლ-ი ფორმას (3, გვ. 129). \*მატლ-ი არის აღდგენილი თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერაც (6, გვ. 75; 82; 83; 128; 154 და სხვ.). თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვარაუდით, ზანურში „მ/ სონანტის მომდევნო პოზიციაში, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა თავისუფალ მონაცვლეობას \*ო'სა და \*ო'ს შორის: \*მატლ-ი > \*მოტრ-ი > მეგრ.-ქან. მუნტურ-ი (შდრ. ქართ. მატლ-ი, სვან. მგტ); მეორე მხრივ, \*მატლ-ი > \*მოტრ-ი > მეგრ.-ქან. მონტყორ-ი (შდრ. ქართ. მატყლ-ი, სვან. მწტყ) (6, გვ. 332). სვანური მგტ კი ახსნილია მარცვლოვანი ლ სონანტის გაუმარცვლოვანების შედეგად მიღებული ლ-ს უ-ში გადასვლის, შემდგომში ა-ს სრული ასიმილაციის გზით უ-ში გადაბერებისა და საბოლოოდ უ > ჯ პროცესის შედეგად (6, გვ. 82, 154). მკვლევრებს შესაძლებლად მიაჩნიათ მატ- ძირისა და -ლ სუფიქსის გამოყოფა (6, გვ. 280), თუმცა შენიშნავენ, რომ „ბოლოკიდური -ლ ელემენტის გამოყოფა აქ აღარ ხერხდება ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე“ (6, გვ. 279).

უკანასკნელ დროს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მოპოვებულ იქნა ახალი მასალა, რომლის გათვალისწინება აუცილებელია ამ ფუძის ისტორიაზე მსჯელობისას.

ათონის მრავალთავში (Ath.—11) დასტურდება ტლობა: „ვითარცასახედ იმღერიდ რაჲ მატლნი შორის დამპალსა კორცსა და არა დასცხრიან ტლობითა“ (203va). უდაბნოს მრავალთავში (A—19 X ს.) გვაქვს ტკლობა:

„ვითარცასახედ რაჲ იმღერდიან მატლნი შორის დამპალსა კორცსა და არა დასცხრებიან ტკლობითა“ (225va). პარხლის მრავალთავში (X ს.) იკითხება ტულობა: „ვითარცასახედ რაჲ იმღერდიან მატლნი შორის დამპალსა კორცსა და არა დასცხრიან ტულობითა“ (176vb).

რა მიმართებაა ტლობა || ტულობა || ტკლობა ფორმათა შორის? ვფიქრობთ, სწორია ტლობა; ხოლო ტულობა || ტკლობა გადამწერთა შეცდომის შედეგია. მათ ვერ გაიგეს ტლობა და დამახინჯეს. ამგვარი შემთხვევები ძველ წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია.

ტლობა მოჰყავს თავის ლექსიკონში ი. აბულაძეს (7, გვ. 413).

ცხადია, ტლობა ასე დაიწყო: ტლ-ობ-ა, სადაც ტლ- არის ძირი, -ობ თემის ნიშანია, ხოლო -ა საწყისის მაწარმოებელი. ზმნის პირიან ფორმებად სავარაუდებელია: ვ-ატლ-ობ, ა-ტლ-ობ, ა-ტლ-ობ-ს.

თავისთავად დგება საკითხი მატლ- და ტლ-ობ-ა ფორმათა ურთიერთმიმართების შესახებ. ვფიქრობთ, რომ მა-ტლ-ი არის მიმღეობა, მოქმედებითი გვარისა (ეტიმოლოგიურად: გამფუჭებელი). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მა-, მ-პრეფიქსიანი არაადამიანის (ნივთის) გამომხატველი სახელი ძველ ქართულში სხვაც არის: ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მ-ღამ-ი „ღამურა“: ოფოფი და მღამი (11, 19,0); შდრ.: მღამიობი ო (შდრ. 8, გვ. 167-168; 9, გვ. 123-124).

უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ერთმანეთთან დაკავშირებული ფორმების ვოკალიზმი ქართველურ ენებში ძნელად ასახსნელია, რასაც აღნიშნავენ კიდეც (3, გვ. 129). ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა საერთო-ქართველურის

დონეზე \*მა-ტლ-//\*მ-ტლ- ფორმათა არსებობა? \*მატლ- ფორმიდან გამოიყვანებოდა სევანური მგტ (მატლ < \*მატლ- < \*მა-ტლ), ხოლო მ-ტლ- ფუძისაგან მუნტური (მ. და ლ. მარცვლოვან სონანტთა მოშლისა და ნ-ს ტ-ს წინ განვიტარებით).

აღსანიშნავია ტლ- ძირის სიახლოვე ინდოევროპულ tã-, ta-, tai-, tai-, tī-, tau-, tū- ძირთან შდრ. ბერძნ. τλσδ „წაწლაგების გაწმენდა“, ძვ. ბულგარული tiléti „ლობა, ხრწნა, დაშლა, რუს. тля, „ჩრჩილი“ (10, გვ. 1053); ბულგარული тляя, „ვალაობ“, ჩეხური tliti, პოლონური tleć, ლატვიური tilf „დარბილება“ და სხვ. (11, გვ. 641).

ეს არის ერთ-ერთი ძალზე ნიშანდობლივი ფაქტი, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ქართველურ და ინდოევროპულ ენათა ურთიერთობის კვლევისას (ამგვარი ფაქტების კვალიფიკაცია იხ. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომში „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“).

3. \*თხემ-. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია, ერთმანეთთან არის დაკავშირებული ქართ. თხემ-ი და სევან. თხუმ-|თხუიმ- „თავი, მწვერვალი“ (12, გვ. 292; 13, გვ. 42). ეს დაკავშირება გაზიარებულია გ. კლიმოვის მიერაც (3, გვ. 97). აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში თხემ- ლექსემა, რომელიც საერთოდ კვდას ნიშნავს, დასტურდება თავ-ის მნიშვნელობითაც: „თქუმული იოვანჭ ოქროპირისაა წმიდათა მათ თხემთა მოციქულთა პეტრეს და პავლეს-თვის“ (A—95, 77v, 1-3a). A—19 ხელნაწერში (X ს.) იკითხება: „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაა ქებისათს თავთა მათ მოციქულთაჲსა პეტრესსი და პავლესსი ქებაჲ და სიტყუაჲ“ (88va).

ცხადია, რომ თხემ-ი ზემოთ მოყვანილ კონტექსტში თავს, წინამძღოლს ნიშნავს. ამას მოწმობს ბერძნული ტექსტიც: εἰς τὸν ἀποστολικὸν Πέτρον καὶ Παύλον (P. Migne, Patr. Gr. t. 59, სვ. 491).

4. \*ღურ-. არნ. ჩიქობავას აზრით, ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს ქან. ღურ-, მებრ. ღურ- „სიკვდილი“ და სევან. და-გრა-ა (2, გვ. 350-351). სევანური და-გრა სიტყვის სეგმენტაცია და-გრა-ა ელემენტებად არაა მართებული, აქ ძირია და-გ- (შდრ. ხუი-ღგ-წრ-ი). არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ქართულში არ გვაქვს შესაბამისი ძირი (2, გვ. 351).

ვფიქრობთ, რომ ზანური ღურ- ძირის შესატყვისი ღულ- უნდა იყოს დაცული ძველ ქართულში. იოანე ოქროპირის იოანეს სახარების თარგმანების ექვთიმეს მიერ თარგმნილ ტექსტში გვაქვს ზმნა მოღულეს (მო-ღულ-ეს): „იტყოდა: გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ. და კუალად თქუა: არა მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართათს წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა, და არა კეთილ არს მოლებად პურისა და მიცემად ძაღლთაჲ. და ესრეთ, ვიდრემდის არა ჯუარს-აცუეს იგი და მოკლეს, არა დაუტვენა იგინი. ხოლო რაჲჲსა მათ თუთ მოღულეს და მოკლეს იგი, მიერითგან არლარად საკმარ იყო მათ თანა დადგრომაჲ“ (Ier.—32 XI ს. 115v, 6-14 შესაბამის ბერძნულ ტექსტში გვაქვს: ἐμίσησαν ἃς ἀνελεῖν (P. Migne, Patr. Jr. t. 59, სვ. 368).

მოღულეს და მოკლეს სინონიმებია. ძველ ქართულში ამგვარი სინონიმური ერთეულები ერთმანეთის პარალელურად ხმარება საკმაოდ ხშირია. ეს მოკლენა სინონიმურ პარალელიზმად იწოდება (14, გვ. 689-696).

Ier.—24 (XI ს.) და Sin.—4 (XI ს.) ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ სვინაქსარს, გამოავლენენ ამავე ზმნის

უნინო ვნებიოთის ფორმას: „რკინათა ზედა თრევითა უწყალოდ ყოველნივე ჯორცი მისნი მოჰლულეს“ (Ier.-24 53v, 14-16). სამწუხაროდ, ბერძნულის ჩვენთვის ხელმისაწვდომ ტექსტში ეს ადგილი არ დასტურდება.

**მო-ჰ-ლულ-ეს** მას ივინი. H-2211 ხელნაწერში შესაბამის ადგილას იკითხება **მოჰლულეს**, რაც შეცდომაა.

საინტერესოა, რომ ძველ ქართულში გვაქვს მიმღობა **მო-მ-ღულ-ალ-ი**, რაც სრესილს, თელილს ნიშნავს (7, გვ. 270). ილია აბულაძეს მოჰყავს მაგალითი ძველიდან: „წამება წმიდათა მოწამეთა ანდრიანჭსი და ცოლისა მისისა ანატოლჭსი და მათ თანა მოწამეთა, რომელნი ნიკოდომა ქალაქსა იწამნეს“ (გამოსცა ილ. აბულაძემ: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965): „იხილნა ჯორცი მათნი, რამეთუ მომალ და მომღულალ იყვნეს“ (7, გვ. 270).

ილია აბულაძე ამ სიტყვასთან დაკავშირებით შენიშნავს: „მომღული“ ჩვენი ძეგლის ერთს სხვა რედაქციაში „მორღუეულად“ არის ასახული, სომხური წამების წიგნში კი არის *արიხაკ*, რაც „სრესილს, თელილს“ აღნიშნავს“ (15, გვ. 185).

ვფიქრობთ, **ღულ-** ზმნური ძირი შეიძლება დაუკავშირდეს მეგრულ-ქანურ **ღურ-** ზმნურ ძირს და ამის საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგეს \***ღულ-** არქეტიპი.

ქართ. **ღულ-** და ზანურ **ღურ-** ზმნურ ძირთა სევან. **ლიდგარ, დაგრა** ზმნურ ფორმებთან დაკავშირება გამორიცხული ჩანს.

5. \***თმ-**. ძველ ქართულში გვაქვს **თმენა; თმოზა||დათმოზა** ზმნური ფორმები, რაც ნიშნავს ლოდინს, მოცდას. ატანას, გაძლებას, მოლოდინს, დაცდას, მოთმენას (7, გვ. 110; 182).

„**თმენით დაუთმე** უფალსა“ (ფს. 39,2); „ვერ **დაუთმოზდა** ურგათა მათ“ (ფლკტ. 135,28); „გლახაკმან ვერ **დაუთმოს** რიცხვასა“ (იგ. სოლ. 12,8); „თოვლი და მყინვარი **დაუთმოზდა** ცეცხლსა და არა დადნებოდა“ (O სიბრძნ. სოლ. 16,21) (მაგალითებს ვიმოწმებთ ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან, გვ. 110).

**თმენა, თმოზა, დათმოზა** ფორმათა შეპირისპირებით გამოიყოფა **თმ-** ძირი, რომელიც ალბათ უკავშირდება სევანურ **თგმ-** ძირს, რაც გაჭირვებას ნიშნავს: **თგმი მწარ** „მიჭირს“, **ითგმინე** „უჭირს“, **წგხი — თგმი** „გაჭირვება“, **ლი-თგმ-ინ-ე**, „გაჭირვება“.

მნიშვნელობათა სხვაობა სევანურსა და ქართულ ფორმათა შორის არაა ისე დიდი, რომ სევანურ **თგმ** და ქართ. **თმ-** ძირთა დაკავშირება გააძნელოს.

6. \***შდიმ-**. სევანურში **შდიმ** ყურს ნიშნავს. ქართულში მისი შესატყვისი ძირი არ ჩანს. ჩვენ გამორიცხულად არ გვეჩვენება მისი დაკავშირება გურულსა და იმერულში დაცულ ზმნურ ძირთან **და-შტიმ-ვა** „თვალის ქაჩვა, თვალის დაყლებვა, თვალის ბრიალი“ (16, გვ. 62; 17, გვ. 252).

**შტიმ** ძირისაგან არის ნაწარმოები ზმნური ფორმებიც: **შტიმავს** თვალებს, **დაშტიმა** თვალები და მისთ.

**შტიმ** უნდა მომდინარეობდეს **შდიმ-**ისაგან. თვალისა და ყურის აღმნიშვნელ ლექსემათა ერთმანეთთან დაკავშირება არ უნდა გაჭირდეს (შდრ. **ყურ-**ი მაგრამ: **უ-ყურ-ებ-ს**).

თუ ჩვენი დაკავშირება სწორია, მაშინ შესაძლოა, საერთო-ქართველურში აღვადგინოთ \***შდიმ-** ლექსემა. \***შდიმ-** შეიძლება დაუკავშირდეს ნეთურ

ištamana's ყური“, რომელსაც უკავშირებენ სვანურ შდმ-ს (29, გვ. 123).

7. \*გულ-ვ-ებ-აი\*გულ-ებ-ა. ძველ ქართულში არის ზმნა გულ-ვ-ებ-აი გულ-ებ-ა, რომელიც ნაწარმოებია გულ არსებითი სახელისაგან.

„იგულეთ, რა-ეგე გესმის“ (მრკ., 4,24C); შდრ.: „იხილეთ, რა-ეგე გესმის“ (DE); „რომელსა ეგულებოდა მიცემა მისი“ (ი. 12,4C); „ეგულვა მოკლვა მისი“ (გამოსლვ. 4,14 O); „მეგულებს სიკუდილი“ (მ. ცხ. 47v) და სხვ. (მაგალითები დამოწმებულია ი. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, 7, გვ. 99).

ილია აბულაძე ამ ზმნის მნიშვნელობებად ასახელებს: ხილვას, კრძალვას, ძიებას, გულს-დებას, ნდომას, ზედვას, ზრახვას და მისთ.

ჩვენი აზრით, გულება||გულევა ზმნის კანონზომიერი შესატყვისია ზანური გურაფა (გურ-აფ-ა) „სწავლა“.

ცოდნის, სწავლისა და ხილვის (გულევა-ს ძველ ქართულში ეს მნიშვნელობაც აქვს) აღმნიშვნელ ფუძეთა დაკავშირება საეჭვო არ უნდა იყოს (შდრ.: მიჩნს და მიჩქუ უეცი“) (2, გვ. 378).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ისაა გამორიცხული, რომ ქართული და ზანური ფორმები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იყოს ნაწარმოები შესაბამისი სახელური ძირებისაგან (გულ-ი — გულება; გურ-ი — გურ-აფ-ა).

8. \*ქად- ქად- სვანური ზმნური ძირი „ცთომა“ ვ. თოფურიამ ძველ ქართულ ცეთ-/ცთ- ზმნის ძირთან დააკავშირა (18, გვ. 304). ვ. თოფურიას აზრით, ცეთ-<ცედ- (18, გვ. 304). ვ. თოფურიას ეს მოსაზრება მრავალმა მკვლევარმა გაიზიარა (19, გვ. 17; 20, გვ. 226; 21, გვ. 65-66; 22, გვ. 98 და სხვ.). სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია ის დაბრკოლებები, რაც ამ დაკავშირებას ზედება (23, გვ. 65; 24, გვ. 78-79).

ვფიქრობთ, ძველ ქართულ ტექსტებში დაცულია სვანური ქად- ზმნური ძირის კანონზომიერი შესატყვისი. ესაა ქად-ებ-ა:

„ამას უქადებდა, რომელი-იგი არა აქუნდა კელთა შუშანიკისგან“ (შუშ. წამ. 12, 6-7); „უქადე ჭურჭერი ერთი სამისოა“ (იქვე, 22, 1-2).

ზემოთ მოყვანილ ფრაზებში ქადება შეპირებას ნიშნავს. ძველ ქართულში ამ ზმნას აქვს დამუქრების, მუქარის, კვეხნის, თავის მოწონების მნიშვნელობები (7, გვ. 450).

ძველი ქართული ქად- ძირის დაკავშირება სვანურ ქად- ძირთან მნიშვნელობათა მცირეოდენი სხვაობის გამო (კვეხნა, თავის მოწონება, შეპირება — ცდუნება) არ გაჭირდება. ბუნებრივია, რომ საერთო-ქართველურში აღვადგინოთ \*ქად- ძირი, რომელმაც ძველ ქართულში მოგვცა ქად-ებ-ა, ხოლო სვანურში ქად-/ქად- (ხუე-ქად-ი „ვცდები“, ხუ-ა-ქად-ენ-ი, „გაცდენ“, ლი-ქად-უნ-ე „ცდუნება“).

ამრიგად, სვანური ქად-/ქად- ძირის ძველ ქართულ ცეთ-/ცთ- ძირთან დაკავშირება საბოლოოდ უნდა გამოირიცხოს.

9. \*ყორ-. ძველ ქართულში გვაქვს ყორე:

„მტილისა ყორე დაარღვა და გამოღმართ გამოდგა“ (Ath.-12; 222v); „არა შევიდენ... ვიდრემდის არა შესდგათ ყორე იგი პირველსავე მას ადგილსა“ (იქვე, 222v). (მაგალითები დამოწმებულია ილია აბულაძის ლექსიკონის მიხედვით 7, გვ. 467).

გვაქვს ზმნაც ადყორვა, რაც აშენებას ნიშნავს. „ადყორო გზად მისი“ (ოსე 2,6). შდრ. ბერძნ. ἀνορθοῦμαι ἔξ ἑμέως ἀστυς ლათ. ostruam viam eius.

ყორე ძველ ქართულში ღობის მნიშვნელობით იხმარება. ჩვენ გამოორიცხულად არ გვეჩვენება ამ სახელის დაკავშირება სვანურ ყორ („კარი, ეზო“) სახელთან.

სვანური ყორის დაკავშირება ქართულ ყურთან გ. კლიმოვს პრობლემატურად მიაჩნია (3, გვ. 213).

ქართული ყორე „ღობე“ და სვანური ყორ „კარი, ეზო“ ლექსემების დაკავშირება თითქოს არ ზედება დაბრკოლებებს არც ფონეტიკური და არც სემანტიკური თვალსაზრისით. თუ ეს ასეა, საერთო-ქართველურის დონეზე შეიძლება აღვადგინოთ \*ყორ- ძირი.

10. \*თ-<sup>1</sup>. ქართულ თეთრ- ფუძეს უკავშირებენ სვანურ თუეთუნე, თეთნე „თეთრი“, ფუძეს (26, გვ. 127; 3, გვ. 91) ამ დაკავშირებას ზოგი ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლება ზედება, რასაც ყურადღებას აქცევს გ. კლიმოვი (3, გვ. 91).

ვეტიკრობთ, რომ თეთრ- არის რთული ფუძე. იგი მიღებულია \*თერ- ძირის რედუქციაციით. \*თერ- ძირი უნდა უკავშირდებოდეს სვან. თე სიტყვას, რომელიც თვალს ნიშნავს. საყურადღებოა, რომ მრავლობითში რ აღდგება თერ-ალ. ეს რომ შემთხვევითი არაა, ჩანს იქიდანაც, რომ გვაქვს ზმნური ფორმა თერ-ა „ჩანს“, ჩუ-ა-თირ „იცნო“, სადაც იგივე თერ- ძირი იჩენს თავს.

თეთრ მიღებული უნდა იყოს თერ ძირის იმგვარი რედუქციაციის გზით, როცა პირველ ნაწილში დაიკარგა თანხმოვანი, ხოლო მეორე ნაწილში ხმოვანი. ამავე ტიპის რედუქციაციამ მოგვცა საერთო-ქართველურში \*ძ, ცხვ-ლ (27, გვ. 497—503). ამ ტიპის გაორმაგება საფუძვლიანად არის შესწავლილი ფრ. ნაისერის მიერ (19).

ამრიგად, საერთო-ქართველურში შეიძლება აღვადგინოთ \*თერ- ძირი, რომელსაც ვუკავშირებთ სვანურ თე, თერ- სახელურსა და ზმნურ ძირებს და ქართულ თეთრ- სახელს.

რაც შეეხება თუეთუნე სვანურ ფორმას, არაა გამოორიცხული, ისიც რედუქციაციის გზით იყოს მიღებული. მარტივ ძირად შეიძლებოდა გვევარაუდათ თევ-, რომელიც დაუკავშირდებოდა ქართ. თევ-ა, მ-თოვ-არ-ე < \*მ-თევ-არ-ე, მ-თი-ებ-ი < მ-თევ-ებ-ი, სვანურ ან-თაუ-ე „დაბადა“ (შდრ. ჩენა — გააჩინა) და ზოგ სხვა ფორმას. შეიძლებოდა დაგვეკავშირებინა თევ- ძირთან ნა-თელი-ი, ზან. ნო-თე, ქართ. თენ-ებ-ა, ზანური თან-აფ-ა და ამის საფუძველზე გამოგვეყო თ- ძირი, ხოლო თ-ევ, თ-ელ, თ-ენ შედგენილ ფუძეებად ჩაგვეთვალა, მაშინ ბუნებრივად დაისმოდა საკითხი, თ-ერ აგრეთვე მიგვეჩინა წარმოქმნილ ერთეულად და დაგვეკავშირებინა თ-ევ, თ-ელ, თ-ენ ფუძეებთან.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, ვეტიკრობთ, შესაძლებელია, საერთო-ქართველურ \*თ- ძირს დავუკავშიროთ ქართ. თეთრი, სვან. თერ-, თე, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ქართ. თევ-ა, ნა-თელი-ი, მ-თი-ებ-ი, მ-თოვ-არ-ე, მეგრ. ჭან. თან-აფ-ა, ნო-თე, სვან. ან-თაუ-ე და სხვა სახელური და ზმნური ფორმები.

აღსანიშნავია, რომ საერთო-ინდოევროპულ leuk ძირიდან წარმოქმნილ ფორმებს აქვთ ნათელის, მთვარის, დღის სინათლის მოტანის, განაუების, სხივის, ხედვის, თეთრის და სხვა მნიშვნელობები (10, გვ. 687-690).

11. \*ზოპ-. ჭანურში არის ზოპ-ინ-ი ზმნა „ლაპარაკი“ (28, გვ. 145). სხვა

<sup>1</sup> ამ ძირთან დაკავშირებული ძირითადი მოსაზრებანი 1961 წელს იქნა მოხსენების სახით წაკითხული (25, გვ. 172).

ქართველურ ენებში **ზოპ**- ძირი არ ჩანს. საინტერესოა, რომ A-52 ხელნაწერში (XI—XII სს.) დადასტურდა ამ ძირისაგან ნაწარმოები საწყისისა და მიმდებარის ფორმები:

„რამეთუ თქვენ ვიდრემე ცოდნისა მისისა **მზოპავი** ხართ, სტყუით“ (67v, 14); „ითნესცა თავისა თვისისა **მზოპავად**“ (88r, 16-17); „არა ამოოდ, არცა **მოზოპვით** თქუა“ (68v, 35); „არა ეგულვა **მოზოპავად**“ (84v, 27) და სხვა.

ეს სიტყვა არაა შეტანილი ძველი ქართულისა და დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში.

ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში **მზოპავი** „მატყუარას, მოტრაბახეს“ ნიშნავს, ხოლო **ზოპავა** „ტრაბახს, ტყუილს“.

ზომ არ შეიძლებოდა ქართულ-ზანურის ერთიანობის ხანისათვის აღგვედგინა \***ზოპ**- ზმნური ძირი?

დამოწმებული ლიტერატურა

1. А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. II, Опыт фонетики мингрельского языка, СПб., 1880.
2. არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
3. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
4. Н. Я. Марр, Яфетические названия деревьев и растений (Pluralia tantum), II, Изв. АН, СПб., 1915.
5. O. Wardrop, English-Svanetian Vocabulary, Journal of the Royal Asiatic Society, 1911, Iuli.
6. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
7. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
8. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
9. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი, თბილისი, 1979.
10. Iulius Pokorny, Indogermanisches etimologisches Wörterbuch, I, Bern und München, 1959.
11. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, IV, М., 1973.
12. R. Erckert, Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895. დაკავშირება მ. ჯანაშვილს ეკუთვნის.
13. П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, Материалы по яфетическому языкознанию, IV, СПб., 1912.
14. შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელზომისა, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, II, № 7, თბილისი, 1941.
15. ი. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, VI, მარტვილი ანდრიაშვილი და ანატოლქსი, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965.
16. ი. ჭყონია, სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, СПб., 1910.
17. აღ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბილისი, 1975.
18. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, ტფილისი, 1930.
19. F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953.
20. ს. ქედნტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბილისი, 1956.
21. მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960.

22. არ. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, ივე, VI, თბილისი, 1954.
23. გ. მაქავეარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965.
24. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975.
25. ზ. სარჯველაძე, „თეთრ“ დუძის შედგენილობისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XXIII სამეცნიერო კონფერენცია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბილისი, 1961.
26. А. Грен, Сванетско-русский словарь, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 10, Тифлис, 1890.
27. ტ. ვუღავეა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ქანურში), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შობაზე, ტ. 33, № 2, თბილისი, 1964.
28. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1910.
29. Вяч. Вс. Иванов, О некоторых переднеазиатских параллелях к картвельским лексемам, Свѣთმეცნიერო კრებულო, თბილისი, 1979.

З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

К ЭТИМОЛОГИИ НЕКОТОРЫХ ОБЩЕКАРТВЕЛЬСКИХ ЛЕКСЕМ

Резюме

В статье выявлено несколько новых общекартвельских основ, даны дополнения к некоторым старым сопоставлениям.

Проанализированы следующие общекартвельские лексемы: \*ჟურ-კოგ- (მეგრ. კვარა „ეორა“, ლაზ. კვა-ოჯ-ი id, სვან. ჟურ-id.); \*მა-ტლო- \*ma-tlo- (груз. მა-ტლი-ი „червь“, ср. ტლობა tl-ob-a „портить“, მეგრ. მუნტური id; ლაზ. მუნტური id; სვან. მგტ id). Корень \*ტლო-\*tlo- имеет параллели в индоевропейских языках: греч. τλίω, др. болг. tǎlǐti, русск. „тля“, чешск. tliti и др. ლურ -yur (груз. მო-ლულ-ვა „уничтожать“, მეგრ. ლურ-უა „смерть“, чан. ლურ-უა id. \*ომ- (груз. თმობა „терпеть“, სვან. თმ „беда“), \*შდიმ \*šdim (груз. შტიმეა „пристально смотреть“, სვან. შტიმ „ухо“) \*გულ-ვა-ბა || გულ-ვა-ბა \*gul-v-eb-a=gul-eb-a (груз. გულეა „познавать“, „понимать“, მეგრ. გურაფა „учение“ \*ქად-\*kad (груз. ქადეა, სი-ქად-ული „обещать“, სვან. ლი-ქად-უნე „обманывать“, \*ყორ qor (груз. ყორე „ограда“, „забор“, სვან. ლი-ქად-უნე „ворота“, „дверь“ \*თ-ტი- (груз. თეთრი „белый“, სვან. თე<თერ „глаз“, ჩუათირი „узнал“, თენეა „светлеть“, მეგრ. თანაფა id, ლაზ. თანაფა id. и др). \*ზოპ- \*zor- (გრ. მო-ზოპ-ეა „обман“, მ-ზოპ-აე-ი „обманщик“, ლაზ. ზოპ-უა „гово- рить“).

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

## ლუიზა რუხაძე

## თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში

ცნობილია, რომ „წმინდა ენა“ არ არსებობს, რაც შედეგია ძირითადად ენის ისტორიულ-სოციალური ექსტრალინგვისტური ფაქტორისა. სალიტერატურო ქართულში თურქული ლექსიკური ელემენტების სიმრავლე გამოიწვია იმ ისტორიულმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ურთიერთობებმა, რომლებიც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა თურქეთთან და თურქული მოდემის ხალხებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობებს მეტწილად საფუძვლად ედო თურქეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ბუნებრივია, მაინც მყარდებოდა კონტაქტები ხალხებსა და ენებს შორის. ეს ენობრივი კონტაქტი საბედნიეროდ იყო დროებითი, მაგრამ — პროქსიმალური. ხდებოდა ორი ენის უშუალო ურთიერთგავლენა, რაც ქართულში აისახა იმ მრავალრიცხოვან ლექსიკურ ნასესხობებში, რომლებიც დამკვიდრდნენ ქართულ სალიტერატურო ენაში. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცირე ნაწილს მონოგრაფიისა: „თურქიზმები ქართულ სალიტერატურო ენაში“, რომელზედაც აქამად გრძელდება მუშაობა.

**არტალა** — 1. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი. 2. ამ ნაწილისაგან დამზადებული წვნიანი (ქეგლ)<sup>2</sup>. ს.-ს. ორბელიანისა<sup>3</sup> და ნ. ჩუბინაშვილის<sup>4</sup> განმარტებით: საკლავთ უკანა მუცლსქვეითი. არაფერია თქმული, არტალა სიტყვის შემოთ აღნიშნულ მეორე მნიშვნელობაზე.

პროფ. გ. როგავას ქართული არტალა მიაჩნია ზანური ონტოლეს შესატყვისად. „ონტოლე იგივე გურული ორტოლაა, სადაც ო ფონეტიკური ჩანართია, ნიშნავს ჯირკვალს, რომელიც გრძლად ორ ზოლად გადასწვდება კაცს კიპში. არტალა ქართ. ა-ტალა ზან. ონტოლე“<sup>5</sup>. ჩვენი ვარაუდით ქართ. არტალა უნდა უკავშირდებოდეს თურქ. ardala სიტყვას, რომლის იმ რამდენიმე მნიშვნელობიდან, რაც მას თურქულ დიალექტებში გააჩნია (უმრავლესობა, სახელდობრ, ძროხასთან არის დაკავშირებული), ერთ-ერთი „ძროხის ფეხის უკანა ნაწილის ხორცი“ - ვაერცელებული ბურსასა და ნივდემი<sup>6</sup>, სრულად ემთხვევა ქართულში „არტალას“ სემანტიკას. ცხადია, ქართ. არტალა მოდის თურქ. ardala სიტყვა-ფორმიდან. თურქულმა მარცვლის თავიღებობა d მქლერმა ქართულში კანონზომიერად მოგვცა მკვეთრი „ტ“. ვფიქრობთ, ქართულ ენაში არტალა-სთვის მეორე მნიშვნელობის შექმნა, კერძოდ, „ამ ნაწილისაგან დამზადებული წვნიანი კერძი“, შედარებით მოგვიანო დროისა და ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს განვითარებული.

ეს სიტყვა რომ ეტიმოლოგიურად თურქულია, ამაზე მიგვანიშნებს სიტყვის პირველი ნაწილის art-ის მნიშვნელობები: 1. „ხურგი, 2. უკანა ნაწილი, ბოლო, დასასრული“. არსებობს შესიტყვებაც art bacaklar „უკანა ფეხები“ (ითქმის ცხოველებზე)<sup>7</sup>. ამ სიტყვის ძირითადი სემემა „უკანა, ბოლო“ დადასტურებულია შამსედ-დინ სამის ცნობილ ლექსიკონში, სადაც იგი ფიქსირებულია

მნიშვნელობით: „ეყვანი, რომელიც ქარაგნის სულ **ბოლო**, უკან აქლემს აქვს მიბმული“<sup>8</sup>. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ქართული არტალის (ს.-ს. ორბელიანი, ნ. ჩუბინაშვილი) და თურქული ardala-ს სემანტიკაში დომინირებს მნიშვნელობა „უკანა“.

**ბერა** — 1. მოზღუდულში დატოვებული ვიწრო გასასვლი (ჩვეულებრივ ცხერის სათვლელად და საწველად). ბერაში წველა — ბაკში დამწყვედული ცხერის თითო ოროლად გატარება ბერაში და რიგრიგობით მოწველა (შდრ. დარეულად წველა). „ბერაში გატარების“ გადატანითი მნიშვნელობა — ვისიმე დამარცხება ან დაშინება. შდრ. „ალაიაში გატარება“. „ყველა ჩვენს მჭამელ მძარცველსა ბერაში გაატარებენ“ (ბაჩანა, ქეგლ). ბერა — „შუა გასასვლელი“ — განმარტავს საბა, ხოლო ნ. ჩუბინაშვილი კი შემდეგნაირად ხსნის ამ სიტყვას: „დანიშნული ადგილი, დასადგომელად გაჯუფთებულთა მორბენალთაგან და ეგვევითართა მოთამაშეთა“. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალების მიხედვით ბერა თავდაპირველად დასტურდება. გურამიშვილითან: „ბევრნი და ცოტას მწველელნი სწორედ გავლიან ბერასა“. ამჟამად ეს სიტყვა საკმაოდ არის გავრცელებული ქართულ დიალექტებში.

ჩვენი აზრით, ბერა სიტყვა თურქულ-აზერბაიჯანული წარმომავლობისაა. აზერბაიჯანულ *bera*-ს ძირითადად მოზღუდულში დატოვებული ვიწრო გასასვლის მნიშვნელობა აქვს<sup>9</sup>. საერთოდ კი პოლისემანტიკურია<sup>10</sup>, ისევე როგორც თურქულ დიალექტებში, მაგ. *ber*, *beri*, *bere* შეიბქარაპისარის, გირესუნის, შავშეთის, არზრუმის, ართვინის მეტყველებაში ნიშნავს, „საქონლის მოსაწველ ადგილს“. „საქონლის მოწველის“ დროს აღნიშნავს იგი აქჩადაღში, მალათიაში. ორივე ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობა აქვს ყიზილჩაქაქში, არფაჩაისა და ყარსში<sup>11</sup>. თურქულ და აზერბაიჯანულ ენებსა და მათ დიალექტებში *bera* სიტყვის გავრცელების ფართო არეალი გვაფიქრებინებს, რომ იგი თურქული ნა-სესხობაა ქართულში. არნ. ჩიქობავას თანახმად ბერა სიტყვა ფიქსირებულია ქართულსა და ქანურში, მაგრამ არ დასტურდება მეგრულში<sup>12</sup>. ამავე დროს, როგორც ვ. რადლოვი აღნიშნავს, კონსტატირებულია თურქულ ენათა უმრავლესობაში<sup>13</sup>. ბერა ქართულში მხოლოდ მე-18 საუკუნიდან გვხვდება. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, ლაპარაკობს ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ.

**ბოზა** — 1. ფეტვის ბურახი, 2. ტბილისაგან მომზადებული სასმელი (ქეგლ.). დასტურდება ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში: ბოზა — „ფეტვის ბურახი“. *boza* ფორმა-სიტყვა აღნიშნული აქვს ვ. რადლოვს ოსმალური და ყირგიზული ენებისათვის. ოსმალურში ის ნიშნავს „ფეტვისაგან მომზადებულ სასმელს“, ყირგიზულში კი: 1. მკავე რძისაგან დამზადებულ სასმელს, 2. ამკავებული ხორბლის ფაფას. *boza* ყაზახურში, ჩალათაურში „ქერის ან ხორბლისაგან დამზადებულ სასმელს“ ნიშნავს. ნ. დმიტრიევი ამ სიტყვის პირველად მნიშვნელობად მიიჩნევს: „ფეტვისაგან დამზადებულ სასმელს“<sup>14</sup>. მ. რიასენენის აზრით, *boza* სიტყვა ყალმუხური *boz* „ფეტვის ბურახი“-დან უნდა იყოს მიღებული<sup>15</sup>.

მ. ფასმერის მიხედვით, ეს თურქული ნასესხობა ძალზე გავრცელებულია რუსულ, კავკასიურ, უკრაინულ, პოლონურ, სერბოხორვატულ, ბულგარულ ენებში<sup>16</sup>.

ა. კნეჟევიჩი *boza* სიტყვას სპარსულ *buze*-დან მომდინარედ თვლის<sup>17</sup>.

ბოში - ფომფლო, მოშვებული, თავისუფალი, ფონე (ქეგლ). არსებობს ხატოვანი გამოთქმა „ბოში თამბაქო“ -სუსტი უძალო თამბაქო. ხშირია მისი ხმარების შემთხვევები ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებსა და ზეპირმეტყველებაში. აქვს დერევატები: მობოშება, მობოშებული, გაბოშება. ფუნქციონირებს აგრეთვე როგორც ზმნიზედა-„ბოშად“. თურქულში იგი წარმოდგენილია boş ფორმით და მრავალ სხვა მნიშვნელობასთან ერთად შეიცავს ქართული ბოში-ის იდენტურ მნიშვნელობასაც. boş სიტყვა ძველი თურქული ენის კუთვნილებაა, რასაც ადასტურებს მისი არსებობა მ. ქაშღარელის ლექსიკონში (XI ს.). იგი ძალზედ პროდუქტიულია; უკვე ძველ თურქულ ენაში აქვს ბევრი ნაწარმოები სიტყვა: boşlanmak „გაყრა“, boşaltmak „დაცარიელება“, boşlun „შშობი-არობა“, boşumak „გადარჩენა“<sup>19</sup>, boşuy „წასვლის უფლება, რომელსაც სულთანი უბოძებს ელჩს“<sup>20</sup>.

boş სიტყვა გავრცელებულია თურქულ ენათა უმრავლესობაში, ზუსტად ამ ფორმით გვხვდება ყირგიზულში, ალთაურში, უიღურულში, თურქმენულში; ჩალათურში „ქერევის“ მნიშვნელობითაც იხმარება<sup>21</sup>. ყაზახური buş, მ. რიასენენის აზრით, ჩუვაშური puş, poş-იდან უნდა მომდინარეობდეს<sup>22</sup>. მონღოლურში მას busa-ni ფორმა აქვს. boş-ის დიდი გავრცელებულობა თურქულ ენებში და მისი არ არსებობა ძველი ქართული ენის ძეგლებსა და ლექსიკონებში უცილობელს ხდის ამ სიტყვის თურქულ წარმომავლობას.

**ბურღული** — მსხვილად დაღვრილი მარცვალი (ქეგლ). ფიქსირებულია იგი ს.-ს. ორბელიანის, ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებსა და ქართული ენის დიალექტოლოგიურ ლექსიკონებშიც.

არნ. ჩიქობავას ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში „ბურღული“ მითითებულია ჭანურისა და ქართულისათვის, ოღონდ „მსხვილად დაღვრილი სიმინდის“ მნიშვნელობით. აქვეა მოყვანილი მეგრ. ღარღილი და ქართ. ღერღილი. არნ. ჩიქობავა მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი ფუჟე სემასიოლოგიურად ახლოს დგას „ბურღულ“ სიტყვასთან, მაგრამ სხვა ძირი უნდა იყოს<sup>23</sup>. გ. კლმოვი ამ ლექსემის განხილვისას აღნიშნავს, რომ ღერღილი წარმოადგენს ღერდ ფუძისაგან -ილ აფიქსით ნაწარმოებ ისტორიულ მიმღებობას<sup>24</sup>.

ბურღულ სიტყვაზე არაფერია ნათქვამი, რადგან იგი სულ სხვა ძირია და, ვფიქრობთ, უნდა უკავშირდებოდეს თურქულ burgul, bulgur სიტყვას, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს თანახმად რედჰაუზის<sup>25</sup>, რადლოვის და ბუდაგოვის ლექსიკონებისა. bulgur სიტყვა თურქულია. ის თურქული ენის კილოებსა და კილოკავებში უმთავრესად ქართულის იდენტური ფორმით დასტურდება; გვხვდება რუსულშიც bulgur ფორმით. მ. ფასმერი მას უკავშირებს თურქულ burgul სიტყვას.

ბურღულს თურქულ ნასესხობათა რიგში განიხილავენ ი. ცონევი (ბულგარულისთვის)<sup>26</sup>, ნ. ბორეცკი (ალბანურისთვის)<sup>27</sup>. ა. კნევევიჩი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ სიტყვის სადაურობას სერბულ-ხორვატულში და არავითარ მოსაზრებას მის წარმომავლობაზე არ გვთავაზობს<sup>28</sup>.

**ბუღი** — ჰაერის მონისლული ვარვარი, აღმური (ქეგლ). საბასთან ეს სიტყვა არ არის აღნიშნული. თურქულ ენაში გვხვდება buyu ფორმით და ნიშნავს „ორთქლს“. აქედან ზმნაც არის ნაწარმოები buyumak-ორთქლება<sup>29</sup>. შღრ.: ზერბაიჯანულში buy-ორთქლი, თურქმენული buy, ჩუვაშური buy, უიღურული buy, ყაზახური bu-ორთქლის მნიშვნელობით. აღნიშნება buyu სიტყვა ამავე

მნიშვნელობით ბულგარულშიც, სადაც აგრეთვე თურქულ ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს (ИОН.).

დომბა — ჩლიქოსანი ცხოველი ძროხების ოჯახის, ტანით დიდი (ქეგლ). საბას განმარტებით დომბა ვირ—მოზურია. ილ. ჭყონიას ლექსიკონის მიხედვით, „დომბაი არის იშვიათი ჯურის გარეული კამბეჩი, ვყრხ. იბოება მხოლოდ უწინდელ პოლონეთში, ბელოვეჯის ტევრში და აბხაზეთში „რიცა“ ტბის მიდამოებში, მდ. ბზიბის ღელეში“<sup>30</sup>.

დომბა საერთო კავკასიური სიტყვაა. აფხაზური *adompej*, სვანური *dombaj* „კამეჩი“, ლაკური *dunbej* „მსხვილი“, „ჭკუასუსტი“,

ვ. აბაევი *dombaj* სიტყვას ოსურში თურქულ ნასესხობად მიიჩნევს<sup>31</sup>. ანალოგიურად ქართულშიც დომბა სიტყვა თურქული წარმომავლობისა უნდა იყოს. ის სრული იდენტურია თურქული *dombaj* სიტყვისა. სხვა თურქული ენების მონაცემები, კერძოდ: სალიტერატურო აზერბაიჯანული *domba*, ყაზახური *dong* ყირგიზული *döng*—მნიშვნელობებით: „ამოზნექილი, ბორცვი, კუზი“ იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ *dombaj* სიტყვა პირდაპირ სემანტიკურ კავშირშია ამ მნიშვნელობებთან, ვინაიდან, როგორც ვიცით, კამეჩი კუზიანი ცხოველია. *ng>m* ბაგისმიერი ხმოვნის მომდევნო პოზიციაში კანონზომიერია. მაგ., ყირ. *döng* „კუზი“ და მისგან ნაწარმოები *dombul* „კუზიანი“<sup>32</sup>.

*dombaj* სიტყვა „კამეჩის“ მნიშვნელობით ძალზედ გავრცელებულია თურქულ კილოებზე და კილოკაეებში (შღრ. აგრეთვე: *k-ongşu>komşu*, *donguz>domuz*.).

ვ. ივანოვი შესაძლებლად თვლის *dombaj* სიტყვის კავშირს შესაბამის სახელწოდებებთან სლავურსა და ბალტიისპირა ენებში. წყაროდ მიაჩნია ძველი ინდო-ევროპული ფორმა არასპირანტიზებული მყლერი პალატალით სიტყვის თავში<sup>33</sup>.

**თივთიკი** — ზოგიერთი ცხოველის თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნის წვრილი და ნაზი ბლანი, რომლისგანაც მზადდება წვრილი ძაფი და გამოიყენება ნაზი ქსოვილისათვის (ქეგლ). ს.-ს. ორბელიანს აღნიშნული აქვს, რომ თივთიკი სხვათა ენაა. ქართულად თხისური ჰქვიათ. ძველ ქართული თხისური მთლიანად განდევნა ხმარებიდან თურქულმა თივთიკმა.

ქართ. თივთიკი მომდინარეობს თურქული *tiftik*-იდან, რომელსაც მ. ალაკაი შემდეგნაირად განმარტავს: 1. ანგორის თხა, 2. ანგორის შალი, 3. თხის ბეწვის (ბუმბული)<sup>34</sup>. თურქულად მიიჩნევენ ამ სიტყვას ვ. რადლოვი, ვ. ბუღაგოვი. მ. რიასენინი განასხვავებს ჩალათაურ *tiftik* „ანგორის ბეწვი“ და ოსმალურ *diftik* „თხის ბეწვი“ მნიშვნელობებს და იქვე აღნიშნავს მიკლოშიჩის მოსაზრებას ბულგარულში *tiftik*-ის თურქულ წარმომავლობაზე (Räs).

**იონჯა** — ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახის (ქეგლ).

იონჯა წამლის მნიშვნელობით არის ნახმარი ივ-18 საუკუნის ერთ-ერთ მინაწერში. ა. მაყაშვილი თავის ლექსიკონში<sup>35</sup> აღნიშნავს ამ მცენარის ათზე მეტ სახეობას, მაგ., იონჯა სხივისებური, იონჯა ცისფერი, იონჯა ყვითელი და სხვ.

იონჯა ქართულში წარმოადგენს თურქულ ნასესხობას. ეს სიტყვა ძველ თურქულში სამკურნალო ბალახის მნიშვნელობით *iorunğqa* ფორმით დადასტურებულია უიღურულ სამკურნალო წიგნში<sup>36</sup>. *iorunğqa*, როგორც მცენარე, ფიქსირებულია ზამახშარის ლექსიკონში<sup>37</sup>. მას თურქული წარმომავლობის სი-

ტყვად თვის რედპაუზიცი (Red.). გვხვდება მთელ რიგ თურქულ ენებში: ჩალათური, უზბეკური, ყაზახური და სხვ.

**კიჩო** — გემის, აგრეთვე თვითმფრინავის უკანა ნაწილი, ბოლო (ქეგლ). საბა ორბელიანისა და ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში ეს სიტყვა არ გვხვდება.

თურქულ სალიტერატურო ენაში მას აქვს kič ფორმა და მნიშვნელობა: ზურგი, ბოლო, უკანასკნელი.

გ. რადლოვი მიუთითებს, რომ kič სიტყვა ოსმალურია და ნიშნავს „გემის უკანა ნაწილს“ (Рад.). მ. ადაკაის ლექსიკონში აღნიშნული მნიშვნელობები — 1. უკანა, უკანა ნაწილი, 2. გემის უკანა ნაწილი, 3. კული თვითმფრინავის ზუსტად ემთხვევა ქართულში კიჩოს მნიშვნელობას.

ეს სიტყვა, როგორც მ. ფასმერი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აღნიშნავს, რუსულში გვხვდება kička ფორმით ოღონდ, საპირისპირო სემანტიკური მნიშვნელობით — „გემის ცხვირი“. სიტყვის წარმომავლობა არ არის ახსნილი.

**უხა** — გაულაური ცომისაგან მოზეილილი, ცეცხლზე გამხმარი სიფრიფანა პური (ქეგლ).

ხშირია ამ სიტყვის ხმარების შემთხვევები ქართლში. აჭარულში იგი გავრცელებულია აუხა ფორმით.

დადასტურებულია მე-17 საუკუნის წერილობით ძეგლში: „მოიტანე უერიბოთ, უხა ჩაქერ, ცარიელ წყლით მოადლუე, შეჭამანდ ჰქმენენ“ (იადგარ დაუდი, 312,2).

ქართული უხა უნდა წარმოადგენდეს იგივე თურქულ yufka „გაბრტყელებული ცომის ფენა“ სიტყვას.

ამ სიტყვის თურქულობაზე მიგვანიშნებს juřya-ს არსებობა მაჰმუდ ქაშაგარელის ლექსიკონში, სადაც იგი როგორც ზედსართავი სახელი ნიშნავს „თხელი, წვრილი“, ხოლო როგორც არსებითი სახელი „ფენოვან პურს“-ს. თურქულ დიალექტებში ამ სიტყვას juřka ფორმა აქვს და ნიშნავს: „თხელი“, „წვრილი“ (DS). აზ. juřa<sup>38</sup> როგორც ფორმით, ისე სემანტიკურად ემთხვევა ქართულ უხას, მცირეოდენი ფონეტიკური სხვაობით: ქართულში ეკვივალენტის უქონლობის გამო დაიკარგა აზერბაიჯანული თავკიდური j

**ქენდირი** — ბოტ. მრავალწლოვანი რძიანწვნიანი მცენარე. შეიცავს მალალი ღირსების ბოჰკოს. მოჰყავთ შუა აზიის რესპუბლიკებში (ქეგლ).

ა. მაყაშვილი „ბოტანიკურ ლექსიკონში“ მიუთითებს ქენდირის თურქულ წარმომავლობაზე (მაყ.).

თურქულში kendir სიტყვა დაახლოებით X საუკუნის წერილობით ძეგლებში დასტურდება.

ა. ბოროკოვი უზბეკური ბოტანიკური ტერმინოლოგიის შესწავლისას ზამახშარის ლექსიკონის მიხედვით აღნიშნავს: „kendir თურქულ ენაზე მცენარეა, რომლისგანაც გრებენ თოქს“ (Бор.).

აღინიშნება იგი მთელ რიგ თურქულ ენებში: აზერბაიჯანულში, თურქმენულში, ყაზახურში, უზბეკურში. თურქულ ნასესხობათა რიგში ათავსებენ ამ სიტყვას ნ. დმიტრიევი და მ. ფასმერი.

**ქეჩო** — ქეგლ-ში საბასეული სიტყვებით არის განმარტებული: „ამოზეული კისერი — ზოგი ცხოველის კისრის ზედა ნაწილი“. პირველად ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაში დასტურდება თანიაშვილის მიერ ვალექსილ „ამი-

რანდარეჯანიანში<sup>39</sup> (მე-17 საუკუნე). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „ქეჩო“ ამოზეულ ჯაგრიანი ქედია ტახტთა, დათუთა, აფთართა და მისთანა. ვადატანით აღამიანის კისერზეც იტყვიან. არსებობს ქართულში ხატოვანი გამოთქმა: ქეჩოს ფხანა<sup>40</sup>.

ამ სიტყვის ტოლფარდად გეჩვენება თურქულში ფიქსირებული kičā (ჩალათური kičā „თავის უკანა ნაწილი“). მონგოლურში, როგორც ამას ბუდაგოვი შენიშნავს, იგი განსხვავებული მნიშვნელობით არის ფიქსირებული. ნიშნავს: „მამაკაცის ნაწნავს“. მანჭურიული ჩვეულებით, ალთაის ყალმუხები და ჩერნოგოვის თათრები თმების გაკრეჭისას პატარა ნაწილს უკან იტოვებენ და ნაწნავს იწნავენ.

ყუთი — ოთხკუთხა სათავისი, ჩვეულებრივ ფიცრის (ქეგლ). პირველად დასტურდება „რუსულდანიანში“<sup>41</sup>.

თურქულში ყუთი სიტყვა kutu, gutu ფორმებითაა წარმოდგენილი და ლექსიკოგრაფების მიერ თურქული ენის კუთვნილებადაა მიჩნეული.

ვ. აბაევი ამ სიტყვის ოსური k'utu k'urtu ფორმების განხილვისას მიუთითებს მათ თურქულ წარმომავლობაზე (Аб.). ა. კნეფევიჩი kutu სიტყვას განიხილავს თურქულ ნასესხობათა რიგში და ფიქრობს, რომ იგი მომდინარეობს ახალი ბერძნულიდან. მაგრამ, ვინაიდან ეს სიტყვა ძველ ბერძნულში არ დასტურდება და მხოლოდ ხალხური ბერძნულისთვის არის დამახასიათებელი, ვფიქრობთ, რომ იგი ბერძნულშიაც თურქული ნასესხობა უნდა იყოს.

### შენიშვნები

1. იხ. აგრეთვე ლ. რუხაძე, რამდენიმე თურქული წარმომავლობის სიტყვისათვის ქართულში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბილისი, 1973, გვ. 223—6.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII, თბილისი, 1950—1964.
3. ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1966.
4. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1966.
5. გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, 1, თბილისი, 1962, გვ. 73—74.
6. Türkiye'de Halk Ağzından Derleme sözlüğü, I, Ankara, 1963.
7. Турецко-русский словарь, М., 1977.
8. S. Sami Bey, kamusu türki, Istanbul, 1317h.
9. Азербайджанско-русский словарь, Баку, 1915.
10. იხ. Диалектологический словарь азербайджанского языка, Баку, 1964.
11. Türkiye'de Halk Ağzından Derleme Sözlüğü, II, Ankara, 1965.
12. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 154.
13. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий т. IV, часть 2, Петербург, 1911.
14. Н. К. Дмитриев, Строй тюркских языков, М., 1962, გვ. 530.
16. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. I, М., 1964.
17. Кнезевич, Die Turzizmen in der Sprache der Kroaten und Serben, 1962, გვ. 62.
18. В. Атайау, Divanu lügat-it türk dizini I, Ankara, 1943, გვ. 266.
19. Taniklariyle Tarama sözlüğü iv Istanbul, 1957, გვ. 120.
20. Древне-тюркский словарь, Л., 1969, გვ. 113.

21. Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. 1, 1869, გვ. 281.
22. M. Räsänen, დასახ. შრომა, გვ. 82.
23. არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრული ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1939, გვ. 173.
24. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 202.
25. K. Redhouse, A. Turkish and English Lexicon, Constantinople, 1921.
26. И. Цонев, Турски думи въ български езикъ, т. 1, София, 1919, გვ. 8.
27. N. Boretzky, Der Turkische einfluss Auf das Albanische, teil 2, Wiesbaden, 1976.
28. А. Кнеžević, Die Burzismen in der Sprache der Kroaten und Serben, 1962.
29. Турецко-русский словарь, Москва, 1977.
30. ილია ქუთონია, სიტყვის კონა საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში გამოტოვებული სიტყვები, პეტერბურგი, 1910.
31. В. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, М.-Л., 1958, გვ. 365.
32. А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, М., 1977, გვ. 151.
33. Вяч. Вс. Иванов, Проблема названия „зубра“ в балканских, славянских и балтийских языках, „Первый симпозиум по балканскому языкознанию, Античная балканистика“, Тезисы. Сообщения. Аннотация. М., 1972, გვ. 53—54.
34. A g a k a y, Turkce sözlük, Ankara, 1969, გვ. 736.
35. ა. შაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949.
36. R a c h m e t i J. R., Tur Heilkunde der Uiguren, II, SPAW, 1932, გვ. 28.
37. А. К. Боровков, Названия растений по бухарскому списку „Мукаддимат ал-адаб“ М., 1971, გვ. 96.
38. А. Кнеžević, დასახ. შრომა.
39. ს. თანიაშვილი, ამირან დარეჯანიანი, გ. ჯაყობის რედაქციით, თბილისი, 1971.
40. თ. საბოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი, ტ. III, თბილისი, 1955, გვ. 9.
41. რუსულდანიანი, ილ. აბულაძისა და ივანე გვიგენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

შეშოკლებები

- ქეგლ— ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I—VIII, თბილისი, 1950—1964.
- იადიგარ დაუდი— იადიგარ დაუდი. ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბილისი, 1938.
- მაყ.— ა. შაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1949.
- Рад.— В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. I, 1893. т. IV, Петербург, 1911.
- Фас.— М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, I—IV. М., 1964—1973.
- Бор.— А. К. Боровков, Названия растений по бухарскому списку „Мукаддимат ал-адаб“, Тюркская лексикология и лексикография, М., 1971, გვ. 96.
- Буд.— Л. З. Будагов, Сравнительный словарь тюркско-татарских наречий, т. I, 1869, т. II. 1871.
- Аб.— В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, М.-Л., 1958.
- Räs.— M. Räsänen, Vorsugh eines etymologischen Wörterbuchs der Turkspraghen, Helsinki, 1969.
- Red.— W. Redhouse, A Turkish and English Lexicon, Constantinople, 1921.
- Цон.— И. Цонев, Рурски думи въ български езикъ, т. I, София, 1919.

Л. И. РУХАДЗЕ

## ТУРЕЦКИЕ ЗАИМСТВОВАНИЯ В ГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

Грузинско-турецкие языковые контакты, обусловившиеся историко-политическо-экономическими отношениями, были временными, но проксимальными. Этим объясняется наличие многочисленных тюркизмов в грузинском литературном языке.

В данной статье выявлена часть турецких лексических заимствований: груз. *ardala*-1. нижняя часть коровьей ноги, 2. отвар, приготовленный из этой части, тур. <*ardala*-задняя часть коровьей ноги; груз. *beḡa*-узкий проход в загоне для удобства вести счет и доить овец <тур. -*az. beḡa*-узкий проход в загоне; груз. *boza*-напиток из проса <тур. *boza*-напиток из проса; груз. *boṣi*-свободный, пустой <тур. *boṣ*-не имеющий, лишенный, пустой, порожний; груз. *buḡuli*-крупномолотая пшеница <тур. *bulgur*-крупномолотая пшеница; груз. *buḡi*-пар <тур. *buḡu*-пар; груз. *domba*-зубр <тур. *dombaḡ*-буйвол; груз. *tiftiki*-козий пух, из которого изготавливается тонкая нить <тур. *tiftik*-ангорская коза, тонкая ангорская шерсть, мохер; груз. *joṗsa*-клевер <тур. *joṗsa*-клевер, груз. *kiḥo*-задняя часть корабля, самолета <тур. *kiḥ*-1. зад; 2. мор. корма корабля; груз. *ṣha*-тонкий хлеб <тур. *jufja*-1. тонкая лепешка, 2. хрупкий, тонкий; груз. *keḥo*-верхняя часть шеи животного <тур. *kiḥe*-задняя часть головы; груз. *qutī*-коробка, ящик <тур. *kutu*-ящик, коробка.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლ. რუხაძის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჩიქიამ

## სულთან ზუმაზვილი

 კლასიკან-პიროვნანი უღვლილების ჩამოყალიბებისათვის  
 ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში

ენობილია, რომ მთის იბერიულ-კავკასიური ენების უმეტესობა განარჩევს გრამატიკულ კლასებს, ამ ენების ზმნათა დიდი წილი იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით. ზმნაში აისახება სუბიექტის (თუ გარდაუვალია) და ობიექტის (თუ გარდაუვალი ან გრძნობა-აქქმისაა) კლასი. ორივე ეს სახელი (სუბიექტიცა და ობიექტიც) სახელობით ბრუნვაში დგას.

იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს მოეპოვება განვითარებული პიროვანი უღვლილება. ამ ენათა ზმნა იცვლება პირების მიხედვით (მათ შორის აფხაზური ენისა — გრამატიკული კლასების მიხედვითაც). ზმნაში აისახება როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის (თუ ზმნა პოლიპერსონალურია) პირი. პირთა გარჩევა, ანუ პიროვანი უღვლილება, ამ ენებში მეორეული მოვლენაა, მას წინ უსწრებდა ზმნის ცვლა გრამატიკული კლასების მიხედვით<sup>1</sup>.

გარდა კლასოვანი და პიროვანი უღვლილებისა, ზოგი მთის იბერიულ-კავკასიური ენის ზმნათა ფორმაცვლებაში შეინიშნება კლასოვანი უღვლილებიდან პიროვანზე გადასვლის პროცესი — ოდენ კლასოვანის გვერდით ყალიბდება კლასოვან-პიროვანი უღვლილება. უღვლილების ამ უკანასკნელი (კლასოვან-პიროვანი) ტიპის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ზმნაში აისახება სახელის (სუბიექტის ან ობიექტის) კლასი და პირი ერთდროულად. სახელის კლასის გამოსახატავად ზმნაში ძირითადად პრეფიქსებია გამოყენებული, ხოლო პირი სუფიქსების საშუალებით გამოიხატება. კლასოვან-პიროვანი უღვლილების ტიპის არსებობა თვალნათლივ ადასტურებს კლასოვანი უღვლილების პირველადობასა და პიროვანი უღვლილების მეორეულობას.

ნახური ენები იუღვლიან გრამატიკული კლასების მიხედვით. ამასთან ბაცბურ ენასა, ჩაჩნური ენის ზოგ კილოსა და კილოკავში შეინიშნება კლასოვანი უღვლილების გვერდით კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების პროცესი. ეს პროცესი ნახური ჯგუფის ამ ენა-კავებში მეტ-ნაკლებად შორსაა წასული<sup>2</sup>.

ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტში კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების რთული და რამდენადმე სპეციფიკური ვითარება შეინიშნება. აქ პირთა გასარჩევად ენა იყენებს ორ სრულიად განსხვავებულ საშუალებას. ამათგან ერთს სუფიქსური ხმოვნების საშუალებით გამოხატულ კლასოვან-პიროვან უღვლილებას ვუწოდებთ, ხოლო მეორეს — ნაცვალსახელური ელემენტებით გამოხატულს<sup>3</sup>.

**სუფიქსური ხმოვნებით გამოხატული კლასოვან-პიროვანი უღვლილება.** უღვლილების ეს სახე დასტურდება მხოლოდ აწმყოსა და მისგან ნაწარმოებდროებში (ნ. უწყვეტელსა და აწმყოს თურმეობითში). „ზმნაში გარჩეულია I და II პირი, რომლებიც როგორც კონკრეტული პირები უპირისპირდებიან მესამე პირს, როგორც უფრო არაკონკრეტულს, განუსაზღვრელს“<sup>4</sup>.

ამდგავარი გარჩევა პირებისა ახასიათებს მხოლოდ გარდამავალსა და

გარდობა-აღქმის აღმნიშვნელ ზმნებს. პირთა გარჩევა ამ ზმნებში თავის მხრივ ორგვარად წარმოებს:

1. როცა პირები (სუბიექტური) გარჩეულია ზმნის ძირეული ხმოვნის (ან დიფთონგის) ცვლით. ძირეული ხმოვნის (ან დიფთონგის) ცვლა გამოწვეულია სუფიქსური ხმოვნების ზემოქმედებით. სუფიქსად დართული ხმოვნები აწმყო დროში დაკარგულია, მაგრამ შენახულია აწმყოსაგან ნაწარმოებ სხვა დროებში.

2. ფუძის ძირეული ხმოვანი არ განიცდის ცვლას, მაგრამ აწმყოს თურმობითისა და ნამყო უწყვეტლის მაწარმოებელ სუფიქსებს: ნთო(-) II-ნო(-) და-რ (-რწ)-ს წინ დაერთვის I—II პირში -ე-, III პირში -ო-, რაც იძლევა პირთა მიხედვით გარჩევას.

უნდა აღინიშნოს, რომ კლასოვან-პიროვანი უღვლილების თვალსაზრისით არაერთნაირი ვითარებაა თვით ქისტურ დიალექტზე მოსაუბრე სოფლების მეტყველებაშიც. გამოიყოფა ორი ჯგუფი სოფლებისა, რომლებიც ამ მხრივ მეტ სიახლოვეს ამყდვენებენ ერთმანეთთან. ესენია: ა) ომალო, ბირკიანი; მათ უახლოვდება სოფ. ძიბახევის მეტყველება; ბ) ჯოყოლო, დუისი.

ამ ორი ჯგუფიდან პირველს ომალოს ჯგუფს ვუწოდებთ, ხოლო მეორეს — ჯოყოლოს<sup>5</sup>.

ამგვარი გარჩევა ახასიათებს ომალოს ჯგუფის მეტყველებას. ჯოყოლოს ჯგუფის მეტყველებაში კი სამივე პირისათვის განზოგადდა -ა, რომელიც ომალოს ჯგუფში იმავე ფუნქციით ნახმარი (I—II პირისათვის) -ე-ს ფარდი ოდენობა უნდა იყოს და მისგან უნდა მოდიოდეს (-ა-ე-ე)<sup>6</sup>. სამაგიეროდ, გარდამავალ ზმნებში ყოველგვარი გამოწკლისის გარეშე გატარდა ძირეული ხმოვნის (ან დიფთონგის) ცვლით პირთა გარჩევის პროცესი და მან ამ მხრივ ომალოს ჯგუფის მეტყველებასთან შედარებით დასრულებული სახე მიიღო. პირების გარჩევის ამ საშუალების არსებობა მოწმობს, რომ ომალოს ჯგუფის მეტყველებაში ეს პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული. მოგვყავს სათანადო მაგალითები<sup>7</sup>.

I. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ჯ ო ყ ო ლ ო ს ჯ გ უ ფ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი დ ა ნ  
1. ზმნაში პირი არაა გარჩეული (გარდაუვალი ზმნები)

ს ა ც ა რ „გაჩერება“	თ ა რ ც ა რ „ჭიხინი“	თ ა ვ ა რ „ხობვა“
აწმყ. სოც (-საც-უ) „ჩერ- დება“	თწრც (-თარც-ე) „ჭიხი- ნებს“	თწვ (-თავ-ე) „ხობდება“
5. უწყ. სოც-არ (-საც-უ-რ)	თწრც-არ (-თარც-ე-რ)	თწვ-არ (-თავ-ე-რ)
5. უახლ. სეც-ი <sup>8</sup>	თწრც-ი <sup>8</sup>	თწვ-ი <sup>8</sup>
5. განს. სეც.-ი <sup>8</sup>	თწრც-არ	თწვ-არ
5. განუს. სესთ წს! (-სეც-ი-ნ წს!)	თწრც-ან წს!	თწვ-ან წს!
ლ ა ჭ ყ ა რ „დაშალვა“	ყ ვ ს თ ა რ „გამოყოფა“	ხ ვ დ ა რ „გაწყვეტა“
აწმყ. ლეჭყ (-ლაჭყ-ე) „ემლება“	ყწსთ (-ყასთ-უ) „ეყო- ფა“	ხწდ-(-ხნდ-ე) „წყდება“
5. უწყ. ლეჭყ-არ (-ლაჭყ-ე-რ)	ყწსთ-არ (-ყასთ-უ-რ)	ხწდ-არ (-ხნდ-ე-რ)
5. უახლ. ლეჭყ-ი <sup>8</sup>	ყწსთ-ი <sup>8</sup>	ხწდ-ი <sup>8</sup>
5. განს. ლეჭყ-არ	ყწსთ-ი-რ	ხწდ-არ
5. განუს. ლეჭყ-ან წს!	ყწსთ-ი-ნწს!	ხწდ-ან წს!

2. ზმნებში პირი ვარჩეულია (ვარდამავალი და გრძნობა-აღქმის გამოჩხატეელი ზმნები)  
ა) ვარდამავალი ზმნები

ლ ა ხ ა რ „მოძებნა“	პ ა ნ ვ ა რ „წასმა“
აწმყ. I—II პ. ლებ-(← ლახ-ე) <sup>8</sup> „ვეძებ“, „ეძებ“	პ ა ნ ვ ე (← პ ა ნ ვ ე-ე) „ეუსვამ“, „უსვამ“
III პ. ლოხ (← ლახ-ო) „ეძებს“	პ რ ე (← პ ა ნ ვ ე-ო) „უსვამს“
აწმყ. თურ. I—II პ. ლებ-ა-ნტა(—)	პ ა ნ ვ ე-ა-ნტა (—)
III პ. ლოხ-ა-ნტა (—)	პ ა რ ე-ა-ნტა (—)    პ ა რ ე-ო-ნტა(—)
6. უწყყ. I—II პ. ლებ-ა-რ	პ ა ნ ვ ე-ა-რ
III პ. ლოხ-ა-რ	პ ა რ ე-ა-რ
6. უახლ. ლებ-ი <sup>9</sup>    ლებ-ი <sup>ა</sup>	პ ა ნ ვ ე-ი <sup>9</sup>    პ ა რ ე-ი <sup>ა</sup>
6. განს. ლებ-ი-რ	პ ა რ ე-ი-რ
6. განუს. ლებ-ი-ნ <sup>10</sup> !	პ ა რ ე-ი-ნ <sup>10</sup> !

ე ტ ა ს ს ა რ „გადაღლება“	(—) ტ ა ლ ა რ * „დასმა“
აწმყ. I—II პ. ეტესს (← ეტასს-ე) „ევაღლებ“, „ავღლებ“	(—) ტ ე ლ (← (—) ტ ა ლ-ე) „ევაგამ“ „სვაგამს“
III. ე ტ ა ს ს (ეტასს-ო) „ევაღებს“	(—) ტ ა ლ (← (—) ტ ა ლ-ი) „სვაგამს“
აწმყ. თურმ. I—II პ. ეტესს-ა-ნტა (—)	(—) ტ ე ლ-ა-ნტა (—)
III პ. ეტასს-ა-ნტა (—)	(—) ტ ა ლ-ა-ნტა(—)
6. უწყყ. I—II პ. ეტესს-ა-რ	(—) ტ ე ლ-ა-რ
III. ე ტ ა ს ს-ა-რ	(—) ტ ა ლ-ა-რ
6. უახლ. ეტესს-ი <sup>9</sup>    ეტესს-ი <sup>ა</sup>	(—) ტ ე ლ-ი <sup>9</sup>    (—) ტ ე ლ-ი <sup>ა</sup>
6. განს. ეტესს-ი-რ	(—) ტ ე ლ-ი-რ
6. განუს. ეტესს-ი-ნ <sup>10</sup> !	(—) ტ ე ლ-ი-ნ <sup>10</sup> !

ბ) გრძნობა-აღქმის გამოჩხატეელი ზმნები

ხ ა თ ა რ „პგონია“	ხ ა რ „ცოდნა“ <sup>9</sup>	ლ ა რ „ნდობა“, „სურვილი“
აწმყ. I—II პ. (ხათ(← ხათ-ე) „მგონია“, „გგონია“	ხ ა ე (← ხა-ე) „ევიცი“, „ეცი“	ლ ა ე (← ლა-ე) „მინდა“
III პ. ხოთ (← ხათ-ო) „პგონია“	ხ ა რ (← ხა-ო) „ეიცი“	ლ ა რ (← ლა-ო) „უნდა“
აწმყ. თურ. I—II პ. ხათ-ა-ნტა (—)	ხ ა ე-ნტა(—)	ლ ა ე-ნტა(—)
III პ. ხოთ-ა-ნტა(—)	ხ ა რ-ნტა (—)	ლ ა რ-ნტა (—)
6. უახლ. ხეთ-ი <sup>9</sup>    ხეთ-ი <sup>ა</sup>	ხ ა ე	ლ ა ე
6. განს. ხეთ-ი-რ	ხ ე მ-რ	ლ ე მ-რ
6. განუს. ხეთთ ი <sup>9</sup> (← ხეთ-ი-ნ <sup>10</sup> )	ხ ე მ-ნ <sup>10</sup> !	ლ ე მ-ნ <sup>10</sup> !

(—) მ ე ძ ა რ „სიყვარული“, „მოწონება“	მ ა გ ა რ „შეძლება“ (შემიძლია)	ხ ა ძ ა რ „სმენა“ (მესმის)
აწმყ. I—II პ. (—)მეძ (← (-) მეძ-ე)	მ ე გ (← მაგ-ე)	ხ ა ძ (← ხაძ-ე)
III პ. (—) ტეძ(← (—) მეძ-ო)	მ ა გ (← მაგ-ო)	ხ ა ძ (← ხაძ-ო)
აწმყ. თურმ. I—II პ. (—)მეძ-ა-ნტა(—)	მ ე გ-ა-ნტა(—)	ხ ა ძ-ა-ნტა(—)
III პ. (—) ტეძ-ა-ნტა(—)	მ ა გ-ა-ნტა(—)	ხ ა ძ-ა-ნტა (—)
6. უწყყ. I—II პ. (—)მეძ-ა-რ	მ ე გ-ა-რ	ხ ა ძ-ა-რ
III პ. (—) ტეძ-ა-რ	მ ა გ-ა-რ	ხ ა ძ-ა-რ



ნ. უახლ. (—) ნძ-ჩი    (—)ნძ-ჩა	მეგ-ჩი    მეგ-ჩა	ხაძ-ჩა
ნ. განს. (—) ნძ-ი-რ	მეგ-ი-რ	ხაძ-ა-რ
ნ. განუს: (—) ნძ-ი-ნის!	მეგ-ი-ნის!	ხაძ-ა-ნის!

ჩვენ მიერ ამოსავლად მიჩნეული ფორმები ჯოყოლოს ჯგუფისათვის შეიძლება შემოწმდეს ომალოს ჯგუფის მაგალითებით. ამ უკანასკნელში, როგორც შემოთავაზებულა ალენიშნეთ, ამჟამად უკვე დაკარგული აწმყო ღროის მაწარმოებელი ზმოენები შენახულია აწმყოს თურმეობითსა და ნამყო უწყვეტლის აფიქსების წინ. გარდა ამისა, გარდამავალ ზმნებში ეს ზმოენები პირების მიხედვით მონაცვლეობენ აწმყოსაგან ნაწარმოებ ღრო-კილოთა ფორმებში: I—II პირთათვის გვაქვს -ე (← -ი). III პირისათვის -ო (← -უ). მსგავსი მდგომარეობა უნდა გვეტონოდა აწმყოშიც (იხ. ზემოთ). ჯოყოლოს ჯგუფის მეტყველებლაში ა ზმოენის განზოგადება აწმყოსაგან ნაწარმოებ ღრო-კილოთა ფორმებში გარდამავალი ზმნების სამივე პირისათვის მეორეული მოვლენაა.

II. მაგალითები ომალოს ჯგუფის მეტყველებლიდან  
1. ზნაში პირი არაა გარჩეული (გარდაუვალი ზმნები)

ყ ვ გ ა რ „გამონათება“, „გამობრწყინება“	(—) ვ ლ ა რ „გამოსვლა“	ღ ა თ თ ა რ „აღვომა“
აწმყ. უზგ (← უზგე)	(—) ოლ (← (—)წლ-უ)	ღოთთ(← ღათთ-უ)
ნ. უწყვე. ყზგ-ე-რ	(—) ოლ-ურ	ღოთთ-ურ
ნ. უახლ. ყზგ-ეი	(—)წლ-ეი	ღეთთ-ეი
ნ. განს. ყზგ-ერ	(—)წლ-ერ	ღეთთ-ერ
ნ. განუს. უზგ-ენ-ე!	(—)წლ-ეი (← (—)წლ-ენ-ე!	ღეთთ-ენ-ე!
(—) ა ღ ა რ „სირბილი“	(—) ვ გ ა რ „დაწვა“ (ეწვაე)	ჰ თ ვ ჯ ა რ „შეხედვა“
აწმყ. (—)ოდ(← (—)აღ-უ)	(—)რგ(← (—)წგ-უ)	ჰორგ(← ჰანგ-უ)
ნ. უწყვე. (—)ოდ-ურ	(—)რგ-ურ	ჰორგ-ურ
ნ. უახლ. (—)ეღ-ი	(—)რგ-ეი	ჰანგ-ეი
ნ. განს. (—)ედ-ი-რ	(—)რგ-ი-რ	ჰანგ-ერ
ნ. განუს. (—)ედღ-ეი (← (—)ედღ-ინ-ე!)	(—)რგ-ინ-ე!	ჰანგ-ენ-ე!

2. ზნაში პირი გარჩეულაა (გარდამავალი და გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები)<sup>10</sup>  
ა) გარდამავალი ზმნები  
ერ თ გ ზ ი თ ი

'ო ჰ გ ა რ „ჩვენება“	მ ე ე ა რ „ყოიღვა“	(—) ტ ა თ თ ა რ „დასხმა“ (მაგ. წესოს)
აწმყ. I—II პ. ძეგბე (← ოჰბე-ე)	მეეც (← მეეც-ე)	(—) ტეთთ(← (—) ტათთ-ე)
III პ. რაჰბე (← ოჰბე-ო)	მოც (← მოც-ო)	(—) ტათთ(← (—) ტათთ-ო)
აწმყ. თურმ. I—II პ. ძეგბე-ენ-ნო (—)	მეეც-ენ-ნო (—)	(—) ტეთთ-ენ-ნო (—)
III პ. რაჰბე-ო-ნო (—)	მოც-ო-ნო (—)	(—) ტათთ-ო-ნო (—)
ნ. უწყვე. I—II პ. ძეგბე-ერ	მეეც-ერ	(—) ტეთთ-ერ
III პ. რაჰბე-ო-რ	მოც-ო-რ	(—) ტათთ-ო-რ
ნ. უახლ. ტეგბე-ი	მეეც-ეი	(—) ტეთთ-ეი
ნ. განს. ტეგბე-ი-რ	მეეც-ი-რ	(—) ტეთთ-ი-რ
ნ. განუს: ტეგბე-ინ-ე!	მეესტ-ე! (← მეეც-ინ-ე!)	(—) ტეთთ-ინ-ე!

მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი თ ი

მ ა ჰ ზ ა რ	'ი ღ ა რ	(—) ნ თ თ ა რ
აწმყკ I—II პ. აგჰბ(←ააჰბ-ე)	'იღ-ე	(—)ნთთ (←(—)ნთთ-ე)
III პ. 'იგჰბ (←ააჰბ-ო)	'იღ-ო	(—)ნთთ (←(—)ნთთ-ო)
აწმყ. თურ. I—II პ. აგჰბ-ე-ნრწ(—)	'იღ-ე-ნრწ(—)	(—)ნთთ-ე-ნრწ (—)
III პ. 'იგჰბ-ო-ნრწ(—)	'იღ-ო-ნრწ (—)	(—) ნთთ-ო-ნრწ(—)
ნ. უწყ. I—II პ. აგ-ჰბ-ე-რ	'იღ-ე-რ	(—)ნთთ-ე-რ
III პ. 'იგჰბ-ო-რ	'იღ-ო-რ	(—)ნთთ-ო-რ
ნ. უახლ. 'იგჰ- ო	'იღ- ო	(—)ნთთ- ო
ნ. განს. 'იგჰ-ი-რ	'იღ-ი-რ	(—)ნთთ-ი-რ
ნ. განუს. 'იგჰ-ი-ნ  წ	'იღ  წ  (←იღ-ი-ნ  წ	(—)ითთ-ი-ნ  წ

გ) გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები

ხ ა თ ა რ „ჰ გ ო ნ ი ა“	ხ ა რ — „ც ო დ ნ ა“	ლ ა რ „ნ დ ო მ ა“, „ს უ რ ვ ი ლ ი“
აწმყ. I—II პ. ხეთ(←ხათ-ე)	ხაწ(←ხაწ-ე)	ლაწ(←ლწ-ე)
III პ. ხოთ (←ხათ-ო)	ხაწ(←ხაწ-ო)	ლაწ(←ლწ-ო)
აწ. თურ. I—II პ. ხეთ-ე-ნრწ(—)	ხაწ-ნრწ(—)	ლაწ-ნრწ(—)
III პ. ხოთ-ო-ნრწ(—)	ხაწ-ნრწ(—)	ლაწ-ნრწ(—)
ნ. უწყ. I—II პ. ხეთ-ე-რ	ხაწ-რ	ლაწ-რ
III პ. ხოთ-ო-რ	ხაწ-რ	ლაწ-რ
ნ. უახლ. ხეთ-ი	ხაე	ლაე
ნ. განს. ხეთ-ი-რ	ხაე-რ	ლაე-რ
ნ. განუს. ხეთთ ე  (←ხეთ-ი-ნ  წ )	ხაე-ნ  წ	ლაე-ნ  წ

(—) ე ძ ა რ „ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“, მ ა გ ა რ „შ ე ძ ძ ლ ე ბ ა“ ხ ა ძ ა რ „ს მ ე ნ ა“ (მ ე ს მ ის)  
„მ ო წ ო ნ ე ბ ა“

აწმყ. I—II პ. (—)აქძ(←(—)აქძ-ე)	მეგ(←მაგ-ე)	ხეძ(←ხაძ-ე)
III პ. (—)აძძ(←(—)აძძ-ო)	მეგ(←მაგ-ო)	ხოძ(←ხაძ-ო)
აწმყ. თურმ. I—II პ. (—)აქძ-ე-ნრწ(—)	მეგ-ე-ნრწ(—)	ხეთ-ე-ნრწ (—)
III პ. (—)აძძ-ო-ნრწ(—)	მეგ-ო-ნრწ(—)	ხოძ-ო-ნრწ (—)
ნ. უწყ. I—II პ. (—)აქძ-ე-რ	მეგ-ე-რ	ხეძ-ე-რ
III პ. (—)აძძ-ო-რ	მეგ-ო-რ	ხოძ-ო-რ
ნ. უახლ. (—)იძ- ი	მეგ-ი	ხეძ-ე
ნ. განს. (—)იძ-ი-რ	მეგ-ი-რ	ხეძ-ე-რ
ნ. განუს. (—)იძ-ი-ნ  წ	მეგ-ი-ნ  წ	ხეძ-ე-ნ  ე

ზემოთ მოყვანილი მაგალითების შედარება ნათელს ხდის, რომ ქისტურ დიალექტში პირთა ამგვარი გარჩევა, მცირე თავისებურებათა მიუხედავად, ერთნაირ სურათს გვიჩვენებს. მართალია, ჯოყოლოს ჯგუფის მეტყველებას უფრო სისტემური სახე აქვს მიღებული, რადგან აქ გარდამავალი და გრძნობა-აღქმის გამომხატველი ყველა ზმნა (ორიოდე გამოწველისით) ძირეული ხმოვნების (ან დიფთონგების) მონაცვლეობით არჩევენ პირებს. მაგრამ ომალოს ჯგუფის მეტყველების მონაცემების გათვალისწინება ადასტურებს, რომ ჯოყოლოს ჯგუფის დღევანდელი ვითარება მეორეულია, რომ მასაც განვითარების ისეთივე გზა აქვს გავლილი, რაც ომალოს ჯგუფის მეტყველებაში დასტურდება.

გარდაუვალ ზმნებში არა გვაქვს პირთა გარჩევა. ეს ზმნები აწმყოს საწარმოებლად იყენებენ შემდეგ ხმოვნებს — ჯოყოლოს ჯგუფი: -ა, -უ (იშვითად -ი); ომალოს ჯგუფი: -ე, -უ, -ი (იშვითად ო-). მართალია, თვით აწმყოს ფორმთა წარმოებაში ეს ხმოვნები აღარ გვხვდება, მაგრამ ისინი შენახულია მისგან ნაწარმოებ დროებში (იხ. ზემოთ). ომალოს ჯგუფის მეტყველებაში ეს ხმოვნები აწმყოს კითხვით ფორმებშიც (პირდაპირი და ირიბი კითხვა) დასტურდება.

იგივე ხმოვნები უნდა გვექონოდა გარდამავალ ზმნათა აწმყოს საწარმოებლადაც, მათი ფუნქციები განსხვავებული უნდა ყოფილიყო -ი (→-ე→-ა) უფრო კონკრეტულ ფაქტზე მიუთითებდა, ვიდრე -უ (→ -ო). „როცა წარმოიშვა პირის მიხედვით გარჩევის საჭიროება, ბუნებრივია, ი, ე განსაზღვრული პირებისათვის (I და II პირისათვის) ყოფილიყო გამოყენებული, უ, (ო) — განუსაზღვრელი პირისათვის (III პირისათვის)“<sup>11</sup>.

ამ ხმოვნებმა ძირეულ ხმოვნებზე ზემოქმედებით გამოიწვიეს მათი ცვლა და თვითონაც იცვალეს სახე (მაგ., ჯოყოლოს ჯგუფის მეტყველებაში ყველგან მივიღეთ -ა), ხოლო აწმყო დროში კი ჩამოსცილდნენ ზმნას. უნდა აღინიშნოს, რომ ფუძეში ბოლო ხმოვნის დაკარგვა ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფონეტიკური მოვლენაა ქისტური დიალექტისათვის<sup>12</sup>.

ცხადია, რომ ქისტურ დიალექტში პირთა დაპირისპირება (გარჩევა) გაპირობებულია აწმყო დროის საწარმოებლად ორი რიგის ხმოვნების გამოყენებით, რომელთაც ისტორიულად განსხვავებული ფუნქციები უნდა ჰქონოდათ (იხ. ზემოთ). სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ პირთა გარჩევა გვაქვს დრო-კი-ლოთა იმ ფორმებში, რომლებიც აწმყოს ეყრდნობიან. ამგვარი წარმოება არ გვხვდება ნახური ჯგუფის სხვა ენა-კილოებში, მაგრამ „ორი სხვადასხვა სუფიქსის არსებობა განსხვავებული ფუნქციით აწმყოში საერთო უნდა ყოფილიყო ამ ჯგუფის ყველა ენა-კავისათვის“<sup>13</sup>.

ის ფაქტი, რომ პირთა გარჩევა გვაქვს მხოლოდ გარდამავალსა და გრძნობა-აღქმის გამოხატველ ზმნებში, მიუთითებს, რომ იგი გამოწვეულია სუბიექტური (რეალურად მოქმედი) პირის სინტაქსური ძალის გაზრდის შედეგად.

მაგრამ თვით აღნიშნული სახის კლასოვან-პიროვან უღვლილებში ჯერ კიდევ არა ჩანს სუბიექტური პირის მორფოლოგიური წარმომადგენელი (ეს ხმოვნები, როგორც აღვნიშნეთ, აწმყოს მაწარმოებლებია), რაც პიროვანი უღვლილების განმსაზღვრელი არსებითი ნიშანია (ყოველ შემთხვევაში, ეს ასე ჩანს პიროვანი უღვლილების მქონე იბერიულ-კავკასიური ენების მიხედვით).

ქისტურ დიალექტში ადგილი აქვს ფუძეთა ძირეული ხმოვნების მონაცვლეობით პირთა დაპირისპირებას. I და II პირი, როგორც განსაზღვრული პირები, ანუ მოუბარი და თანამოუბარი (მთხრობელი და მსმენელი), უპირისპირდებიან III პირს, როგორც განუსაზღვრელს, ე. ი. ისეთ პირს, რომელიც მათ საუბარს არ ესწრება, ან არ ესწრებოდა, ან კიდევ არ დაესწრება. I—II პირი აუცილებელია იყოს ადამიანი (სხვანაირად პირთა საკითხი არ დაისმება), ხოლო III პირი შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ისე სხვა ცოცხალი არსება ან ნივთი.

მამასადამე, პირთა დაპირისპირება განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მიხედვით ერთ-ერთი პირველი (მარტივი) საფეხურია პიროვან უღვლილებზე გადასვლისა, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიიჩნევა პიროვან უღვლილებად. პიროვანი უღვლილებისათვის აუცილებელია ამა თუ იმ პირს (სუბიექტსა თუ

ობიექტს) საკუთარი მაწარმოებელი ფორმანტის (აფექსის) სახით ჰქონდეს ზმნაში, სხვა მხრივ პიროვანი უღვლილების შესახებ საკითხი არ დაისმება.

ამ მიზეზით უნდა აიხსნას ქისტურ დიალექტში სუფიქსური ხმოვნების სა-  
შუალებით გამოხატული კლასოვან-პიროვანი უღვლილების გვერდით ნაცვალ-  
სახელოვანი ელემენტების გამოყენება პირთა გამოსახატავად.

**ნაცვალსახელოვანი ელემენტებით გამოხატული კლასოვან-პიროვანი უღ-  
ვლილება.** უღვლილების ამ სახის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ გარ-  
დამავალ ზმნებში სუბიექტის პირის აღნიშვნასთან ერთად გვაქვს შემთხვევები,  
როცა უახლოესი ობიექტის კლასიცა და პირიც არის გამოხატული. ეს იმ შემ-  
თხვევაში, როცა სუბიექტი მესამე პირია. გარდა ამისა, გარდაუვალ ზმნებში  
ერთდროულად აისახება სუბიექტის კლასიცა და პირიც, თუ ზმნა კლასნიშნა-  
ნია, და მხოლოდ პირი, თუ ზმნა უკლასნიშნაა.

ქისტურ დიალექტში, მსგავსად ბაცბური ენისა, ზმნის III პირი და I პი-  
რის ინკლუზიური ფორმა არ დაირთავს პირის ნიშნებს.

გარდამავალ ზმნებში ობიექტის პირის აღნიშვნა მიუთითებს იმაზე, რომ  
კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების ამ მოცემულ დონეზე ობი-  
ექტი რიგ შემთხვევაში ინარჩუნებს ფუნქციურ უპირატესობას სუბიექტთან  
შედარებით. ეს ფაქტი ბუნებრივი ჩანს იმდენად, რამდენადაც კლასოვანი უღ-  
ვლილება ჯერ კიდევ მოქმედია.

თვით ქართულ ენაშიც, როგორც ცნობილია, სუბიექტური პირის ნიშნის  
გაჩენა გარდამავალ ზმნაში დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როცა კლასოვა-  
ნი უღვლილება უკვე აღარ იყო მოქმედი. განვითარების ადრეულ ეტაპზე  
ქართულ ენაშიც ობიექტი სინტაქსური ძალით სჭარბობდა სუბიექტს. სუბი-  
ექტის ნიშნის გაჩენა ქართული ენის გარდამავალ ზმნაში მეორეული მოვლე-  
ნაა<sup>14</sup>.

მაგ.:

I. ჯოჯოღოს ჯგუფის მეტყველება

1. გარდაუვალი ზმნები

აწმყო, მხოლ. რ.

ვ 5 რ	„ მოს ვ ლ ა“ <sup>15</sup>	ს ა ც ა რ	„ გაჩერება“	თ ა ვ ა რ	„ ხოხვა“
I პ.	{ ვ-ოლა-ს ვ-ოლუ-ს „ მოვდივარ“	სოცა-ს	„ ჩერდები“	თწკა-ს	„ ეხოხავ“
		სოცუ-ს			
II პ.	{ ვ-ოლა-ჰხ ვ-ოლუ-ჰხ „ მოდიხარ“	სოცა-ჰხ	„ ჩერდები“	თწკა-ჰხ	„ ხოხავ“
		სოცუ-ჰხ			
III პ.	ვ-ოლ-‘აზ „ მოლის“	სოც-‘აზ	„ ჩერდება“	თწკ-‘აზ	„ ხოხავს“

მრ. რ.

I პ.	{ ბ-ოლა-თხ    (თ) ბ-ოლუ-თხ    (თ)	სოცა-თხ    (თ)		თწკა-ა-ხ    (თ)
		სოცუ-თხ    (თ)		
II პ.	{ ბ-ოლა-შ ბ-ოლუ-შ	სოცა-შ		თწკა-შ
		სოცუ-შ		
III პ.	ბ-ოლ-‘ოზუშ    ‘ოტშ	სოც-‘ოზუშ    ‘ოტშ		თწკ-‘ოზუშ    ‘ოტშ



განუსაზღვრელი, მხოლ. რ.

- I პ. { ვ-ოლარა-ს „მოვლილი“ სოცარა-ს „წერდებოდი“ თწკარა-ს „ეხოხავდი“  
 ე. ოლურა-ს სოცურა-ს
- II პ. { ვ-ოლარა-პი „მოვლილი“ სოცარა-პი „წერდებოდი“ თწკარა-პი „ეხოხავდი“  
 ე-ოლურა-პი სოცურა-პი
- III პ. ე-ოლურ აზ „მოვლილი“ სოცურ აზ „წერდებოდი“ თწკარ აზ „ეხოხავდი“

მრ. რ.

- I პ. { ბ-ოლრა-თხ || (თ) სოცარა-თხ (თ) თწკარა-თხ II (თ)  
 ბ-ოლურა-თხ || (თ) სოცურა-თხ (თ)
- II პ. { ბ-ოლრა-შ სოცარა-შ თწკარა-შ  
 ბ-ოლურა-შ სოცურა-შ
- III პ. ბ-ოლურ აზუშუ || ატუშ სოცურ აზუშუ || ატუშ თწკარ აზუშუ || ატუშ

2. გრძობა-აღქმის გამოხატველი ზმნები. ამ ტიპის ზმნებში ნაცვალსახე-  
 ლურ ელემენტებთან ერთად პირთა გარჩევაში მონაწილეობენ სუფიქსური  
 ხმოვნებიც. კერძოდ, სუბიექტური პირები გაირჩევა ზმნის ძირეული ხმოვნე-  
 ბის ან დიფთონგების მონაცვლეობით, ხოლო ობიექტის პირი კი აისახება სუ-  
 ფიქსად დართული ნაცვალსახელოვანი ელემენტების საშუალებით. რეალური  
 სუბიექტისა და ობიექტის პირთა ერთდროული ასახვისათვის სხვადასხვა სა-  
 შუალეობათა გამოყენების გამო არის რომ I და II ობიექტური პირების გამო-  
 სახატავად გვაქვს ორ-ორი ძირეულხმოვანშეცვლილი ფუძე. როგორც ზე-  
 მოთ გავარკვევთ, ზმნის ფუძის ხმოვანი ან დიფთონგი იცვლება იმის მიხედვით,  
 თუ რომელი პირია რეალური სუბიექტი: I—II თუ III. თუ ზმნა სუფიქსური  
 ხმოვნების საშუალებით პირებს არ განარჩევს, მასში აისახება მხოლოდ სახე-  
 ლობით ბრუნვაში მდგომის სახელის პირი.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ვადაძარ „სიყვარული“, ხათარ „ჰგონია, ვაჭ-  
 ძარ „ცნობა“ (იცნობს)<sup>16</sup> ზმნათა აწმყო დროის ფორმებს. ამათგან უკანასკნელი  
 (ვაუძარ) არ განარჩევს პირებს სუფიქსური ხმოვნების საშუალებით.

ა) რეალური სუბიექტია III პ. (ზმნაში ნაცვალსახელოვანი ელემენტებით აისახება ობიექტის  
 პირი. ზმნის ფუძე მე-3 სუბიექტური პირისაა)

მხოლ. რ.

- I პ. ე-ბეძა-ს „ვეყვარვარ“ ხოთა-ს „ჰგონივარ“
- II პ. ე-ბეძა-პი „უყვარხარ“ ხოთა-პი „ჰგონიხარ“
- III პ. ე-ბეძე აზ „უყვარს“ ხოთ აზ „ჰგონია“

მრ. რ.

- I პ. ბ-ბეძა-თხ || (თ) „ვეყვარვართ“ ხოთა-თხ || (თ) „ჰგონივართ“
- II პ. ბ-ბეძა-შ „უყვარხართ“ ხოთა-შ „ჰგონიხართ“
- III პ. ბ-ბეძე აზუშუ || ატუშ „უყვარს ისინი“ ხოთ აზუშუ || ატუშ „ჰგონია ისინი“

ბ) რეალური სუბიექტები I და II პ.

(ზმნის ფუძე I და II სუბიექტური პირისაა. ნაცვალსახელური ელემენტებით აისახება I—II ობიექტური პირები)

მხოლ. რ.

I პ. ვ-აქა-ს	„გიყვარვარ“	ხათა-ს	„გგონივარ“
II პ. ვ-აქა-ჰ	„მიყვარხარ“	ხათა-ჰ	„მგონიხარ“
III პ. ვ-აქმ 'აზ	„მიყვარს“, „გიყვარს“	ხათ 'აზ	„მგონია“, „გგონია“

მრ. რ.

I პ. ბ-აქა-თხ    (თ)	„გიყვარვართ“	ხათა-თხ    (თ)	„გგონივართ“
II პ. ბ-აქა-შ	„მიყვარხართ“	ხათა-შ	„მგონიხართ“
III პ. ბ-აქმ 'ოზუმ    ოტუმ	„მიყვარს“, „გიყვარს“	ხათ 'ოზუმ    ოტუმ	„მგონია“, „გგონია“

გ) რეალური სუბიექტის პირი არ აღინიშნება 17

მხ. რ.

მრ. რ.

I პ. ვ-ეჭა-ს	„მიცნობს“	ბ-ეჭა-თხ    (თ)	„გვიცნობენ“
II პ. ვ-ეჭა-ჰ	„გიცნობს“	ბ-ეჭა-შ	„მცნობენ“
III პ. ვ-ეჭმ 'აზ	„იცნობს“	ბ-ეჭმ 'ოზუმ    ოტუმ	„იცნობენ“

3. **გარდამავალი ზმნები.** ამ ზმნებში, მსგავსად გრძნობა-აქმის გამოჩნა-ტველი ზმნებისა, ნაცვალსახელურ ელემენტებთან ერთად კლასოვან-პიროვანი უღვლილებაში მონაწილეობენ სუფიქსური ხმოვნებიც. ეს ორი სახე ამ ტიპის (გარდამავალსა და გრძნობა-აქმის გამოჩნა-ტველ) ზმნებში ინაწილებს ფუნქციებს: სუბიექტის პირები გაირჩევა ზმნის ძირეული ხმოვნებისა და დიფთონგების მონაცვლეობით (თუმცა I და II პირის გასარჩევად გამოიყენება ნაცვალსახელური ელემენტებიც), ხოლო უახლოესი ობიექტის პირები აისახება ზმნაში ნაცვალსახელური ელემენტების საშუალებით. ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ობიექტი III პირია. I და II პირის სუბიექტად ყოფნის დროს გარდამავალ ზმნაში ობიექტი არ აღინიშნება. მაგალითად<sup>18</sup>:

ა) სუბიექტია III პ.

(ნაცვალსახელური ელემენტების საშუალებით აისახება ობიექტის პირი. ზმნის ფუძე III ობიექტურ პირზე მიუთითებს)

მხ. რ.

ვ-ივარ	„წყავიანა“	ლოხარ	„მონახვა“	ვ-ითარ	„დატოვება“
I პ. ვ-უგა-ს	„მიყვავარ“	ლოხა-ს	„მეძებს“	ვ-უთა-ს	„მტოვებს“
II პ. ვ-უგა-ჰ	„მიყვავარ“	ლოხა-ჰ	„მეძებს“	ვ-უთა-ჰ	„მტოვებს“
III პ. ვ-უგ 'აზ	„მიყვავს“	ლოხ 'აზ	„მეძებს“	ვ-უთ 'აზ	„მტოვებს“

მრ. რ.

I პ. ბ-უგა-თხ    (თ)		ლოხა-თხ    (თ)	ბ-უთა-თხ    (თ)
II პ. ბ-უგა-შ		ლოხა-შ	ბ-უთა-შ
III პ. ბ-უგ 'ოზუმ    ოტუმ		ლოხ 'ოზუმ    ოტუმ	ბ-უთ 'ოზუმ    ოტუმ

ბ) სუბიექტებია I და II პ. 19

(ზმნის როგორც ფუძე, ისე სუფიქსად დართული ნაცვალსახელური ელემენტები სუბიექტის პირზე მიუთითებენ, ხოლო კლასი ობიექტისა აღინიშნება)

მხ. რ.

I პ. ვ-იგ-ანს	„მიმყავს“	ლუხ-ანს	„ვეძებ“	ვ-ით-ანს	„ვეტოვებ“
II პ. ვ-იგა-ფ	„მიფყავს“	ლუხა-ფ	„ეძებ“	ვ-ითა-ფ	„ტოვებ“
III პ. ვ-უბ ცტა	„მიპყავს“	ლობ ცტა	„ეძებ“	ვ-უთ ცტა	„ტოვებ“

მრ. რ.

I პ. ბ-იგ-ანს	ლუხ-ანს	ბ-ით-ანს
II პ. ბ-იგ -ანშ	ლუხ-ანშ	ბ-ით-ანშ
III პ. ბ.-უბ ცტარ	ლობ ცტარ	ბ-უთ ცტარ

II. ო მ ა ლ ო ს წ გ უ ფ ი ს მ ე ტ ყ ე ე ლ ე ბ ა

I. გარდაუვალი ზმნები

მხ. რ.

ვ-არ „მოსვლა“	საცარ „გაჩერება“	თაქარ „ხოხვა“
I პ. ვ-ოლო-ს	სოცუ-ს	თწკე-ს
II პ. ვ-ოლო-ში	სოცუ-ში	თწკე-ში
III პ. ვ-ოლ 'აზ	სოც 'აზ	თაყ 'აზ

მრ. რ.

I პ. ბ-ოლო-თხ	სოცუ-თხ    სოტუ-თხ	თწკე-თხ
II პ. ბ-ოლო-შ	სოცუ-შ    სოტუ-შ	თწკე-შ
III პ. ბ-ოლ 'ოტშ	სოც    სოტ 'ო'უშ	თწკ 'ოტშ

2. გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები

ა) რეალური სუბიექტია III პ.

მხ. რ.

I პ. ვ-აოძო-ს	„უყვარვარ“	ხოთო-ს	„ვეგონივარ“
II პ. ვ-აოძო-ში	„უყვარხარ“	ხოთო-ში	„პგონიხარ“
III პ. ვ-აოძ 'აზ	„უყვარს“	ხოთ 'აზ	„პგონია“

მრ. რ.

I პ. ბ-აოძო-თხ	„უყვარვართ“	ხოთო-თხ	„ვეგონივართ“
II პ. ბ-აოძო-შ	„უყვარხართ“	ხოთო-შ	„პგონიხართ“
III პ. ბ-აოძ ოტშ	„უყვარს (ისინი)“	ხოთ ოტშ	„პგონია (ისინი)“

ბ) რეალური სუბიექტებია I და II პ.

მხ. რ.

I პ. ვ-აშქა-ს	„გიყვარვარ“	ხეთე-ს	„მგონივარ“
II პ. ვ-აშქა-ში	„მიყვარხარ“	ხეთე-ში	„მგონიხარ“
III პ. ვ-აშქ 'აზ	„მიყვარს“	ხეთ 'აზ	„მგონია“, „გგონია“

მრ. რ.

I პ. ბ-აქმა-თხ	„გიყვარვართ“	ხეთე-თხ	„გგონივართ“
II პ. ბ-აქმა-შ	„მიყვარხართ“	ხეთე-შ	„გგონიხართ“
III პ. ბ-აქმ 'ოტშ	„მიყვარს (ისინი)“	ხეთ ოტშ	„გგონია“ (ისინი)

გ) რეალური სუბიექტის პირი არ აღინიშნება

მხ. რ.

მრ. რ.

I პ. ვ-ოტქე-ს	„მიცნობს“	ბ-ოტქე-თხ	„გვიცნობენ“
II პ. ვ-ოტქე-ჰი	„გიცნობს“	ბ-ოტქე-შ	„გიცნობენ“
III პ. ვ-ოტქ აზ	„იცნობს“	ბ-ოტქ 'ოტშ	„იცნობენ“

პ. ვარდამავალი ზმნები

ა) სუბიექტია III პ.

მხ. რ.

I პ. ვ-იგო-ს	„მიიყვარ“	ლოხო-ს „მეძებს“	ვ-ითო-ს „მტოვებს“
II პ. ვ-იგო-ჰი	„მიიყვარა“	ლოხო-ჰი „გეძებს“	ვ-ითო-ჰი „გტოვებს“
III პ. ვ-იგ 'აზ	„მიიყვარს“	ლოხ 'აზ „ეძებს“	ვ-ით 'აზ „ტოვებს“

მრ. რ.

I პ. ბ-იგო-თხ	ლოხო-თხ	ბ-ითო-თხ
II პ. ბ-იგო-შ	ლოხო-შ	ბ-ითო-შ
III პ. ბ-იგ 'ოტშ	ლოხ 'ოტშ	ბ-ით 'ოტშ

ბ) სუბიექტებია I და II პ.

მხ. რ.

I პ. ვ-იგ-ჲს	„მიიყავს“	ლებ-ჲს „ვეძებს“	ვ-ით-ჲს „გტოვებს“
II პ. ვ-იგე-ფ	„მიიყავს“	ლებე-ფ „ეძებს“	ვ-ითე-ფ „ტოვებს“
III პ. ვ-იგ ცტა	„მიიყავს“	ლოხ ცტა „ეძებს“	ვ-ით ცტა „ტოვებს“

მრ. რ.

I პ. ბ-იგ-რხ	ლებ-რხ	ბ-ით-რხ
II პ. ბ-იგ -ჲშ	ლებ-ჲშ	ბ-ით-ჲშ
III პ. ბ-იგ-ცარ	ლოხ ცარ	ბ-ით ცარ

ბ ჯგუფის შემთხვევები შედარებით იშვიათად შეინიშნება. ხშირად ამგვარი უღვლილების დროს I სუბიექტური პირის მხოლოდითი რიცხვის გამოსახატავად გამოყენებული -ჲს და II სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვისათვის ნახშიარი -ჲშ ცალკე გვხვდება ზმნის ფუძესთან შეუხორცებლად (აგრეთვე -რხ — პირველი პირის მრ. რ. მაწარმოებელი). აქ, უეჭველია, მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ისინი პირის ნაცვალსახელთა ერგატის ფორმებია და ზმნის ფუძესთან შერწყმის დროს უცვლელად რჩებიან, მოსალოდნელი კი იყო მათი ხმოვნითი ელემენტების დაკარგვა, როგორც ეს სხვა შემთხვევაში გვაქვს (იხ. ზემოთ).

სავარაუდოა, ამ ნაცვალსახელების სიმყარე გაპირობებული იყოს გრძელი -ს- ბუნებითა და პოზიციითაც. როგორც ცნობილია, სიტყვის თავიკიდურ პოზიციამში ხმოვნები ნახური ჯგუფის ენებში (ცხადია, ქისტურ დიალექტშიც) ძლიე-

რი შემართვისაა. განსაკუთრებით ეს ითქმის ერთმარცვლიან სიტყვებზე. ასეთივეა ზემოთ წარმოდგენილ ნაცვალსახელთა ერგატივის ფორმებიც. უმჯველია, ეს უნდა იყოს საფუძველი, რომ პირის ნაცვალსახელთა სახელობითი ბრუნვის ფორმა — სო „მე“, „ჰო „შენ“; მრ. რ. თხო „ჩვენ“, შუ „თქვენ“ ზმნის ფუძეს შეეხორცა ხმოვნითი ელემენტების დაკარგვით, ხოლო ერგატივის ფორმა კი უცვლელი დარჩა.

ბაცბურმა ენამ, რომელიც ზოგადად იცავს ქისტური დიალექტის ვითარებას კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების მხრივ (იგულისხმება ნაცვალსახელური ელემენტების საშუალებით გამოხატული კლასოვან-პიროვანი უღვლილება), ნაცვალსახელთა ერგატივის (იშვითად სახელობითის) ხმოვნითი ელემენტებიც დაკარგა აწმყო დროის უ, ო, ე, ი ხმოვნების ზემოქმედების შედეგად და პირის ნიშნების მხრივ გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები, ისევე როგორც ქართულ ენაში, ერთმანეთს დაემთხვა. მათი გარჩევა მხოლოდ ზმნის წინ მდგომი პირის ნაცვალსახელისა თუ არსებითი სახელის ბრუნვის ფორმით, ან თვით ზმნის შინაარსით არის შესაძლებელი. მაგ.:<sup>20</sup>.

გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა  
ა) სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია<sup>21</sup>

სო ვ-ა-სრ	„მე ვარ“	თხო	ბ-ა-თხო	„ჩვენ ვართ“
ჰო ვ-ა-ჰო	„შენ ხარ“	შუ	ბ-ა-შუ	„თქვენ ხართ“
ო ვ-ა	„ის არის“	ობი	ბ-ა	„ისინი არიან“

ბ) სუბიექტი ერგატივიშია<sup>22</sup>

ას ვ-ალო-ს	„მე მოვდივარ“	ათხ	ბ-ალო-თხ	„ჩვენ მოვდივართ“
აჰო ვ-ალო-ჰო	„შენ მოდიხარ“	აჰშ	ბ-ალო-აჰშ	„თქვენ მოდიხართ“
ო ვ-ალო	„ის მოდის“	ობი	ბ-ალო	„ისინი მოდიან“

გარდამავალი ზმნა

ას ა-აყო-ს	„მე ვჭამ“	ათხ	ბ-აყო-თხ	„ჩვენ ვჭამთ“
აჰო ა-აყო-ჰო	„შენ ვჭამ“	აჰშ	ბ-აყო-აჰშ	„თქვენ ვჭამთ“
ოჯუს ა-აყო	„ის ვჭამს“	ოჯარ	ბ-აყო	„ისინი ვჭამენ“

პირის ნაცვალსახელთა ერგატივის ნიშნის ხმოვნითი ელემენტების დაკარგვა გარდამავალ თუ გარდაუვალ ზმნებში პიროვანი უღვლილების განვითარების შინაგანი ტენდენციით უნდა აიხსნას ბაცბურ ენაში, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქართული ენის ინტენსიური გავლენაც. მაგრამ თვით ბაცბურშიც ეს ფონეტიკური პროცესი (ნაცვალსახელთა ხმოვნითი ელემენტების დაკარგვა) დასრულებული ხასიათისა არა ჩანს. ამაზე მიუთითებს ზოგიერთი ზმნის პიროვანი უღვლილების ფორმები, სადაც პირის ნაცვალსახელთა ერგატივის ფორმები უცვლელი სახითაა დაცული. მაგ.:

გარდაუვალი ზმნა

აწმყო

ას ვ-უატ-ას	„მე მივდივარ“	ათხ	ბ-უატ-ათხ	„ჩვენ მივდივართ“
აჰო ვ-უატ-აჰო	„შენ მიდიხარ“	აჰშ	ბ-უატ-აჰშ	„თქვენ მიდიხართ“
ო ვ-უატ	„ის მიდის“	ობი	ბ-უატ	„ისინი მიდიან“



გარდამავალი ზმნა  
ნამყო წყვეტილი

ას ალ'ნ-ას (-ალო'ნ-ას) „მე ვთქვი“  
აპ ალ'ნ-აპო (-ალო'ნ-აპო) „შენ თქვი“  
ოქუს, ალ'ის „მან თქვა“

ათხ ალ'ნ-ათხ (-ალო-ათხ) „ჩვენ ვთქვით“  
აშ ალ'ნ-ააშ (ალ'ის-ააშ) „თქვენ თქვით“  
ოქარ ალ'ის „მთ თქვენ“

გარდაუვალი ზმნები ამგვარად აწარმოებენ ფორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აწმყო ნიშნებად აქვთ ი ან უ, ხოლო გარდამავლები კი დრო-კილოთა ისეთ ფორმებთან, რომლებიც თანხმოვანზე ან ნაზალურ ხმოვანზე ბოლოვდებიან.

აღნიშნული ვითარება მოწმობს, რომ ბაცბურ ენას კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების ისეთივე გზა აქვს გავლილი, როგორც ქისტურ დიალექტში შეინიშნება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან გარკვევით ჩანს, რომ პირთა ნაცვალსახელური ელემენტები დაერთვის სუფიქსური ხმოვნებით გამოხატულ კლასოვან-პიროვან უღვლილებას. ამ ნაცვალსახელური ელემენტების წინ ყოველთვის აღდგება აწმყო დაკარგული ხმოვნები. ამასთან ეს ნაცვალსახელური ელემენტები პირის აღნიშვნასთან ერთად კისრულობენ მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქციასაც. თუ ზმნა კლასნიშნაინია, მაშინ მრავლობით რიცხვში სახელის კლასის რიცხვია და პირის რიცხვიც იქნება გამოხატული.

აღსანიშნავია ის თავისებურებაც, რომ ქისტურ დიალექტში ნაცვალსახელური ელემენტებით არ გამოიხატება სუბიექტისა თუ ობიექტის პირი, თუ გამოთქმაში (წინადადებაში) გვაქვს ზმნის წინ სათანადო პირის ნაცვალსახელი. ასე, მაგალითად, გვხვდება: ვა-ს „ვარ“, ვა-პა („ხარ“, ვუტედა-ს „მივდივარ“, ვუტედა-პა „მიდიხარ“, მრ. რ. ბა-თხ „ვართ“, ბა-შ „ხართ“; ბუტელხა-თხ//თ) „მივდივართ“, ბუტელხა-შ „მიდიხართ“... არა გვაქვს: სო ვუტედა-ს „მე მივდივარ“, ჰო ვუტედა-პა „შენ მიდიხარ“, სო ვა-ს „მე ვარ“, ჰო ვა-პა „შენ ხარ“; მრ. რ. თხო ბუტელხა-თხ//თ) „ჩვენ მივდივართ“, შუ ბუტელხა-შ „თქვენ მიდიხართ“ და ა. შ.

ქისტური კილოსათვის დამახასიათებელი ეს თავისებურება უცხო არ არის ბაცბური ენისათვისაც, სადაც პირის ნიშანი შეიძლება არ იყოს გამოხატული, თუ გამოთქმაში გვაქვს შესაბამისი პირის ნაცვალსახელი<sup>23</sup>.

თვით ქისტურ დიალექტშიც გვხვდება შემთხვევები როცა ეს კანონზომიერება ირღვევა. ეს იმ შემთხვევაში, როცა პირის ნაცვალსახელთა ადგილას გვაქვს უკუშტევიანი ნაცვალსახელები. მაგალითად: ჰაჟა ვა-პა „თვითონ ხარ“, სქა ვა-ს „თვითონ ვარ“, სქა ლაქლა-ს „თვითონ დავდივარ“, ჰაჟა ლაქლა-პა „თვითონ დავდიხარ“; მრ. რ. თხოშ ბა-თხ//თ) „თვითონ ვართ“, შოშ ბა-შ „თვითონ ხართ“; თხოშ ლაქლა-თხ „თვითონ დავდივართ“, შოშ ლაქლა-შ „თვითონ დავდიხართ“ და სხვ.

ეს მაგალითები ნათელ წარმოდგენას იძლევა ქისტურ დიალექტში ნაცვალსახელური ელემენტების საშუალებით გამოხატული კლასოვან-პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების პროცესზე. მაგრამ ამგვარ ფორმათა წარმოებაში გადამწყვეტი როლი აკისრია ლოგიკურ მახვილს<sup>24</sup>. თუ ლოგიკური მახვილი მოითხოვს ზმნის წინ ნაცვალსახელს, მაშინ პირთა გარჩევა არა გვაქვს ზმნაში, ხოლო თუ ასეთი მახვილი არაა წინადადებაში, სუფიქსად დართული ნაც-

ვალსახელური ელემენტები აღნიშნავენ როგორც სუბიექტის (გარდაუვალ ზმნებში), ისე სუბიექტისა და ობიექტის (გარდამავალ ზმნებში) პირებს.

ქისტურ დიალექტზე დაკვირვება მოწმობს, რომ ლოგიკური მახვილის ეს ფუნქცია შერყეულია, რაც გამოიხატება ორგანული (ნაცვალსახელურ ელემენტებიან) უღვლილების ფართო გამოყენებაში.

პირთა გამოსახატავად ნახმარი ე. წ. ნაცვალსახელური ელემენტები, როგორც ზემოთაც ითქვა, მიღებულია პირის ნაცვალსახელთა სახელობითის, ერგატივისა და ნათესაობით ბრუნვათა ფორმების შეკვეცის შედეგად. ასე, მაგალითად: ს—სო // სან (ომალოს ჯგ. სენ), ჰ ← ჰა; თხ || (თ) ← თხო || თხა (ომალოს ჯგ. თხე); შ—შუ; ყ—ყა და ა. შ.<sup>25</sup>

ზმნის სხვადასხვა დროის ფორმაზე დართული ნაცვალსახელური ელემენტები, პირთა გარჩევის გარდა, არცთუ იშვიათად გამოხატავენ კუთვნილებასაც. მაგალითად, ვლარ „ჯდომა“ ზმნის ვ—ლა-ს ფორმა გულისხმობს როგორც „ვზივარ“—ს, ისე „ჩემი ზის“, ვ—ლა-ჰა— „ზიხარ“, „შენ ზის“. მრავლობითში გვექნება ბ—ლა-თხ || (თ), ბ—ლა-შ „ვზივართ“, „ზიხართ“, „ჩვენები სხედან“, „თქვენები სხედან“.

აღნიშნული თავისებურება ახასიათებს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებს. ამ უკანასკნელთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტი III პირია. მაგ.:

ვ—შგა-ს „მიყავარ“ || „მიჰყავს მას ჩემი, ვ—შგა-ჰა „მიჰყავხარ“ || „მიჰყავს მას ჩემი“; ლოხა-ს „მეძებს“ (ერთგზითი) || „ეძებს ის ჩემს“; ლოხა-ჰა „გეძებს“ || „ეძებს ის შენს“; დ-ო-ს „მაკეთებს“ || „აკეთებს ის ჩემს“...

კუთვნილების აღსანიშნავად ნახმარი ეს ფორმები თავიანთი მნიშვნელობით უახლოვდებიან ქართული ენის სათანადო ზმნათა სასხვისო ქცევის ფორმებს. ორივეგან მოქმედს მე-3 პირია და იგი ეკუთვნის ირიბ ობიექტს. იმ განსხვავებით, რომ ქისტურ დიალექტში ირიბი ობიექტი სახეზე არა გვაქვს, მაგრამ კუთვნილებითი „ჩემი“, „შენი“... თავისთავად მიუთითებს მასზე.

ამ ფორმათა (პირისა და კუთვნილების) გარჩევა შესაძლებელი ხდება კონტექსტის საშუალებით. მაგ.: ლტარსას ჯან კანთ ლამდ ვუგა-ს „ლუარსაბს ზეალ ჩემი ბიჰი მთაში მიჰყავს“ — აქ კუთვნილებაა გამოხატული; ჯან ლამდ ვუგა-ს „ზეალე მთაში მიყავარ“ — აქ კი პირია აღნიშნული. არის გარჩევის სხვა საშუალებაც. კერძოდ, ზმნის ცვლა სამივე პირის მიხედვით. ის ფორმა, რომელიც კუთვნილებას გამოხატავს, მე-3 პირში მოითხოვს ცუწ მრ. რ. ცურ ნათესაობითის ბრუნვის ფორმად „პირის ნაცვალსახელს“, ხოლო პიროვანი უღვლილების დროს ყველგან გვექნება სახელობითი ბრუნვის ფორმა. მაგ.:

პირიანი ფორმა:

- |                                    |                               |
|------------------------------------|-------------------------------|
| I პ. ლტეხქა-ს „მაგდებს (მრავალგ.)“ | ლტეხქა-თხ    (თ) „გაგდებს“    |
| II პ. ლტეხქა-ჰა „გაგდებს“          | ლტეხქა-შ „გაგდებთ“            |
| III პ. ლტეხქ 'აზ „გაგდებს“         | ლტეხქ 'ოზუშ    ოტშ „გაგდებენ“ |

კუთვნილებითი ფორმა:

- |                                    |                                    |
|------------------------------------|------------------------------------|
| I პ. ლტეხქა-ს „ერეკება ჩემებს“     | ლტეხქა-თხ    (თ) „ერეკება ჩვენებს“ |
| II პ. ლტეხქა-ჰა „ერეკება შენებს“   | ლტეხქა-შ „ერეკება თქვენებს“        |
| III პ. ლტეხქ ცუწ „ერეკება იმისებს“ | ლტეხქ ცურ „ერეკება იმათებს“        |

აღნიშნული ვითარება გაპირობებულია ზმნის ფუძესთან შერწყმული ნაცვალსახელების ფუნქციის გაფართოებით.

ყოველივე ამის მიუხედავად, ქისტურ დიალექტში კლასოვან-პიროვანი უღვლილება ჩამოყალიბების პროცესშია. მართებულად მიგვაჩნია ამასთან დაკავშირებით ას. მაგომედოვის მოსაზრება, რომ ნახურ ენებში პირის კატეგორიის ჩამოყალიბება ამ ენათა განვითარების შინაგანი ტენდენციითაა გაპირობებული და არა მეზობელ ენათა გავლენის შედეგად განვითარებული<sup>26</sup>. ბატურ ენისა და ჩაჩნური ენის ქისტურ დიალექტისათვის ამ თვალსაზრისით ზემოქმედი ენა ქართულია.

#### შენიშვნები და დამოწმებანი

<sup>1</sup> იხ. Чикобава А. С., Основные типы спряжения глагола и их исторические взаимоотношения в иберийско-кавказских языках, Доклад на XXV международном конгрессе востоковедов, М., 1960; მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, თბილისი.

<sup>2</sup> იხ. ამ საკითხის შესახებ შემდეგი ლიტერატურა: 1. რ. გ ა გ უ ა, ზმნის ცვა გამატყულო კლას-კატეგორიის მიხედვით ბატურქნაში, იყე, ტ. IV, 1953; Г. Ю. Дешериев, Бацнийский язык, М., 1933, გვ. 84—85; ე. დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, პირის კატეგორიის საკითხისათვის ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენათა ზნაში, იყე, ტ. XIV, 1968; 4. Асл. Магомедов, Категория грамматических классов и категория лица в глаголе нахских языков, автореферат канд. дис. Тб., 1966.

<sup>3</sup> რივეც ეს სახელწოდება პირობითია, რადგან სუფიქსად გამოყენებული ხმოვნებიცა და ნაცვალსახელებური ელემენტებიც მხოლოდ პირზე მიუთითებენ, ხოლო კლასი კი აღინიშნება სათანადო ნიშნებით (პრეფიქსებით).

<sup>4</sup> დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

<sup>5</sup> ცალკე უნდა გამოიყოს სოფ. შუა ზალაწანი, სადაც მოსახლეობის ერთი (შედარებით მცირე) ნაწილის მეტყველება მიჰყვება ომალოს ჯგუფს, ხოლო ძირითადი ნაწილის მეტყველება—ჯოჯოლოს ჯგუფს.

<sup>6</sup> დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

<sup>7</sup> კლასინიშნაინი და უკლასინიშნო ზმნები სხვაობას არ გვაძლევენ, ამიტომ მათ ერთად წარმოვადგენთ. ამოსავალ ფორმად აღებული გვაქვს მასდარი. (—) ნიშნით (ყველა პოზიციისაში) აღვნიშნავთ კლასის ნიშნებს (ე-, ა-ბ-, დ-). მაგალითები მოგვეყვას ყველგან ერთგზის ფორმით.

<sup>8</sup> ამოსავალ ფორმებს მხოლოდ აწმყო დროისას წარმოვადგენთ. მსგავსივე ფორმები უნდა ჰქონოდა დრო-კილოთა ყველა იმ ჯგუფს, რომლებიც იწარმოებიან აწმყოსაგან.

<sup>9</sup> ეს ზნა ნახურ ენებში მიცემითსუბიექტანია (იგულისხმებ. რეალური სუბიექტი).

<sup>10</sup> ომალოს ჯგუფში, ვარდამავალი ზმნების მრავალგზითის ფორმებში, როცა ძირეულ ხმოვნებად გვაქვს ი, ი, ან კიდევ მა, დიფთონგი, პირები მათი მონაცვლეობით არ გაირჩევა, ამიტომ აქ მრავალგზითის ფორმებსაც წარმოვადგენთ.

<sup>11</sup> დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

<sup>12</sup> დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენიდან სიტყვათა სესხების კანონზომიერებისათვის პანკისის ქისტურში, იყე, ტ. XI, 1959, გვ. 240.

<sup>13</sup> დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, პირის კატეგორიის საკითხისათვის ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენათა ზნაში, იყე, ტ. XVI, 1968, გვ. 203.

<sup>14</sup> ამ საკითხის შესახებ არს. ჩიქობავას შრომები: 1. მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, თბ., 1941, წერილი 1. № 1—2; წერილი 2. № 6, II. გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში, იყე, ტ. V, 1953; მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I. ქვემდებარე—დამატების საკითხი ძველ ქართულში, თბილისი, 1968.

<sup>15</sup> ამ ტიპის კლასოვან-პიროვანი უღვლილებაში კლასინიშნაინი ზმნები მოგვეყვას პიროვნების კლასის ვ-ბ ჯგუფის ნიშნებით.



- <sup>16</sup> ეს ზმნა, მსგავსად ხარ „ცოდნა“ ზმნისა, ნახურ ენებში მიცემითსუბიექტიანია.
- <sup>17</sup> ამ ტიპის ზმნებს სუბიექტური წყობა აღწერთაოდ ეწარმოებათ. მაგ.: „ბ-ე-ტ სტან „ვიცნობ“ ვე-ტ ბაუნ „იცნობ“, ვე-ტ ცუნ „იცნობს“, მრ. რ. ბ-ე-ტ თხუან „ვიცნობთ“, ბ-ე-ტ შუნ „ვიცნობთ“, ბ-ე-ტ ცრდ „იცნობენ“... ჭარა აქვს მნიშვნელობა სუბიექტი ზმნის წინ დგას, თუ მოსდევს მას.
- <sup>18</sup> ქვემოთ მაგალითები ყველგან მოვყავს მხოლოდ აწმყა დროში.
- <sup>19</sup> III პირის ვითარებას არ ვითვალისწინებთ, რადგან იგი ა) ჯგუფს მიჰყვება ყოველთვის, ბ) ბატურის ვითარების გათვალისწინებისას ვეყარებით დოც რ. გავუსა მიერ ლექციებზე მოწოდებულ მასალას; აგრეთვე მის კონსულტაციებს.
- <sup>20</sup> ამ ზმნებში დაიკარგოს სასაუბრო მეტყველებაში.
- <sup>21</sup> ამ ზმნებში დაიკარგოს სასაუბრო მეტყველებაში.
- <sup>22</sup> ბატურ ენაში გარდაუვალი ზმნის სუბიექტის (I და II პირში) ერგატიულ ბრუნვაში დასმა მეორეული მოვლენა და იგი გარდამავალ ზმნათა ანალოგიით უნდა იყოს გაპირობებული. იხ. რ. გაგუა, ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბატურ ენაში, ივე, ტ. IV, 1953, გვ. 134.
- <sup>23</sup> Ю. Дешериев, *Бачбийский язык*, М., 1953, გვ. 84.
- <sup>24</sup> ლოგიკური მახვილის ეს ფუნქცია შენიშნული აქვს დ. იმანიშვილს. იხ. მ. ი. ს. პირის კატეგორიის საკითხისათვის ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენათა ზმნაში, ივე, ტ. XVI, 1968, გვ. 211.
- <sup>25</sup> უფრო დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. დ. იმანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.
- <sup>26</sup> «Образование категории лица в нахских языках—внутренняя тенденция развития этих языков, а не категория, возникшая под влиянием соседних языков, но влияние последних может сказаться на темпах ее развития». А. Магомедов, *Способы выражения лица в глаголе чечено-ингушских диалектов*, Известия ЧИНИИЯЛ, т. VII, вып. 2, Языкознание, Грозный, 1966, ст. 16.

С. Э. ГУМАШВИЛИ

## К ПРОЦЕССАМ КЛАСНО-ЛИЧНОГО СПРЯЖЕНИЯ В КИСТИНСКОМ ДИАЛЕКТЕ ЧЕЧЕНСКОГО ЯЗЫКА

### Резюме

В иберийско-кавказских языках существует три типа спряжения глаголов: классное, классно-личное и личное. Среди них в языках нахской группы представлен первый тип спряжения. Но в бачбийском языке наблюдаются начальные процессы классно-личного спряжения.

Формирование классно-личного спряжения в кистинском диалекте происходит двояким путем:

1. Классно-личное спряжение выражено суффиксальными гласными в переходных глаголах и глаголах чувствования, для передачи настоящего времени и I и II лица субъекта употребляются гласные а и е, а для III лица — у и о. Под влиянием этих гласных коренные гласные (или дифтонги) в основах глаголов изменяются, напр.: I—II л. *peɬ←maɬ-e* «пью», III л. *toɬ←mɔɬ-i*; I—II л. *wieɟ←wɔɟ-e* «люблю», III л. *wɔɟ←wɔɟ-u*.

2. Классно-личное спряжение выражено местоименными элементами, которые присоединяются к суффиксальным гласным. В глаголе выражено лицо как субъекта, так и объекта (последний в переходных глаголах и глаголах чувствования).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა.

### მიტომ ჩიკაიძე

## თურქული ენის CVC ტიპის სიტყვების ფონეტიკური სტრუქტურა

ამა თუ იმ ენის ფონოლოგიური დახასიათების დროს საკმარისი არ არის ენის ფონემათა ინვენტარის და ფონოლოგიური ნიშნების დადგენა და ჩამოთვლა. ამასთან ერთად საჭიროა ძირის ან სიტყვის ფარგლებში ერთმანეთთან უშუალო მეზობლობასა და დისტანციურ პოზიციაში მყოფი ფონოლოგიური ელემენტების ხმარების ინტენსივობის, ფონემათა დისტრიბუციული კომბინაციების და ფუნქციონალური დატვირთულობის შესწავლა. სიტყვათა ფონემური სტრუქტურის სტატისტიკური კვლევა, რამდენადაც აქ საქმე ეხება ფონემათა ფუნქციონალური დატვირთულობის შესწავლას, გულისხმობს ენის ლექსიკური შედგენილობის ანალიზს<sup>1</sup>. ლექსიკონის ანალიზს ემყარება „ზუსტი მტკიცებანი ფონემათა შეხამების შესახებ 1 და 0 ალბათობებით“<sup>2</sup> (რადგანაც „ფონემათა არც ერთი თანამიმდევრობა არ შეგვხვდება შეტყობინებაში, თუ იგი არ არსებობს კოდში“<sup>3</sup>), მაგრამ ფონემათა ფუნქციონალური დონის განსაზღვრა ლექსიკონის მასალების მიხედვით აშკარად საკმარისი არ არის და წარმოდგენს სისტემის ცალმხრივ დახასიათებას. ამიტომ საჭიროა ლექსიკონის მასალებით წარმოდგენილი ანალიზის შედეგები შევსებული იქნეს გაბმული მეტყველების, ე. ი. ტექსტობრივი ანალიზის შედეგებით, რათა ნათლად დავიჩინოთ, თუ რამდენად თანხვედრა ან არ თანხვედრა სისტემის ელემენტთა ფუნქციონალური დატვირთულობის დონე ენასა და მეტყველებაში<sup>4</sup>. იგი საჭიროა აგრეთვე „მოცემული ენის ლექსიკურ კოდში არსებული დისტრიბუციის შესწავლისათვის“<sup>5</sup>.

თანამედროვე თურქული ენის ფონეტიკის შესწავლას, ისევე, როგორც გრამატიკას, ლექსიკოლოგიას და ლექსიკოგრაფიას, თითქმის ოთხასწლიანი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში აღნიშნულ საკითხზე არა ერთი და ორი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნებული. ისეთმა მკვლევარებმა, როგორებიც არიან: ვ. ბოგოროდისკი, ვ. გრიონბეკი, ლ. ჰრეებიჩეკი, ნ. დმიტრიევი, ა. კონონოვი, გ. მელნიკოვი, მ. რიასენენი, ე. სეგორთიანი, ა. სტაროსტოვი, ა. შჩერბაკი და სხვები, თავიანთი გამოკვლევებით მნიშვნელოვნად წასწიეს წინ თურქული ენის ფონეტიკის შესწავლის საქმეზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, თურქული ენის სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. ასეთად გვესახება თურქული ენის სიტყვათა ფონეტიკურ-ფონოლოგიური ანალიზის პრობლემა.

თურქული სიტყვების ფონოლოგიური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი შესწავლილია ჩეხი მეცნიერის ლ. ჰრეებიჩეკის საინტერესო ნაშრომში<sup>7</sup>.

ავტორმა საანალიზო მასალა ამოკრიფა 1945 წელს გამოცემული დ. მაგაზანიკის „თურქულ-რუსული ლექსიკონიდან“. ყოველი გვერდიდან ამოღებული იქნა სამ-სამი სიტყვა, რომლებთაგანაც ერთი თურქული სიტყვაა, მეორე ნა-სესხობა და მესამე ნეოლოგიზმი. ვინაიდან აღნიშნული კატეგორიის სიტყვები ლექსიკონის გვერდების მიხედვით თანაბრად არ არის განაწილებული, ამიტომ ზოგი გვერდიდან ამოწერილი იქნა სამზე ნაკლები სიტყვა. ამის შედეგად ნაშ-

რომში განხილული მასალა შეიცავს 581 (3587 ფონემა) თურქულ სიტყვას, 357 (2405 ფონემა) ნეოლოგიზმს და 659 (4423) ნასესხებ ლექსიკურ ერთეულს. სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოანგარიშებულ იქნა ფონემათა აბსოლუტური სიხშირეები ინდივიდუალურ პოზიციებში. მიღებული მონაცემების შედეგად ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ფონემათა განაწილება და მათი კორელაცია (სხვადასხვა პოზიციაში) ორიგინალურ თურქულ სიტყვებში, ნასესხობებსა და ნეოლოგიზმებში სხვადასხვაა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თანამედროვე თურქული სალიტერატურო ენის CVC ტიპის ერთმარცვლიანი სიტყვების ფონემური სტრუქტურის შესწავლის ცდას. ნაშრომში განხილულია CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში თანხმოვანთა განაწილება და მათი შეხვედრის ალბათობები, როგორც ენის ლექსიკურ კოდში, ასევე გაბმულ მეტყველებაში<sup>8</sup>.

საანალიზო მასალა ამოღებულ იქნა თურქული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან<sup>9</sup> და ცნობილი თურქი მწერლის საიდ ფაიკის ნაწარმოებების ორტომეულიდან<sup>10</sup> 20000 სიტყვის სივრცის რაოდენობით.

ვინაიდან ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ფონემური მოდელირების სტატისტიკა და არა ამ მოდელების ხმარების სიხშირე, ამიტომ ომონიმური ძირები განხილულია, როგორც ერთი მოდელი<sup>11</sup>. აქედან გამომდინარე, ენის ლექსიკურ კოდში აღმოჩნდა CVC ტიპის 517, გაბმულ მეტყველებაში კი 121 სიტყვა (ან 1551 და 363 ფონემა). ანალიზის დროს ჩვენ გავითვალისწინეთ ენაში არსებული CVC ტიპის ერთმარცვლიანი ნასესხობებიც, რადგანაც აღნიშნული უცხო სიტყვები ისე ორგანულადაა შეზრდილი თანამედროვე თურქული სალიტერატურო ენის ლექსიკას, რომ მათი გამოყოფა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად<sup>12</sup>.

თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში გვაქვს 29 ბგერა. აქედან 8 ხმოვანი: a, e, i, i, o, ö, u, ü<sup>13</sup> და 21 თანხმოვანი: b, c, ç, d, f, g, ğ, h, j, k, l, m, n, p, z, s, ş, t, v, y, z.

აღნიშნულ სამეტყველო თანხმოვან ბგერათა შორის განარჩევენ—

ა) მკლერ და ყრუ ბგერებს. მკლერია: b, c, d, g, j, l, m, n, r, v, z, y, ğ; ყრუ ბგერებია: p, t, k, ç, f, h, s, ş.

ბ) ბგერათა რავარობის მიხედვით არსებობს ხშულები: p, b, d, t, k, g, c, ç; ნაბრალოვები: v, f, s, z, j, ş, h, ğ, y; სონორები: r, l, m, n.

გ) ბგერათა წარმოების ადგილის მიხედვით არის ბაგისმიერი ბგერები: b, p, m; კბილბაგისმიერები: v, f, კბილისმიერები: d, t; წინაენისმიერები: s, ş, z, j, ç, c, n, l, r; უკანაენისმიერი თანხმოვნები: g, k, h, ğ.

თანამედროვე თურქული სალიტერატურო ენის ლექსიკურ კოდში არსებული CVC ტიპის ერთმარცვლიანი სიტყვები შეიძლება იწყებოდეს ნებისმიერი თანხმოვანით (გარდა უკანაენისმიერი ğ თანხმოვნისა)<sup>14</sup> და მთავრდებოდეს ნებისმიერი თანხმოვანით. გაბმულ მეტყველებაში კი სიტყვის აბსოლუტურ საწყის პოზიციაში არ გვხვდება ğ და j ფონემები, ხოლო სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში დასტურდება მხოლოდ 16 თანხმოვანი (არ არის დადასტურებული b, c, d, g, j თანხმოვნები). განსხვავებულია აგრეთვე თითოეული თანხმოვნის შეხვედრის ალბათობები (როგორც ენის ლექსიკურ კოდში, ასევე გაბმულ მეტყველებაში) სიტყვის თავიკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში მონაწილეობის მიხედვით (იხ. ცხრ. 2). CVC ტიპის ერთმარცვლიანი სიტყვების ფაქტობრივ დადასტურებული რიცხვი ენის ლექსიკურ კოდში (517) და გაბმულ მეტყველებაში

საკრძობლად ჩამორჩება თეორიულად შესაძლებელ რიცხვს, შესაბამისად 3780 (20 X 21 X 9) და 2736 (19 X 16 X 9).

მოცემული ცხრილის საფუძველზე, ნათლად ჩანს ფონემების ფუნქციონალური დატვირთულობის დონე მათი თავიკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში მონაწილეობის მიხედვით, ენასა და მეტყველებაში. ასე მაგალითად, თავიკიდურ პოზიციაში (ორივე შემთხვევაში) ყველაზე აქტიური ფონემებია k, b, h, s, t, d, ხოლო ყველაზე პასიური r, n, v, z, f ფონემები. ბოლოკიდურ პოზიციაში კი ყველაზე მაღალი ფუნქციონალური დატვირთვა აქვთ l, r, n, k, z ფონემებს, ყველაზე დაბალი კი b, c, g, ğ, j ფონემებს<sup>15</sup>.

CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში ერთი—პირველი ან ბოლოკიდური—თანხმოვნის მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს შესაბამისად მეორე—ბოლოკიდური ან პირველი—თანხმოვნის შეხვედრის ალბათობა<sup>16</sup> (იხ. ცხრილი 3,4, 5, 6).

ენის ლექსიკურ კოდსა და გაბმულ მეტყველებაში CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში თანხმოვანთა კომბინაციების მიხედვით მოსალოდნელი 420 (20 X 21 თანხმოვანი) და 304 (19 X 16 თანხმოვანი) მოდელიდან (ე. ი. თუ ხმოვნებს არ მივიღებთ მხედველობაში) ფაქტობრივად დადასტურებულია შესაბამისად 236 (ე. ი. მთელი შესაძლებლობის 52,8%) და 91 (29, 93%). რათა გამოწვეული ეს სხვაობა? შემთხვევითი ხარვეზებით, თუ რაიმე სტრუქტურული შეზღუდვებით?

როგორც დაკვირვებიდან ჩანს, არარეალიზებული მიმართებების ნაწილი არ არის შემთხვევითი, ისინი სტრუქტურული ხასიათის შეზღუდვებია. თუ ვიცით პირველი თანხმოვანი, შეიძლება განესაზღვროთ რომელი ფონემა იქნება აკრძალული მეორე თანხმოვანად. ასე მაგალითად:

ა) თანხმოვანთა როგორც პირდაპირი, ასევე უკუმიმდევრობის შემთხვევაში, ერთი სიტყვის ფარგლებში აკრძალულია ორი შემდეგი ერთნაირი თანხმოვნის არსებობა: b-b, c-c, d-d, ğ-ğ, <sup>+17</sup> f-f, g-g, j-j, l-l, m-m<sup>+</sup>, n-n<sup>+</sup>, p-p, r-r, t-t<sup>+</sup>, v-v, y-y<sup>+</sup>, z-z

ბ) ერთი სიტყვის ფარგლებში (როგორც ენის ლექსიკურ კოდში, ასევე გაბმულ მეტყველებაში) არ გვხვდება ერთი და იმავე რიგის ნაპრალოვნები: v-f, f-v, z-s, s-ğ, ğ-s, j-ş.

თანხმოვანთა უკუმიმდევრობის შემთხვევაში დამატებით აკრძალულია s-z მიმდევრობა.

გ) ერთი სიტყვის ფარგლებში აკრძალულია უკანანისმიერი თანხმოვნების g, k-ğ (ე. ი. g-ğ, k-ğ) მიმართებების არსებობა.

დ) თურქული ენის CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში დასაშვებია თანხმოვანთა ერთი მიმდევრობა. მაგრამ დაუშვებელია მეორე. ასე მაგალითად, ენის ლექსიკურ კოდში არსებობს თანხმოვანთა შემდეგი მიმდევრობა b—p, d—t, g—k, z—s, მაგრამ არ არსებობს შებრუნებული მიმდევრობა p—b, t—d, k—g, z—s.

ე) თუ, CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში ფონემათა C<sub>1</sub>→C<sub>2</sub> მიმდევრობის შემთხვევაში C<sub>1</sub> არის რომელიმე ხშული ფონემა (b, p, d, t, g, k, c, ç), მაშინ C<sub>2</sub> პოზიციაში ყოველთვის შეიძლება იყოს ყრუ-ხშული ფონემები k, t, სონორი r და სპირანტი ფონემა z. გარდა ამისა, ენაში შესაძლებელია აგრეთვე ფონემათა შუამდგომი მიმდევრობები:

## ხშული + ხშული

b, ც, t, p, k, g→c, b, c, ც, t, k→p

## ხშული + სპირანტი

b, c, ც, d, t, k→v, c, d, t, p, k, g→f, b, ც, d, t, p, k,→ფ,

b, ც, t, p, k→s, b, c, ც, d, t,→ჭ, d, t, p, k, g→h,

b, ც, d, t, p, k→y, b→j.

## ხშული + სონორი

b, c, d, t, p, k, g→l c, ც, d, t, k, g→m b, c, ც, d, t, k, g→n

CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში აკრძალულია ნებისმიერი ხშული + მცლერი-ხშული (b, c, d, g) ფონემათა მიმდევრობები (იხ. ცხრ. 3).

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ფონემათა უკუმიმდევრობის, ე. ი.  $C_2 \rightarrow C_1$ , შემთხვევაში. აქ მეორე თანხმოვანად, ან  $C_1$  პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს სისტემის ნებისმიერი თანხმოვანი, გარდა უკანაენისმიერი გ ფონემისა (იხ. ცხრ. 5).

3) თუ ენის ლექსიკურ კოდში ფონემათა  $C_1 \rightarrow C_2$  მიმდევრობის შემთხვევაში პირველი თანხმოვანი ( $C_1$ ) არის რომელიმე სპირანტი ფონემა (v, f, z, s, j, ფ, ხ, ჭ, ყ), მაშინ თითოეულ მათგანთან მიმდევრობაში  $C_2$  პოზიციაში ყოველთვის შეიძლება შეგვხვდეს კბილისმიერი, ყრუ-ხშული ფონემა t, დანარჩენი თანხმოვნები კი განაწილდება შემდეგნაირად:

## სპირანტი + ხშული

z, s→ც f→b, g, k h→c, ც, d, k, p

ფ, y,→d s, ფ, y→k z, s, ფ→p

## სპირანტი + სპირანტი

s, ფ, y→f z, s, f, h, y→g z, s, ფ, v, y, h→h

s, f, h, y,→s, ფ s, ფ, h, y→v s, ფ, f, v, h, y→y, z

## სპირანტი + სონორი

z, s, ფ, j, f, h, y→l s, s, ფ, h, y→m

z, s, ფ, f, h, y→n z, s, ფ, f, v, h, y→r

ფონემათა  $C_2 \rightarrow C_1$  მიმდევრობის შემთხვევაში კი, თუ  $C_2$  არის ნებისმიერი სპირანტი, მაშინ  $C_1$  პოზიციაში აკრძალულია სპირანტი გ, j ფონემები. დანარჩენი თანხმოვნების განაწილების შესახებ იხ. ცხრ. 5.

3) თუ ენის ლექსიკურ კოდში თანხმოვანთა  $C_1 \rightarrow C_2$  მიმდევრობის შემთხვევაში  $C_1$  არის რომელიმე სონორი ფონემა (r, l, m, n). მაშინ მათთან მიმდევრობაში  $C_2$  პოზიციაში ყოველთვის იქნება სონორი ფონემა l და სპირანტები h, s, y. აკრძალულია სონორი + მცლერი-ხშული (c, d, g) ფონემათა მიმდევრობები. დანარჩენი ფონემები კი შემდეგნაირად არის განაწილებული:

## სონორი + ხშული

r→b r, l→p m→ც l, m→k z, m, n→t

## სონორი + სპირანტი

r, l→f l, m→ჭ, s r→j l→v l, m, n→z.

## სონორი + სონორი

r, l, n,→m r, n→l, m, n→r

თანხმოვანთა უკუმიმდევრობის შემთხვევაში კი  $C_1$  პოზიციაში ნებისმიერ სონორ ფონემასთან მიმართებაში ყოველთვის შეიძლება შეგვხვდეს ხშულები c, g, d, t, k, სპირანტები h, s, ფ, y, z და სონორი ფონემა n. დანარჩენი ფონემების განაწილების შესახებ იხ. ცხრილი 5.

ცხრილი 1

CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში ხმოვანთა შეხვედრის ალბათობები  
 ა) ენის ლექსიკური კოდის მიხედვით      ბ) გაბმული მეტყველების მიხედვით

ხმოვანი V	ალბათობა %	ხმოვანი V	ალბათობა %
a = (143)	≈ 27,8	a = (35)	≈ 28,9
e = (82)	≈ 15,8	e = (25)	≈ 20,6
o = (66)	≈ 12,7	i = (17)	≈ 14,05
i = (64)	≈ 12,3	o = (13)	≈ 10,7
u = (48)	≈ 9,2	ü = (11)	≈ 9,09
ü = (40)	≈ 7,7	u = (9)	≈ 7,4
ι = (35)	≈ 6,9	ö = (6)	≈ 4,9
ö = (29)	≈ 5,6	ι = (6)	≈ 4,9
â = (11)	≈ 2,1	â = (1)	≈ 0,8

ცხრილი 2

CVC ტიპის ერთმარცვლიან სიტყვებში თანხმოვნების შეხვედრის ალბათობები

I თანხმოვნად შეხვედრის ალბათობები (ენის ლექსიკური კოდში) %	I თანხმოვნად შეხვედრის ალბათობები (გაბმულ მეტყველებაში) %	ბოლოციდურ თანხმოვნად შეხვედრის ალბათობები (ენის ლექსიკური კოდში) %	ბოლოციდურ თანხმოვნად შეხვედრის ალბათობები (გაბმულ მეტყველებაში) %
k = (62) ≈ 11,9	k = (20) ≈ 16,4	l = (50) ≈ 9,6	l = (17) ≈ 14,04
t = (48) ≈ 9,2	b = (13) ≈ 10,7	r = (50) ≈ 9,6	z = (16) ≈ 12,2
s = (39) ≈ 7,5	d = (11) ≈ 9,9	n = (44) ≈ 8,5	r = (15) ≈ 12,3
h = (38) ≈ 7,3	h = (11) ≈ 9,9	k = (42) ≈ 8,1	n = (14) ≈ 11,5
b = (35) ≈ 6,7	s = (10) ≈ 8,2	z = (42) ≈ 8,1	k = (9) ≈ 7,4
ç = (32) ≈ 6,1	y = (10) ≈ 8,2	t = (40) ≈ 7,7	ş = (9) ≈ 7,4
y = (30) ≈ 5,8	t = (8) ≈ 6,6	m = (38) ≈ 7,3	m = (8) ≈ 6,6
d = (29) ≈ 5,6	ç = (6) ≈ 4,9	p = (29) ≈ 5,6	y = (7) ≈ 5,7
p = (28) ≈ 5,4	g = (6) ≈ 4,9	s = (28) ≈ 5,6	ç = (5) ≈ 4,1
ş = (24) ≈ 4,6	p = (4) ≈ 3,3	y = (29) ≈ 5,4	t = (5) ≈ 4,1
f = (23) ≈ 4,4	v = (4) ≈ 3,3	ş = (27) ≈ 5,2	ş = (4) ≈ 3,3
l = (23) ≈ 4,4	c = (3) ≈ 2,4	f = (21) ≈ 4,06	h = (4) ≈ 3,3
g = (22) ≈ 4,2	m = (3) ≈ 2,4	h = (20) ≈ 3,8	p = (3) ≈ 2,4
m = (19) ≈ 3,6	ş = (3) ≈ 2,4	ç = (18) ≈ 3,4	f = (2) ≈ 1,6
c = (18) ≈ 3,4	z = (3) ≈ 2,4	ğ = (18) ≈ 3,4	ğ = (2) ≈ 1,6
r = (15) ≈ 2,8	l = (2) ≈ 1,6	v = (13) ≈ 2,4	v = (2) ≈ 1,6
n = (14) ≈ 2,6	r = (2) ≈ 1,6	d = (4) ≈ 0,77	
z = (13) ≈ 2,4	f = (1) ≈ 0,82	j = (2) ≈ 0,38	
v = (5) ≈ 0,96	r = (1) ≈ 0,82	b = (2) ≈ 0,38	
j = (2) ≈ 0,38		c = (1) ≈ 0,19	
		g = (1) ≈ 0,19	



CVC ტიპის ერთმარცხედიანი სიტყვებში პირველ თანხმოვნთან მიხედვით  
მეორე თანხმოვნად შეზღვედრის ალბათობები (ენის ლექსიკური კოდის მიხედვით)

2 1	b	c	ç	d	f	g	ğ	h	j	k	l	m	n	p	r	s	ş	t	v	y	z		
ახლა — რაც შეეხება ლ- პრეფიქსის თავდაპირველ ფუნქციას: როგორ შეიძლება მას დაეკავშირებოდნენ ინკლუზივის ფუნქცია? ცნობილია, რომ  $S_3$ -ის ოდინდელ ნიშნად სენატრში მიაჩნიათ ლ- პრეფიქსი, რომელსაც ქართულში ნ- სუფიქსს უკავშირებენ (ვ. თოფურაძე). მ. ქალდანი და ალ. ონიანი ლ- პრეფიქსს აღადგენენ საერთოქართველურისათვის  $S_3$  პირის ნიშნის არქეტიპად. მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც: ნ. ანდლუაძე კავკასიური ენების მონაცემებზე დაყრდნობით და ქართველურ ენათა პირის ნიშნების სისტემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვარაუდობს, რომ საერთოქართველურში პირიდან უფლოლები ჩამოყალიბებისას და დიფერენციაციის მომენტისთვის მესამე პირის ფორმა უნიშნო უნდა ყოფილიყო, ლ- პრეფიქსი კი, გრამატიკული კლასის ექსპონენტი უნდა იყოს (სათანადო არქემენტები იხ. ნ. ანდლუაძის დასახ. ნაშრომში, გვ. 162 და შშდ. § 27, 29, 30). ამ მხრივ საყურადღებოა ბაცებური ზმნა, რომელშიც დღეს, პიროვანი უფლოლები ჩამოყალიბების ეტაპზე, III პირი ნულოვანი აფიქსით უპირისპირდება I და II პირებს. ამასთანავე, იმ ზმნებში, რომლებშიც გრამატიკული კლასის ნიშნები იხმარება, დღეს ადგილი აქვს მეტად საყურადღებო მოვლენას: „ზმნა ერთდროულად დაირთავს როგორც გრამატიკული კლასის ნიშანს, ასევე პირის ნიშანსაც. პირველს უკავია პრეფიქსული პოზიცია, ხოლო მეორე სუფიქსად ფორმდება“<sup>9</sup>. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაცებური ენის განვითარების ამ ეტაპისათვის ყველა ზმნა აღარ დაირთავს გრამატიკული კლასის ნიშანს. ძალუწუნებურად იმის კითხვა, ანალოგიური ვითარება ხომ არ უნდა ექნებოდა ლ- კლასის პრეფიქსთან დაკავშირებით სენატრის შემხვევაში? მაშინ ადვილად აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ წარმოშობით კლასის ნიშანი ლ- პრეფიქსი ზმნათა  $S_3$  პირის ფორმის მხოლოდ ერთ განსაზღვრულ ნაწილშია შემორჩენილი. რადგანაც ქართველურ ენებში პირის გამოხატვის პრინციპი არქემექსულია,  $S_1$  და  $S_2$  პირის ფორმებში კლასის ნიშნი ადვილს პირის ნიშნები დაიკვირდნენ და, ამგვარად, ხუ- ხ- — ლ- ოპოზიციის ჩამოყალიბების შედეგად ლ- ამ ჯგუფის ზმნებში რეინტერპრირებულ იქნა  $S_3$  პირის ნიშნად. შეიძლება ვეფიქრობოთ, რომ პიროვანი უფლოლების ჩამოყალიბების პერიოდში ისახება რა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიაც (რომელიც პირის კატეგორიის გაგებასაც შეიცავს), სუბიექტურ უფლოლებში ინკლუზივის ნიშნად ფუნქციონირებდა ლ- კლასის ნიშანი იქნა გამოყალიბებული, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს. ეს ვარაუდის სახით.

ახლა კი დავუბრუნდეთ ისევ ალ. ონიანის შენიშვნებს. 1-ლი და მე-5 შენიშვნები შეეხება ექსკლუზივის ფორმებში მ- და ხუ- პრეფიქსების კვალიფიკაციის საკითხს (ოდენ პირის ნიშნებია ისინი თუ ექსკლუზივისა). ჩვენი აზრით,  $O_1$ -ის მ- პრეფიქსს, ისევე როგორც:

S<sub>1</sub>-ის ზმ- პრეფიქსს ისტორიულად არ შეიძლება ჰქონოდა ექსკლუზივის კატეგორიის (რომელიც მრავლობითი რიცხვის გავებასაც შეიცავს) გამოხატვის ფუნქცია სათანადო ფორმებში. ამ მოსაზრებას გამოეთქვამთ, ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში ავლუტინაციური პრინციპი აშკარად დომინირებული პრინციპია ისტორიულად. ფლექსიური ტიპის გამოვლენის გამოხატვის შემთხვევებში კი ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში მეორეული ჩანს და ამისავალში სტრუქტურული თვალსაზრისით ავლუტინაციურ ტიპს გვაგვარაულებინებს (მხედველობაში გვაქვს O<sub>1</sub> მრ. რ.-ისა და S<sub>2</sub> პირისა და რიცხვის გამოხატვის წესი თანამედროვე ქართულში). თვით ალ. ონიანიც არათუ არ უარყოფს, არამედ მის მიერ წამოყენებული მოსაზრებებით (გუ-პრეფიქსის თავდაპირველი ფუნქციისა და პირისა და რიცხვის გამოხატვის თავდაპირველი ვითარების შესახებ) ძალაუფლებურად მხარს უჭერს და ამტკიცებს კიდევ ავლუტინაციის პირველადობას ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ალ. ონიანი ზოგად კონტექსტში ათავსებს ამ კონკრეტული შემთხვევის გამო ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ აზრს და დასკვნის, თითქოს ჩვენ ვამტკიცებდეთ, რომ „ენის განვითარების ერთი საფეხურისათვის შეუძლებელია ისეთი ვითარების დაშვება, როგორიც ფაქტია მეორე საფეხურზე“ (გვ. 239). ცხადია, ასეთ დასკვნას არავითარი ლოგიკური დამართლება არ ექნება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი სრულიად არ გამომდინარეობს ჩვენი მსჯელობიდან.

ამგვარად, ვითვალისწინებთ რა ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში ავლუტინაციური პრინციპის ისტორიულ პირველადობას, გამოეთქვამთ მოსაზრებას, რომ ამისავალში, ე. ი. იმ ქრონოლოგიურ საფეხურზე, როდესაც ყალიბდებოდა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, მის გამოხატვას ზმნაში, საფეხურებელია, რომ ავლუტინაციური პრინციპი დასდებოდა საფუძვლად და პირის ნიშანი ასეთ შემთხვევაში ვერ გვიზიარებდა სხვა ფუნქციას, მით უფრო — ექსკლუზივისას, რომელიც მრავლობითის გავებას შეიცავდა. ამგვარად, ექსკლუზივი თავიდან ოპოზიციის არამარტივებული წევრი უნდა ყოფილიყო. იგი რამეც ნიშნით არ იღებდა მანაწილეობას ოპოზიციასში მანამ, სანამ ეს არ მოითხოვდა ობიექტურმა უღვლილებამ, სივრცე არაინკლუზიური შინაარსის I პირის მრავლობითის ფორმა მთლიანად ემთხვეოდა მხოლობითის ფორმას (მხ. რ. — მ-ულუა, ინკლ. — გუ-ლუა, ექსკლ. — მ-ულუა). აქ თავდაპირველი პრიატული ოპოზიციაც (ნიშნაინი ინკლუზივი — უნიშნო ექსკლუზივი) თანდათან საჭირო გახდა შეცვლილიყო ეკვივალენტური ოპოზიციით (საფეხურებელია, რომ სწორედ ამ მორფოლოგიურმა საჭიროებამ მისცა ბიძგი ნაჲ მაცყა — ნაჲ ნაყა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას). და, ამგვარად, სვანურში ობიექტურ უღვლილებაში ექსკლუზივი საბოლოოდ გაფორმდა სპეციალური ნიშნით -ნ პრეფიქსით. სამაგიეროდ, ოპოზიციაც პრიატული დარჩა სუბიექტურ უღვლილებაში, სადაც არაინკლუზიური (ექსკლუზიური) შინაარსის მრავლობითი მხოლობითის ფორმისაგან ისედაც განსხვავდებოდა მრ. რ. — დ სუფიქსით (მხ. რ. ხუ-ათუ რ — ექსკლუზიური შინაარსის მრავლობითი ხუ-ათუ რ-იდ)<sup>10</sup>. ჩვენგან განსხვავებით, ალ. ონიანი ასკენის, რომ მ- და ხუ-პრეფიქსები ექსკლუზიურ ფორმებში ფლექსიური ხასიათისაა ისტორიულად. მისი ანალიზის შედეგები მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინო: ხუ-ათუ რ — ხუ-ათუ რ-იდ ოპოზიციის ხუ-პირის ნიშანია, ხოლო ხუ-ათუ რ — ლ-ათუ რ-იდ ოპოზიციის იმავე ხუ-ს ექსკლუზივის ნიშნის ფუნქცია აქვს. ანალიზი იმავე პრინციპით ტარდება, როგორცაც მაგ. რუსულში: дела-ю — дела-ем ოპოზიციის -ем მრავლობითის ნიშანია მასში, როდესაც дела-ем — дела-ете ოპოზიციის -ем პირის ნიშანია და, ამგვარად, -ем სუფიქსი ფლექსიური ხასიათისაა. მსგავსი ანალიზის საფუძველზე გ-ხატავ-ის (ის შენ) ფორმები გ-პრეფიქსი თუ ც<sub>2</sub>-ის ნიშანია, გ-ხატავ (მე შენ) ფორმაში იგი ფლექსიური შინაარსისა გამოვა და ც<sub>2</sub>-თან ერთად შესაბამისად დიტივითებოდა S<sub>1</sub> პირის ნიშნის ფუნქციითაც, რაც გამო-

10 სხვათა შორის, ქვემო სვანურში ეს კატეგორია ობიექტურ უღვლილებაში მოიშალა, როგორც ვარაუდობენ, ქართლის გავლენით, რაც, ჩვენი აზრით, განხორციელდა ალბათ იმის გამო, რომ აქ ექსკლუზივის ფორმა, როგორც ჩანს, არ დაპირისპირებია, ერთი მხრივ, ინკლუზივისა და, მეორე მხრივ, მხოლობითის ფორმას (ე. ი. არ მისცემია გასაქანი მ-ნ-ფონეტიკურ პროცესს), მაშინ, როდესაც ქვემო სვანურშივე ეს კატეგორია განაგრძობს არსებობას სუბიექტურ უღვლილებაში სწორედ იმიტომ, რომ ექსკლუზივის ფორმა (ხუ- — ლ) ხუ- S<sub>1</sub> პირის პრეფიქსით უპირისპირდება ინკლუზივისას (ლ- — ლ) და -დ მრავლობითის სუფიქსით — მხოლობითისას (ხუ- — ღ).

რიცხვულია, რადგანაც ცხადია, რომ გ-ხ-ბ ა ე ფორმაში  $S_1$ -ის ნიშანი  $\varnothing$ -ია (რ.შ.ი, ვფქ-რობი, ალ. ონიანოც დაგვეთანხმება). ასევე ვთვლით ხ<sup>ა</sup>-ა თ უ რ ი-დ ფორმასაც: ხ<sup>ა</sup>- მიგვაჩინა პირის ნიშნად, ექსკლუზივის ნიშნად კი  $\varnothing$ .

ბოლო შენიშვნა შეეხება სიტყვას ამოსავალი. რეცენზენტი მოგვფიქრს პრეტენზიას, თითქოს ჩვენ მიზნად გვჭირდეს დასახული ამოსავალი (ამ სიტყვის ამსოლუტური მნიშვნელობით?) ვითარების დადგენა. მაგრამ ამ სიტყვას ჩვენ, ისევე როგორც ალ. ონიანოც (იხ. გვ. 237), ვხმარობთ კონკრეტულ-რელატიური მნიშვნელობით, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ამოსავალ ვითარებად ივარაუდება ენის განვითარების ის პერიოდი, როდესაც ზმნაში ისახებოდა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. ეს პერიოდი კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნდა ემთხვეოდეს საერთოქართველური ფუძე ენის განვითარების იმ საფეხურს, როდესაც ზდება სვანურის გამოყოფა. დიფერენციაციის შემდეგ სვანურში ეს კატეგორია თანდათან გაძლიერდა, მეგრულში კვალაც არ ჩანს მისი არსებობისა, ქართულში კი შესუსტდა და თანდათან გაქრა. ამას გვაჯობდებიან გუ- პრეფიქსის, თუმცა სხვა ფუნქციით, შემონახვა, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს მიცემითში სხვა ენის მიერ ზმნის რიცხვის შეთანხმების სისტემაში დაწყებულ ცვლილებებს (კერძოდ, სტატიკური ზმნების ინვერსიის შედეგად მიცემითში დასმული ობიექტისათვის ზმნის რიცხვი შეთანხმების ძალის თანდათანობითი მოპოვება, რაც I პირიოდს უნდა დაწყებულიყო).

ამგვარად, ჩვენი სტატიის მიზანი იყო გარკვეულ ლინგვისტურ წინამძღვრებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა, თუ რა ლოგიკურ-ფსიქიკური საფუძვლებით შეიძლება ყოფილიყო მოტივირებული ერთი კონკრეტული გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა ამ კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესში. შედეგად მიღებული დასკვნა ერთ-ერთი შესაძლებელი ვარაუდია, რომელსაც, თავისთავად ცხადია, არა აქვს პრეტენზია იყოს ერთადერთი. ამიტომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია რეცენზიის კატეგორიული საპრძოლო ტონი.

ვეთანხმებით პატივცემულ ალ. ონიანს იმაში, რომ „ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიაში დღემდე მოპოვებული კოლოსალური მიღწევების სათანადოდ ათვისება“ აუცილებელია, მაგრამ აქვე ვვინდა შევახსენოთ მას, რომ ამ მიღწევების გამოყენებას წარმატების მოტანა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოყენება 1. თვითმიზნური არ იქნება, 2. მხოლოდ ფორმალურ, ტერმინოლოგიურ მხარეს არ გულისხმობს და 3. ახალ შედეგებს მისცემს მეცნიერებას.

ახლა ვნახოთ, თუ რა სურათს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით თვით ალ. ონიანის ნაშრომი.

ალ. ონიანს ათვისებული და გამოყენებულიც რომ აქვს „ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიაში (და არა მარტო მეთოდოლოგიაში) დღემდე მოპოვებული კოლოსალური მიღწევები“, ეს კარგად ჩანს მისი ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან:

1. წიგნის შესავალ ნაწილში გადმოცემულია თანამედროვე დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში შემუშავებული ლინგვისტური კვლევის, სტრუქტურული ანალიზის პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია რიგ უცხოელ ენათმეცნიერთა ნაშრომებში (ისინი კეთილმინდობით რადა და მოწმობენ); გადმოცემულია აგრეთვე, ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში დიდი ხნის წინათ შემუშავებული და რიგ თანამედროვე უცხოელ თუ საბჭოთა ენათმეცნიერთა შრომებში განვითარებული და დახვეწილი ლინგვისტური რეკონსტრუქციის მეთოდები და ხერხები, რომლებიც საფუძვლად დასდებია ალ. ონიანის ნაშრომს...

2. ნაშრომის ძირითად ნაწილში ავტორი იძლევა ზმნის პირისა და რიცხვის მორფემათა სტრუქტურულ ანალიზს თითოეულ ქართველურ ენაში და ეს ანალიზი მთლიანად ეყრდნობა ქართველ ენათმეცნიერთა მიერ მოპოვებულ მასალას და მათს გამოკვლევებს (ძირითადად ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურას, ი. ყიფშიძის, გ. მკვათაიანისა და სხვათა შრომებს). აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი არაფერია ნათქვამი: ფაქტები დიდი ხანია დადგენილი იყო, ოღონდ ავტორმა სათანადოდ (დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მიღებული წესების მიხედვით) შეცვალა ტერმინოლოგია და მორფემათა ჩაწერის წესები. გამოჩალის წარმოდგენის სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ შრავლობითი რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიები სხვადასხვაა და ზმნაში ისინი განსხვავებული მორფემებით უნდა ყოფილიყო გამოხატული (ავტორის ამ მიგნებას ჩვენს ზემოთ დასახელებულ სტატიამაც განასაკუთრებით აღვნიშნავდით და ვეყრდნობოდით კიდევ მას).

3. ახლა რაც შეეხება დიდი ხნის წინათ დადგენილი ფაქტების იმ ახალ ინტერპრეტაციებს, რომელთაც ავტორი გვთავაზობს თავისი ნაშრომის ძირითად ნაწილში. — შევხებით მხოლოდ რამდენიმე საყვანძო საკითხს, სადაც კარგად ჩანს ალ. ონიანისათვის დამახასიათებელი კვლევის სტილი:



პირველ რიგში ტერმინების — „სავალდებულო“ და „არასავალდებულო“ პირის შესახებ. ავტორი პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემასთან დაკავშირებით (ამ საკითხის მიხედვით მისი განიხილავს ტრადიციული ტერმინების — „სუბიექტი“ და „ობიექტი“ — ვარგისიანობას და დასკვნის, რომ ეს ტერმინები ქართულისათვის არ გამოდგება, რადგანაც ზმნის პირის „ნიშნები არ გამოხატავენ პირის აქტურობა-პასიურობის გამოვლენის დაიბრისპირებას: სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ შეიძლება არც ერთი მათგანის არც სუბიექტური და არც ობიექტური პირის აღნიშვნელად მიჩნევა“ (გვ. 39). ამის საფუძველზე ალ. ონიანი საჭიროდ და უმჯობესად მიიჩნევს არსებულ ტერმინების შეცვლას და გვთავაზობს შემდეგს: „*ვ*/-ს რიგის ნიშანს შეიძლება ვუწოდოთ სავალდებულო ანუ ობლიგატორული პირის ნიშანი, ხოლო *მ*/-ს რიგის ნიშანს — არასავალდებულო ანუ არაობლიგატორული“.

ამ ტერმინების შემოტანას იგი დასაშვებად მიიჩნევს იმ მცდარი დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თითქოს „ქართულში (ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში) არ არსებობს ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც არ შეიცავდეს *ვ*/-ს რიგის ნიშანთა რომელიმე წარმომადგენელს, მაშინ, როდესაც იმავე ფორმაში *მ*/-ს რიგის ნიშნის არსებობა სავალდებულო არაა, ზმნის პირიანი ფორმაში იგი შეიძლება არსებობდეს, შეიძლება არა“<sup>11</sup>. ქართული და ქართველური ენებისათვის ობლიგატორული პირის განსაზღვრა მხოლოდ აბსოლუტური ზმნების კონსტრუქციიდან ამოსული გამართლებული არ არის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში იჩქამლება ქართული ზმნის პოლიპერსონალური ხასიათი, ის, რომ ზმნის პირიანი ფორმაში სუბიექტი ყოველთვის იგულისხმება და აღინიშნება კიდევ ზმნაში, ობიექტი კი შეიძლება არ იგულისხმებოდეს (აბსოლუტურ ზმნებში), ჩვეულებრივია არა მარტო ქართული და ქართველური ენებისათვის, არამედ საერთოდ, ყველა იმ ენისათვის, რომელშიც პიროვანი უღვლილება არსებობს. მაგრამ ქართული და ქართველური ენებისათვის სპეციფიკურია სწორედ ის, რომ, თუ ზმნა იცვლება ობიექტური პირის მიხედვით, მაშინ მისი აღნიშვნა ისევე სავალდებულოა, როგორც სუბიექტური პირისა. ე. ი. სინტაქსური (მართვის) თვალსაზრისით სუბიექტი და ობიექტი თანასწორფუნქციონირებენ. ამიტომ ობლიგატორული პირის განსაზღვრისას რელატიურ ზმნათა გამოირჩევა ქართული და ქართველური ენების შემთხვევაში დაამახინჯება ფაქტობრივ ვითარებას: ქართულში ობიექტური პირი, თუკი ის საერთოდ არსებობს, ისევე ობლიგატორულია, როგორც სუბიექტური. ზოგჯერ კი, მაგ., სუბიექტურ და ობიექტურ პირთა კომბინაციის დროს (ეგრძოდ,  $S_1O_2$  ან  $S_2O_1$  შემთხვევაში) ზმნაში ფორმალურად აღინიშნება გრამატიკული ობიექტი, გრამატიკული სუბიექტი კი აღუნიშნავია, ე. ი. სავალდებულოა სწორედ მანის რიგის ნიშნის წარმოდგენა, ვინის რიგისა კი წარმოდგენილი არ არის, ე. ი.  $O$ -ია (ა. შანიძის აზრით, დაკარგულია)<sup>12</sup>. ამგვარად, ქართულში, ინდოევროპულისაგან განსხვავებით, ობლიგატორულია მანის რიგის ნიშნებით წარმოდგენილი პირიც — მორფოლოგიური ობიექტიც.

ესეც რომ არ იყოს, საკითხავია, რისთვის დასჭირდა ალ. ონიანს ეს უსარტულო რიგი მტყიცებისა, როცა იგი სავალდებულო პირის ქვეშ იმავე ტრადიციულ ე. წ. მორფოლოგიურ სუბიექტის გულისხმობს და არასავალდებულოს ქვეშ — მორფოლოგიურ ობიექტს და არსებითად არაფერს ცვლის, გარდა ტერმინებისა?

და ეს რომ ასეა, ჩანს მისივე სიტყვებიდან: „სავალდებულოა პირი, რომელიც *ვ*/-ს რიგის (ე. ი. სავალდებულო პირის) ნიშნით გამოიხატება, არასავალდებულო კი ის პირი, რომელიც *მ*/-ს რიგის (ე. ი. არასავალდებულო პირის) ნიშნებით გამოიხატება“ (გვ. 51).

მაგრამ პირველ რიგში გასარკვევია, რას გულისხმობს ალ. ონიანი ერთი მხრივ *ვ*/-ს რიგის ნიშნებსა და მეორე მხრივ, *მ*/-ს რიგის ნიშნებში? ტრადიციულად ზომ ვინის რიგის ნიშნებში სუბიექტური პირის ნიშნები იგულისხმება, მანის რიგისაში კი ობიექტური პირისა? ნაშრომის 41-ე გვერდზე ვაშლილი მსჯელობიდან ირკვევა, რომ „სავალდებულო პირის ნიშანთა რიგი იმავე მორფოლოგიურ ერთეულს აერთიანებს, რასაც ტრადიციული თვალსაზრისით ე. წ. „სუბიექტური პირის ნიშნები“, არასავალდებულო პირის ნიშანთა რიგი კი იმავე ერთეულს, რასაც ე. წ. „ობიექტური პირის ნიშნები“ (გვ. 41).

თუ ამ ორ მსჯელობას კატეგორიული სილოგიზმის სახით წარმოვადგენთ, მივიღებთ შემდეგ დასკვნას:

<sup>11</sup> ამასთან დაკავშირებით ავტორი იმოწმებს ა. შანიძის „სავალდებულების“ 172 და 180 გვერდებს, სადაც სულ სხვა რამაა ნაგულისხმევი, მაგრამ ამაზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

<sup>12</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, § 229, გვ. 287.



ვინის რიგის ნიშნები სუბიექტური პირის ნიშნებია  
სავალდებულოა პირი, რომელიც ვინის რიგის ნიშნებით: გამოიხატება

სავალდებულო პირი სუბიექტური პირია

თუ გამოვიყენებთ ტერმინების აღნიშვნას, მივიღებთ კატეგორიული სილოგიზმის I ფიგურის სქემას:

$$\begin{array}{l} M \text{---} P \\ S \text{---} M \\ \hline S \text{---} P \end{array}$$

სადაც „ვინის რიგის ნიშნები“ საშუალო ტერმინია, რომლის საშუალებითაც დგინდება დამოკიდებულება დიდ ტერმინ — „სუბიექტურ“ პირსა და მცირე ტერმინ — „სავალდებულო“ პირს შორის. ზემოთ წარმოდგენილი ორი მსჯელობის (წანამძღვრის) მიხედვით კი ეს დამოკიდებულება ერთადერთი შეიძლება იყოს:  $S=P$ , ე. ი. მიიღება ერთადერთი დანასკვი: სავალდებულო პირი იგივე სუბიექტია. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამ მსჯელობის პირველი წანამძღვარი არ შეიცავს სუბიექტური პირის სრულ აღწერას: ცნობილია, რომ თანამდებროვე ქართულში ინვერსიის პროცესის შედეგად სუბიექტი მთელ რიგ შემთხვევებში მანის რიგის ნიშნებითაც გამოიხატება. ეს შესანიშნავად იცის ალ. ონიანმა (რომელიც პრინციპულად უარყოფს ინვერსიის არსებობას ქართულ ზმნაში) და, ითვალისწინებს რა ამ ფაქტს, ბოლოს და ბოლოს ხსნის ფრჩხილებს და არკვევს მიმართებას სავალდებულო პირსა და სუბიექტს შორის: „სავალდებულო პირი თავისი მოცულობით მთლიანად არ ემთხვევა იმ პირს, რომელსაც ტრადიციულად სუბიექტურ პირს უწოდებენ, ისევე, როგორც არასავალდებულო პირი არ ემთხვევა იმ პირს, რომელსაც ტრადიციულად ობიექტურ პირს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ სავალდებულო არის მხოლოდ ის პირი, რომელიც სავალდებულო პირის ე. ი.  $\{x\}$ -ს რიგის ნიშნებით გამოიხატება. მაშინ როდესაც სუბიექტური პირი არის არა მხოლოდ სუბიექტური პირის ნიშნებით გამოხატული პირი, არამედ ობიექტური პირის ნიშნებით გამოხატული ის პირიც, რომელიც აქტიურია (ე. წ. ინვერსია)“ (გვ. 41). მაგრამ ამ სიტყვების ავტორს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ეს განსხვავება ფორმალურსა და რეალურ ვითარებას შორის საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ასახულია: კერძოდ, სათანადო ტერმინებითაა დიფერენცირებული, ერთი მხრივ, მორფოლოგიური, ისტორიული სუბიექტი და ობიექტი (MS, MO) და, მეორე მხრივ, ლოგიკური, რეალური სუბიექტი და ობიექტი (RS, RO).

ამგვარად, ალ. ონიანი ოსტატურად ათამაშებს სიტყვებს, მაგრამ სიტყვათა ამ წრეში ტრიალიდან ერთდებროვი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ალ. ონიანის მიერ შემოთავაზებული ტერმინები — „სავალდებულო“ ანუ „ობლიგატორული“ პირი და „არასავალდებულო“ ანუ „არაობლიგატორული“ პირი — მთლიანად ემთხვევა და ფარავს შესაბამისი ტრადიციული ტერმინების — „მორფოლოგიური სუბიექტი“ და „მორფოლოგიური ობიექტი“ — გაგებას.

მეუ, რატომ მოანდომა ალ. ონიანმა თავისი ნაშრომის საკმაოდ დიდი ნაწილი ამ ტერმინთა უფლებების მტკიცებას? რისთვის დასჭირდა მას ამ ახალი ტერმინების შემოტანა, თუკი ისინი არსებითად არაფერს ცვლიან? ამის მიზეზი, ვფიქრობთ, უნდა ევაიოთ ლინგვისტიკაში „კოლონალური მიღწევების“ ფორმალური მხარით ზედმეტად გატაცებაში. როგორც ჩანს, ალ. ონიანს ძალიან მოსწონს ტერმინები „ობლიგატორული“ და „არაობლიგატორული“ (რომლებიც ინდივიდუალური ენების ზმნის პირთა გამოხატვის სისტემას კარგად შეეფერება, რასაც ვერ ვიტყვით ქართული ზმნის შესახებ: ინდოევროპულ ენებში ობლიგატორული პირი მხოლოდ სუბიექტური პირია, ქართულში კი ობიექტურიც) და ამაოდ ცდილობს გადმოიტანოს ისინი ქართულში.

ავტორს მტკიცედ სწამს, რომ ზემოხსენებული ტერმინების შემოტანით მან მოხსნა ინვერსიის საკითხი ქართული ზმნის პირთა სისტემაში, მაგრამ სინამდვილეში იგი ჩიხში მოექცა: ქართულ ზმნაში ინვერსიის პროცესის თვითმიზნურმა უარყოფამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თითქოს ქართულურ ენებში სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირების გამოხატვა გვარის კატეგორიის საპირისპირო ფორმებს აკისრია. ამგვარად, მან ორი სხვადასხვა მოვლენა — კონვერსია და ინვერსია აურია ერთმანეთში<sup>13</sup> (ცნობილია, რომ კონვერსიის შემ-

<sup>13</sup> ავი ამიტომაც საყვედურობს იგი არათანმიმდევრულობას ინვერსიის მომხრეთ იმაში, რომ ისინი ენების ფორმებს არ თვლიან ინვერსიულად (იხ. გვ. 32).



თხვევაში პირდაპირი ობიექტი იქცევა სუბიექტად, ხოლო ინვერსიის შემთხვევაში კი პასიურ-სუბიექტიათი გარდაუვალი ზმნის ირიბი ობიექტის გადაზრება ხდება რეალურ სუბიექტად.

სუბიექტური და ობიექტური პირების აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების პირის ნიშანთა ფუნქციალ მიჩნევა, ალ. ონიანის აზრით, იმის შედეგია, რომ „ვეპირის ფორმით გამოხატული მნიშვნელობა პირის ნიშნებს მიეწერაო“ (გვ. 49). მაგრამ, თუ პირის ნიშნების ორი რიგი — სუბიექტური და ობიექტური, ან როგორც ალ. ონიანი ამბობს, /ვ/-ს რიგისა და /მ/-ს რიგისა — პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას არ გამოხატევენ, მაშინ რა არის მათი ფუნქცია? ეს სამართლიანი კითხვა ალ. ონიანსაც ებადება: „მაშინ რა არის მათი ლინგვისტური ფუნქცია, რისთვისაც არსებობენ ისინი ენაში?“, ან იქვე: „რა დანიშნულებას ასრულებს პირის ნიშანთა ორი რიგი? რა ლინგვისტური ფუნქცია განსაზღვრავს მის თანაარსებობას ქართულურ ენებში?“ (გვ. 50) და აი, თურმე რა ყოფილა ქართულურ ენებში პირის ნიშანთა ორი რიგის ფუნქცია: „იმ სპეციფიკის გამოხატვა, რითაც მაგ., ქართული ფორმები მხატვან, გახატვან, ხატავს, მიხატავს, გიხატავს, უხატავს განსხვავდებიან რუსული рисует-ისაგან“ (გვ. 50). მაგრამ რითი განსხვავდება ქართული მხატვან, გახატავს, ხატავს... ფორმები რუსული рисует ფორმისაგან? თავისთავად ცხადია, იმით, რომ ქართულში სუბიექტთან (აქტიურ პირთან) ერთად სათანაოდ აფიქსით გამოხატულია აგრეთვე ობიექტიც (პასიური პირიც), რუსულში კი არა. მაშ, რა ყოფილა პირის ნიშანთა ორი რიგის დანიშნულება ქართულში? პასუხი, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს ალ. ონიანისთვისაც: სუბიექტური და ობიექტური პირის გამოხატვა, ე. ი. პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა (გარკვეული ტიპის ზმნებში დღეს რომ ისტორიული სუბიექტის ნიშნები რეალურ ობიექტს გამოხატავენ და პირიქით, ეს მეორეული მოვლენაა, ინვერსიის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული).

ავტორი ანგარიშს რომ უწყევდეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას და ზედმეტად რომ არ იყოს გატაცებული კვლევის ფორმალური მხარითა და ახალი უცხოური ტერმინოლოგიით, გაახსენდებოდ, რომ ჯერ კიდევ 1928 წელს არს. ჩიქობავამ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (რომელსაც ალ. ონიანი სხვა შემთხვევაში კიდევაც იმეორებს), საფუძვლიანად გააანალიზა ეს საკითხი როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ასპექტში და ქართული ზმნის სპეციფიკა, რაც ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის მთელ რიგ თავისებურებებს იწვევს, შემდეგ სინტაქსურ ცნებებში გადმოსცა: კოორდინაცია, ძირითადი კოორდინაცია, მცირე კოორდინაცია. არს. ჩიქობავას აზრით, „ქართულში და სხვა ქართულურ ენებში უნდა განვასხვავოთ სუბიექტი, ობიექტი ზმნის თვალსაზრისით, ზმნაში პირის აღნიშვნის თვალსაზრისით, — მორფოლოგიური სუბიექტი, ობიექტი, — და სუბიექტი, ობიექტი შესიტყვების თვალსაზრისით, — სინტაქსური სუბიექტი... სინტაქსური ობიექტი... მორფოლოგიური S, O უღრის სინტაქსურს, თუ ზმნა ერთპირიანია, მორფოლოგიური S, O არ უღრის სინტაქსურს, არსებითად განსხვავდება მისგან, თუ ზმნა ორპირიანია“<sup>14</sup>. ქართული რელატიური ზმნის შემცველ წინადადებაში მართვის ადგილს იჭერს კოორდინაცია. აქ „არა გვაქვს ოდენ მართული ზმნა-შემასმენელი, არც ოდენ მმართველი (ზმნისა) სახელი — ქვემდებარე, არც სახელი, არც მართული ზმნის მიერ — დამატება. არის მხოლოდ კოორდინაცია: კოორდინატი არის წვერი კოორდინაციისა ანუ კოორდინაციით მონაწილე სიტყვა“<sup>15</sup>.

ამრიგად, საჭირო იყო ქართულიათვის სპეციფიკური სინტაქსური ცნებებისა და მათი შესაბამისი ტერმინების შემოტანა (რაც უკვე გაკეთებულია გრამატიკულ ლიტერატურაში) და არა მორფოლოგიური ტერმინების შეცვლა, რაც ახალს არაფერს იძლევა, ვარდა იმისა, რომ მათი ინარჩუნა, როგორც ზემოთ ვნახეთ, დაახინჯებს ქართული ზმნის პირების სისტემაში არსებულ ფაქტობრივ ვითარებას. ალ. ონიანის მიერ შემოთავაზებული ტერმინებით ქართული ზმნის პირთა სისტემის აღწერის შემთხვევაში ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული არა-ქართველი არ მიიღებს სწორ ინფორმაციას და ვერ გაერკვევა რეალურ ვითარებაში, რადგანაც ასეთი ინტერპრეტაციით დამიხატავს ის მე მას და დამიხატავს მე ის (ან დამიწერს ის მე მას და დამიწერია მე ის) ან თუნდაც მიწერია ის მე და დამიწერია მე ის წყვილებში მ-პარფიქსით გამოხატული პირები თანაბრად არაობლივატორულია, ხოლო -ს და -ა სუფიქსებით გამოხატული პირები — თანაბრად ობლივატორული. ეს კი ვერ ასახავს იმ განსხვავებას, რომელიც რეალურად არსებობს მათ შორის: ობლივატორულის ქვეშ პირველ შემთხვევაში რეალური სუბიექტი ივლიოსხმება, მეორე შემთხვევაში კი რეალური ობიექტი; ასევე, არაობლივატო-

14 არს. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 232.  
15 იქვე, გვ. 233.

რულის ქვეშ პირველ შემთხვევაში რეალური ობიექტი იგულისხმება, მეორე შემთხვევაში კი რეალური სუბიექტი.

როგორც ვხედავთ, ალ. ონიანმა მის მიერ შემოტანილი ახალი ტერმინებით მიჩვენა და სრულიად ამოავლინა განხილვის სფეროდან ქართული ენის განვითარების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი — ზმნის პირთა ინვერსიის საკითხი. მისი ტერმინები ვერ ასახავენ სწორად ქართული ზმნის პირთა გამოხატვის სისტემის ვერც თანამედროვე საფეხურს, ამგვარად, ალ. ონიანმა ვერ ახსნა და ვერც მოხსნა ინვერსიის პრობლემა.

ლიაქრონიის მონაცემებისა და ქართული გრამატიკული ლიტერატურისადმი ტენდენციურმა მიდგომამ (ზოგჯერ კი მათმა უგულვებელყოფამაც) ავტორი სხვა გაუგებრობებამდე მიიყვანა:

III სერიის ფორმებით, რომელთა წამომავლობა ნათელია და ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია სათანადოდ ახსნილიც და კაშუქებულიც<sup>16</sup>, ალ. ონიანი სვამს უცნაურ კითხვას: „რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გარდამავალ ზმნათა III სერიისათვის აბსოლუტურად უცხოა სამპირიანობა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა არის იმისი მიზეზი, რომ სამპირიანი გარდამავალი ზმნა III სერიაში აუცილებლად ორპირიანი ხდება?“ (გვ. 48), და იქვე, სრულიად სერიოზულად შემდეგს პასუხს იძლევა: „არადანაც გარდაუვალი ზმნისათვის ტიპურია არა სამპირიანობა, არამედ ერთ ან ორპირიანობა, ამიტომ ხდება სამპირიან ზმნაში პირის (არასავალდებულო ა-ს დაკლება, სავალდებულო პირი არასავალდებულო ა-დ იქცევა, ხოლო არასავალდებულო — სავალდებულოდ (შდრ. „კონსტრუქციის ანალოგიური შეცვლა მოქმედებით გვარის ფორმის ვნებითად გადაყვანის დროს“, გვ. 48).

ნუთუ მართლა ჰგონია ალ. ონიანს, რომ გარდამავალი სამპირიანი ზმნა III სერიაში ორპირიანად იქცევა? განა მან არ იცის, რომ ისტორიულად III სერიის ფორმა დამიწერია მე ის მიღებულია მიწერია ის მე რელატიურ-გარდაუვალი ზმნის ინვერსიის გზით და არა ვწერ ფორმის ინვერსიით, მით უფრო, კონვერსიით? და რომ არავითარი გადაქცევა სამპირიანი ფორმისა ორპირიანად არ ხდება?

ალ. ონიანს არასწორად ესმის ინვერსიის არსი და კვლავ კონვერსიაში ურევს მას. ისტორიული ვითარება რომ გაეთვალისწინებინა, იგი „ინვერსიის მოძღვრების ყველაზე არსებით ნაკლად“ არ ჩათვლიდა იმას, რომ ინვერსიულად არ არის მიჩნეული ვნებითი გვარის ფორმები, სადაც პასიურ პირს ვინის რიგის ნიშნები გამოხატავს (გვ. 30). ასევე, ისტორიული ვითარება რომ გაეთვალისწინებინა, მას აღარ მოეჩვენებოდა წინააღმდეგობად და პარადოქსულ ვითარებად ის, რომ III სერიის მწკრივებში სუბიექტური პირის ნიშნებს ირიბობაქტურული პირის ნიშნები ენაცვლება და არა პირდაპირობიექტურული პირისა (რასაც კიდევ უფრო ცხადყოფს სვანური ზმნის მაგალითი: ხ-ომპრა). და უოველივე ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ალ. ონიანის ნაშრომი ეძღვნება ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხებს.

ჩვენ აღარ შეეჩერდებით სხვა კერძო საკითხებზე, რომელთა ავტორისეული ინტერპრეტაციები დავას იწვევს. ვფიქრობთ, ზემოთ ნათქვამიდანაც კარგად ჩანს, თუ რა წარმატება შეიძლება მოიტანოს ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში „კლასიკური მიღწევების“ ფორმალური მხარით ზედმეტმა გატაცებამ.

<sup>16</sup> ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VI, 1955 წ.

## არამ მარტიროსოვი

## ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები

ბიბლიის წიგნთა შორის ფსალმუნს, რომელიც ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლების რიცხვს ეკუთვნის, განსაკუთრებული ადგილი უკავია. აღიარებულია, რომ ძველი აღთქმის წიგნებიდან ქართულად ყველაზე ადრე ფსალმუნი უნდა ეთარგმნათ (კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ჟ. გარითი), რომელმაც იმავეითვე დიდი გავლენა მოახდინა ძველ ქართულ მწერლობაზე და ქართული ენის განვითარებაზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი მონოგრაფიულად შესწავლილია მზექალა შანიძის მიერ, რომელმაც ფსალმუნსა და ფსალმუნთან დაკავშირებულ რთულ პრობლემებს ორი დიდი ნაშრომი მიუძღვნა. 1960 წელს მან გამოსცა მის მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი „ფსალმუნი“<sup>1</sup>, რომელსაც ახლავს 11 ტაბულა, წინასიტყვაობა და შესავალი, ბოლოში კი დაერთვის ორი დანართი: I. თქმული ნეტარისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა აღექსანდრიელისაჲ ძალისათჳს ფსალმუნთაისა... და II. გიორგი მთაწმიდლისელი რედაქციის ვარიანტები. გამოცემაში დაბეჭდილია ფსალმუნის სამი რედაქცია ცხრა ხელნაწერის მიხედვით.

სარეცენზიო ნაშრომი „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“, რომელიც „მეცნიერებათა“ გამოსცა, წარმოადგენს ქართული ფსალმუნის ისტორიულ-ფილოლოგიურ ანალიზს. იგი ძირითადად ავტორის მიერ გამოცემულ ტექსტს ემყარება, მაგრამ ამასთან ერთად გამოყენებულია სხვა მასალებიც, უპირველეს ყოვლისა ქართული ფსალმუნის გამოუქვეყნებელი ხელნაწერები, რომლებიც დამატებით ცნობებს აწვდიან ავტორს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამავე მიზნით შესწავლილი და შემოწმებულია სხვა თხზულებებიც, რომლებშიც ფსალმუნის ციტატები ან სხვა მასალა მოიპოვება (ახალი აღთქმა, სინური მრავალთავი, ლექციონარები და სხვა). გამოკვლევისათვის გამოყენებულია აგრეთვე ავტორის მიერ შედგენილი ფსალმუნის სრული სიმფონია, რომელიც ცალკე დაიბეჭდება. მისში მოცემული იქნება ტექსტის ლინგვისტური ანალიზიც.

სარეცენზიო ნაშრომი ოთხი თავისაგან შედგება: I თავში გარკვეულია ფსალმუნთა წიგნის ქართული თარგმანების შედგენილობა და სტრუქტურა. II თავში დახასიათებულია ხელნაწერის შედგენილობა და მასში შემავალი თხზულებები. III თავი ეხება ფსალმუნთა წიგნის ქართულ ტექსტს, ხოლო IV თავში მიმოხილულია თარგმანები და მათი მნიშვნელობა ფსალმუნთა წიგნის ტექსტის ისტორიისათვის. აქ შემოდის: „შატბერდის კრებულის“ თარგმანება, ეფთჳმ მთაწმიდლის თარგმანი ბასილი კესარიელის „ფსალმუნთა თარგმანებისა“ და ეფთჳმ მცირის თარგმანება. ნაშრომს წინ ერთვის შესავალი, ბოლოში კი — ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე, ტექსტის დამოწმებულ ადგილთა საძიებელი და დამოწმებული ქართული ხელნაწერები.

ქართული ფსალმუნის სხვადასხვა რედაქციათა უშუალო ტექსტობრივ შესწავლამდე ავტორის გაუთვალისწინებელი ზოგიერთი სხვა მონაცემი, როგორცაა: ფსალმუნთა წიგნის ქართული სახელწოდება, ტექსტის მოცულობა, ფსალმუნთა რიცხვა და თანამიმდევრობა, დასათუთება, დამუხლვა, გალობები, კანონები და სხვა მაჩვენებლები, რადგანაც სხვადასხვა რედაქციასა და ხელნაწერში ამ მხრივ განსხვავებული სურათია. მას შეუსწავლია ფსალმუნთა წიგნის ქართულ თარგმანთა სტრუქტურისა და შედგენილობის ისეთი საკითხებიც, რომლებიც ამა თუ იმ მთარგმნელობითი ტრადიციისა და კულტურულ-ისტორიული კავშირების ამსახველია და, ამდენად, ხელს უწყობს ქართული ფსალმუნის ტექსტის ისტორიის გარკვევას. ამავე მიზნით მას განუხილავს აგრეთვე ლიტურგიულ პრაქტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი ჩვენება, რომელიც ფსალმუნის უძველეს ქართულ ხელნაწერებში მოიპოვება.

<sup>1</sup> ქართული ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, I, ტექსტი, ძველი ქართული ენის ძეგლები, II, თბილისი, 1960.

ავტორის გადმოცემით, ქართული ფსალმუნის უძველეს ხელნაწერთაგან ტექსტის დასაწყისში სათაური არსად არ გვხვდება, მაგრამ ამ წიგნის სახელწოდება არაერთგზისაა ნახსენები ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებშივე, რაც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ ამ წიგნს ძველადვე რამდენიმე სახელი ჰქონდა: „დავითნი“ ან „დავითნი“, „წიგნი ფსალმუნთა“, „ფსალმუნი“ ან „საფსალმუნე“. ამთაგან „ფსალმუნი“ შემოსულია ბერძნულიდან ბრალდებითი ბრუნვის ფორმით (ა. შინიძე). სახელწოდება „დავითი“ ან „დავითნი“-ც ქართულში ბერძნული მთარგმნელობითი ტრადიციის შედეგია, რაც შეეხება „საფსალმუნე“-ს, ავტორი იზიარებს ნ. მარისა და რ. ბლუეის მოსაზრებას და მას სომხურის მიხედვით შექმნილ სიტყვად მიიჩნევს.

ავტორის ცნობით, ფსალმუნთა რაოდენობა ქართულ ხელნაწერებში ყოველთვის ერთნაირი არ არის: ზოგში 150 ფსალმუნია, ზოგში კი — ერთით მეტი. ფსალმუნთა რაოდენობა უცხოეთიდან ვერსიებშიც, რომელთაც შეიძლება ქართული ტექსტი უკავშირდებოდეს, ზოგჯერ ასეთივე განსხვავებაა. მისი ვარაუდით, როგორც უ, ისე ყ, რედაქციის ქართულ ანტიტექსტში მხოლოდ 150 ფსალმუნი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს „შეშინაიის წამების“ ავტორის ცნობა: „ასერგასისნი იგი ფსალმუნნი ზემირით დაისწავნა“. ძველ რედაქციებში ფსალმუნთა რიცხვის არაერთგვარობა და გიორგი მთაწმიდლისეულ ტექსტში 151-ე ფსალმუნის დამკვიდრება, ავტორის აზრით, ასახავს ტექსტის ისტორიის სხვადასხვა ეტაპს და სხვადასხვა ტრადიციას.

ფსალმუნთა წიგნი ებრაულ მასარეთულ ტექსტში ხუთ ნაწილად ანუ ხუთ წიგნად არის გაყოფილი. ჩვენი ავტორის გამოცემაში გამოყენებულ უძველეს ქართულ ხელნაწერთაგან არც ერთს არა აქვს მსგავსი დაყოფა, მაგრამ სხვა წყაროთა ჩვენება მას მიანიშნებს იმაზე, რომ ფსალმუნის წიგნადვე დაყოფა ქართულშიც უცნობი არ უნდა ყოფილიყო.

სარეცენზო ნაშრომში ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ქართული ფსალმუნის მუხლობრივი დაყოფისა და სტიქომეტრიის ზოგიერთ საკითხს. ძველი ქართული წყაროების ჩვენებით იგი ქართული ფსალმუნის რედაქციებში მუხლბუნად დაყოფის ორ განსხვავებულ სისტემას აღასტურებს და ამასთან დაკავშირებით არ იზიარებს პ. ინგოროყვას მოსაზრებას, თითქოს ქართულ თარგმანში გადმოცემული იყოს ებრაული დედნის „სტროფული შედგენილობა“. იგი შენიშნავს, რომ ქართული ფსალმუნის ებრაულიდან თარგმანს სამეცნიერო ლიტერატურაში არაიქნა დაუმტკიცებია; პირიქით, ფილოლოგიური და ტექსტობრივი ანალიზი ქართული ფსალმუნისა ყოველთვის სხვა სავარაუდო წყაროზე მიუთითებს. ამიტომ პ. ინგოროყვას მიერ ქართული ტექსტის ებრაულიდან მომდინარეობის ისე ხსენება, თითქოს ეს ფაქტი საყოველთაოდ იყოს ცნობილი, საქმის ნამდვილ ვითარებას არ გამოხატავს. რაც შეეხება მუხლბუნა რაოდენობას, იგი ფსალმუნის ებრაულ და ქართულ ტექსტებში განსხვავებულია. მთელი ფსალმუნი ებრაულში 2527 მუხლს შეიცავს, ძველ ქართულ ვერსიებში კი 2900 მუხლია. ესა და ზოგი სხვა გარემოებაც საბუთს აძლევს ავტორს, დაასკვნას, რომ „არც ფორმობრივი და არც შინაარსობრივი ანალიზი პ. ინგოროყვას მიერ „წყობილი სიტყვის“ ნიმუშად მოყვანილი ფსალმუნის ტექსტისა არ იძლევა საბუთს, რომ ქართული ებრაულიდან ნათარგმანად მივიჩნიოთ და რომ A-ს და გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტის მუხლობრივი დაყოფის საფუძველზე ქართულში ებრაული შესატყვისი ლექსური ზომა ეკმებოთ“ (გვ. 60). მას ამავე დროს სწორად არ მიაჩნია პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრება, თითქოს გალობათა დართვა ფსალმუნის ტექსტზე მართოდენ ქართული ფსალმუნისათვის იყოს დამახასიათებელი. სინამდვილეში, — დასძენს იგი, — ბიბლიური გალობები ლიტურგიული ფსალმუნის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და, ქართულის გარდა, სხვაგანაც ვხვდებით.

სარეცენზო ნაშრომის ავტორის გამოუყენებია ფსალმუნთა თარგმნები, რომლებიც დამატებით მასალას იძლევიან ამა თუ იმ ტიპის ტექსტის დასადგენად და ზოგჯერ ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ ამა თუ იმ რედაქციის სავარაუდო ტექსტზე დასაკვირვებლად. ვინაიდან ფსალმუნთა თარგმნები გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელია, ავტორს უშუალოდ დაკვირვებები უწარმოებია სათანადო ხელნაწერებზე და მათთან დაკავშირებული ზოგი ტექსტოლოგიური ხასიათის საკითხს გაურკვევია. ფსალმუნთა ტექსტისათვის დამატებითი ცნობების მოსაპოვებლად მას შეუწავლია აგრეთვე ფსალმუნის ციტატები ზოგიერთ თხზულებაში, მაგალითად, 864 წელს გადაწერილ „სინურ მრავალთავში“ იგი ფსალმუნის ასამდე ციტატას აღასტურებს.

სარეცენზო ნაშრომში საფუძვლიანად შესწავლილია ფსალმუნთა ქართული ტექსტი ყველა რედაქციისა და ხელნაწერის მიხედვით. გარკვეულია ამ რედაქციათა ურთიერთმიმართება და გამოთქმულია სათანადო მოსაზრებანი თითოეული მათგანის წარმომავლობის შესახებ.

ტექსტის გამოცემისათვის გამოყენებულ ცხრა ხელნაწერთაგან ნაშრომში პირველ რიგში მიმოხილულია A ხელნაწერი („მცხეთის დავითნი“), რომელშიც მილიანად მხოლოდ C რედაქცია არის წარმოდგენილი. გარკვეულია, რომ ეს ხელნაწერი თავისი შედგენილობით განსხვავდება როგორც 4, ისე 7 რედაქციის ხელნაწერთაგან. მოცულობით იგი ბერძნულზე ბევრად უფრო მცირეა. მაგალითად, დასაწყისშივე ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული ბერძნული ობზოლებების მთელი შესავალი ნაწილი, სადაც ლაპარაკია ბბლისა თითოეული წიგნის დანიშნულებაზე ცალ-ცალკე. ის ნაწილიც, სადაც ზოგადი დახასიათება მოცემული ფსალმუნთა წიგნისა, აგრეთვე ძალზე მოკლეა ბერძნულთან შედარებით და შინაარსობრივად ზუსტად არ მისდევს მას. თანამიმდევრობა ტექსტისა აგრეთვე სხვადასხვაა. ყოველივე ეს ნაშრომის ავტორს ავარაუდებინებს, რომ ქართული ტექსტი უნდა წარმოდგენდეს არა ბერძნული დედნის უშუალო თარგმანს, არამედ მის თავისებურ გადამუშავებას, რომელიც, შესაძლოა, ბერძნულიდან არ მოდის. საკუთრივ ფსალმუნისა და გალობებისა მასში შედის რამდენიმე სხვა ობზოლებმა თუ ობზოლებათა ფრაგმენტები, რომლებიც შინაარსობრივად დავაგარბებულია ფსალმუნთა წიგნთან. ავტორის დასკვნით, ის ფაქტი, რომ A-ში შესული ობზოლებები სხვადასხვა ენიდან ჩანს თარგმნილი, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ შემდგენელს ისინი კი არ უთარგმნია, არამედ აუღია უკვე არსებული თარგმანებიდან. ეს ობზოლებანია ათანასის ალექსანდრიელის „ეპისტოლე მარკელინუსადმი“, რომელიც სომხურიდან არის ნათარგმნი; ებიფანე კვარელის „ზომისათვის და საწყაულთა“, რომლის ცალკეული ფრაგმენტები აქამდე მხოლოდ „შატერდის კრებულში“ ჩანდა და რომლის მილიანი ძველი თარგმანის არსებობას გვაგარაუდებინებს „მცხეთის დავითნი“. მის ნათარგმნ წყაროდ სომხური ან სირიული უნდა მივიჩნიოთ; დბოლოს, უნდა დავასახელოთ ევსევი კესარიელის ფსალმუნთა თარგმანება, რომლის ქართული თარგმანის არსებობა დღემდე ცნობილი არ იყო; ამ ობზოლების ფრაგმენტები, რომლებიც „მცხეთის დავითნი“ გვხვდება, უშუალოდ ბერძნულდან ნათარგმნის შთაბეჭდილებას ტოვებს (გვ. 106—107).

ფილოლოგიური ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ C და 4 რედაქციები, რომელთა ხელნაწერები ქრონოლოგიურად ერთი პერიოდისაა, ტექსტობრივად საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან, უფრო მეტიც, ერთი საკმაოდ დიდი ნაწილი ტექსტისა ორსავე ევრსიაში სრულიად ერთი და იგივეა. C და 4-ს მსგავსება კიდევ უფრო ნათლად ჩანს, როცა ავტორი მათ სპეციფიკურ წაითხვევებს 7 რედაქციის შესაბამის ადგილებს უღარებს, მაგრამ, ამასთან ერთად, C და 4 რედაქციათა შედარებით ისიც ირკვევა, რომ რიც შემთხვევაში 4 გარკვევით უპირის-პირდება C-ს, რაც იმას ადასტურებს, რომ C და 4-ს, საერთო წარმომავლობის მაჩვენებელი იდენტური ნაწილის გარდა, აქვთ თავთავისი განსხვავებული რედაქციული ფენები, რომლებიც ამ ევრსიათა საბოლოო სახით ჩამოყალიბებისათვის ნაშრომის ავტორს სხვადასხვა გზას ავარაუდებინებს.

ებრაულის, ბერძნულის, სომხურისა და სირიულის საფუძვლიანი ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს საგანგებო ყურადღებით მოეციდოს და ქართული ფსალმუნი შეისწავლოს არაქართულ თარგმანებთან შეჯერების თვალსაზრისით და დაადგინოს მისი მიმართება უცხოენოვან წყაროებთან. ამ მხრივ მას უტყდა, გავრკვია არა მარტო ის, თუ პარალელურ ტექსტთაგან ქართული რომელი უქრის მხარს, არამედ ისიც, თუ ამ ენებზე არსებული რომელი ტიპის ტექსტს მისდევს იგი, რადგანაც ამგვარი ძიება, როგორც თვით ავტორი სამართლიანად შენიშნავს, მარტო საკუთრივ ქართული ტექსტის დასადგენად როდია საჭირო. თვით ქართულ თარგმანს არცთუ მცირედი მნიშვნელობა აქვს სხვა თარგმანთა ისტორიისათვის.

შეპირისპირებული მასალის საფუძველზე სარკეწნო ნაშრომის ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ C და 4 რედაქცია ჩვეულებრივ ყველაზე უფრო ახლო შინაარსულ მსგავსებას სომხურ ტექსტთან ავლენს. ძველ ევრსიათა წარმომავლობისა და ურთიერთმიმართების გარკვევისას იგი თვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ C და 4 რედაქციებში გვაქვს ისეთი ადგილებიც, რომელთაც პარალელი არ ექვანება არც ერთ ამჟამად მისთვის ხელმისაწვდომ ევრსიაში.

ნაშრომში დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ C და 4 რედაქციები საერთო წარმოშობისაა, რომელთა ტექსტს, ავტორის ვარაუდით, საფუძვლად უდევს ერთი არქეტიპი. ამ საერთო არქეტიპის სხვადასხვაგვარი რედაქტირებისა და გადამუშავების შედეგს წარმოადგენს C და 4 რედაქციები იმ სახით, რა სახითაც ჩვენამდეა მოღწეული X საუკუნის ხელნაწერებში. ორივეში გამოიყოფა სულ ცოტა ორი ძირითადი ფენა: ერთი მათგანია უძველესი თარგმანი, რომელიც ორსავე რედაქციაში საერთოა. მეორადი ფენა C და 4-ში საკმაოდ დიდ სხვაობას იძლევა. პირველადი ფენის დიდი სიახლოვე ფსალმუნის სომხურ ტექსტთან ავტორს ავარაუდებ-



ბინებს, რომ უძველესი ქართული თარგმანის დედანი უნდა ყოფილიყო ძველი სომხური ტექსტი, რომელიც ჩვენამდე მოღწეული არაა და რომლის გვიანდელი ვადამუშავებული ვარიანტი წარმოადგენლია სომხური ფსალმუნის დღევანდელ ტექსტში. შემდგომი ცვლილება არქიტისისა, რომელიც გარკვევით ბერძნულის გვიყენებს, ავტორის აზრით, **ტ** და **ჟ** რედაქციაში ცალ-ცალკე უნდა მომხდარიყო. კერძოდ, იგი იმოწმებს სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურ შემთხვევებს, რომლებიც უშუალოდ ბერძნული ენიდან უნდა იყოს გადმოღებული. ამის ნიმუშად ავტორი ასახელებს ნათესაობითი ბრუნვის ან ნანათესაობითი ორმაგი ბრუნვის ფორმის ხმარებას იქ, სადაც ბერძნულში შესაბამისი ზმნა ნათესაობით ბრუნვაში მოითხოვს მასთან დაკავშირებულ სახელს. ამასთან ერთად, გარკვეული ნიშნების მიხედვით ავტორს გამოირჩეულად არ მიაჩნია არც სირიულის გავლენა ძველი ქართული ფსალმუნის უძველეს თარგმანზე, მაგრამ დასძენს, რომ ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ის გარემოება, რომ **ტ** და **ჟ** ნუსხები ქრონოლოგიურად თითქმის ერთანობითაა (**X** საუკუნეზე აღრინდელი არ არის), კითხვას სვამს ავტორი: დასაშვებია თუ არა ამ ორი რედაქციის ერთდროულად, პარალელურად არსებობა? მისი ცნობით, **ტ**-ში არის მთელი რიგი ისეთი ტექსტობრივი ნიშნები, რომლებიც მეტად აკავშირებს მას **ტ**-სა და **ჟ**-ს პროტოტიპთან, მაგრამ, მეორე მხრივ, თვალში საცემია სრული თანხვედრა ზოგი ნიშნისა **ტ** **ჟ**-ში. ასეთია, როგორც ზემოთ აღინიშნა, მუხლობრივი დაყოფა და სტიქიმეტრია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლიტურგიული ხმარებისათვის განკუთვნილი მაჩვენებლები — გალობები, კანონები და კანონთა შიგნითა დაყოფები, — სრულიად ერთგვარია როგორც **ტ**-ში, ისე **ჟ**-ში. ყველაფერი ეს ავტორს აფიქრებინებს, რომ **ტ** და **ჟ** ტიპის ტექსტის და შესაბამისად მისი ამსახველი ხელნაწერები მეათე საუკუნისათვის პარალელურად უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ის ფაქტი, რომ **ტ**-ს მეტი რაოდენობით აქვს შენარჩუნებული არქაულ პროტოტიპთან საერთო იკითხვისებები, დასძენს ავტორი, თავისთავად არ გამოირიცხავს მისი ხმარებაში ყოფნის შესაძლებლობას. სხვა საკითხია, თუ როგორი ხვედრითი წილი უნდა ჰქონოდა **X—XI** საუკუნეებში ორივე ტიპის ტექსტს ცალ-ცალკე და რომელი უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული — დღემდე მოღწეულ 2 ტიპის ხელნაწერთა მეტი რაოდენობა, მათი ცალკეულ იკითხვისათა მეტი სიახლოვე ბერძნულ ტექსტთან, ეფთვიმე ათონელის ფსალმუნთა თარგმანებაში დამოწმებული ტექსტის ახალი კავშირი **ჟ**-სთან, აგრეთვე გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტისა და **ჟ**-ს ხშირი თანხვედრა, ავტორის ვარაუდით, იმაზე მიუთითებს, რომ **ჟ** რედაქცია უნდა იყოს ქართული ფსალმუნის პროტოველგატა — ტექსტი, რომელსაც გიორგი მთაწმიდელი „ქართულ დაითვის“ უწოდებს. ორივე რედაქციის შესახებ გამოტანილი საერთო დასკვნა ასეთია: **ტ** და **ჟ** რედაქციების სახით ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მოდიფიკაცია უძველესი ტექსტისა, რომელიც შეასწორებს მეშვიდე ან მერვე საუკუნეში, ორივე ტიპის ტექსტს (თავისებურად ვარიანტებით) ხმარებაში უნდა ყოფილიყო იქამდე, სანამ გიორგი მთაწმიდლის თარგმანი გახდებოდა კანონიერი საეკლესიო პრაქტიკაში.

სარეცენზიო ნაშრომში სავანებოდ არის განხილული გიორგი მთაწმიდლის რედაქცია. აღნიშნულია, რომ ფსალმუნის ყველა ქართულ ვერსიათა შორის იგი ერთადერთია, რომლის წარმოშობისა და ისტორიის შესახებ გარკვეული ხასიათის ისტორიული ცნობები მოგვეპოვება. პირველ რიგში ამ ცნობებს გიორგის ანდერძში ვპოულობთ, სადაც ნათქვამია: „...ეთარგმნენ ესე დაივინი ახლად ბერძნულსაგან ქართულად მე, გლახაკანი გიორგი, ...ფრიადითა ქრითთა და რულენებითა...“

ცნობილია, რომ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანის ხელნაწერები საერთოდ ბევრია, აღონდ აღრეული — მისი დროისა — სულ არ მოგვეპოვება (ვაშლიძეში ტექსტი დაბეჭდილია **XIII—XIV** სს. მიხედვით). **ტ** და **ჟ** რედაქციებთან და ბერძნულ ტექსტთან გიორგისეული ფსალმუნის შედარების შედეგად წიგნის ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ გიორგის ნამუშევარი (მოუხედავად მისი ანდერძის ცნობისა) დამოუკიდებელ, ცალკე თარგმანად არ ჩაითვლება. ეს არის ძველი ტექსტის — „ქართული დაივინის“ — ბერძნულის მიხედვით გადამუშავება-რედაქტირების გზით მიღებული ახალი რედაქცია; რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული სალიტერატურო ენის კვლევისათვის და რომელიც მეტად საინტერესო შესაძლავს გვაწოდებს გიორგის თარგმნელობითი მეთოდისა და ხერხების გამოყენებას, ისე მისთვის სპეციფიკურ ენობრივ თუ სტილისტიკურ თავისებურებათა დასახასიათებლად.

სარეცენზიო ნაშრომი იმდენად სრულყოფილია, რომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ავტორს ვაუწყობაროთ მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათის ორიოდე შენიშვნა.

1. ცნობილია, რომ „ფსალმუნთა“ წარმოშობით ბერძნული სიტყვაა. ა. შანიძის აზრით, მასში უ მიღებულია ო-საგან ზაენსმიერის **მ** ბგერის გავლენით, სიტყვა ნასესხებია ბერძნული

ბრალდებითის ფორმით, რაც ამვე დროს მაჩვენებელია იმისა, რომ იგი სომხურიდან არ შეიძლება მოდიოდეს. ჩვენი ავტორის დაკვირვებითაც, „ფსალმუნი“, მართლაც, უშუალოდ ბერძნულიდან უნდა იყოს შემოსული, ოღონდ ზეპირი გზით (გვ. 17). თუ გავითვალისწინებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ფსალმუნთა წიგნი ქართულად მეოთხე საუკუნეში თუ არა, მეხუთეში მიიწვ უნდა ეთარგმნათ (ა. შანიძე)<sup>2</sup>, რამდენადა მოსალოდნელია, რომ აღრეკრისტიანულ პერიოდში ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ლიტურგიული ხასიათის ეს ტერმინი ქართულში ზეპირი გზით შემოსულიყო? და თუ მიიწვ ამ გზას ვივარაუდებთ, რა ნიშნების მიხედვით?

2. „საფსალმუნე“, რომელიც ბერძნ. **ψαλμურια**-ისა და სომხ. **Սաղմսարան**-ის ტოლფარდი ტერმინია, ნ. მარსა და რ. ზღვიკის სომხურის მიხედვით შექმნილ სიტყვად მიიჩნევათ. ამ მოსაზრებას ჩვენი ავტორიც იზიარებს და თავის მხრივ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „საფსალმუნე“ ქართულში იშვიათად ხმარებული სიტყვაა, უმთავრესად დასტურდება „შატბერდის კრებულში“, იმ თხზულებებში, რომლებიც სომხურიდანაა თარგმნილი (გვ. 19). ეს ფაქტი და აგრეთვე ზოგი სხვა ვარაუდებიც, რა თქმა უნდა, ანგარიშსაკაწრეია, მაგრამ საკმარის მახუთად ვერ გამოდგება წამოყენებული მოსაზრების დასამტკიცებლად. თუკი იმ აზრს ვაღვაწავთ, რომ ტერმინი „ფსალმუნი“ უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობს, ნახსენებია ბერძნული ბრალდებითის ფორმით და ამიტომ იგი არ შეიძლება სომხურ **Սաղմս**-ს დაუკავშირდეს, მაშინ რა აუცილებელია, რომ ამ მოსაზრებით ფორმიდან წარმოქმნილი ქართული სიტყვა „საფსალმუნე“ სომხ. **Սաղմսարան**-ის მიხედვით იყოს გაკეთებული? ასეთი წარმოება ხომ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო თვით ქართულის ნიადაგზე და აგრეთვე ბერძნული ფორმის მიხედვითაც.

3. ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის, რატომ უნდა ჩაითვალოს სომხურის კალკად ქართული **ՇԸ** ტექსტიდან დამოწმებული ეს მაგალითი: „არტა უქუენისმდე დამპარხოს მანკირება“ (გვ. 138) — ხე იჯ **յակիտხն պանկ იխ**. ავტორის დაკვირვებით, „დამპარხოს მანკირება“ ვადმოცემულია დასახელებული სომხური წინადადების ორი უკანასკნელი სიტყვის მიხედვით: **պანკ იխ**. თუ მიანდებამინც კალკს ვივარაუდებთ, მაშინ სირიულის ჩვენებასაც ანგარიში უნდა გაეწიოს, ქართ. „დამპარხოს“ ადგილას იქაც ხომ „დაიცვა“, „შეინახა“ ვეაქვს!

4. ქართული ფსალმუნის უძველესი ვერსიების სომხურ ტექსტთან შეპირისპირებისას ავტორი იმოწმებს რა ამ ადგილს: „ძენი ეფრემისნი ძლიერნი და მაგრიად მოისარნი“ — **იդիქ ნიქნხი ქსაბიქყ ხ ყნიყაბიქყ** (77,9), აღნიშნავს, რომ „მაგრიად მოისარნი“ — **ქსაბიქყ** სიტყვის თარგმანია უნდა იყოსო (გვ. 137). თუ თარგმანის შესაძლებლობას დავეუშვებდით, ქართულ ტექსტში ეს ადგილი უნდა შეესაბამებოდეს არა სომხ. სიტყვას **ქსაბიქყ**, არამედ — **ყნიყაბიქყ**-ს.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზო ნაშრომი საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელიც გულდასმით შესწავლილია ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები ებრაულ, ბერძნულ, სომხურ და სირიულ ტექსტებთან შედარებით. ავტორმა კრიტიკულად დაადგინა და სანიმუშოდ გამოსცა ძველი ქართული ენის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი ზღუნაწერითა გამოწვლილებით შესწავლისა და ურთიერთშეკერების შედეგად. სხვადასხვა ევრსიითა ტექსტობრივი ანალიზის საფუძველზე ნათელი მომჩინა ფსალმუნთან დაკავშირებულ რთულ და მრავალმხრივ საინტერესო პრობლემებს, კერძოდ, გაარკვია ამ ძეგლის სტრუქტურისა და შედგენილობის საკითხები; გამოავლინა და დააზუსტა მისი სხვადასხვა რედაქციული ფენა და გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები თითოეული მათგანის წარმოშობის შესახებ.

სარეცენზო ნაშრომს, რომლიდანაც აშკარად ჩანს მისი ავტორის მაღალი ენათმეცნიერული განათლება, ფილოლოგიური განსწავლულობა და ევროპული და აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ბიბლიის, ისე საერთოდ ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ჩვენი ვისურვებდათ, რომ მალე გამოვეყენებულიყო ფსალმუნის პრობლემისადმი მიძღვნილი მზექალა შანიძის მესამე ნაშრომიც, რომელშიც, როგორც თვით ავტორი გვპირდება, შევა. ფსალმუნის სრული სიმფონია და ტექსტის ლინგვისტური ანალიზი.

<sup>2</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 313.

<sup>3</sup> ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. 09.

## ალმაჰი ზინნარაული

## ზოგი ზინნარაული ბარანის ციხის წარწერასთან დაკავშირებით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომების მე-თერთმეტე (საიუბილეო) ტომში (1968 წ.) გამოქვეყნებულია აკაკი შანიძისა და ვასო ცისკარი-შვილის წერილი „ბარანის ციხის წარწერა“. მეცნიერებს ასე წაუჯობებთ ეს წარწერა: „ჰ. მე ვიანე [ახლეთისძემან(?) ათაბაქმან] და ამირსპასალარმან, დმანისი წავიღე და ციხე ავიღე და კირი თანა ჩამოვიტანე. ესე ქუეყანა დიდთა ვამთა ოკერი და საშვიშო [იყო]. [ერთ]სა თუესა ესე ციხე ავაგე მეფობასა დმიტრი აფხაზთა მეფისასა. და შემდგომად ჩუენსა დემრთმან თქუენ ესეთი ვამი მოგეცინ, რომელ სადგომი თქუენი ბაღდადი იყოს ერთგულეობასა შინა დმიტრისასა. ამინ“.

წარწერას ახლავს საინტერესო კომენტარები და, სხვათა შორის, ესეც წერია: „გასარკვევია, რას ნიშნავს «სადგომი თქუენი ბაღდადი იყოს»? ბაღდადი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს «ღვთის ბოძებულს». ამ სახელით ცნობილია ქალაქი, რომელიც 762 წელს აბაღიდებმა დააარსეს და რომელიც დღეს ერავის დედაქალაქია. ქვემო იმერეთშიც არის ხანისწყალზე დაბა, რომელსაც ბაღდადი ერქვა (ადგილობრივი გამოთქმით ბაღდათი) და რომელსაც ამჟამად ოფიციალურად მიაიკოვსკი ეწოდება. როდის დაერქვა მას ბაღდათი და რა შემთხვევის გამო, არ ვიცით.

ერავის ბაღდადი კარგად ცნობილი იყო ძველად ჩვენშიც. სხვათა შორის, იგი მოხსენებულია რკონის სიგელში (1259 წლისაში): ოდეს „ბაღდადი გატეხეს თათართა“, ნათქვამია იქ. ამ გატეხვაში (1258 წ.) ქართველთა ჯარებშიც იღებდნენ მონაწილეობას. რომ ეს ქალაქი კარგად ცნობილი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ძველი ანდაზა შემორჩენილი დღევანდლამდის: „თავლო იყოს, თორემ ბუხი ბაღდადიდან მოვაო“. მაგრამ ციხის აგების წარწერაში „ბაღდადი“ უნდა ნიშნავდეს არა ამ ქალაქს, არამედ „საბედნიეროს“. მაშასადამე, „სადგომი თქუენი ბაღდადი იყოს“, ამას უნდა ნიშნავდეს: თქვენი სადგომი საბედნიერო იყოს თქვენთვის, დემრთმა გაბედნიეროს.

აქედან ჩანს, რომ ამირსპასალარმა რომ ციხე ააგო, მან მეციხოვნეები ჩააყენა შიგ და ციხისთვის ჩააბარა, რომელსაც ბედნიერება უსურვა დმიტრი მეფის ერთგულეობაში ყოფნით. სამწუხაროდ, ციხისთვის ვინაობა არ ჩანს“ (გვ. 24—26).

ჩვენ გვინდა მკითხველმა ყურადღება მიაქციოს სიტყვა „ბაღდადის“ ერთ მნიშვნელობას. რომელიც ცნობილია სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისთვისაც. ქველ-ში ვკითხულობთ: „ბაღდადი 1. ისტ. ქალაქი ერავში, რომელიც აღმოცენდა ძველი ბაბილონის ნანგრევებზე. ძველად ამოსავლეთში განთქმული იყო დოვლათით. გადარჩა მხოლოდ თვით სკლიარის, სიკარგის, აგრეთვე სიშორის დასახასიათებლად. დღეობი ბაღდადი არიო, რომ არ იცოდეს ქარია (ხალხ.). ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადი იქ არისო (ანდაზა). თავლი იყოს, თორემ ბუხი ბაღდადიდანაც მოვაო (ანდაზა). ირმებმა ეს ბაღდადი კუთხე უშველებელი ტყისა მიუჩინეს იმას საცხოვრებლად (ვაჟა). აზღუშაპილისათვის ყველგან ბაღდადი იყო, სადაც მისი სატრფო იქნებოდა (აკაკი)“.

აი, ეს მეორე მნიშვნელობა „ბაღდადისა“ არის ჩვენთვის საინტერესო. ქველ-ში ვაყავს ილუსტრაცია და მოწმებული. ავტორისეულ ტექსტშია იგი ნახმარი, მაგრამ ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა ფშავური დიალექტისთვისაც არის ცნობილი. თვითონ ვაყავს ჩაუწყობია ფშაველ ქალის ერთი ნატირალი. ვაჟა წერს: „ჯერაც არის დარჩომილი თამარის ტირილი მეორე შვილზედ, რომელიც ეგრეთვე საზარლად მოუყვდა. თამარი სახვეტს იყო (თივის ასახვეტად იყო წასული. — ა. ჭ.), შვილი აყენით ზურგზედ აიკიდა და თან წაიყვანა. აღვილი გვერდურ იყო და აყენის დადგმა არ შეიძლებოდა. იმან აყენი ბრძამით (ბალახია) დააბა. ბრძამმა ვერ გამოიპარა, აყენი დაგორდა კლდეზედ. თამარს შვილის ტეინის კრეფა მოუწდა (მოუწდა. — ა. ჭ.) კალთაში. აი, მაშინდელი მისი ტირილი შვილზედ:

„სიკვილილო, მოკალ მარჯეკალი,  
ჩემი ხოშარას გამთხუები!  
მე ხოშარასა ვერ ვიქნები,  
ვაკეცს ბაღდალში გაზდილი ვარ,  
ტეინთა ვერა ვკრეფე შვილისათა  
და ვერა ვზიბდე კალთათა“ (ტ. V, გვ. 28).

ამ კონტექსტების მიხედვით „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ ეს სიტყვა ასეა ახსნილი: „**ბაღდადი**: ბაღდადი ადგილი (ყუთხე) კარგი, ლამაზი ადგილი“. ისევ ვაჟას ჩაუწერია ანდა: „**ბაღდალში ვირი კატარაღა ღირად, მოყვანა ჭირღაო**“ (ტ. VI, 459,17). რადიულ ერისთავს კი ამის ვარიანტი უწერია: „**ბაღდალში ხურამ იაფად არისო**“ (რ. ერისთ., ტ. I, 90,1). ამ ანდაზებში ხაზგასმულია როგორც სიმორე, ისე სიმდიდრე ბაღდადისა. ბოლოს კი ქართველი კაცისთვის ბაღდადი მდიდარი და ლამაზი, ვაჟე ადგილის სინონიმად ქცეულა.

ხანისწყლის მთიანი ადგილის მცხოვრებთათვის დღევანდელი მთავიკის ადგილი იყო ვაკეც, მდიდარი და ხილიანი და აღბათ ამიტომ დაურქმევიათ ბაღდადი. **ბაღდადი, ედემი და სამოთხე** თითქმის სინონიმებია. შტრა: „**ივინი (შვილები) უნდა... განაწიროს სოფელს, რომელიც მათთვის ბაღდადია**“ (ი. გოგებ.); „**ბურსაჭირის ღელე ედემია, რომელიც კაცს დახურულ გულს გაუღებს**“ (ა. ყაზბ.); „**ჩვენი ქვეყანა სამოთხეა**“ (ა. ჭუმბ.).

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ ბაღდადი მთელ საქართველოში ნიშნავს ლამაზ, მდიდარ, მოსავლიან, კარგ ადგილს.

ედემობობ, ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ბარანის ციხის წარწერაში სიტყვა „ბაღდალს“. ამირსპასალარი სავანეზოდ აღნიშნავს: „ესე ქუეყანა დიდთა ემთა ოკერი და საშიში იყოა“. ხოლო „ოკერი“ ძველ ქართულში არის: „უღაბნო“, „უშენი“, აოხრებული; ნანგრევი, ცარიელი; „კორდი“, მოუხნავი, ყამირი“ (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

ჩვენ ვითარება ასე წარმოგვიდგება: ნაოხარ და გაუღაბნებულ, დაუსახლებელ ადგილზე ააშენა ციხე ამირსპასალარმა, ჩააყვანა მეციხოვნენი და, შესაძლოა, ამ უშენი ადგილის კოლონიზაციასთვის მიწის მუშა ხალხიც ჩაიყვანა. თუ ეს ვარაუდი სწორია, „საღვამი თქუენი“ ნიშნავს არა მარტო ციხეს, არამედ ციხის გარემომოცა, საზოგადოდ ამ ადგილს, სადაც ხალხი დადგა (ასეთი მნიშვნელობა „საღვამი“ და „საღვურ“ სიტყვებისა ძველ ქართულში ცნობლია), როგორც ეს არის გადმოცემული წერილის რეზიუმეში: „**ваше местопребывание**“. აგრეთვე სიტყვები „თქუენი“ და „თქუენი“ ენება არა მარტო ციხისთვის „სციხე... ციხისთვის ჩააბარა, რომელსაც ბედნიერება უსურვა დიმიტრი მეფის ერთგულებაში. ყოფით“-ო, კითხულობთ წერილში), არამედ ყველას, ვინც იქ დასახლდა, დაისაღვურა. „საღვამი“ ერთი კაცისა კი არ არის, არამედ მრავალთა საცხოვრისია.

ეტიმოლოგიურად ბაღდადი „ღვთის ბოძებულს“ ნიშნავს, მაგრამ ეს მნიშვნელობა ქართულსავე უცნობია. მით უფრო საეჭვოა, რომ ბაღდადი ნიშნავდეს „საბედნიეროს“. ასეთი კონტექსტი ჩვენ ვერსად ვნახეთ. თუ გამოწველივით განვიხილავთ წარწერისეულ ქვეწყობილ წინადადებას — „და შემდგომად ჩუენსა ღმერთმან თქუენ ისეთი ემი მოგეცინ, რომელ საღვამი თქუენი ბაღდადი იყოს ერთგულებასა შინა დიმიტრისასა“ — იგი ვერ „ითარგმნება“ წინადადებით: „თქუენი საღვამი საბედნიერო იყოს თქვენთვის, ღმერთმა გაბედნიეროს“. თუ ეს ასეთი დალოცვაა, რად უნდა ამის მომავალი „ეჟამის“ ლოდინი, რად უნდა ამის რაიმე პირობა? ამირსპასალარი პირდაპირ ეტყოდა: ციხეც და მისი შემოგარენიც ღმერთმა შვიდობაში მოგახმაროსო. „საბედნიერო იყოს თქვენთვის“ რომ ყოფილიყო, უნდა გვექონოდა: „საღვამი თქუენი ბაღდადი იყოს თქუენა“ — და სხვ.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ სიტყვა „ბაღდადის“ ის მნიშვნელობა, რომელიც ქართულში დღესაც აქვს მას („კარგი, ლამაზი, მდიდარი, აყვავებული ადგილი, წალკოტი...“), ძალდაუტანებლად ესადაგება წარწერის ტექსტს. ამ ტექსტის სადავო წინადადება, ჩვენი აზრით, ასე უნდა „ვითარგმნოთ“: ღმერთმა თქვენ ისეთი დრო დაგაყენოსთ (მოგეცინ), რომ დიმიტრი მეფის ერთგულებაში, თქვენი ადგილი ბაღდადი (წალკოტი, სამოთხე, ედემი) იყოსო.

ასეთი გაგებით: ა) რამდენადმე ზუსტდება წარწერის შინაარსი და მაშინდელ ხელისუფალთა მიზანსწრაფვაც თითქოს უფრო გასაგები ხდება; ბ) არც ის არის ინტერესმოკლებული რომ ამ უცხო სიტყვას დღემდე შემოუნახავს რამდენიმე საუკუნის წინ შექმნილი ახალი მნიშვნელობა (წარწერაში ნახსენები დიმიტრი მეფე, გველევართა ვარაუდით, უნდა იყოს დიმიტრი II თავდადებული, რომელიც 1270—1289 წლებში მეფობდა); გ) თითქოს გასაგები ხდება დღევანდელი მთავიკის ყოფილი სახელის ბაღდადის (resp. ბაღდათის) ეტიმოლოგია.

P. S. მ. აღვიძებს თავის „ლექსთმურ ლექსიკონში“ დადასტურებულ აქვს სიტყვა **ბაღდავანი** („კარგი, ბარაქანი ადგილი“); „**ბაღდავან** ადგილზე ცხოვრობს, ნადირსაც კი დაეკარგება თალი““. ეთნოგრაფმა ლევან ფროიძემ გვიხსნა: ლეჩხუმში ზარმაც კაცს ახლაც უსაყვედურებენო: „**მამაშენმა ბაღდავან** ადგილზე დაგასახლა, შენ კი მანც ვერ ივარგეო“. თუ ეს დამოუკიდებელი უცხო სიტყვა არ არის, ესეც „ბაღდადიდან“ უნდა მოიღოდეს: \***ბაღდადოვანი**—\***ბაღდავანი**—**ბაღდავანი**.



Н. Я. Габараев, Морфологическая структура слова и словообразование  
в современном осетинском языке, Тбилиси, 1977, 176 с.

Из всех живых иранских языков наиболее успешно развивается исследование осетинского языка. Для немногих индоевропейских языков,—не говоря о языках других семей,—существуют столь совершенные этимологические словари, как словарь В. И. Абаева.<sup>1</sup> В области исследования строя современного осетинского литературного языка особые заслуги принадлежат Н. Я. Габараеву<sup>2</sup>, вдумчиво и [внимательно интерпретирующему описываемые им явления и факты. Весьма значительным достижением является подготовленный им же обратный словарь осетинского языка<sup>3</sup>—очень важный источник для изучения различных сторон строя языка—средство, которым располагают лишь немногие из языков мира.

Рецензируемая книга, соответственно, представляет собой итог многолетних разысканий в области системных явлений, характеризующих лексику осетинского языка в ее взаимосвязи с грамматикой.

В первой главе автор детально рассматривает место словообразования в кругу лингвистических дисциплин, определяя свою позицию в отношении основных существующих концепций; своеобразие точки зрения Н. Я. Габараева в признании диалектического единства отделов языкового строя, не снимающего их автономности. В этой же главе приводятся полезные сведения из истории исследования осетинского словообразования и разбираются вопросы методики исследования; автор устанавливает важное ограничение, предупреждая о том, что им описываются лишь продуктивные словообразовательные типы.

В следующей главе анализируются компоненты морфологической структуры слова: корень и основа, разные виды аффиксов и полуаффиксы. Обращаясь к [фонетическому строю осетинского корня, Н. Я. Габараев определяет восемь типов односложных корней и двенадцать типов дзусложных корней; к этому добавлены ценные наблюдения об относительной распространенности тех или иных типов и о закономерностях сочетаемости звуков в корне. Обобщая наблюдения автора, можно вывести формулу односложного корня для современного осетинского языка (С) (С) Г (С) (С) и формулу дзусложного корня—(С) (С) Г (С) СГ (С) (С). Разнообразие типов корня, хотя и характеризующееся преобладанием одного из них (СГС), служит еще одним типологическим подтверждением, указывающим на недопустимость отнесения к праиндоевропейскому состоянию лишь одного типа корня.<sup>4</sup> Осетинские аффиксы Н. Я. Габараев делит на реляционные (именная

<sup>1</sup> Абаев В. И. Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М.-Л., 1958; т. II, М.-Л., 1973; т. III, М.-Л., 1979. (последний т. IV—в печати).

<sup>2</sup> Габараев Н. Я., Из области стилистики и семантики осетинского языка, Известия СО НИИ, т. XXIII, вып. I, Орджоникидзе, 1962; Об основных типах сложных слов в современном осетинском языке. Известия ЮО НИИ, вып. XII, Цхинвали, 1963; Инверсия в атрибутивных конструкциях осетинского языка. Известия ЮО НИИ, вып. XIV, Цхинвали, 1965; Суффиксы -ад и -дзинад в системах современного осетинского словообразования. Известия ЮО НИИ, Цхинвали, 1974; Адъективный суффикс-джин в современном осетинском словообразовании. Известия ЮО НИИ, вып. XX, Цхинвали, 1975; Элементы структуры осетинского слова и вопросы их противопоставления. Известия ЮОНИИ, вып. XXI, 1976.

<sup>3</sup> Габараев Н. Я., Ирон æвзаджи инвесион дзырдугат, Цхинвал, 1978 (более 30 000 слов, важное предисловие и ценные таблицы с подсчетами частотности встречаемости ряда лингвистических единиц).

<sup>4</sup> Типологические закономерности здесь следует искать в принципах устройства корня, в «формулах», обобщающих разнообразие типов, ср. O. Szemerényi, Einführung in die vergleichende Sprachwissenschaft, Darmstadt, 1970, с. 90—92, 123—126.



и глагольная флексия), формообразующие (образующие основу, но имеющие грамматическое значение), и деривационные (словообразовательные, но; могущие совмещать эту функцию с грамматическим значением). Справедливо автор указывает на сложность, связанные с выделением «полуаффиксов»: «При анализе таких морфем (например, -дзæф из -цæф «удар», ср. æдылдыдзæф «глуповатый») от безоговорочного их причисления к аффиксам нас удерживает лишь привычка считаться с традицией, напоминающей нам о генетическом родстве полуаффикса и соответствующего слова. Однако, их родственные связи зачастую уходят в такую даль в прошлом, что на сегодня оказываются уже мнимыми» (с. 52).

Третья глава посвящена исследованию словообразования как процесса. Выделяются следующие конкретные виды словообразования: суффиксация, префиксация, полусуффиксация, полупрефиксация (например, фыр- «очень», ср. фырхæраг «обжора», фыртагъд «торопливо» и т. п.), простое словосложение, словосложение в сочетании с суффиксацией, аббревиация, конверсия, аналитическое словообразование, префиксально-аналитическое словообразование. К аналитическому виду словообразования Н. Я. Габараев, следуя научной традиции, относит такие образования из имени и глагола, как, например, ххуыс кæнын «оказывать помощь», «помогать», хорошо известные во многих иранских языках, ср. тадж. тоза кардан «чистить», курд. fikir kirin «думать», рушан. gōy çigōw «прятать» и т. п.; подобные явления представлены в индоарийских, тюркских и многих других языках. Заслуживал бы исследования вопрос о том, не является ли такое приглагольное имя особым членом предложения со своими парадигматическими и синтагматическими особенностями, — членом предложения, который до сих пор не выделялся вследствие восприятия синтаксиса данных языков через призму русского языка или Standard Average European. Как бы то ни было, большая заслуга Н. Я. Габараева и в том, что в его обратном словаре собран материал с кæнын, ласын, уын.

В последующих главах соответственно исследуется словообразование существительных, прилагательных, глаголов и наречий. В главе о глаголах автор с большей детальностью возвращается к вопросу об «аналитических глаголах», разделяя их на глаголы, мотивированные (т. е. имеющие в качестве примененного члена) существительными, прилагательными, наречиями, междометиями и отглагольными формами на-гæ, причастиями, инфинитивами. Среди «полувспомогательных» глаголов ласын не приводится, но упомянуто ваййын.

В последней главе разобраны морфонологические явления интерфиксации, чередования, акцентуационные явления. Здесь автор с полным основанием разделяет «интерфиксы» на чисто фонетические вставки, устраняющие зияние (зæрдæ-й-æн «сердцу») или стечения согласных (æр-ы-згъорын «прибежать»), и-ц-, сохраняющий связь со значением однократного, легкого моментального действия (ср. хот.-сак. tsa-). Обращаясь к акцентуационным явлениям, Н. Я. Габараев формулирует четкие правила акцентуаций производящего слова и акцентных свойств аффикса. Среди исключений привлекает внимание слово ирон «осетин», вопреки основному правилу уступающее ударение суффиксу. Это могло бы свидетельствовать о заимствовании этого слова, — как нередко бывает с этнонимами, — и служить доводом в пользу этимологической связи его с\*агу-ãпа-.

Книга Н. Я. Габараева — готовый раздел теоретической грамматики осетинского языка, во многих отношениях образцовое исследование, читаемое с интересом, выполненное с искусством настоящего мастера. По-видимому, многие достоинства книги объясняются тем, что ее научный редактор — такой серьезный и вдумчивый лингвист, как А. Х. Бзыров. Особенно следует отметить традиционное для издательства «Мецинереба» высокое полиграфическое качество книги.

Л. Г. ГЕРЦЕНБЕРГ

(Институт языковедения Ленинградского  
отделения АН СССР)

## ქრონიკა და ინფორმაცია

### სადოქტორო დისერტაციათა თეზისების დამატებისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ თავის 1980 წლის 4 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი № 3) სადოქტორო დისერტაციის თეზისები დაუმტკიცა:

- შ. ჩიჩუას: „ქართული საბჭოთა რომანის იდეურ-მხატვრული ფორმირება (20—30 წწ.)“.
- ა. ნიკოლეიშვილს: „ქართული საბჭოთა ლირიკა (60-იანი წლები)“.
- კ. ძიძიგურს: „ქართული საბჭოთა ნარკვევის განვითარების გზები“.
- კ. დონაძეს: „ეგნატე ნინოშვილის რეალიზმი“.
- ბ. დობოჯგინიძეს: „მიოთისი და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“.
- ლ. კრელაშვილს: „ვაჟა ფშაველას თხზულებათა შემოქმედებითი ისტორია და ატიზმები“.
- ვ. ახალაძეს: „ილია ჭავჭავაძე და რუსული კულტურა“.
- შ. რატიანს: „მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკა“.
- ს. ყორღანიას: „ზოგადი და კერძო მხატვრული ტროპი პოეტიკაში“.
- უ. ცინდელიანს: „მეფეთა წიგნების“ ძველი ქართული თარგმანები (ლიტერატურულ-ფილოლოგიური შესწავლის პრობლემები)“.
- ო. კასრაძეს: „ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი და მისი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ლიტერატურა (მე-17—18 სს.)“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებულმა ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭომ თავის ამა წლის 15 იანვრის სხდომაზე (ოქმი № 1) დაუმტკიცა სადოქტორო დისერტაციის თეზისები ფ. ზანდუქელს: „ქართული საბავშვო ფოლკლორი“.

## ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში\*

1978 წ. 21 აპრილი (გაგრძელება)

928 თუ რა გესმის, გაიგონე, ესე კმარის სწავლა სწავლად;

ჩემსა მზესა დავეთხოვე თქუენს წინაშე წამოსავლად,

მოვახსენე: «რათგან ჩემი შეუქმნია გული ავლად,

და არას ვარგებ, არ დადევები, სხუა ვიუბნო რაღა მრავლად?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 921) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თუ რამე გესმის, შეისმინე, ეს დარიგება კმარა დარიგებად; ჩემს მზეს (თინათინს) დავეთხოვე, რომ თქვენთან წამოვსულიყავი, მოვახსენე: „რადგან (ტარიელს) ჩემი გული დაუწვევს (დაუფერვლავს), თუ ვერაფერს ვარგებ, არ გავეჩრდები (ვერ მოვიხსენებ), სხვა რაღა ვილაპარაკო ზედმეტად?“

929 მან მიბრძანა: «მაღლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად,

შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად».

მისით კითხვით წამოსრულვარ, არ მთრვალურად, არ მახმურად,

და აწ შევიქტე, რა უამბო, რად მოვეო ჯაბანჯრდლურად?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 922) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: არ მთრვალურად, არ მახმურად (არ-მთრვალვი და არ-მახმურად); აწ შევიქტე, რა უამბო (მივბრუნდე და რა ვუამბო).

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მან (თინათინმა) მითხრა: „მაღლობელი ვარ, კარგად და ვეჯაცურად იქცევი, შენგან მის (ტარიელის) დახმარებას მე ჩემს სამსახურად მივიჩნევ“. მისი ნებართვით წამოვედი და არა სიმთვრალით, ნასმურობით (მახმურად), ახლა რომ მივბრუნდე, რა ვუთხრა, რატომ მოვედი-მეთქი როგორც ჯაბან-მხლადო?

930 მაგ საუბარსა ესე სჯობს, ისმინე ჩემი თხრობილი:

მქმნელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო ცნობილი;

ვერას ვერა იქს ნაყოფსა ვარდი უმზეოდ ჭნობილი.

და შენ ვერას ირგებ, მე ვარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 923) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იქს (იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მაგ ლაპარაკს ის სჯობია, ისმინე ჩემი ნათქვამი: ძნელი საქმის მოქმედი გონზე მყოფი კაცი უნდა იყოს; ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს უმზეოდ დამკენარი ვარდი. შენ ვერაფერს ირგებ (შენ ვერ უმველი შენს თავს), მე დავეხმარები, ძმა ძმის ძმობილი უნდა იყოს!

931 საღაცა გწადდეს, მუნ იყავ მითევ წესითა მავითა,

გწადდეს — გულთთა ბრძენითა, გწადდეს — ცნობითა შმაგითა,

მაგა ქცევითა ტურფითა, ანავებითა ნავითა,

და ოდენ გამავრდი, არ მოჰკუდი, არ დასდენ ცეცხლთა დაგითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 924) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: საღაც გინდოდეს, იქ იყავი იმავე წესით, თუ გინდა — ბრძენი გულით, თუ გინდა — გამშავებული გონებით, მაგ მშვენიერი, ნატფი ქცევით და ავებულებით, მხოლოდ გამავრდი, არ მოკვდე, არ დადენ ცეცხლისაგან.

1978 წ. 28 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 932; 932,1; 933 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულ-

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 1974, № № 3, 4; 1975, 1, 3, 4; 1976, 1, 3, 4; 1977, 3, 4; 1978, 1, 2, 3, 4; 1979, 1, 2, 3, 4.

მა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მისხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ; 934; 935; 936; 937; 938 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიციანი, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშაღიშვილმა, ნ. კობეტიშვილმა, ნ. ცეციტიშვილმა).

932 ამის მეტსა არას გნუგევე: წელიწადსა ერთსა მსგავსსა  
 აქვე ქუბასა მომნახვედი მე, ამბავთა ყოვლგნით მკრფესა;  
 ამას ეამსა ნიშნად მოგვემ, დროსა ამას ვარდიფსა,  
 და ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძალი ყვეფსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 925) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: აქვე ქუბასა (აქა ქუბასა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამის მეტს არაფერს ვთხოვ: ერთი წლის თავზე (ერთი წლის შემდეგ) აქვე, გამოქვამულში, მომნახვე მე, ყოველი მხრიდან ამის შემკრები (შემტყობი); ამ დროს, ვარდმავლობის დროს, სანაშინოდ გაძლევ, ვარდების დანახვა შეგაკრთობდეს (გამოგაფხიზლებდეს), თითქოს ძალი ყვეფდეს.

932,1 ვირ ვარდი იყოს და მზე ჯღეს კირჩხიბსა და სარატანსა,  
 აქვე ქუბასა მომნახვედი, მოარბედი, ლომო, ტანსა!  
 ვერას ვპოვებ, ეგრე მოვალ, თუ რას ვპოვებ მოსატანსა,  
 და უაქაოდ არ დავდგები, ერანს ვარ თუ ზაულისტანსა.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1118) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სარატანსა (საროტანსა), აქვე ქუბასა (აქა ქუბასვე), ვერას ვპოვებ (არას ვპოვებ), ზაულისტანსა (ზულისტანსა); პირველი ტექსტის ბოლოს წერტილ-ძიმის ნაცვლად მძიმეა დასმული, მეორის ბოლოს — ძახილის ნიშანი.

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ პირველი ტექსტის საერთო სიტყვად ხელნაწერებში სარატანსა არ გვხვდება. ამ სიტყვის ვარიანტებად ნუსხებში გვაქვს: სარათანსა, საროტანსა, საროსტანსა, საროტანსა, საროტანსა...

გ. კარტოზიას აზრით, ზოგიერთი წაკითხვა (ერძოდ, ახმომიანი სარათანსა) საფუძველს იძლევა ჩანარს სტროფშიც აღვადგინოთ ამ სიტყვის აღრინდელი (ძირითად ტექსტშიც დადასტურებული) ფორმა — სარატანსა.

ე. მეტრეველი და ს. ცაიშვილი მხარს უჭერენ A2-ის წაკითხვას — საროსტანსა, როგორც გადამწერის მიერ გაზრებულ შესიტყვებას.

ი. გივინეიშვილის აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხელნაწერთა უმრავლესობაში დატულ ფორმას — საროტანსა.

დადგინეს: ძირითად წაკითხვად მიღებულ იქნეს საროტანსა.

სტროფის შინაარსი: სანამ ვარდი იქნება და მზე იჯდება კირჩხიბის ეტლზე, სარატანზე, აქვე, გამოქვამულში, მომნახვე, მოდი (ატარე ტანი), ლომო! ვერაფერს ვიპოვი, თუ რამე მოსატანს ვიპოვი, მინც მოვალ, აქაურობის გარეშე არ გავჩერდები, ერანში ვიქნები თუ ზაულისტანში.

933 ამა დროსა გარდავსილდე, აქვე ქუბასა არ მოვიდე,  
 ცან, ცოცხალი არ თურე ვი, ულონიოდ მოგეჭე კიდე;  
 ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ღებრიდე,  
 და მაშინ გწადდეს — იხარებდი, გწადდეს — ჭმუნვა გააილდე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 926) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თუ ამ დროს გადავიცილე და აქვე, გამოქვამულში, არ მოვედი, იცოდე (მიხვდი), რომ ცოცხალი აღარა ვარ, ნამდვილად მოგეჭე კიდე; ეს (ჩემი მოუსვლელიობა) საკმარისი იქნება იმისთვის (იმის ნიშნად იკმარებს), რომ ჩემ გამო ცრემლები დაღვარო, მაშინ, თუ გინდა, იხარე, თუ გინდა, დიდად იწუხე.

934 აწ რაცა გვადრე, ამისთვის ნუთუ შენ იყო მჭმუნავი!  
 მოგშორდები და არ ვიცი, თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი;  
 არ, უთქმელიობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მჭმუნავი,  
 და არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწვიე მბრუნავი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 927) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლა რაც გითხარი, ამის გამო ეგების შენ დამწუხრდე! მოგშორდები და არ ვიცი, ცხენი მომკლავს თუ ნავი (ცხენზე მჯდომი მოგვედები თუ ნავით მავალი); არა, უთქმელობა არ ვარაგა, პირუტყვი ხომ არა ვარ უნო, არ ვიცი, რას მიზამს ღმერთი ან მარად მბრუნავი ცა“.

935 მან უბრძანა: „ალარ გაწყენ, არცა სიტყუა ვამეტადდეს, არ მომისმენ, რაზომიცა საუბარი მიდიადდეს; თუ არ მოგვეყვს საყუარელი, შენ მას მიპყვე, რაცა სწიადდეს, და ბოლოდ ყოველი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს.“

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 928) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მან (ტარიელმა) უთხრა: „ალარ შეგაწყენ, მეტ სიტყვასაც არ გეტყვი, არ მომისმენ, საუბარი რამდენიც უნდა გამიგრძელდეს; თუ მეგობარი არ დაგვეყვს (დაგიყვაროს), შენ დაპყვე (დაუყვარე), რაც უნდოდეს, საბოლოოდ ყოველი დაფარული საქმე ნათლად გამოაშკარავდება.“

936 არ დაიჯერო, მაშინ სცნა ჩემთა საქმეთა ძნელობა; ჩემთვის ყუელი სწორია, გაჭრა და გაუჭრელობა; შენ რაცა გითქვამს, მაგას ვიქ, მრჯის რაზომ გინდა ხელობა, და უშენოდ მომხუდეს, რაღა ექმნა, არ დია დღეთა გრძელბა!“

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 929) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვიქ (ვიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: (თუ) არ დაიჯერებ, მაშინ გაიგებ ჩემი საქმის სიძნელეს; ჩემთვის ყველაფერი ერთია, გაჭრა და გაუჭრელობა; შენ რაც გითქვამს, მაგას ვიზამ, სიმშავე რამდენადაც უნდა მტანჯავდეს, მაგრამ რაღა ექნა, თუ უშენოდ მოგვეკვ (ამ მოკლე ხანში).

937 საუბარი გარდასწყუდიდეს, დააპირეს ესე პირი; ცხენსა შესხდეს, მოიარეს, თითო მოკლეს ველს ნადირი; შემოიტყვეს, აატირეს გული, კულადა ანატირი, და ხვალ გაყრისა ვონებამან სხუა უმატა პირსა პირი.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 930) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: საუბარი დასრულეს, ამაზე შეთანხმდნენ; ცხენებზე შესხდნენ, მოიარეს ველი და თითო ნადირი მოკლეს; შემობრუნდნენ, აატირეს წინათაც ატირებული გულები, ხვალინდელი გაყრის ფიქრმა მათ პირზე პირი დაუმატა.

938 ლექსთა მკითხველო, შენიმცა თქალი ცრემლისა მღურელია! გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულს შეელია (თუ გულმა გული დათმო)?! მოშორება და მოყურისა გაყრა კაცისა მკლველია, და ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე რაგუარ ძნელია!

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 931) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: რაგუარ (როგორ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ლექსთა მკითხველო, (დაე) შენმა თვალმა ცრემლები დაღვაროს! გულმა, ვაღლახ, რა ქნას უგულოდ, თუ გული გულს შეელია (თუ გულმა გული დათმო)?! მეგობრის მოშორება და გაყრა კაცის მკლველია, ვინც არ იცის, არ ესმის ეს (გაყრის) დღე როგორ ძნელია!

1978 წ. 5 მაისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს სტროფები: 939; 940; 941; 942; 943; 944 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანმა. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. იქტირიშვილმა).

939 დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს. ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თქალთაგან ცრემლი დალამნეს; სამთავე დაწუთა აღამნი არღანის ფერად აღამნეს, და მათ ლომთა, მიწყვი მკეცქმნილთა, თავნი მკეცთავე აღამნეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 932) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დილა გათენდა, (ცხენებზე) შესხდნენ და იმ ქალს (ასმათს) გამოემ-  
 წვიდობნენ. ტარიელმა, ასმათმა (და) ავთანდილმა თვალებიდან ცრემლები ღვარეს; სამივემ  
 მოუყოლო დაწვები არღავენის ფერ (მუქ წითელ) აღმებად აქცია, იმ ლომებმა (ტარიელმა და  
 ავთანდილმა), მარად გამხეცებულუბმა (გაშმაგებულუბმა), თავი მხეცებსეე დაადარეს (გამხეც-  
 დენე).

- 940 ქტაბი ჩავლეს და წავიდეს ზახილით ცრემლთა მდენანი,  
 ასმათ ტირს, მოსტქტამს: „ჰე ლომნო, ვისნი ვით მოვთქმენ ენანი!  
 მზემან დაგწუნა და დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი,  
 და ვაჲ, ჰირნი ჩემნი ეზომნი! ვაჲ, სიცოცხლისა თმენანი!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 933) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაჲ,  
 ჰირნი (ვა ჰირნი), ვაჲ, სიცოცხლისა (ვა სიცოცხლისა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: გამოქვაბული ჩაიარეს და წავიდნენ ხმადალიო ტირილით ცრემლე-  
 ბის მღვრელნი, ასმათი ტირის, მოთქვამს: „ჰე, ლომებო, ვის შეუძლია მოთქმით დაგტიროთ!  
 მზემ დაგწვათ და დაგდაგათ ცის ზენა მნათობნი, ვაი, ჰირი ჩემი ამდენი! ვაი, სიცოცხლის  
 მოთენა!“

- 941 მათ ყმათა, მუნით წასრულთა, იგი დღე ერთგან იარეს,  
 ზღუტის პირს მივიდეს, მუნ დადვეს, არ ჯმელთა არე იარეს,  
 არ გაიყარნენ მას ღამე, კშლა ცეცხლი გაიზიარეს,  
 და ერთმანერთისა შორს ყოფა იტირეს, იმგლოვიარეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 934) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
 ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იქიდან წასულმა იმ მოყმეებმა (ტარიელმა და ავთანდილმა) იმ დღეს  
 ერთად იარეს, ზღვის პირას მივიდნენ, იქ ვაჩერდნენ, ხმელეთს არ ვაჰყუნენ, იმ ღამეს არ  
 გაიყარნენ, ისევ გაუზიარეს ერთმანეთს გულის დარდი, ერთმანეთის დაშორება დაიტირეს,  
 იგლოვეს.

- 942 ტარიელს ეტყუის ავთანდილ: „რუ ვაჰმა ცრემლთა დენისა!  
 რად მოიშორეე შენ ფრიდონ, მომცემი მაგა ცხენისა?  
 მუნით იცნობის ამბავი, ღონე მის მზისა ლხენისა,  
 და აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმადღიცისა შენისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 935) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
 ექტი მიღებულ იქნა.

1978.2.VI-ის სხდომაზე რედაქციამ გ. კარტოზიას წინადადებით შეცვალა I—II ტაგების  
 პუნქტუაცია: ტარიელს ეტყუის ავთანდილ, რუ ვაჰმა ცრემლთა დენისა: „რად მოიშორეე შენ  
 ფრიდონ...“

სტროფის შინაარსი: ცრემლთა დენის რუ დამრა (=ტირილი შეწყვიტეს), ავთანდილი  
 ეუბნება ტარიელს: „რად ვაშორდი ფრიდონს, მაგ ცხენის მომცემს? იქიდან (ფრიდონის სამე-  
 ფლოდან) შეიძლება გავიგოთ ამბავი, თუ რა ღონე ვიხმაროთ იმ მზის (ნესტანის) საშველად, ახ-  
 ლა მე იქ მივიდიარ, მასწავლე შენი ძმადღიცის გზა“.

- 943 ტარიელ სიტყვით ასწავლის მკარსა ფრიდონის გზისასა,  
 მართ ვააგონა, რაც ოდენ შეეძლო ძალსა თქმისასა:  
 „აღმოსავლითენ წადიო, პირსა იარე ზღუტისასა,  
 და თუ ნახო, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 936) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
 ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტარიელი სიტყვიერად უხსნის ფრიდონისაკენ (მიმავალი) გზის მი-  
 მართულებას, ვააგებინა, რამდენადც კი შეეძლო სიტყვის ძალას: „აღმოსავლეთისაკენ წა-  
 დიო, ზღვის პირს იარე, თუ ნახო, უამბე ჩემი, გკითხავს ძმის ამბავსა“.

- 944 თხა მოკლეს და მითირის, ცეცხლი შექმნეს ზღტისა პირსა,  
 სტეს და ჭამეს, რაცა ჭამა შეაფერობდა მათსა პირსა;  
 მას ლამესა ერთად იყენეს, ერთან მიწვეს ხეთა ძირსა.  
 და ვკვამბ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხუტსა, ზოგჯერ ძტირსა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 937) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თხა მოკლეს და მითირის, ზღვის პირას ცეცხლი დაანთეს, სვეს და ჭამეს, რაც მათ პირს შეეფერებოდა; იმ ლამეს ერთად იყენენ, ერთად მიწვენენ ხეების ძირას. ვკვამბ მუხთალ წუთისოფელს, ზოგჯერ უხვს, ზოგჯერ (კი) ძუნწს.

### 1978 წ. 12 მაისი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი. განიხილეს სტროფები: 945 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმანიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქტიშვილმა); 946; 947; 948; 949; 950 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მახარაშვილმა, ე. ტურაბეიძემ).

- 945 ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანერთსა მოეხუტინეს;  
 მაშინ მათგან ნაუბარნი, დადნეს, ვინცა მოისმინეს;  
 თუალთათ, ვითა წყაროს თუალი, ცრემლი ველთა მოადინეს,  
 და დიდხან დგანან შექედილნი, მკერდი მკერდსა შეარკინეს.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 938) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკვიძე: სარიტმო სიტყვები ხელნაწერებსა და გამოცემებში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. კერძოდ, გვაქვს ორნარიანი ფორმები: მოეხუტინნეს, მოისმინნეს, მოადინნეს, შეარკინნეს. ორი ნარი მეოთხე ტაქსის სარიტმო სიტყვაში გაუმართლებელია. არ არის საჭირო მეორე ნარის დამატება პირველსა და მესამე ტაქსშიც. ამ სამი ტაქსის სარიტმო სიტყვათა გავლენით ერთნარიანი ფორმა დატოვებული მეორე ტაქსშიც, სადაც ნარი აუცილებელია: მოისმინეს = მოისმინნეს (მოისმინოს = მოისმენს).

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაქსში ნაუბარი მხოლოდითში გადავიყვანეთ, როგორც ეს რიგ ხელნაწერშია. მაშინ მოისმინეს სავსებით სწორი ფორმა იქნება. სხვა ტაქსებში სარიტმო სიტყვები აორისტრია დასმული, მეორე ტაქსშიც ეგვემ მწკრივი უნდა მივიღოთ.

გ. კარტოზია: მეორე ტაქსი სხვა ტაქსებისაგან განცალკევებით დგას. I—III—IV ტაქსებში ტარიელისა და ავთანდილის განსწორებზეა საუბარი და აორისტრის ფორმებიც მათთვის საერთოა. მეორე ტაქსში კი აორისტი შეუფერებელია. აქ ნათქვამია: ვინც მაშინდელ მათ ნათქვამს მოისმენს, დადნებო. კავშირებით-ყოფადის ფორმა აქ სავსებით გასაგებია. „ვტ“—ში სხვაგანაც ვკვებდებ შემთხვევები, როცა ორი ერთნარი თანხმოვნის ნაცვლად რითმის გამო ერთი თანხმოვანია წარმოდგენილი.

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს.

სტროფის შინაარსი: ცისკარზე ადგენ გასაყრელად, ერთმანეთს მოეხვიენენ; დადნება, მაშინდელ მათ ნალაპარაკეს ვინც მოისმენს; თვალუბიდან, როგორც წყარო, ცრემლები ველს მოადინეს, დიდხანს იდგენ გადახეულები, მკერდი მკერდს შეაწებეს (შეარკინეს).

- 946 გაიყარნეს ტირილითა, პირსა ზოკით, თმათა გლეჯით,  
 ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით;  
 ვირე უჩნდა ერთმანერთი, იხახდიან პირსა ბღნეჯით;  
 და იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მისით ღრეჯით.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 939) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ტირილითა, პირსა (ტირილით და პირსა).

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის წინადადებით აღდგენილ იქნა წაკითხვა: გაიყარნეს ტირილით და პირსა ზოკით...

მესამე ტაქსის ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილი.

სტროფის შინაარსი: გაიყარნენ ტირილით და პირისახის ზოკით, თმის გლეჯით, ერთი აღმა (წვივდა), მეორე — დაღმა, უგზოდ მიდიან შამბთა გავლით; სანამ ერთმანეთს ხედავდნენ, იხახდნენ პირის ღმუჯით. ისინი რომ ნახოს მოწყენილები, მზეც მოიწყენს მათი მოწყენით.

947 ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გუაბრუნევებ, რა ზნე გჭირსა!  
 ყოელი შენი მონდობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა!  
 საღ წაიყვან სადაურსა, საღ აღუფტბრი სადით ძირსა?!  
 და მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განწირსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 940) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაჲ (ვა).

ი. გიგინეიშვილი: სტროფი ბრჭყალებში უნდა ჩაისვას, რადგან ავთანდილის სიტყვებს წარმოადგენს. პოემაში სხვაგანაც გვეხვება მსგავსი შემთხვევა, როცა პერსონაჟის სიტყვები ავტორისეულად არის მიჩნეული.

დაადგინეს: რედაქციის ერთ-ერთ სხლომაზე სპეციალურად იქნეს განხილული ეს შემთხვევები. ჯერჯერობით კი ბრჭყალები არ დაიწეროს, პროექტი მიღებულ იქნეს უცვლელად.

სტროფის შინაარსი: ვაჲ, წუთისოფელო, რას ჩადი, რას გუაბრუნებ, რა ზნე გაქვს! ყველა შენზე მონდობილი მუდამ ჩემსავით ტიროდეს! სადაურს საღ წაიყვან, საიდან საღ აღმოუფტბრი ძირს (დაღუპავ)! მაგრამ ღმერთი არ გაწირავს შენგან განწირულ კაცს.

948 ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, მისწუთოშია ჯმა ცამდის,  
 იტუტის, თუ: „ღუბარი სისხლისა კულადა მღენია, კულადა მდის;  
 აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა და-ცამდის.  
 და კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 941) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტარიელს მოშორებული ავთანდილი ტირის, (მისი) ხმა ცას მისწვდომია, ამბობს: „სისხლის ღვარი აღრეც მღენია, ახლაც მდის; ახლა განშორება ისევე ძნელია, როგორც მაშინ (ერთად) შეყრა იყო საამო. ყველა კაცი ერთნაირი არ არის, დიდი (მანძილი) ძეს კაციდან კაცამდის (აღამიანები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან)“.

949 ველს მაშინ მვეცინი ძღებოდეს სისხლითა მუნ ნატირითა;  
 ვერ დაივებდა საქმილსა, იწუტის ცეცხლითა კვირითა;  
 კულა თინათინის ვონება ავსებს უფრორე ჭირითა;  
 და ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 942) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ველზე მაშინ მხეცები ძღებოდნენ იქ ნატირი სისხლიანი ცრემლით, ვერ იჭრობდა სახმილს (ცეცხლს), იწუტის ძლიერი ცეცხლით; თინათინზე ფიჭირი უფრო უმატებს ჭირს; ბაგეებიდან ვარდს (=ღაწუებს, პირისახეს) ანათებს ბროლი ძოწის ძირით (=კბილები ნუნებით).

950 ვარდი ჭნებოდა, ლჭრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;  
 ბროლი და ლალი გათილი ლაქუარდად გარდიქეოდა;  
 გამაგრებოდა სიკუდილსა, ამისთჳის არ უმხნეოდა;  
 და იტუტის, თუ: „ზნელი რას მიკუტირს, რათგან დაგაგდე, მზეო, და!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 943) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის წინადადებით მეოთხე ტაგში და გაგაგდე შეიცვალა და მაგაგდე ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვარდი (=ავთანდილი) ჭნებოდა, ღრებოდა, ალვის შტო (=ავთანდილის ტანი) ირხეოდა; გათილი ბროლი და ლალი ლაქუარდად იქცეოდა (ე. ი. ავთანდილის თეთრ-წითელი პირისაზე ლურჯდებოდა); სიკუდილს გამაგრებოდა, ამიტომ მხნეობდა (უმხნეოდ არ იყო); ამბობს: „სიბნელე რას მიკუტირს, რადგანაც მიმატოვე, მზეო!“

#### 1978 წ. 19 მაისი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 951; 952, 952,1 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბეულიძემ).

951 მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყუი თინათინის ლაჭუთა დარად,  
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ მთად და ბარად;  
ხელსა მალხენს ნახვა შენი, აჰად გიჭურეტ არდამცთარად,  
და მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარად?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 944) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში ზმნა მხოლობობითი უნდა დაისეს: და ა გ დ ე. ავთან-  
დლის სიტყვები მხოლოდ მზისადმი მიმართული.

ე. მებრეველი: თინათინი აქ მხოლოდ შესადარებლად არის მოხმობილი. ამდენად და ა გ დ ე.  
დ ე უფრო მართებული ფორმაა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: და ა გ დ ე.

სტროფის შინაარსი: მზეს ეუბნება: „მზეო, შენ მიმანისხარ თინათინის ლაჭუების სწო-  
რად, შენ მას ჰგავხარ და ის შენ გგავს, თქვენ ანათობთ მთასა და ბარში; ვახელებულს ლხენსა  
მგვრის შენი დანახვა, ამიტომ ვიუტრებ განუწყვეტლად (თვალის მოუშორებლად), მაგრამ რა-  
ტომ მიატოვე ჩემი გული ცივად, გაუმთბარად?

952 თუ ერთისა მოშორება მზისა ზამთრის ვაჭაპაციენებს,  
მე, ვლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ იფენებს?  
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ ატყენებს;  
და წყულუსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკუთს ანუ გაამსივნებს.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 945) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ატკიე-  
ნებს (იმტკიენებს).

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპის სარიტომო სიტყვად იმტკიენებს უნდა აღდგეს. მიმ-  
დგობის მაწარმოებელი მ- პრეფიქსი აქ აუცილებლად საჭიროა. იმტკიენებს მტკივნე-  
ლად არის ნაწარმოები, ისევე როგორც სხვა სარიტომო სიტყვებში მცივნანი და მხივნანი მიმ-  
დგობები ზმნებისთვის ამოსავალი. თუ მიმდგობის მ- პრეფიქსი არ აღედატუნა, ვაუგებარი  
იქნება წ სუფიქსის არსებობა ზმნაში (ატკიენებს). ქართულში ვერ დაუდასტურებთ სხვა მა-  
გალითს, რომ გარდამავალ (კაუზატიურ) ზმნაში წ სუფიქსი მიმდგობისეული არ იყოს. რაც  
შეეხება ქეციის ფორმას, აქ სათავისო ქეცეა უფრო გასაგებია. არა შესწონს ნიშნავს:  
არაფერს იმჩნევს. ტაეპის აზრია: კლდე არაფერს იმჩნევს, არასოდეს არაფერს იმტკიენებს.

გ. კარტოზია: ატკიენებს ძველსავე ქართულში რეალურად არსებული და გავრცე-  
ლებული ფორმაა. შდრ. თვით „ტკ“-ში: რა ჰგავა, თუ მოყურებს კაცმან გული არ ატკიე-  
ნოს. „ტკ“-ის ხელნაწერებში ამ აღდგოლასაც უმთავრესად უმანო ფორმებია, მხოლოდ  
D3D4D5-შია ამტკიენებს. იმტკიენებს ხელნაწერებში არ გვხვდება. ატკიენებს  
ში წ მიმდგობის სუფიქსი არ არის, ისევე როგორც არ არის ტკიენეულში. ამგვარი -წ  
სუფიქსი, არამიმდგობური წარმოშობისა, ქართულ ზმნებში სხვაგანაც დასტურდება (მაგ.,  
ატიენებს). მიმდგობის მ- პრეფიქსის დამატება ზმნაში საჭირო არ არის. სხვა სარიტომო სიტყვა-  
თა ანალოგია ვადამწყვეტი მნიშვნელობისა არ არის. არა შესწონს, ვფიქრობ, ამას ნიშ-  
ნავს: არაფერი ანაღვლებს. ტაეპის აზრი კი ასე მისმის: კლდეს არაფერს ანაღვლებს, არასო-  
დეს არ ატყენს. საარვისო ქეციის ფორმა, რომელიც ხელნაწერთა დიდი ნაწილში გვხვდება,  
ასეთ გაგებას საეგვიპტო ეგუება.

ე. მებრეველი და შ. ძიძიგური მხარს უჭერენ იმტკიენებს ფორმას, ც. კიციძის,  
ა. ბარამიძის, ს. ცაიშვილის მართებულ წაკითხვად მიიჩნიათ იტკიენებს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: არაოდეს არ იტკიენებს.

სტროფის შინაარსი: თუ ზამთარში ერთი მზის მოშორების გამო გვიცვა, მე, ვლახ, ორი  
მზე დამიტოვებია, ამიტომ გულს ენება რად არ მოსდის? მაგრამ კლდე არაფერს იმჩნევს, არა-  
ფერს იტყუებს, წყულუსა (ჭრილობას) დანა ვერ განკურნავს, გაჭრის (უფრო ღრმად) ან  
გაანთებს.

952,1 იტყვის, თუ: „ჩემი ხელმქნელი, ღმერთო, მზეა და ცად არი,  
ვინ პირი მსგავსად პირისა შეჰქმენ და შე-ცა-ადარი;  
უმისოდ სულდგმულობასა, გულო, ვით შეეცადარი!  
და ვაჲ, სიციცხლისა სოფელმან აროდეს არ დამცა დარი!“

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1139) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იტყვის,  
თუ (იტყვის თუ), ხელმქნელი (ხელ-[ქ]მნელი), შეჰქმენ (შეჰქმნა), შე-ცა-ადარი (შეცადარი),

შეცადარი (შეაქადარი), ვაჲ, სიცოცხლის სოფელმან (ვა სიცოცხლისა, სოფელმან), პირველი ტაეპის ბოლოს მძიმეა დასმული წერტილ-მძიმის ნაცვლად, სტროფის ბოლოს ბრჭყალები დახურულია. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამბობს: „ღმერთო, ჩემი გამხლებელი მზეა და ცაშია, (ღმერთო), ვინც (მისი, ე. ი. თინათინის) პირისახე (მზის პირისახის) მსგავსად შექმენი და შეადარე; გულს, უმისოდ (უთინათინოდ) სიცოცხლეს (სულდგმულობას) როგორ ცდილობ (როგორ ეცდები)? ვაი, წუთისოფელმა სიცოცხლის ხალისი (დარი) არადაღროს მომცა“.

#### 1978 წ. 26 მაისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგენიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკიძე, ე. მერტუველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 952,2; 953; 954; 955; 956; 957 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიქნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ); 958 (პროექტი მოამზადეს ც. კიკიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კობეტიშვილმა, ნ. კეტიშვილმა).

952,2 მისა მზესა გზა-გზა მოსთქვამს, ჰირს თავს აძლევს ღზინის ფასად,

გულსა ეტყუის: „მიაშურე, გავიზიარეს შენ აწა სად;

გარჯისათვის, ეგრე თქმულა, მიხტლებისო ერთი ასად;

და ჰირნი ჩემნი ვაძსუბუქო, მკიდაეს სხვათა უმძიმესად“.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1139<sup>1</sup>) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მზესა გზა-გზა (მზესა, გზა-გზა), გარჯისათვის, ეგრე თქმულა, მიხტლებისო ერთი ასად (გარჯისათვის ეგრე თქმულა: „მიხტლებისო ერთი ასად“), მეორე და მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია წერტილ-მძიმე, სტროფის ბოლოს წერტილთან ერთად დასმულია ბრჭყალები. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თავის მზეზე (თინათინზე) გზა-გზა მოთქვამს, ჰირს ეძლევა ღზინის მავიერად, გულს ეუბნება: „მიაშურე (იქით), საითაც ახლა ვადაგწყვეტია (წასვლა); ასე თქმულა, გარჯისათვის (აღამიანს) ერთიასად მიუზღებო; ჩემს ჰირს შევიმსუბუქებ, სხვებზე უფრო მძიმედ (მძიმე ბარგად) მკიდა“.

953 მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყუის მზესა:

„აჰა, მზეო, გვაჯები შენ, უძმლესთა მძლეთა მძლესა,

ვინ მდაბალთა გაამალღებ, მეფობასა მისცემ, სტყესა,

და მე ნუ გამყრი საყუარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 946) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგენიშვილი: მეორე ტაეპში უფრო მართებული ჩანს რიგ ხელნაწერში დაცული წაკითხვა: შენ უძმლესთა, მძლეთა მძლესა. მესამე ტაეპის მეორე ნახევარში მძიმე უნდა მოიშალოს: მეფობასა მისცემ სტყესა.

რედაქციამ უცვლელად დატოვა მეორე ტაეპის წაკითხვა, მესამე ტაეპში კი მძიმე მოშალა. სტროფის შინაარსი: მიმავალი ცას შესტირს, მზეს ეუბნება: „აჰა, მზეო, გვედარებო შენ, უძლიერესთა მძლეველთა მძლევლს, ვინც მდაბალს ამაღლებ, მეფობას ანიჭებ ბედნიერებას, ნუ გამყრი სატრფოს, ნუ შემიცვლი ღამედ დღეს!

954 მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჰირი ჰირსა,

გული შევად შემიღებე, სიბნელესა მიმეც კჰირსა,

შემომყარე კაეშნისა ტუირთი მძიმე, ვითა ვირსა,

და მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთუის ტირსა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 947) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგენიშვილი მხარს უჭერს ზოგიერთი ხელნაწერის წაკითხვას: შემომყარე კაე შ ა ნ ი, ტუირთი მძიმე, ვითა ვირსა.

პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

სტროფის შინაარსი: მოდი, ზუალო (სატურნო), დამიმატე ცრემლი ცრემლს და ჰირი ჰირს, გული შევად შემიღებე, წყვილის მიმეცი, ამკიდე კაეშნის მძიმე ტვირთი, როგორც ვირს (აპკიდებენ ხოლმე), მას (თინათინს) უთხარ: „ნუ გაწირავ, შენია და შენთუის ტირს“.

955 ჰე მუშთარო, გეაჟები შენ, მართალსა ბრქესა, ღმრთულსა,  
მო და უყაე სამართალი, გაებრკობის გული გულსა;  
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა!  
და მართალი ვარ, გამიციოხე! რად მაწყულუბე მისთჳის წყულუსა?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 948) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
შ. ძიძიგური: ჰე შორისდებულთა, ამიტომ მძიმით უნდა გამოიყოს მომდევნო სიტყვისაგან.  
დაადგინეს: დასივას მძიმე ჰეს შემდეგ. ასევე გამოიყოს ჰე მძიმით ყველა სხვა შემთხვევაში.

ი. გიგინეიშვილი: პირველ ტაგში მძიმე უნდა გადასივას: შენ, მართალსა, ბრქესა ღმრთულსა. ლექსთწყობის თვალსაზრისით ასე აჯობებს.

დაადგინეს: მძიმე გადასივას. მიღებულ იქნეს წაკითხვა: შენ, მართალსა, ბრქესა ღმრთულსა.

ი. გიგინეიშვილი: გესამე ტაგში ხელნაწერთა დიდი ნაწილი კითხულობს: უ მ ა რ თ ლ ე ს ა. უმართლე და უმართლესი თანაბრად დასაშვები ფორმებია „ვეფხისტყაოსნისთვის“. ძველი ქართულის მსგავსად, აქ უფროობითი ხარისხის ორივე წარმოება (უ—ე და უ—ეს) გამოიწვებული. ძირითად ტექსტში ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვა უნდა შევიტანოთ — უ მ ა რ თ ლ ე ს ა.

გ. კარტოზია: ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმათა ხმარების მხრივ „ვეფხისტყაოსანში“ ასეთი კანონზომიერება შეინიშნება: უ—ე წარმოება მაშინ გვაქვს, როცა უფროობითი ხარისხის ფორმა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, უ—ეს წარმოება კი მაშინ გვხვდება, როცა ეს ზედსართავი დამოუკიდებლად იხმარება. ამიტომ ტექსტში უპირატესობა უ მ ა რ თ ლ ე ს ს ა-ს უნდა მიეცეს.

ც. კვიციანი: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში რომ ერთი სანის შემცველი ფორმებია უფრო გავრცელებული, ვასაგებია: უმართლესსა>უმართლესა.

ი. გიგინეიშვილი და შ. ძიძიგურმა აღნიშნეს, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში (განსაკუთრებით ი. ბეტრიქთან) უფროობითი ხარისხის მოკლე ფორმები შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაც გამოიყენება და დამოუკიდებლადაც. „ვეფხისტყაოსანში“ სხვა ძეგლთა ენისაგან განსხვავებულ სურათს ვერ ვივარაუდებთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ნუ ამრუდებ უ მ ა რ თ ლ ე ს ა (წინააღმდეგნი — გ. კარტოზია, ც. კვიციანი).

სტროფის შინაარსი: ჰე, მუშთარო (იუბიტერო), გევედრები შენ, სამართლიან, ღვთიურ მსაჯულს, მოდი და სამართალი გაუჩინე, (ჩემი) გული (თინათინის) გულს ედავება; ნუ გააბტყუენ მართალე მართალს, ამით სულს ნუ წაიწყმედ! მართალი ვარ, გამიციოხე! რატომ მაწყულუბე მისთვის (=თინათინისთვის) დაწყულუბულს?

956 მოდი, მარხოზ, უწყალად დამჴერ ლახჭრითა შენითა,  
შე-ცა-მღებე და შემსუარე წითლად სისხლისა ღენითა,  
მას უთხრენ ჩემნი პატყენი, მას გაავონენ ენითა,  
და რაგუარ გასრულვარ, შენ იცი, გული აღარას ღენითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 949) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გული აღარას ღენითა (გულია აღარ ღენითა).

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ სტროფის ბოლოს შედგენილი შემასმენელი ღენითათა (=ღენით არის), როგორც გამოანკლისი, დაიწერა დღევანდით (ღენითთა-).

სტროფის შინაარსი: მოდი, მარხოზ (მარსო), უმოწყალოდ დამჴერი შენი ლახვრით, წითლად შემღებე და დამსვარე სისხლის ღენით, მას (თინათინს) უთხარი ჩემი ტანჯვა, გააგებინე. (თუ) რა დღეში ჩავგარდნილვარ, შენ იცი, (ჩემს) გულს აღარაფერი ახარებს.

957 მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწუა ცეცხლთა დავითა,  
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსციავს ძოწისა ბავითა;  
შენ დააშენენ კეკლუცთა დაშენენებითა მავითა,  
და ვისმე ჩემებრსა დაავდებ, გაჰყდი ცნობითა შავითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 950) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვისმე ჩემებრსა დაავდებ (ვისმე, გლახ, ჩემებრ დაავდებ), გაჰყდი (გახდი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოდი, ასპიროზ (ვენერა), მიმეველე რამე, იმან დამწუა ცეცხლით

(ცეცხლის დაკვით), ვინც მარგალიტს (=კბილებს) იცავს ქოწის ბავით (ვის კბილებსაც გარშემო შემოვლებული აქვს ქოწის ბავები); შენ ამშვენიებ (ალამაზებ) კეკლუცებს ასეთი მშვენიებით, ზოგს ჩემნაირს (ქი) დაადგებ (დატოვებ), გააშმაგებ (გაშმაგებული გონებთ გახლი).

958 ოტარილო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სტუასა:  
 მზე მბარუნებს, არ გამიშუებს, შემიყრის და მიმცემს წუტასა;  
 დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,  
 და კალმად გიკუთე გაწლობილსა ტანსა, წყირილსა ვითა თმასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 951) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ოტარილო (მერკურტი), შენ გარდა სხვისას არავისას ჰგავს ჩემი საქმე: მზე (თინათინი) მბარუნებს, არ გამიშუებს, შემიყრის და წვას მიმცემს; დაჯე ჩემი ჭირის დასაწერად, მეღნად მოგცემ (ჩემს) ცრემლთა ტბას, კალმად ვითავაზებ გალუულ ტანს, თმასავით წერაღს.

### 1978 წ. 2 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგურტი.

განიხილეს სტროფები: 959; 960; 961; 962; 963; 963,1 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავლიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალოშვილმა, ნ. კობეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

959 მო, მთუარეო, შემობრალე, ვილვეი და შენებარ ვქლდები,  
 მზე გამავსებს, მზევე გამლევეს, ზოგჯერ ვსტუდები, ზოგჯერ ვწუღლები;  
 მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს ანუ რაგჯირ ვზნდები,  
 და მიდი, უთხარ, ნუ განწირავს, მისი ვარ და მისთუის ვქუღლები.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 952) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოდი, მთვარე, შემობრალე, ვილვეი და შენსავით მქუღ ვხდები, მზე გამავსებს, მზევე გამლევეს, ზოგჯერ ვსხვილდები, ზოგჯერ ვწერაღდები; მას (თინათინს) უამბე ჩემი ტანჯვა, რა მჭირს ან როგორ ვიზნიდები, მიდი, უთხარი, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვქუღლები.

960 აჰ, მოწუმობენ ვარკუტლავნი, შუიღნივე შემოწუმებანი:  
 მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთუის ბნღებანი,  
 მთუარე, ასპიროზ, მარისი მოვლენ და მოწმად მყვებანი,  
 და მას გაავონენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მღებანი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 953) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აჰ, მოწუმებად ვარკუტლავები მყავს, შევიღვე შემოწუმბა: მზე, ოტარიდი (მერკურტი), მუშთარი (იუპიტერი) და ზუალი (სატურნი) ჩემთვის იზნიდებანი, მთვარე, ასპიროზი (ვენერა), მარისი (მარსი) მოდიან და მოწმებად მიღებანი, მას (თინათინს) გაავონენ, რა დაუშრეტელი ცეცხლიც მომღებანი.

961 აწ გულსა ეტყუის: „ეითამცა გღის ცრემლი, არ გაგეშობია,  
 რას გარგებს მოკლე თავისა? ეშმა ძმად თურე გამშობია;  
 მეც ვიცი, ჩემსა ხელმქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,  
 და მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 954) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლა გულს ეუბნება: „როგორ უნდა გილოდეს ცრემლი, (როგორ) არ შეგშობია, რას გარგებს თავის მოკლე? თურმე ეშმაი გავიხილა ძმად; მეც ვიცი, ჩემს გამშმაგებელს (თინათინს) თმად ყორნის ბოლო გახდომია, მაგრამ თუ გაჭირვებას არ მოითმენ, ლხინს რა გაძლება უნდა!

962 თუ დავრჩეო, ესე მიჯობს, — სიცოცხლისა იტყუის თუსა, —  
ნუთუ მომხტუნეს ნახეა მზისა, ნუ ვიზახი მიწყვიე უსა.  
მიიმღერის კმასა ტკბილსა, არ დასწყუედდის ცრემლთა რუსა,  
და მისსა კმასა თანა კმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 955) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ზოგი მკვლევარი სტროფის ბოლო სიტყვას ნაათესაოობითარ მიცემითად მიიჩნევს და ცვლის სიტყვის ფორმასაც: ბუსსა, რაც მართებული არ არის. ბუსა მიცემითაა. ტაეპის აზრია: ავთანდილის ხმასთან შედარებით ბულბულის ხმაც ბუსს ჰგავდა. «ვეფხისტყაოსანში» სხვაგანაც გვხვდება მსგავსი შემთხვევები არა ერთი რიგის მოვლენათა შედარებისა. მაგ., გამზარდელ-გაზრდილთა გაყარას ჩვენ თავნი დეადარენით.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: «თუ (ცოცხალი) დავრჩი, ეს მიჯობს, — სიცოცხლე სათუოდ მიანი, — ეგებ მღერისო მზის ნახეა, ნუ ვიძახი მუდამ „უსს“. ტკბილი ხმით მიიმღერის, არ წყვეტდა ცრემლთა რუს დენას, მის ხმასთან შედარებით ბულბულის ხმაც კი ბუსს (ხმას) ჰგავდა.

963 რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მკეცი მოვიდიან,  
მისევე კმისა სიტკობსაგან წყლით კვანიცა გამოსხდიან,  
ისმენდიან, გაჰყურდიან, რა ატირდის, ატირდიან;  
და იმღერს ლექსთა საბრალოთა, ლუარისაებარ ცრემლინ სდიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 956) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის აზრით, მეორე ტაეპში უყეთესია წაკითხვა: წყლით თევეზნიცა გამოსხდიან, რომელსაც მხარს უჭერს ზოგიერთი ხელნაწერი.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

სტროფის შინაარსი: მოყმის სიმღერა რომ ესმოდათ, მოსასმენად მხეცები მოდიოდნენ, მიიცივე ტკბილი ხმისაგან წყლიდან კევიც კი გამოდიოდნენ, ისმენდნენ, უყვირდათ, რომ ატირდებოდა, (ისინი) ატირდებოდნენ ზომე; მღერის სევიდან (სიბრაულის მომგვრელ) ლექსებს, ღვარივით სდის ცრემლები.

963,1 მოვიდიან შესამკობლად ქუეყნით ყოვლინ სულიერნი:  
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევეზნი, ზღუით ნიანგნი, ცით მფრინველნი,  
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშარიყით და მალარიბელნი,  
და რუსნი, სპარსნი, მოფრანგნი და მისრეთით მეგვიბტელნი.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1151) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სულიერნი (სურიელნი), ინდო-პინდო-).

ა. ბარამიძემ და ს. ცაიშვილმა აღნიშნეს, რომ სტროფი ნამდვილად ჩანართია და არ არის არავითარი საფუძველი ძირითად ტექსტში მისი შეტანისა. სტროფს არ იცნობს A და D რედაქციის ხელნაწერები (მცირე გამონაკლისის გარდა). ა. ბარამიძემ, კერძოდ, აღნიშნა რომ სტროფი სუსტია ენობრივად. მაგ., წყალშიგ თევეზნი (უნდა იყოს: წყლით თევეზნი), ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშარიყით და მალარიბელნი (უნდა იყოს: მალარაბით), არასწორი ფორმაა მოფრანგნი.

დაადგინეს: სტროფი ჩაითვალოს ჩანართად.

სტროფის შინაარსი: (ავთანდილის) შესაქებად (მთელი) ქვეყნიდან მოდიოდა ყველა სულიერი: კლდიდან ნადირები, წყლიდან თევზები, ზღვიდან ნიანგები, ციდან ფრინველები, ინდოეთ-არაბეთ-საბერძნეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, რუსები, სპარსელები, ფრანგები (ევროპელები) და მისრეთიდან (ეგვიპტიდან) ეგვიპტელები.

1978 წ. 9 ივნისი

სხლმას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 964; 965; 966; 967; 968; 969 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ციქტიშვილმა).

964 ემა მტირალი სამოცდათ დღე ზღუთისა პირსა მია გზასა;  
 შორით ნახა, მენავენი მოდიოდეს შიგან ზღუთასა;  
 მოიცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, თქუენ ამისსა გნუქვე თქმასა,  
 და ეს სამეფო ვისი არის, ან მორჩილობს ვისსა კმასა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 957) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: მოიცადა „ვეფხისტყაოსანში“ ორპირიანი გარდამავალი ზმნა. ამიტომ უფრო სწორია რიგ ხელნაწერში დაცული მოიცაღნა, რომელშიც პირდაპირი ობიექტის სიმრავლე კანონზომიერად არის გამოხატული: მოიცაღნა ავთანდილმა მენავენი (=ავთანდილმა მოუცადა მენავეებს).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მოიცაღნა.

სტროფის შინაარსი: მტირალი ნოემე სამოცდაათი დღე მიდის ზღვის პირას გზაზე; შორიდან დინახა, მენავეები მოდიოდნენ ზღვაში; მოუცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, ამის თქმას გთხოვთ, ეს სამეფო ვისია, ან ვის ხმას (ბრძანებას) ემორჩილება?“

965 მათ მოაკვინეს: „ტურფაო სახით და ანაგებიოთ,  
 გზუეუცხოვე და გზუეეთე, მით გეუბნებით ქებიოთ;  
 აქამდის ზღვართი თურქთაა, მოზღვრეა ფრიდონ ზღვრებითა;  
 და ჩუენცა ვისნი ვართ, გიამბობთ, თუ ქურტებით არ დავბნდებითა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 958) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კვიციანი: მესამე ტეპში წაკითხვა მოზღვრეა ფრიდონ ზღვრებითა მხოლოდ A<sup>13</sup> D<sup>3</sup> D<sup>5</sup> ხელნაწერებში დასტურდება. ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვის (მოზღვრე ფრიდონის ზღვრებითა) მიღებას შინაარსობრივი დაბრკოლება ახლავს.

ი. გივინეიშვილი: უპირატესობა უნდა მიეცეს ზოგ ხელნაწერში დაცულ წაკითხვას: მოზღვრე ფრიდონის ზღუებითა. ამასთან ფრიდონის ზღვებითა-ს საზღვრელი კი არ არის, არამედ წინამავალი სიტყვის (მოზღვრე). შდრ. მომდევნო მსაზღვრელის ოდენა-ნათესაობითში დასმის სხვა მავალით: დაუწყეს პურობა ტაიქთა ფრიდონის უკეთესებსა.  
 ა. ბარამიძე და გ. კარტოზია აღნიშნეს, რომ მოზღვრე ზღვრებითა უკეთესი წაკითხვაა, როგორც რუსთველის ენისათვის დამახასიათებელი ვერბალური ალიტერაციის ნიმუში.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს: მოზღვრე ფრიდონის ზღვრებითა (=საზღვრით ფრიდონის მსაზღვრე).

სტროფის შინაარსი: მათ უთხრეს: „მშვენიერო სახითა და აგებულებით, უცხოლ მოგვეჩვენე და მოგვეწონე, ამიტომ გაქებთ; აქამდის თურქების საზღვარია, საზღვრით ფრიდონის მსაზღვრე, ჩვენც ვისი (ხალხი) ვართ, გიამბობთ, თუ (შენი) ცქერით გონს არ დავკარგავთ.“

966 ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქუეყნისა ჩუენისა,  
 მოყმე მკენე, უხუტი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ცხენისა;  
 ვნება არავის არ ძალუც მის მზისა ოღნად მშუენისა,  
 და იგია ჩუენი პატრონი, მსგავსი ცით შუქთა მფენისა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 959) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გივინეიშვილი: მეორე ტეპში მომხლტომი-ს ნაცვლად უკეთესი ჩანს წაკითხვა მამხლტომი.

დაადგინეს: დარჩეს მომხლტომი.

ი. გივინეიშვილის წინადადებით მესამე ტეპში დაისვა ძიძიმე: მის, მზისა ოღნად მშუენისა (წინააღმდეგი გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: ნურადინ ფრიდონი ამ ჩვენი ქვეყნის მეფეა, მხნე, უხვი, ძლიერი რაინდი, კარგი ცხენოსანი (ცხენზე სწრაფად შემომხლტომი); მისი, მზის სწორად მშვენიის, ვნება არავის არ შეუძლია, ისაა ჩვენი პატრონი, მზის (ციდან შუქის მომფენის) მსგავსი.“

967 ყმამან უთხრა: „ძმანო ჩემო, კარგთა კაცთა გარდგეოდე;  
 მე მეფესა თქუენსა ვეძებ, მასწავლეო, თუ სით წაილეო,  
 რა ვიარო, ოდეს მივაღ, ან გზასა აქუს რა სილიდე?“  
 და მენავეთა უწინამძღურეს, არ დააგდეს გზამდის კიდე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 960) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში უპირატესობა უნდა მიეცეს წაკითხვას: არ დაადგეს ზღუდის კიდე.

რედაქციის სხვა წევრები მხარს უჭერენ ხელნაწერთა მეტი წილის წაკითხვას (არ დაადგეს გზამდის კიდე). გ. კარტოზიას აზრით, კიდე = ნაპირი (გზამდე არ დაადგეს ზღვის ნაპირი). სხვების (ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი) აზრით, კიდე აქ ნაწილაკის ფუნქციით იხმარება. ი. გიგინეიშვილიც მხარს უჭერს კიდე-ს ნაწილაკად გაგებას, თუ მიღებული იქნება პროექტის წაკითხვა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: არ დაადგეს გზამდის კიდე (=გზამდეც კი არ მიატყვეს).

სტროფის შინაარსი: მოყმემ უთხრა: „ჩემო ძმებო, კარგ ადამიანებს გადაგუყარეთ (შეგხედით), მე თქვენს მეფეს ვეძებ, მასწავლეთ, თუ საით წავიდე, რამდენი ვიარო, როდის მივალ, ან გზა რა სიგრძისაა?“ მენავეები წინ გაუძღვენენ, გზამდეც კი არ მიატყვეს.

968 მოაკსენეს: „ესე გზაა მულაზნაზარის მიმავალი,  
მუნ დაგხედების მეფე ჩუენი მშუილდფიცხელი, მახუილკრმალი;  
აქადაღმა ათ დღე მიხუილ ნაკუთად სარო, ფერად ლალი;  
და ეა, რად დაგუუქუენ, უცხომ უცხო რად მოგუიდეც ცეცხლებრ ალი!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 961) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ეა (ვა).

გ. კარტოზია: მეოთხე ტაეპში სწორი ჩანს ზოგი ხელნაწერისა და გამოცემის წაკითხვა: უცხო ს უცხო. ოღონდ ერთ სიტყვად უნდა გავიგოთ. ტაეპის აზრია: ვაი, რატომ დაგვეწი, რატომ მოგვიდევდი უცხოსუცხო (=უცხოზე უცხო) ალი!

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, მხატვრულად უკეთესია წაკითხვა უცხომ უცხო. ამასთან ამ წაკითხვას ენობრივი დაბრკოლებაც არ ელოდება: მოთხრობითის გამარტივებული ფორმები პოემაში სხვაგანაც დასტურდება.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა (წინააღმდეგი — გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: უთხრეს: „ესე გზაა, მულაზნაზარში რომ მიდის, იქ დაგხედება მშვილდმაგარი და ბასრხმლიანი ჩუენი მეფე; აქედან ათ დღეს ივლი შენ, აღნაგობით სარო (კეიპაროსი) და ფერად ლალი. ვაი, რატომ დაგვეწი, უცხომ ცეცხლივით რატომ მოგვიდე უცხო ალი!“

969 ყმაძან უთხრა: „მიკუირს, ძმანო, რად ხართ ჩემთუის ვულმოკულნი,  
ანუ ეგრე ვით გაკეთნეს ზამთრის ვარდნი ფერნაკულნი!  
თქუენმაო მაშინ გენახენით, ლაღნი ესხედით, არ სახურულნი!  
და ჩუენნი მკუერტნი დაეშუენით, ჩუენგან სხდიან მხიარულნი.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 962) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ესხედით (ვდევით). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყმემ უთხრა: „მიკვირს, ძმებო, რატომ ხართ ჩემ გამო ვულმოკულულები, ან ასე როგორ მოგეწონათ ზამთარში ფერდაკარგული ვარდი (=ჩემი ფერნაკული სახე)! თქვენ მაშინ უნდა გენახეთ, როცა გალაღებული ვისხედით, არა დასაპყრებელი! ჩვენს მკერეტელებს ვამშვენებდით, ჩვენ გამო მხიარულად ისხდნენ.“

#### 1978 წ. 16 ივნისი

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

ვანიხილეს სტროფები: 970; 971; 972 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვირიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ).

970 იგი წავიდეს; დაბრუნდა ყმა გზასა თვისწინასა,  
ვისი ჰეავს ტანი საროსა და ვისი გული — რინასა;  
შიაციორებს და მიუბნობს, მოსთქუამს მისსავე ლხინასა,  
და ნარგისნი ქუხან, ცრემლსა სწუთიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 963) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სწუთიმს (წვიმს).

გ. კარტოზია: წ ვ ი მ ს ზმნა, რომელიც წარმოშობით უსუბიექტოა, რუსთველის დროსათვის ორპირიან ზმნად არის ქცეული (შდრ. «ვტ»-შივე: ავთანდილ მალვით ცრემლსა ს წ ვ ი მ ს, 1241). შესაბამისად ობიექტის ნიშანიც წარმოდგენილია ხელნაწერთა დიდ ნაწილში.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა ც რ ე მ ლ ს ა ს წ უ ი მ ს (წინააღმდეგი — ი. გიგინევილი).

სტროფის შინაარსი: ისინი წავიდნენ; დაბრუნდა თავის (მარტო სავალ) გზაზე მოყმე, რომლის ტანი საროს (კვიპაროსს) ჰგავს და გული — რინას; ცხენს მიაკუთრებს (რონინით მიჰყავს) და თან მილაპარაკობს, თავის სიხარულზე (ლხენის მომნიჭებულზე) მოთქემას, ნარავიზები (თავლები) ქუხან, (ავთანდილი) ცრემლს ღვრის, რეცხავს ბროლსა და მინაწარს (=პირისახეს).

- 971 ვინცა გზას ნახნის უცხონი, მსახურებდინა, ჰყმობდინა,  
 მოეჭებინან საუჭრეტლად, მას ზედა სტროფალობდინა,  
 ეძნელებოდის გამტეხა, გაყარასა ძლივ დასთმობდინა,  
 და გზის ყოლაუზი მისციან, ჰკითხის რა, უამბობდინა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 964) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვისაც ნახავდა გზაზე უცხოებს, ემსახურებოდნენ, ყმად უხლებოდნენ, საუჭრეტლად შემოეხვეოდნენ, შესტროფოდნენ, ეძნელებოდით ვამტეხა, გაყარას ძნელად ითმენდნენ, მეგზურს (გზის გამყოლს) აძლევდნენ, რასაც ჰკითხავდა, ეტყოდნენ.

- 972 მულაზანზარს მიეახლა, ადრე დაღვეს გზასა გრძელსა;  
 მინდორს ნახა სპა, ლაშქართა და ნადირთა ჰგვანდეს მსრველსა,  
 ყოლვანით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა,  
 და ისრიან და იზახიან, მკეცსა სჭრიან ვითა მკეცსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 965) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სპა, ლაშქართა (სპა ლაშქართა); ისრიან (ისრვიან); მეორე ტაეპის შიგნით მძიმეა დასმული.

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ პროექტში გაზიარებულია მეორე ტაეპის ნ. ნათაძისეული წაკითხვა და გაგება.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მულაზანზარს მიუახლოვდა, სწრაფად გალია გრძელი გზა; მინდორში დიანახა გარისკაცები, ლაშქარს (ჯარს) და ნადირთა მხოცველთ ჰგვანდნენ (=ეტყობოდნენ, ბევრნი იყვნენ და ნადირობდნენ), ყოველი მხრიდან ალყა შემოურტყათ, გარს შემოსდგომოდნენ ველს, ისერიან (ისრებს) და გაჰყვიან, ნადირს ჭრიან (აფენენ) ხელუჭრებივით.

#### 1978 წ. 23 ივნისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინევილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ციციანი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 973; 974; 975; 976; 977; 978 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კენაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ).

- 973 კაცი ეთხტეა; მას ჰკითხა ამბავი მის ლაშქარისა,  
 უბრძანა: „ისი ვისია კმა ზათქისა და ზარისა?“  
 მან უთხრა: „ფრიდონ ქელმწიფე, მეფე მულაზანზარისა,  
 და იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 966) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: კაცი შემოხვდა; მას ჰკითხა იმ ლაშქრის ამბავი, უთხრა: „ვისია ის ზათქისა და ზარ-ზეიმის ხმა?“ მან უთხრა: „ხელმწიფე ფრიდონი, მულაზანზარის მეფე, ნადირობს, ველ-შამბნარისთვის ალყა შემოურტყავს“.

- 974 მათ ლაშქართაჲენ წავიდა მით უსახთოა ქცევითა,  
 გამხიარულდა; შეტენება მის ყმისა ვთქტიმცა მე ვითა!  
 მისთა გამყრელთა დაზრობს, შემყრელთა დაწუქეს მზე ვითა;  
 და ნახვა მჭრეტელთა ახლებს, ტანი ლერწამობს რხევითა.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 967) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ლაშქართაყენ (ლაშქართაყენ).

გ. კარტოზია: მეოთხე ტაეპში რ ხე ვითა მხოლოდ D<sup>2</sup>-ში იკითხება. ხელნაწერთა უმრავლესობაში ხე ვითა (=ხე ვითა) გვაქვს, რაც მეორედბოდა გამოცემებში 1937 წლამდე. ტანი ლერწამობს ხე ვითა შინაარსობრივად არ ვარგა; ამასთან სტროფში ტავტოლოგიურ რითმას აქვს აღვლი (მზე ვითა — ხე ვითა).

ი. გვიგინიშვილსაც მიაჩნია, რომ წაითხვას — ტანი ლერწამობს ხე ვითა — შინაარსობრივად დაბრკოლება ახლავს.

რედაქციის სხვა წევრები (ა. ბარამიძე, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური) ფიქრობენ, რომ ამგვარი წაითხვა შინაარსობრივად დამაკმაყოფილებელია. ნახევარტაეპის აზრია: ტანი ირხევა ლერწამითთ როგორც ხე (ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური) ან: ტანი ლერწამობს (კენარობს) როგორც ხე (ს. ცაიშვილი, ც. კვიციანი). რაც შეეხება ვითა-ს განმეორებას ტაეპების ბოლოს, ეს ტავტოლოგიურ რითმად არ ჩაითვლება.

დაადვიეს: მიღებულ იქნეს წაითხვა: ტანი ლერწამობს ხე ვითა.

სტროფის შინაარსი: იმ ლაშქრისკენ წავიდა უმაგალითო (შეუღარებელი) ქცევით, გამხიარულდა; იმ ყმის მშვენიერებას როგორ გამოვთქვამ: მისგან ვანშორებულვს (გაყრილვს) დააზრობს, შეყრილვს (ყი) დაწვევს მზესავით, (მისი) ნახვა მჭვრეტელვს ახელვს, ტანი ირხევა ლერწამითთ, როგორც ხე.

975 მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა;

ყმამან ცხენი შეუტია, გაამაყდა, არ შეშინდა,

შესტყურცა და ჩამოავდო, დაცა და სისხლი სდინდა,

და გარდაქდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შექდა, არ აქშინდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 968) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ ლაშქრის შუაში (ალყის შუაგულში) საიდანაც ორბი გადმოფრინდა; მოყემ (ავთანდილმა) ცხენი შეუტია, ამაყად წავიდა, არ შეშინდა, ესროლა (ისარი) და ჩამოავდო, (ორბი) დაცა და სისხლი სდიოდა, ჩამოხდა (ცხენიდან) და ფრთები დააჭრა, აუნჩარებლად შექდა, ქშენა არ დაუწყია.

ი. გვიგინიშვილსა და გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ ორბი აქ არწივს ნიშნავს და თარგმანში ეს უნდა აისახოს.

ა. ბარამიძე და ს. ცაიშვილი ფიქრობენ, რომ ორბი და არწივი «ტ»-ში სხვადასხვა ფრინველია.

ი. გვიგინიშვილის აზრით, სისხლი სდინდა=სისხლი გადმოსდინდა.

976 იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს,

ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხუტოდეს, ბნდებოდეს,

იქით და აქათ უვლიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,

და ვერცა ჰკადრებდეს: «ვინ ხარო», ვერცა რას ეუბნებოდეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 969) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მეოთხე ტაეპში შეიცვალა ბუნქტუაცია: ვერცა ჰკადრებდეს, «ვინ ხარო»... პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ის რომ დაინახეს, მსროლელებმა (ისრის) სროლა შეწყვიტეს, ალყა მოშალეს, (ახლოს) მოვიდნენ, ეხვეოდნენ, იბნიდებოდნენ, გარშემო უვლიდნენ, ზოგნი უკან მოჰყვებოდნენ, ვერც (კითხვას) უბედავდნენ, «ვინ ხარო», ვერც ვერაფერს ეუბნებოდნენ.

977 მინდორსა შიგან გორი დგა, ფრიდონ მას ზედა დგებოდა;

ღირსი მას თანა სროლასა ორმოცი კაცი ხლებოდა;

მუნ დაემართა ავთანდილ, მას თანა ყოლბი ჰყვებოდა.

და ფრიდონს უჭირდა: «რა ქმნესო», მისთა სპათათჳის წყრებოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 970) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მეოთხე ტაეპში შეიცვალა ბუნქტუაცია: ფრიდონს უჭირდა, «რა ქმნესო»...

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის წინადადებით პირველ ტაეპში შიგან შეიცვალა შუათით. სტროფის შინაარსი: მინდერის შუაში (შუაგულში) მაღლობი იყო, ფრიდონი მასზე იდგა;

მასთან სროლის ღირსი ორმოცი კაცი ახლდა; იქით გაემართა ავთანდილი, მას მოაღყენი თან მიჰყევებოდნენ. ფრიდონს უკვირდა, „რა ქნესო“, თავის მოლაშქრეებზე წყარებოდა.

978 ფრიდონ მონა გამოგზავნა: „წა, ნახენო ისი სპანი, რა ქმნეს, ალყა რად დაშალეს, სად წადიან ვითა ბრმანი?“  
 მონა ფიცხლა მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი,  
 და დადგა, თუალნი გაურეტღეს, დაავიწყდეს სიტყუის თქმანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 971) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა მონა გამოგზავნა: „წადი, ის მოლაშქრენი (შეომრები) ნახეო, რა ქნეს, ალყა რად მოშალეს, სად მიდიან როგორც ბრმები?“ მონა სწრაფად მოეგება (ავთანდილს), იხილა სარო, ახალაყრილი ტანი, დადგა, თვალები გაუშტერდა, სიტყვის თქმა დაავიწყდა.

### 1978 წ. 30 ივნისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციანი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 979; 980; 981 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მახარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 982 (პროექტი მოამზადეს ც. კიციანმა, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

979 ავთანდილ ცნა, თუ: „ისია მოამბედ ჩემად რებული“.  
 უთხრა: „არქუი შენს პატრონსა ეს ჩემი დავედრებული:  
 ვარ უცხო ვინმე ღარიბი, საყოფთა მოშორებულნი,  
 და ძმადფიცი ტარიელისი, თქუენს წინა მომგზავრებული“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 972) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: „ისია მოამბედ ჩემად რებული“. უთხრა: „არქუი შენს პატრონსა... (ისია მოამბედ ჩემად რებული. — წა, ჰკადრე შენსა პატრონსა ..).

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ავთანდილი მიხვდა, რომ ის (კაცი) მასთან ამბის გასაგებად იყო წამოსული. უთხრა: „მოახსენე (უთხარი) შენს პატრონს ეს ჩემი დაბარებული: ვარ უცხო მოგზაური, საცხოვრებელს (სამშობლოს) მოშორებული, ტარიელის ძმადნაფიცი, თქვენთან გამომგზავრებული“.

980 მონა წაივიდა ფრიდონის თხოვბად ამბისა მისისად,  
 უთხრა: „მზე ვნახე მოსრული, ჩანს მანათობლად ღღისისად;  
 ვაზრობ, იგიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად;  
 და ვეარ ძმაო ტარიელისი შეყრად ფრიდონის მქისისად“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 973) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაქტში უნდა მივიღოთ ზოგიერთი ხელნაწერის წაკითხვა: ვარო ძმა ტარიელისი, სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკით საზღვარულსა და მსაზღვრელს გათიშვა (ძმა-ო ტარიელისი) არ არის მოსალოდნელი.

გ. კარტოზია: „ეტ“-ის ენისათვის დამახასიათებელია სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის „უჩე-ული“ პოზიციოში დამსა. ამიტომ ძმაო ტარიელისი მოულოდნელი შესიტყვება არ არის. ანგარიში უნდა გაეწიოს ხელნაწერთა ჩვენებასაც.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ვარო ძმაო ტარიელისი (წინააღმდეგი — გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: მონა წაივიდა ფრიდონისათვის მისი (ავთანდილის) ამბის სათქმელად, უთხრა: „მზე ვნახე მოსული, ღღის მანათობლად ჩანს; ვფიქრობ, ბრძენნიც გაშმაგდებიან, თუ სადმე ნახვენ მას; ტარიელის ძმა ვარო, მკაცრი ფრიდონის შესახებდრად (მოსული)“.

981 რა „ტარიელ“ მოისმინა, ფრიდონს ჰიერი უსუბუქდა,  
 თუალთა ცრემლნი გადმოსცუოდეს, გული უფრო აუჩუქდა,

მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთავან ბუქი ბუქდა;  
და შეიყარნეს, ერთმანერთი მათგან იქო, არ გაუქდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 974) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტარიელის სახელი რომ გაიგონა, ფრიდონს ჰირი შეუფსუბუქდა, თვალეზიდან ცრემლები გადმოსცვივდა, გული უფრო აუჩუყდა, წამწამებიდან ბუქი აეარდა, წამონაქროლმა (ქარმა) ვარდი (=სახე) დააზრა; შეიყარნენ, ერთმანეთი შეაქეს, ერთმანეთი შეუქებელი არ დაუტოვებით.

982 ფიცხლა იგი ქელი ჩავლო, ჩაეგება ფრიდონ წინა;  
რა შეხედნა, მან ესე თქვა: „თუ არ მზეო, ისი ვინა?“  
მას მეტობდა, რაცა ქება მონისავან მოესმინა;  
და ერთმანერთსა გარდაუტღეს, ლხინმან ცრემლი აფრქუევიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 975) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მეორე ტაევის პროექტისეული წაკითხვა ხელნაწერთა მცირე ჯგუფში (D რედაქციის ნუსხებში) დასტურდება. ხელნაწერთა უმრავლესობაში (აგრეთვე რიც გამოცემაში) გვაქვს: რა შეხედნა, ესე თქვა, თუ: „არ მზეაო, ისი ვინა?“ s გამოცემის წაკითხვა — რა შეხედნა, ესე თქვა, თუ: „თუ არ მზეო, ისი ვინა-ა“ — კონიექტურაა. ასევე კონიექტურას წარმოადგენს ი. გიგინეიშვილის მიერ შემოთავაზებული წაკითხვა: რა შეხედნა ესე თქვა, თუ: „თუარ მზეაო, ისი ვინა?“

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა სწრაფად ჩაიარა ის ქელი, წინ მიეგება; რომ შეხედა, მან (ფრიდონმა) ეს თქვა: „თუ არა მზე, მაშ ვინ არის იგი?“ (ავთანდილი) იმას აღუმატებოდა, რა ქებაც მონისავან მოესმინა (ფრიდონს); ერთმანეთის შესახვედრად ცხენებთან ჩამოხტნენ, სიხარულმა ცრემლები აფრქუევიან (ორივეს).

1978 წ. 8 სექტემბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 983; 984; 985; 986; 987; 988; 989 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალისვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

983 მოეხუთენეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ;  
თჳითი უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონს;  
რა მჭურტეცელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ,  
და მომკალ, ბაზარს სხუა მათებრი ივაჟრონ რა ანუ ყიდონ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 976) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ერთმანეთს მოეხვიენენ, უცხოობის გამო არ მოერიდებიან; ფრიდონს მეტისმეტად (უმაგალითოდ) მოეწონა მოყმე და მოყმეს — ფრიდონს; მჭურტეცელებმა რომ ისინი ნახონ, მზეს მათთან შედარებით არაფრად ჩაადგებენ, მომკალი, (თუ) ბაზარში სხუა მათი მსგავსი იყიდონ რამე ან გაყიდონ.

984 ფრიდონისებრნი მოყმენი ვინმცა ვით ვინ ეგებიან!  
მაგრა მას ახლვან ქებანი, მართ მეტნი არ მიხუდლებიან;  
მზე უჩინო იქს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან,  
და დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 977) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იქს (იქმს).

გ. კარტოზია: პირველ ტაეპში მეორდება ვინ (ვინმცა... ვინ). ორსავე შემთხვევაში კითხვითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება. შეუძლებელია ერთ-ერთი მათგანი ზმნისართად (ძვ. ქართ. ვინაჲ=საიდან) გავიგოთ. ამიტომ მეორე ვინ მძიმეებით უნდა გამოვყოთ: ვინმცა ვით, ვინ, ეგებიან!

ი. გიგინეიშვილი: ტაეში ორივე ვინ მართლაც ერთი და იმავე მნიშვნელობისა ჩანს. ამიტომ ვინ ნაცვალსახელის განმეორება პუნქტუაციაში უნდა აისახოს. ოღონდ ორი მძიმე საპირო არ არის, ერთიც საკმარისია: ვინმეცა ვით, ვინ ეგებთან.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ვინმეცა ვით, ვინ ეგებთან.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეში უნდა მივიღოთ ზმნის ერთპირიანი ფორმა: კ რ თ ე ბ ი ა ნ. ტაეის აზრია დღისით ვერ ანათებს სანთელი, ღამით კი შუქი კრთის (ჩანს).

ე. მეტრეველსაც უმჯობესად მიაჩნია კ რ თ ე ბ ი ა ნ ფორმა.

ც. კიკვიძემ, ა. ბარამიძემ, გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ აქ სანთლის შუქზეა ლაპარაკი და ამიტომ სწორია ორპირიანი ჰ კ რ თ ე ბ ი ა ნ.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა ჰ კ რ თ ე ბ ი ა ნ (წინააღმდეგნი — ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

სტროფის შინაარსი: ფრიდონისთან მოყმე ვინ და როგორ, ვინ იქნება! მაგრამ მას (ავთანდილს) რომ აქებენ, ამაზე მეტი აღარ შეიძლება; მზე აღუჩინარებს მნათობებს, ახლოს რომ შეიყრებინან, დღისით ვერ ანათებს სანთელი, ღამით კი შუქი გამოჰკრთის (მას).

985 ცხენთა შესხდეს, გაემართნეს, ფრიდონისსა მივლენ სრასა.

ღაიშალა ნაღირობა, მოეშალნეს შეცეთა სრვასა;

ავთანდილის ჰურეტად სპანი იქით-აქით იქმან ჭრასა,

და თქუეს: „ასეთი კორციელი შეუქმნია, ნეტარ, რასა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 978) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეის სარიტმო სიტყვად ზოგ ხელნაწერშია ს უ რ ა ს ა, რაც უფრო მართებული ფორმა ჩანს. რითმა ადასტურებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში დასაშვებია ვ-გადასმული ფორმებიც; ე. ი. უკვე რუსთველისდროინდელ ქართულში ადკლი ჰქონდა ვ-ს მეტათეზის სონორ თანხმოვნებთან.

ც. კიკვიძე: „ვეფხისტყაოსანში“ არაიდენტური რითმის მსგავსი შემთხვევები სხვაც დასტურდება. ამასთან საყურადღებოა, რომ ხელნაწერთა უმრავლესობა ძველ (ვ-გადასმულ) ფორმას უჭერს მხარს. ეფიქრობ, გასწორების მიღებისათვის საკმაო საფუძველი არ არსებობს.

ე. მეტრეველი: ზოგიერთი ძველი ხელნაწერის (A<sup>2</sup>A<sup>9</sup>) ჩვენება ს უ რ ა ს ა ფორმის სასარგებლოდ მეტაფიქვებს და ეს უთუოდ ანგარიშგასაწევი ფაქტია.

გ. კარტოზია: მიუხედავად შედარებითი სიძველისა, ეს ხელნაწერები მაინც გვიანდელი ხანის ენობრივი ნორმების გავლენას განიცდიან. ამიტომ მათი ჩვენება არგუმენტად არ გამოდგება. მეორე მხრივ, არ არის შემთხვევითი, რომ გვიანდელი ხელნაწერები მაინც აღრინდულ ფორმას იცავენ.

ი. გიგინეიშვილი: არ არის გამოირცხული, რომ ეს ძველი ფორმა მწიგნობარ ვადაწერთა მიერ იყოს აღდგენილი. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნეშიც იცავდნენ ძველ ენობრივ ნორმებს და არაქაულებდნენ ტექსტს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა ს უ რ ა ს ა (წინააღმდეგნი — ც. კიკვიძე, გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: ცხენებზე შესხდნენ, გაემართნენ, ფრიდონის სასახლეში მიდიან. ღაიშალა ნაღირობა, თავი დაანებეს მხეცების ხოცვას; ავთანდილის საცქერლად მეომრები იქით-აქედან ჭგუფ-ჭგუფად მოედინებინან, თქუეს: „ასეთი ხორციელი, ნეტარ, რას შეუქმნია?“

986 ყმა ფრიდონს ეტყუის: „ისწრაფვი, ვიცი, ამბისა თხრობასა,  
 ვიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან ღამი ცნობასა,  
 ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყუი ძმობასა,  
 და იგი მამდ მივმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 979) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოყმე (ავთანდილი) ფრიდონს ეუბნება: „ვიცი, ჩქარობ, რომ ამბავი მოგიტხრო, რადგანაც ცდილობ (ამბის) გაგებას, ვიამბო, ვინ ვარ, საიდან მოვდივარ, ან საიდან ვიცნობ ტარიელს, ან რატომ ვამბობ (მის) ძმობას, ის ძმას მიწოდებს, ძმა ხარო, თუმცა ძლივსა ვარ (მის) ყმობის ღირსი.

987 მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით,  
 დიდი სპასპეტი, სახელად მივმობენ ავთანდილობით,

ძე დიდებულთა დიდგჳართა, ზრდილი მეფეთა შვილობით,  
და საყრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 980) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე ვარ როსტევან მეფის ყმა, არაბეთში გაზრდილი მოყმა, დიდი სარდალი, სახელად აეთანდისს მიწოდებენ, მეგვიდრე დიდგვაროვან დიდებულთა, მეფის შვილივით ვაზრდილი, ვარ მოსარიდებელი და ამაყი, ევრაჳინ მიწვევს წინააღმდეგობას.

988 დღესა ერთსა მეფე შეჯდა, ნადირობას გამოვიდა;  
მინდორს ენახეთ ტარიელი, ცრემლთა ღჭრიდა, ველთა რწყვიდა,  
გაგჳიჳიჳირდა, გჳეუუცხოვა, ვაწუჳეთ და არ მოვიდა,  
და ჩუენ გჳეწყინა, არ ვიცოდით, მას თუ ცეცხლი რაგჳარ სწყიდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 981) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ერთ დღეს მეფე შეჯდა (ცხენზე) და გამოვიდა სანადიროდ; მინდორში ენახეთ ტარიელი, ცრემლებს ღვრიდა, ველს რწყავდა (ცრემლებით), გაგვიჳიჳირდა, გჳეუუცხოვა, მოვიწყით და არ მოვიდა, ჩვენ გვეწყინა, არ ვიცოდით, მას თუ როგორ წვადა ცეცხლი.

989 მეფემან სპანი შეპყრობად შეუხანხა და წყრებოდა;  
მან უჳირველად დაჳოცნა, ომი არ მისჳირდებოდა,  
ზოგსა მჳარ-თედო დაღეწა და ზოგსა სული ჰჳდებოდა;  
და მუნღა ცნეს, ეტლი მთჳარისა რომე არ დაბრუნდებოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 982) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჰჳდებოდა (ხდებოდა).

ი. გიგინეიშვილი: და ღეწა ორპირიანი ფორმა. საჳიროს სამპირიანი და ჰჳდეწა. რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ და ღეწა აქ სამპირიან ზმნად არის გაგებული, მაგრამ ოჳ ჰ არ არის სონორი ღ თანხმოენის წინ, ისევე როგორც სხვაგან პოემის ტექსტში. დაადგინეს: დარწეს წყითხვა და ღეწა (წინააღმდეგი — ი. გიგინეიშვილი).

სტროფის შინაარსი: მეფემ (მის) შესაპყრობად მეომრები მიუსია და წყრებოდა; მან აღვილად დახოცა (ისინი), ბრძოლა არ უჳირდა, ზოგს მხარ-თედო დაუღეწა, ზოგს კი სული ხდებოდა; მაშინღა გაიგეს, რომ მთჳარის ეტლი არ დაბრუნდებოდა (ბედი არ შეტრიალდებოდა).

1978 წ. 15 სექტემბერი

სხლომას დაესწრენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს სტროფები: 990; 991; 992 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

990 მათ სპათაგან ვერშეპყრობა ცნეს მეფეთა მეტად მწყრალთა,  
თჳით შესხდეს და შეუტეის ამაყთა და არას მჳრთალთა.  
რა ტარიელ მეფე იცნა, მუნღა დაჳკრთა მათთა გჳამლთა,  
და ცხენსა მისცნა სადაენი, დაგჳეჳარგა წინა თჳალთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 983) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ მეომრების მიერ (ტარიელის) ვერშეპყრობა გაიგო მეტად გამწყრალმა მეფემ, თვითონ ამხედრდა და შეუტია ამაყთა და არაფრის მოშიშარმა. ტარიელმა რომ მეფე შეიცნო, მაშინღა გაერღა მის ხმაღს, ცხენს სადავე მიუშვა და თვალთაგან დაგვეკარგა (თვალწინ გაგვიჭრა).

991 ეძებნეთ და კჳალი ვერ ვპოვეთ, დაესწამეთ ეშმაურობა.  
მეფე დაჳმუნდა, დაშალა სმა, ნადიმობა, პურობა.  
მე ვეღარ ვაესძელ მისისა ამბისა არდასტურობა,  
და გამოვიპარე საძებრად: მწყიღა ცეცხლი და მურობა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 984) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვებნეთ და კვალი ვერ ვიპოვეთ, დავწამეთ ავსულობა. მეფე დანადვლიანდა, მიატოვა ლხინი, ნადიმობა, პურობა. მე ველარ მოვითმინე მისი (ტარიელის) ნამდვილი ამბის უცოდინარობა, გამოვიპარე მის საძებრად, მწვავდა ცეცხლი და აღმური.

992 იგი ვებნეთ წელსა სამსა, არ ვიამე არცა ძილი.

მათ მასწავლეს, ხატეული ვნახენ მისგან დაყოფილი;

ებოვე ვარდი მოყუითანო, შუქმკრთალი და ფერმიძილი,

და შემიტკბო და შემიყუარა, ვითა ძმა და ვითა შვილი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 985) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მეორე ტაეში რითმის გამო გრამატიკული ნორმა დაარღვეული: ხატეული ვნახენ დაყოფილი. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეში მოყუითანო შეიცვალა მოყუითანო ფორმით.

სტროფის შინაარსი: სამ წელიწადს ვებნეთ ის, ტბილად არ მიძინია (ძილითაც ვერ ვიამე). მისგან დაპირილი ხატეულები ვნახე და მათ მიმასწავლეს (ტარიელის გზა-კვალი); ვიპოვე მოყუითალო, შუქმკრთალი და ფერმიძილი ვარდი (=ტარიელი), შემიტკბო და შემიყუარა, როგორც ძმა და როგორც შვილი.

#### 1978 წ. 22 სექტემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 993 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალიშვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუშმალიშვილი, ნ. კოტეტიშვილი, ნ. ცქიტიშვილი); 994; 995; 996; 997; 997.1; 997.2, 997.3 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიანაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

993 ქტაბნი წაუხმან დევთათჳს, სრულად გამეხსიხლებია;

მუნ ასმათ ახლავს მარტოსა, სხუა არვინ უახლებია;

მას მუდამ ძქუელი ცეცხლი სწუტავს, არახალ-არახლებია,

და ვამ მართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ხლებია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 986) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: არახალ-არახლებია (არ ახალ, არ ახლებია), ვამ (ვა).

ც. კვიციანი: მესამე ტაეში დატოვებულია ტრადიციული (ბელნაწერთა დიდ ნაწილში და ბოლო დროის რიგ გამოცემაში წარმოდგენილი) წაკითხვა გარკვეული კორექციებით: არახალ-არახლებია კომპოზიტად არის მიჩნეული (შდრ. z-ის წაკითხვა: არ ახალ-, არ ახლებია). A<sup>4</sup>-ის წაკითხვა — არ ა ხ ა ხ ა ლ ი ხ ლ ე ბ ი ა, რომელიც პირვანდელ წაკითხვად მიაჩნია ი. გვიგინიშვილს, ტექსტის სწორების შედეგი ჩანს. არ ა ხ ა ხ ა ლ ი ხ ლ ე ბ ი ა მეტად ნათელი, გასაგები ფრაზა და მისი გადაკეთების საფუძველი გაუგებარია.

ი. გვიგინიშვილი: გადაკეთების საფუძველი, ალბათ, ტავტოლოგიური რითმის აცილების სურვილი იყო. მეოთხე ტაეპის ხ ლ ე ბ ი ა ვაგებულები ჰქონდათ, როგორც ა ხ ლ ა ე ს, ზმნის ფორმა, მამინ როცა ექ ვეჟეს ხლა (=შავი მანდილი) სახელიდან ნაწარმოები ზმნური ფორმა.

გ. კარტოზია: არ ა ხ ა ლ - არ ა ხ ლ ე ბ ი ისევეა ნაწარმოები, როგორც ა ხ ლ - ა ხ ლ ე ბ ი (ცეცხლი სწუტავს ა ხ ლ - ა ხ ლ ე ბ ი, 686) და საეხებით გასაგები და კონტექსტისათვის შესაფერი სიტყვაა.

ს. ცაიშვილი: პროექტის წაკითხვა უკეთესია გრადაციის თვალსაზრისითაც: ძველი, არახალ-არახალი ცეცხლი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ A<sup>4</sup>-ის წაკითხვა (არა ახალი ხლებია) ტავტოლოგიურ რითმის აჩენს სტროფში (უახლებია — ხლებია).

ა. ბარამიძე: ტაეში მართლაც არა ახალ-ახალ ცეცხლზე უნდა იყოს ლაპარაკი. პროექტის წაკითხვას მხარს ვუჭერ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წარმოდგენილი წაკითხვა (წინააღმდეგი — ი. გვიგინიშვილი).

სტროფის შინაარსი: გამოკვებულები წაურთმევია დევებისათვის, მოსისხლედ მოჰკიდებია მათ; იქ მარტო მყოფს ასმათი ახლავს, სხვა არავინ უახლებია; მას მუდამ ძველი ცეცხლი წუავს, არა ახალ-ახალი, ვამ მართებს, ვინც მას (ტარიელს) გაეყარა, შავი ხლა (მანდილი) მოხვევია თავზე ხლად.

994 ქალი მარტო ქტაბსა შიგან ზის მტირალი, ცრემლნაწოთომი;  
 ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეუქსა ვითა ლომი,  
 მიართუამს და აგრე არჩენს იგი ერთგან ვერდამდგომი,  
 და მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 987) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ქალი მარტოდმარტო ზის მტირალი, ცრემლნადენი გამოქვამულში; მოყმეს ნადირი (ნანადირევი) მიაქვს მისთვის, როგორც ლომს თავისი ლეუქისთვის, მიართმევს ხოლმე და ასე არჩენს ის, ერთ ადგილზე დაუდგომელი, მის გარდა დასანახავად არაფერ უნდა ადამიანის ტომისა.

995 მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა,  
 მითხრა ამბავი მისი და მისისა სასურველისა.  
 რა ჭირნი დასთმნა, ვერ იტყუის აწ ენა ესე ხელისა,  
 და ჰკლავს სურვილი და ვერკუჭრეტა მისისა დამმარხველისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 988) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: პროექტში ცვლილება არ შეგვიტანია, მაგრამ ვფიქრობ, პირველი ტეპი ასე უნდა იკითხებოდეს მე უცხოს უცხოს მანატრა მოსმენა სანატრელისა (=მე სრულიად უცხოს [უცნობს] მადირსა სანატრელი [ამბის] მოსმენა).

ა. ბარამიძე: არა, აქ უცხო კაცსა და უცხო ამბავზეა საუბარი. ამიტომ უცხოს უცხო ორ სიტყვად უნდა წავიკითხოთ.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით უცხოს, როგორც დანართი, გამოიყო მძიმეებით: მე, უცხოს, უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა.

გ. კარტოზიას აზრით, თუ უცხოს უცხო ორ სიტყვად დარჩება, სტრიქონში საჭირო გახდება დამატებითი პუნქტუაციური ცვლილებების შეტანა: მე, უცხოს, უცხო მანატრა — მოსმენა სანატრელისა.

ი. გიგინეიშვილი: პირველი ტეპის აზრია: მე, უცხოს, უცხო და სანატრელი (ამბის) მოსმენა მადირსა. უცხო რომ ნათესაობითის ფორმით არ არის წარმოდგენილი, ეს დაბეჭდვით უნდა არ ჩაითვლებოდა.

ც. კიკვიძე და ს. ცაიშვილიც იზიარებენ ტეპის ამგვარ გააზრებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მე, უცხოს, უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა (=მე, უცხოს [უცნობს], მადირსა უცხო, სანატრელი [ამბის] მოსმენა). წინადადებები — გ. კარტოზია.

სტროფის შინაარსი: მე, უცხოს (უცნობს), მადირსა უცხო, სანატრელი (ამბის) მოსმენა, მითხრა თავისი და თავისი მიჯნურის ამბავი. რა ჭირიც მოითმინა, ახლა ვერ იტყვის ეს ენა გახელბულისა (ე. ი. ვერ იტყვით მე, გახელბულის), კლავს თავისი დამმარხველის (უძვირდასესი ადამიანის) სიყვარული და უნახაობა.

ა. ბარამიძის აზრით, უცხოს=უცხოელს.

996 ვითა მთუარე დაუდგომლად იარების, არ დადგების;  
 მასვე ცხენსა შენეულსა ზის, აროდეს გარდაცდების;  
 არას ნახავს პირმეტყუელსა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთების.  
 და ვამ მე, მისსა მგონებელსა, ვამ მას, ვინცა მისთვის კუღბების!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 989) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვამ მე (ვა მე), ვამ მას (ვა მას):

ა. ბარამიძე: ზოგი ხელნაწერი მესამე ტეპში ნადირის ნაცვლად პირმეტყვეს კითხულობს. ეს უცუთესი წაკითხვაა. ტეპში ერთმანეთს უპირისპირდება პირმეტყველი და პირმეტყვე: არას ნახავს პირმეტყველსა, ვით პირმეტყვე კაცთა ჰკრთების.

გ. კარტოზია: პირმეტყვე მხოლოდ C რედაქციის ხელნაწერებში გვაქვს. დანარჩენ სამ რედაქციაში ნადირი იკითხება. შინაარსობრივადაც ნადირი სჯობია. ყველა პირმეტყვე არ უკრთის კაცს. შდრ. საწუთრო და სოფელს ყოფა, კაცი უჩნსო ვით ნადირსა.

ი. გიგინეიშვილი: პირმეტყვე უძველესი სიტყვაა და ცხოველის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია. უპირატესობა მას უნდა მიეცეს.

ს. ციშვილი: სიმბტომატურია, რომ პოემში სხვა ადგილას კაცი და ნადირი უპირისპირდება ერთმანეთს (კაცი უნსო ვით ნადირსა).

ც. კვიციანი: კაცისა და ნადირის ამგვარი დაპირისპირება სხვა ძეგლებშიც დასტურდება (მაგ., „მამათა სწავლანი“ და სხვა).

ა. ბარამიძე: მით უფრო საუფლებელია, რომ, თუ პირვანდელი წაიკითხვა ნადირი იყო, იგი არ გადაკეთდებოდა პირუტყვად.

გ. კარტოზია: ნადირი > პირუტყვი (ერთი ჯგუფის ხელნაწერებში) უეჭველად მეზობელი სიტყვის — პირუტყვი — გავლენის შედეგია.

მომდევნო სხდომაზე (6.X.78) გაგრძელდა ამ ტაეპის განხილვა. შ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ შინაარსობრივად აქ სწორედ პირუტყვი სჯობს. ცხოველი (გარეულოცა და შინაურიც) უფროსის ადამიანს. ამასთან მხატვრული თვალსაზრისითაც უკეთესია ტაეში პირუტყველისა და პირუტყვის მეზობლობა. ე. მეტრეველის აზრით, საკითხის გარკვევისათვის გადაწყვეტა ხელნაწერთა ჩვენება, რაც ნადირ-სიტყვის სასარგებლოდ მეტყველებს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაიკითხვა (წინააღმდეგე — ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, შ. ძიძიგური).

სტროფის შინაარსი: როგორც მთვარე შეუჩერებლად მოძრაობს, არ ჩერდება; იმ შენეულ ცხენზევე ზის, არასოდეს ჩამოდის (ცხენიდან); მეტყველს არაფერს ნახულობს, ადამიანებს ერიდება როგორც ნადირი. ვაი მე, მასზე ფიქრით შეპყრობილს, ვაი მას, ვინც მისთვის კვდება!

997 მის ყმისა ცეცხლი მედების, დამწეა ცეცხლითა ცხელითა,  
 შემებრალნეს და გაეშმაგდი, გაეპე გულითა ხელითა;  
 მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღუთითა და ქველითა;  
 და შევიქეც, ენახენ მეფენი, მყოფნი გულითა ზნელითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 990) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დამწეა ცეცხლითა (ეტერი ცრემლითა).

გ. კარტოზია: ხელნაწერები და გამოცემები განსხვავებულად წარმოგვიდგენენ სარიტმო სიტყვებს: ABD რედაქციის ნუსხებში და ყველა გამოცემაში, S-ის გარდა, რითმა ელითა, C რედაქციის ხელნაწერებში და S-ში — ისითა; მისითა, ეისითა/მისითა, ქეისითა, მქისითა. პირველ ტაეში ვტირიცრემლითა მხოლოდ D რედაქციის ნუსხებში ვაქვს. ორსავე შემთხვევაში ხელნაწერთა ტრადიციას გავუწიეთ ანგარიში.

ა. ბარამიძე: მეც მხარს ვუჭერ პროექტის წაიკითხვას. C რედაქციის წაიკითხვა მესამე ტაეპისა, ზღვისა და ქეისის დაპირისპირება (ძებნა ზღუთითა და ქველითა), არ ვარკა. აღსანიშნავია, რომ ამ ტაეში ზღუთითა და ქველითა -ს კითხულობს CI ხელნაწერიც.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაიკითხვა.

სტროფის შინაარსი: იმ მოყმის ცეცხლი მედება, ცხელი ცრემლით დამწეა, შემებრალა და გაეშმაგდი, გულგახელებული ვაგზდი; მომინდა მისი წამლის ძებნა ზღვისა და ხმელეთზე; დავბრუნდი, ენახე გულდაბნელებული (მწუხარე) მეფენი (როსტევიანი და თინათინი).

997,1 პირველად ძებნად წამოსტლა მეფეს ვაცნობეთ აროსა,  
 მართ მონღომოდა შეტყობა პირმზესა, ტანად საროსა;  
 ქირგარდაქლილი შევესწარ ტურფასა შესაყაროსა,  
 და ეპპოვე, მას ჰგვანდა, რა მზემან ღრუბელი გარდიყაროსა.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1185<sup>1</sup>) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაცნობეთ (ვაცნობე), ჰგვანდა (გვანდა), გარდიყაროსა (გაყაროსა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: პირველად საქებნულად წამოსვლა მეფისთვის არ გვეცნობებია, (ტარიელის ამბის) შეტყობა მონღომოდა პირმზეს, ტანსაროს (=თინათინს); ქირგადახდილი შეეხელი ტურფა შესაყარელს (=ტარიელს), ენახე, იმას ჰგვანდა, მზე რომ ღრუბელს გადაყაროს.

997,2 მიებრუნდი, ვჰკადრე ყოველი ნახული, მონასმენია,  
 მიბრძანეს: ძენელი ადვილად გიჩანან შენ საქმენია;  
 ვჰკადრე, თუ: «ადრე მიემართებ, ტყუილი არ სათქმენია,  
 და დამვედრა სიტყუა საბარლო, ცნობათა გარდამხმენია».

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1185<sup>2</sup>) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ტყუილი (ტყუილი); მესამე ტაეპის ბოლოს მოშლილია ბრჭყალები და წერტილის ნაცვლად დასმუ-

ლია მძიმე; ბრჭყალები დახურულია მეოთხე ტაეპის ბოლოს; მეოთხე ტაეპში მძიმე მოშლილია პირველი სიტყვის შემდეგ და დასმულია ცეზურასთან. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მიგბრუნდი, მოვახსენე (თინათინს) ყოველი ნანახი და მოსმენილი, მითხრა: „ძნელი საქმეები შენ აღვილად მიგაჩნია (ძნელი საქმეები შენთვის ადვილად დასაძლევია)“. მოვახსენე: „მაილე გავემართები მასთან, ტყუილს ვერ ვიტყვი (ტყუილი სათქმელი არ არის), მითხრა (ტარიელმა) საბრალობელი, გონების წაართმევი სიტყვა“.

997,3 მეფეთა ღია იამა უცხოთ ამბავთა სმენანი,  
მითხრეს: «აწ ვიყუნეთ შენისა მონდომილისა მქენანანი;  
მაგრა შემატყუეს უმისოდ, გლახ, სიცოცხლისა თმენანი;  
და შევატყვე; ჩემგან ეწყინათ აღრე წასტლისა თქმენანი.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1185<sup>3</sup>) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მქენანანი (მქენანი), მაგრა (მაგრამ); მეორე და მესამე ტაეპების ბოლოს მძიმის ნაცულად დასმულია წერტილ-მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფეს (როსტევანს) დიდად ეამა უცხო ამბის მოსმენა, მითხრა: „ახლა იმის მქნელი ვიქნებით, რაც გინდა“; მაგრამ შემატყო, უმისოდ (უტარიელოდ) სიცოცხლე რომ მიძინალებოდა; შევატყვე, ეწყინა ჩემგან მაილე წასვლის თქმა.

1978 წ. 29 სექტემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ციციშვილი. განიხილეს სტროფები: 998; 999; 1000; 1001 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გურიტიშვილმა, ლ. კვიციანიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

998 დავეთხოვე და გამიწყრა, მეფე მიეცა ჭმუნვასა.

დავეყარენ ჩემნი ლაშქარნი, მით იზახიან მუნ ვასა;  
გამოვიბარე, დავეკენ სისხლისა ცრემლთა წურვასა,  
და აწ ვემებ მისთა წამალთა, ვიქ იქით-აქით ბრუნვასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 991) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვიქ (ვიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დავეთხოვე და გამიწყრა მეფე, მწუხარებას მიეცა. დავტოვე ჩემი ლაშქარი, ამიტომ იძახიან იქ ვასი; გამოვიბარე, შევწყვიტე სისხლის ცრემლების წურვა (შევწყვიტე ტირილი), ახლა ვემებ მის (ტარიელის) წამალს, აქეთ-იქით დავდივარ.

999 შენი მან მითხრა ამბავი, მისგან ძმობისა შენისა,  
აწ მიბოვნიხარ უებრო შენ, საქებელი ენისა;  
გამომირჩიე, სით მიჯობს ძებნა მის მზისა ზენისა,  
და მისთა მჭურეტელთა ლხინისა, ვერმჭურეტთა ამარზენისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 992) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მან მომიხტრა შენი ამბავი, თუ როგორ გიმძო, ახლა გიბოვენ სწორ-უპოვარი, საქები (ქების ღირსი); მირჩიე, ჩემთვის საით სჯობს ძებნა იმ მაღალა მზისა, მისი მჭურეტელების სიხარულისა, ვერმჭურეტელთა შემამარწუნებელისა.

1000 აწ ღრიდონ იწუის სიტყუითა მის ყმისა ნაუბართა;  
ორნივე სწორად მოსთქმილეს მოთქმითა საქებართა,  
გულამოსტენილი გულითა ტირან ვერდამომობართა,  
და მუნ გარდა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბართა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 993) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში საგუბართა უნდა შეიცვალოს ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაში წარმოდგენილი ნაგუბართა ფორმით. ტაეპის აზრია: სახეს რწყვენ ტევრში დაგუბებული ცხელი წყლით.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენებას და დარჩეს საგუბართა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა — საგუბართა (წინააღმდეგი — ი. გიგინეიშვილი).

სტროფის შინაარსი: ახლა ფრიდონი იწვის იმ მოყმის (=ავთანდილის) მონათხრობით (ნათქვამი სიტყვით); ორივენი ერთნაირად მოთქვამდნენ საქები მოთქმით, გულამოცხვნილი ტირიან ვერმომთმენი გულთ, იქ ვარდს (=პირისახეს) რწყავენ ტევრში (=წამწამებში) და-გუბებული ცხელი წყლით (=ცრემლებით).

1001 ლაშქართა შიგან შეიქმნა ემა ტირილისა დიდისა,  
 ზოგთაგან ზოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა.  
 ფრიდონ ტირს, მოსთქუამს კმაპალად, გაყრილი წლისა შუიღისა:  
 და „უხანობა და სიცრუე, ვაჲ, საწუთროსა ფლიღისა!“

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 994) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაჲ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ლაშქარში გაისმა (შეიქნა) დიდი ტირილის ხმა, ზოგი პირს იხოკდა, ზოგი რიდეს (თავსაბურავს) იგლვჯდა. (ტარიელისაგან) შეიდი წლის გაყრილი ფრიდონი, ტირის, ხმაპალა მოთქვამს: „ვაი, ფლიდი წუთისოფლის წარმავლობა და სიცრუე!“

ი. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის აზრით, უ ხ ა ნ ო ბ ა აქ ნიშნავს ხანმოკლეობას.

### 1978 წ. 6 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1002, 1003, 1004, 1005 (პროექტი მოამზადეს: გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიენაძემ, ბ. მახსარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1002 ფრიდონ მოსთქუამს: „რა შეგასხათ, ვერსაქებო, ვერსათქმელო!  
 ქმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო,  
 მთახლეთა სალხინო, სიცოცხლეო, სულთა მდგმელო,  
 და ცისა ეტლთა სინათლეო, დამწუტელო და დამანტქმელო!

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 995) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. ცაიშვილი: მართებულად მიმჩნია ლიტერატურაში (მ. კარბელაშვილი) გამოთქმული აზრი, რომ მეორე ტაეპის სწორი წაკითხვა დაცულია A<sup>12</sup>-ში: სამყაროსა მზისა შუქთა გარდამ-თხმელო (=სამყაროსთვის მზისა შუქთა გარდამფენო).

რედაქციამ მეორე ტაეპის წაკითხვა უცვლელად დატოვა. ამასთან გაიზიარა ი. გიგინეიშვილის ვარაუდი, რომ სამყაროსა მზის ეტლთა გარდამხმელო = სამყაროში მზის გადამადგილებელო ეტლებში (ზოღიაქოებში).

სტროფის შინაარსი: ფრიდონი მოთქვამს: „რა ქება შეგასხათ, ვერსესაქებო, ენით უთქმელო! ხმელეთის მზეო, სამყაროში მზის ეტლებში (ზოღიაქოებში) გადამადგილებელო, ახლოს მყოფთა სიხარულო, სიცოცხლე, სულის ჩამდგმელო, ცის ეტლების (ზოღიაქოების) სინათლე, დამწველო და დამლუპველო!

1003 რა მოგეშორე, მას აქათ სიცოცხლე მომძულეებია;  
 თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურეებია;  
 შენ უჩემობა ლხინად გიჩნს, მე დია მიმპირეებია,  
 და ოქერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმებია!“

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 996) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გიჩნს (გიჩს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რაც მოგშორდი, მას შემდეგ სიცოცხლე მოძულებული მაქვს; თუმცა შენ ჩემთვის არ გცალია, მე შენ მომნატრებიხარ; შენ უჩემოდ ყოფნა ლხინად (სიხარულად) მიგაჩნია, მე (კი) ძალიან შეპირებული ვარ, უშენოდ სიცოცხლე ამაოა, წუთისოფელი არმად გადამქცევია.



ჟურნალ „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერიის  
1980 წლის ნომრების შინაარსი

- ათანელიშვილი ლ., რამდენიმე კრიპტოგრაფიული წერილის შესახებ, № 2, გვ. 84
- ანდრონიკაშვილი მ., აზ-ზაჯაჯის გრამატიკული ტრაქტატი „ალ-ჯუმალ“ — № 3, გვ. 149.
- არაბული ა., თურმეობითის ანალიზური წარმოების თავისებურება ქართველურ ენა-ლაზოგ დიალექტში — № 1, გვ. 149.
- არაბული გ., ნანუჩა და „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციები — № 3, გვ. 52.
- ასათიანი მ., ენობრივი სიტუაციის შესახებ ინდოეთის რესპუბლიკაში — № 4, გვ. 158.
- ახალაია ვ., უიარაღოს თხზულებათა სტილური თავისებურებანი — № 3, გვ. 84.
- ახალაძე ც., მიხეილ ხათუნის სასიყვარულო ლირიკის გაგებისათვის — № 4, გვ. 79.
- ახვლედიანი გ., ფოლკლორული მასალები დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულ ნაშრომებში — № 4, გვ. 65.
- ბარდაველიძე ბ., დ. კლიაშვილის შემოქმედების საწყისებთან — № 2, გვ. 5.
- ბეპიძევა ნ., გრიგოლ ბგრატიონის ანთოლოგიები — № 2, გვ. 33.
- ბერიძე გ., სულხან-საბა ორბელიანის ზოგიერთი ივავ-არაიის ხალხური პარალელები ჭავჭავთვი ჩაწერილი მასალების მიხედვით — № 3, გვ. 33.
- გვერტაძე გ., ილია ქავჭავაძის შემოქმედებითი პროცესის ისტორიიდან — № 3, გვ. 25.
- გვერტაძე ო., დიოდორე ქართულ ჰაგიოგრაფიაში (V—VI სს.) — № 4, გვ. 54.
- გოგოლაშვილი გ., ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში — № 3, გვ. 130.
- გოგოლაძე თ., ეროვნული საკითხი ს. მგალობლიშვილის პროზაში — № 1, გვ. 15.
- გუმაშვილი ს., კლასიკან-პირიკანული უღვლილების ჩამოყალიბებისათვის ჩაჩხური ენის ქისტურ დიალექტში — № 4, გვ. 131.
- გუნია ვ., ა. ნ. რადიშჩევის მხატვრული მეთოდის საკითხისათვის — № 2, გვ. 47.
- დანელია კ., რ. ბგერათვალაგების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ მგარულში — № 1, გვ. 170.
- დანელია მ., ყანის საკითხი ფოლკნერის ფსიქოლოგიურ ნოველებში — № 2, გვ. 56.
- დაჩიკა ბ., ხატელთა ამბის ხელნაწერის ფრაგმენტი — № 4, გვ. 47.
- დედაბრიშვილი ვ., ბუნების დაცვის საკითხები ხალხურ ყოფსა და ზეპირსიტყვიერებაში — № 1, გვ. 97.
- დოჩანაშვილი ე., „მცხეთური ბიბლიის“ „გამოსლეთა“ წიგნის ტექსტობრივი და რედაქციული დანახაფებისათვის — № 1, გვ. 109.
- ზიცარი ი., „მონა“ და „მოსამსახურე“ ქართველურ ენებსა და ბასკურში — № 2, გვ. 131.
- თევზაძე თ., ქართული სიმბოლისტური რომანი — № 1, გვ. 38.
- იოვანშვილი დ., პორტრეტი და მისი ადგილი ქართულ მწერლობაში — № 4, გვ. 27.
- კარ-პარისი ჯ., მაქსიმე აღმსარებლის პიროვნების ფოლკლორისათვის — № 3, გვ. 64.
- კიხიკია ნ., უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია ქანერის ათინურ კილოვაში — № 2, გვ. 121.
- ქილანავა ნ., ვახტანგ ორბელიანის ადრეული შემოქმედებიდან — № 2, გვ. 23.
- კოტაშვილი ლ., ბერნარდოსეული კოლექციის XI ზღაპარი — № 3, გვ. 78.
- კოშორიძე ე., მსაზღვრელთა ექსპრესიული ფუნქციისათვის — № 1, გვ. 135.
- კუსრაშვილი რ., დავით გურამიშვილის ენის თავისებურებანი — № 3, გვ. 96.
- მგალობლიშვილი თ., უძველეს ქართულ მრავალთავებში დაცული ზოგიერთი საკითხავის წყაროს საკითხი — № 1, გვ. 123.
- მელიქიშვილი ნ., საყოთარი სახელები იოსებ ფლავიოსის ერთი თხზულების ქართული თარგმანის მიხედვით — № 3, გვ. 110.

მიქე ლაძე ნ., მორფოლოგიური თავისებურებანი აჭარაში მოღვაწე მწერალთა თხზულებებში — № 4, გვ. 90.

ნადარეიშვილი ი., ტექსტის მორფოლოგიური სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი (კ. გამსახურდიას პროზის მაგალითზე) — № 3, გვ. 143.

ნუცუბიძე თ., ფერის პოეტური ფუნქცია ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში — № 1, გვ. 48.

ქორდანია ს., იდეოლოგია და სიმბოლო — № 1, გვ. 9.

ქლენტი დ., სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ზოგი თავისებურება საერთო მწერლობის ენაში (XVIII ს.) — № 3, გვ. 122.

რევიშვილი შ., გერმანელი ავტორები „გარდაშვალნი ხანის“ ქართულ მწერლობაში — № 1, გვ. 72.

რობაქიძე ნ., ტერმინი 'იბდულნი ზამანშარისეული ინტერპრეტაციით — № 2, გვ. 128.

რუხაძე ლ., თურქული ნასესხობები ქართულ სალიტერატურო ენაში — № 4, გვ. 123.

→ რჩეულიშვილი მ., შიდა და გარე სიტუეტურ ხაზთა ერთიანობა ოლდოს პაქსლის „მასხრულ ფერხულში“ — № 1, გვ. 89.

სანაძე ლ., ილია ჭავჭავაძის პიესების ბექლვის ისტორიიდან — № 2, გვ. 17.

სარაჯველაძე ზ., ზოგი საერთო-ქართველური ლექსემის ეტიმოლოგიისათვის — № 4, გვ. 115.

სსრკ კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის — № 4, გვ. 5.

† ტყეშელაშვილი მ., ეპოქის სახე „კაცია აღამიანიში?!“ — № 4, გვ. 14.

ქუთათელიაძე ლ., რამდენიმე ცნობა ზაქარია გაბაშვილის ბიოგრაფიიდან — № 1, გვ. 63.

ქუთელია ნ., ლაზური ვოკალიზმი — № 2, გვ. 105.

ქურდოვანიძე თ., ქართული კუმულატიური ზღაპარი — № 2, გვ. 76.

შანიძე ა., ლექსიკოლოგიური შენიშვნები (მსხვარი, მემცხვარე) — № 2, გვ. 89.

შაყულაშვილი გ., ძველი თბილისის პოეზია და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პრესა — № 1, გვ. 57.

შიოშვილი თ., ქართული მითოლოგიური პერსონაჟები — წყლის დედა, კუდიანი (თელო სახოკასეული მასალების მიხედვით) — № 2, გვ. 65.

ჩიკაიძე ვ., თურქული ენის CVC ტიპის სიტყვების ფონეტიკური სტრუქტურა — № 4, გვ. 147.

ჩირიკბა ე., საერთო კავკასიური lag/lah „მონა“, „მამაკაცი“ — № 2, გვ. 138.

ჩიქობავა მ., „ლალი“ და „ბადახში“ ტერმინების მნიშვნელობისათვის — № 4, გვ. 109.

ჩხარტიშვილი რ., 30-იანი წლებში ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ჟურნალი „მნათობი“ — № 2, გვ. 5.

ცაიშვილი ს., მარადისობის გზაზე (დავით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავი) — № 4, გვ. 7.

ცოცხაძე ლ., იარაღისა და ადგილის აღმნიშვნელი დერევაკიული ველების ურთიერთშემდეგობა თანამედროვე სემიოტიკურ ენებში (სალიტერატურო არაბულისა და ებრაულის მასალებზე) — № 4, გვ. 175.

ცხადაძე ბ., -ოლ-ა სუფიქსების მასდართა ერთი ჩვეულებისათვის ძველ ქართულში — № 1, გვ. 155.

ცხოვრებოვი ნ., რუსული ლიტერატურა და XX საუკუნის ქართული პოეზიის შედარებითი შესწავლის პრობლემები — № 2, გვ. 42.

ჭოლოკავა ნ., ვ. ი. ლენინი ლიტერატურის პარტიულობის შესახებ (ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავი) — № 1, გვ. 5.

↳ ხოფერია ი., ნეკრასოვის ჟურნალი „სოვრემენიკი“ და ქართველი სამოციანელები („თერგდალეულები“) — № 1, გვ. 26.

ჯანგიძე ვ., ქართული ლექსიკა თურქული ენის დიალექტებში — № 2, გვ. 95.

ჯანელიძე მ., ღერძული სიტყვის სემის ექსპლიკაცია სომატეგმებში — № 1, გვ. 165.

ჭუსანიოვი ნ., ზმნით მოტივირებული თურქული ნეოლოგიზმების — არსებით სახელთა — სიტყვაწარმოებითი სტრუქტურის დახასიათებისათვის — № 4, გვ. 167.

## კ ნ ო ბ ე ბ ი და შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

სილოგავა ე., სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ — № 2, გვ. 142.

## კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

აფრიდონიძე შ. — „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები“, 1978 — № 1, გვ. 179.

ბარამიძე ალ., ძიძიგური შ., ცაიშვილი ს., გვახარია ა. — „რუსთაველის კოსმოლოგია“ — № 2, გვ. 182.

გერცენბერგი გ. — ნ. გაბარაძევი, სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა და სიტყვაწარმოება თანამედროვე ოსურ ენაში — № 4, გვ. 202.

გვახარია ა. — იხ. ბარამიძე ალ.

იმნაძე მ., ოტარიდის „ბრუნვა“ და მისი ინტერპრეტაცია — № 2, გვ. 186.

მარტიოხოვეი ა., ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები — № 4, გვ. 195.

მელიქიშვილი დ., ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი საღვო საკითხის გამო — № 4, გვ. 184.

ომიძე დ. — „ხორასნული სპარსული ხალხური ზღაპრები“, ტ. I, 1975 — № 1, გვ. 188.

ცაიშვილი ს. — იხ. ბარამიძე ალ.

ძიძიგური შ. — იხ. ბარამიძე ალ.

ქინჭარაული ა., ზოგი შენიშვნა ბარანის ციხის წარწერასთან დაკავშირებით — № 4, გვ. 200.

## ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ახალი წიგნები — № 1, გვ. 191; № 4, გვ. 191.

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში — № 4, გვ. 205.

საღოჭტარო დისერტაციათა თემების დამტკიცება — № 4, გვ. 204.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში — № 3, გვ. 156.

## ბ ნ ა ლ ი წ ი ბ ნ ე ბ ი

## ბ ა მ ო მ ც ი მ ლ ო ბ ა „მ ი ც ნ ი რ მ ბ ა“

კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I.

რედაქტორი აკად. ალ. ბარამიძე.

კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულის პირველი ტომი იბეჭდება მეხუთეჯერ. ავტორმა მოასწრო თავისი ნაშრომის ბოლო გამოცემის გადახედვა და ზოგიერთი შესწორების შეტანა (კ. კეკელიძე გარდაიცვალა 1962 წლის 7 ივნისს). წიგნის ეს შესწორებული ცალი ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, კ. კეკელიძის კაბინეტში. წინამდებარე გამოცემაში აღბეჭდილია ავტორისეული ყველა გასწორება.

წიგნი ეძღვნება კ. კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავს. განკუთვნილია სპეციალისტ-

ების და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

წიგნი არის 1960 წ. გამოსული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ფოტოტიპური გამოცემა, შეტანილია მხოლოდ მცირეოდენი აუცილებელი შესწორებები.

720 გვ., ფასი 5 მან. 30 კაპ., ტირაჟი 20000.

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე.

სარედაქციო კოლეგია: ივანე გიგინეიშვილი (რედაქტორი), ლია ლეჟავა (მდივანი), ქეთევან ლომთათიძე, ვლადიმერ ფანჩიძე, როგნედა დამბაშვიძე, არნოლდ ჩიქობავა, მიხეილ კაბაშვილი.

წიგნი მთლიანად ეძღვნება თანამედროვე



ქართული პრესის ენას, მასში სალიტერატურო ქართულის ნორმათა დაცვის თვალსაზრისით განაღოზებულა მდიდარი მასალა, ამოკრებილი როგორც ცენტრალური ეურნალ-გაზეთებიდან, ისე — პერიფერიული (რაიონული) გაზეთებიდან. კრებულში გამოქვეყნებული წერილები დიდად დაეხმარება პრესის მუშაკებს მათ პრაქტიკულ მუშაობაში, ხოლო ამავე დროს საფუძვლად დაედება ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტებს.

338 გვ., ფასი 2 მან. 45 კაპ., ტირაჟი 4000.

**შოთა ძიძიგური, დავით გურამიშვილის ენა.**

რედაქტორი ვ. ძიძიგური.

ნაშრომში მოცემულია ანალოზი დიდი პოეტის ენის თავისებურებისა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის და ლექსიკის დარგების მიხედვით. ამასთანავე შესწავლილია დ. გურამიშვილის ნაწარმოებები სტილისტიკის თვალსაზრისით.

შესწავლილია პოეტის დამოკიდებულება ხალხურ მეტყველებასთან, განაღოზებულა დიალექტური ფორმები და გარკვეულია, თუ რომელ დიალექტებს ეყრდნობა იგი. საგანგებოდ არის მიმოხილული გურამიშვილის ლექსიკის ის ფენა, რომელიც უკავშირდება ქართული ენის მთის კილოებს. ამასთანავე გამოთქმულია მისაზრებები გურამიშვილის პოეტიკის საკითხებთან დაკავშირებით. ზახვასმულია, რომ გურამიშვილის ენის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი ხალხურობაა.

92 გვ., ფასი 35 კაპ., ტირაჟი 5000.

**გურამ შარაძე, პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი.**

რედაქტორი ს. ცაიშვილი.

პლატონ იოსელიანს (1809—1875) საპატიო ადგილი უჭირავს XIX ს. ქართული მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პლატონ იოსელიანის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა, სადაც განხილულია შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები, მოცემულია ცნობები რუსთველის პორტრეტის, «ევფხისტყაოსნის» უძველესი ხელნაწერებისა და პოემის ეკლესიური დღენის შესახებ, აგრეთვე «ევფხისტყაოსნის» ავტორის მსოფლმხედველობის გარკვევისა და პოემის იდეურ-მხატვრული შეფასების ცდა.

პლატონ იოსელიანის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობის მონოგრაფიულ შესწავლას წინ უძღვის მეცნიერის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვა.

216 გვ., ფასი 1 მან. 15 კაპ., ტირაჟი 2000.

**თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები.**

თარგმნილი ბერძნულიდან არსენიკალით ოეღის მიერ.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევდა, საკუთარ სახელთა საქმებელი და ლექსიკონი დაურთო ლეილა დათიაშვილიძე.

რედაქტორი ივ. ლოლაშვილი.

ნაშრომი შეიცავს გამოჩენილი არაბი ქრისტიანი მწერლის თეოდორე აბუკურას (VIII—IX სს.) დოგმატიკურ-პოლემიკურსა და ფილოსოფიურ ტრაქტატებსა და დიალოგებს, რომლებიც ბერძნულიდან თარგმნა ცნობილმა ქართველმა ფილოსოფოსმა არსენ იყალთოელმა (XI—XII სს.). ამ თხზულებათა ქართულ თარგმანებს, რომლებიც ამჟამად პირველად ქვეყნდება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თეოდორე აბუკურას სამწერლო საქმიანობის შესწავლაში. მათგან ზოგიერთი ტექსტი საერთოდ უცნობია, როგორც თანამედროვე, ასევე წინამდებარი ბიზანტინისტიკისათვის. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესასწავლად.

ტექსტებს უძღვის ნარკვევი, რომელშიც განხილულია ქართული თარგმანების ისტორიული-ფილოლოგიური საკითხები. ნაშრომს ერთვის საკუთარ სახელთა საქმებელი და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი.

წიგნი განკუთვნილია ქართული ლიტერატურის სპეცილისტებისა და მისი შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

128 გვ., ფასი 70 კაპ., ტირაჟი 1200.

**ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან. (ეძღვნება აკადემიკოს ვარლამ თოფურიას სსოცნას)**

რედაქტორები: გ. ბედოშვილი, ბ. ჯორბენაძე

1974 წლის სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ინიციატივით ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სემინარი «სენათმეცნიერო საუბრები».

წინამდებარე კრებულში შევიდა აღნიშნულ სემინარზე სხვადასხვა დროს წაკითხულ მოხსენებათა ერთი ნაწილი, რომლებშიც განხილულია იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის ზოგი საკითხი.

168 გვ., ფასი 1 მან. 10 კაპ., ტირაჟი 1000.

114/58



ფასი 1 მან.

Индекс 76 198